

მნათობი

მთავრობის
ბიბლიოთეკა

114
1935/2

5

ზინაარსი

კოფიბა
ილო მოსაზვილი
ნიკოლო მიწიზვილი
გ. ქუჩიზვილი
გიორგი კაზახიძე
პეტრე სამსონიძე
ა. კუჭინი
ვ. საიანოვი

პროზა
ზ. დადიანი
რაქვან გვებაძე
ი. დიომილი
ჯემალ-ჯაფი

კრიტიკა და პუბლიცისტიკა
ვლ. ასათიანი
ალი არსენიზვილი

უცხოეთის ლიტერატურა
კ. კაკაბული

თეორია
ნ. ურუშაძე

ხელოვნება
ვ. გვრიძე



საქართველოს
ხელნაწილის
ბეჭდვის სახელმწიფო გამომცემლობა

მნათობი



სრულიად საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირის ყოველთვიური
საღიბრატურო, სახელოვნო და საზო-
გადოებრივ-საკოლიტიკო ჟურნალი

5

წელიწადი მეთორმეტე

4414

1654

სახელგამი

1935



საკრედიტო კოლეგია:

ირაკლი აბაშიძე
ნოე ზოლეთელი
ნიკო ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
გა. მუზიშვილი
ზალმა კაღიანი
ბალატიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
ლევო ჭიაჩელი
პანტელეიმონ ჩხიკვაძე
დემნა შენგელაია



კრედიტის მისაღებად: ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. № 3 — 55 — 25.
ფან. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.

კანტორის მისაღებად: ტფილისი, კიროვის ქ. № 7. პეროდსექტორი.

ილო მოსაზვილი

ღია ბარათები

1. საღამო ორღობეში

მზე

მთებს

დაეცა, ორღობის ბოლოს
ლურჯთვალა გოგო მიჰყვება ფურებს,
ცის დასაველზე ღრუბელი ბოლავს
და კვამლს კრილა ლაქეარდში ურევს.
ორღობის ბოლოს ბინდია

როგორც

მწიფე ქლიავი ტოტებს რომ

იხრის

და ფეხშიშველა სოფლელი გოგო,
ცივცივ ვარსკვლავებს უბეში იყრის.

2. ღამე ტბაზე

ტბა,

წეროები,

ლერწმების შალა

მწიფე მთვარე და ღრუბელი დარჩა.
ღმა ტბის ნაპირას ცალფეხა ღალდა
და ყავარჯნებზე დახრელი ყანჩა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლამეში,

ტბაზე,

გაჩნდება შველი,

ლაქვარდის სარკეს დაშლის ძაფებად
და წყურვილისგან გამწვარი ყელით,
წყალს მარილიანს დაეწაფება.

3. მამალი ხოხობი

ცურავს, ბანაობს, ელვარებს მზეში
ხან სიხარულით ფრთას დაჰკრავს დედალს.
ამღერებული ლერწმიან ტყეში
დღისით შეტურა ვარსკვლავებს ხედავს.

ტყე ირხევა და შრიალი შოდის,
იფარებს ფოთლებს, კვირტებს, ბალახებს,
მერე უეცრად გასწყვეტავს ლოდინს
და მზეზე ოქროს ამოალაგებს.

იელვებს თოფი. დაუშვებს დეზებს.
ფრთების გამართვას ველარა ბედავს
და შეუჭამქრალი თვალებით ეძებს,
ლიხში განაბულ, საყვარელ დედალს.



შალვა დადიანი

უ რ ჯ უ მ ი *)

თავი მეოთხე

სახენიები

იბ

სასახლის თავლის ახლო ეზოში შეკავშული ცხენები იქით-აქეთ და-
ჰყავდა ერთ პირტიტველ ახალგაზრდას.

მეორე მხარეზე მთხოვნელებში, დიდ ცაცხვის ძირას შექუჩულ ხალხ-
ში, ჭაბუკი ვინმე გამოეყო და ამ ახალგაზრდას დააშტერდა.

თითქო იცნო და ვერც იცნო:

— ის კი უნდა იყოს: იერი, პირი-სახე. აგერ მისი თითქო მოოქვრილი
ხუტუტა თმა, ცოტა სპილენძის ფერი რომ დაჰკრავს. მხოლოდ გამოწყო-
ბილია კარგა. უბრალო, მაგრამ კობტა ჩოხა-ახალუხი აცვია, ხანჯალიც
ჩამოუპროწიალებია, გვერდზე ბაშლაყიც გადაუგდია. ნუ თუ შე ვცდები?
მაგრამ არა, აგერ ვილასაც ვაუცინა. ეს ხომ მისი სიცილია. ნამდვილათ!
ბიჭინას უცინის, მის ბატონს, ბიჭინა ხუბუტიას.

და სწრაფად გასწია ახალგაზრდასკენ.

— უტუ!

— მურზა! საიდგან?

— შე ისევ ჩემ მებატონეებს ვახლავარ ლოლუებს, რაღაც საქმე აქვთ
მთავართან, მაგრამ შენ? როგორ გაჩნდი აქა? თუმცა შენი მებატონე
ბიჭინა დაეინახე და...

— ჰო, ბიჭინას მოვყევე. ორთავენი პეტრე პატენისქუას ვახლავართ.

— პეტრეს?

— გიკვირს არა? გასაკვირია, მეც მიკვირს, მაგრამ მართლა!.. შენ
რომ ამას წინათ ჩამოგვიარე, ხომ გახსოვს? ბიძაჩემის, თასიკოჩის სამჭე-
დურში. აი შენ რომ გაგაცილე? სწორედ იმ საღამოს ბიჭინას ოჯახს

*) გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 4.

ორი ნაბდით დახურული ცხენოსანი ესტუმრა. ის იყო და ის. მას აქეთია ბიჭინას ცხოვრებაც და ჩემიც აფორიაქდა. ისევე ჩვენსუხუბუ აი ამ პეტრეს ძმის, რომელსაც ჩვენ ვახლავართ გიორგი ჭკადუაშვილ პატენისქუას შუამავლები იყვნენ თურმე. ესე საიდუმლოთ სოფელ-სოფელ დადიოდნენ და თავიანთ მომხრეებს აგროვებდნენ. ჩვენ სოფელშიაც, ჯვარში, ბევრი მიიმხრეს, თითქმის მთელი ხუბუტიები, და სხვა აზნაურებიც, მხოლოდ მღვდლის ოჯახს, კანტურიასას არ მიმართეს, ის მხარს არ დაგვიჭერსო და, როგორც ვითხარი, მას აქეთია აერუზრუხდით ყველანი. რამდენიმე დღის შემდეგ ბიჭინაც და მეც გამოგვაწყვეს და პეტრეს გვაახლეს. დანარჩენი, დიდი უმრავლესობა, ენგურ-გალმა გავიდა, სადაც გიორგია მისი მომხრეებით დაბანაკებული.

— თუ იცი, ბევრნი არიან?

— დიდ-ძალი ხალხიაო ამბობენ. ზემო სამეგრელო მაინც, სალიპარტიანოს გარდა, გვარწმუნებენ, გიორგის ემხრობაო.

— უფრო თავად-აზნაურები ხომ? გლეხობა?

— გლეხობაც.

— ვითომ თავის ნებით?

ამას მხოლოდ ახლა ჩაუფიქრდა უტუ. თვითონაც გაუკვირდა — რატომ აქამდე არ მიფიქრნიაო ან რათ არ დამებადა სურვილი გლეხობისათვის გამომეკითხნაო და შერცხვა მისი მამიდაშვილის.

მურზამ კი უფრო დაუმძიმა საკითხი:

— გლეხობა რომ არის ეს მეც ვიცი, მაგრამ ზოგი ძიძიშვილია, ზოგიც ყურ-მოკრილი ყმა. შენ ის თუ შეამჩნიე, თავის ნებით მოდიან თუ არა?

უტუს გაუკვირდა პასუხი. მაინც სთქვა:

— ეგ არ შემიმჩნევია. მაინც მე სულ ამ პეტრე პატენისქუას ვახლავარ და სულ უფრო თავადებში დაედივართ.

უტუმ იგრძნო, რომ ეს მხოლოდ თავის მართლება იყო და კიდევ უფრო შერცხვა. თითქო რაღაც დანაშაული ჩაედინოს. მაინც განაგრძო:

— აი ეხლა მთავართანაც მოვედით და... — აქ უფრო ვათამამდა უტუ. რადგან პირველ-სათქმელი ვაახსენდა. — ამან კი სწორეთ ძალზე ვამაკვირვა: პეტრე ზომ, საცა დაიარება, სულ გიორგისაკენ უხმობს ხალხს, აქ კი რათ დაგვკვირდა მოსვლა? მტერთან? მე შესმის, ვგრძნობ, რომ ზოგჯერ მტრის ბანაკში თამამი შექრა საჭიროც უნდა იყოს, მაგრამ პეტრეს გულში რა უძევს მაინც ვერ გამიგია.

მურზას ახალგაზრდა საზე თითქო დაუდინჯდაო. ყრუთ წარმოსთქვა:

— ძალდი ძალდის ძვალს არ გასტეხს. ტყუილა შეგვაკლავენ, ბიძია, გლეხებს ერთი მეორეს.

— აგრე არა სთქვა ბიძაჩემმა თასიკოჩიმ?

— მართლა, თასიკოჩიმ როგორ ვაგიშვა? ან შენ როგორ შეეღიე მოხუც?

ამ „შელევამ“ უტუს „გული მოსწყვიტა“. თასიკოჩი ჯი არა სხვა უფრო ნაზ ვისმე კინალამ ვერ შეეღია უტუს. პირველ ხანებში გავჯიუტდა კიდეც, მაგრამ შემდეგში თვითონ დაღვინზამ ჩააგონა: „ქუჩაქაქა რომ ხარ? საომრად გიწვევენ და შენ კი ოჩნობო? მე უნდა ვერც ვაქი, რომ „ხელათ“ ცხენს მოვაჯდე და მოგვურცხლო საასპარეზოთო. მე თუ გიყვარვარ, წახვალ და თავსაც გამოიჩინო.

ამაზე რა ეთქმოდა უტუს. დაღვინზასთვის წყალში უნდა გადავარდნილიყო, ცეცხლში უნდა შევკრილიყო, ჯოჯოხეთში უნდა ჩასულიყო და ომი რაა! მერე ამას ომს რომ არაფერი უგავს! მხოლოდ ახლავს დიდკაცებს და დასეირნობს მთა და ბარათ. თან კარგ დროსაც ატარებს. ეცნობა სოფელს, ხალხს და კარგ პატივისცემამაიაც არის: საცა პეტრე მიბრძანდება, იქ ამათაც გაუმასპინძლდებიან ხოლმე. ერთხელ თვითონ პეტრემ მოუკითხა თავის ულუფიდან ცოტა რამ კერძი.

— არა, თასიკოჩი არ მიშეებდა, ეგ მართალია. — წარმოსთქვა უტუმ შეგვიანებით და სხვა ყველაფერი დაუმალა თავის ახლო ნათესავსაც. ან კი მურზას როგორ ეტყვის დაღვინზას ამბავს. განა არ ახსოვს ერთხელ მურზამ როგორ მსუბუქად მოიხსენია დაღვინზა! ჰმ! „გამოვეთამაშებოდიო!“

ახსოვს, კარგად ახსოვს! მაგრამ ახსოვს ის ლექსიც, მურზამ რომ მაშინ წარმოსთქვა: გული რომ თევზივით ანკესზეა წამოცმული.

უტუს სახე გაუნათლდა. გულის ჭრილობის გახსენება დიალაც რომ იამა.

— ისე... ძალიან დამშვენებულხარ, უტუ! ამ ჩოხა-ახალუხში შენი ხნის თავადიშვილებს არ ჩამოუვარდები.

— ჩემ ბატონ ბიჭინას რომ ეხლაც ვჯობივარ ეს კი ვიცი და... — სიცილით დაუდასტურა უტუმ და კიდეც რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს თავს წამოადგათ ერთი წარმოსადეგი, მაღალი, მზარ-ბეჭიანი ვაჟკაცი. ცხვირი ოდნავ მოკაუტებული ჰქონდა. თხელი და ქერა პატარა წვერ-ულვაში. თვალები ღრმად ჩამჯდარი, თაფლისფერი და დიდის სათნოებით აღსავსე, მაგრამ იმავე დროს მძლავრი ნების-ყოფის გამომეტყველი. ეს გამომეტყველება თითქო შეხედვისთანავე გიპყრობდათ და, სანამ კარგა არ გავსინჯავდათ, მანამ არ გაგიშვებდათ.

ეს შეამჩნია უტუმ და მოჯადოებულებით თვალი ვერ მოაშორა. კარგათ დაინახა, რომ ეს კაცი არ უნდა ყოფილიყო თვადთავანი ანუ ვინმე წარჩინებულთავანი, მაგრამ თითქო არც გლეხი იყო, რადგან ასე საზოგადოთ გლეხობა ვერ იცვამდა. ის კი არა უტუს ვინ იცის რამდენი გლეხი უნახავს ფეხ-შიშველი, უჩოხო. გრძელ შინაურ შალის პერანგის მსგავსი რომ აცვია და თავზე ბაშლაყი რომ აქვს წაქრული, სულ ერთიან დაცხავებული რომ აქვს ტანისამოსი და ალაგ-ალაგ გამოგლეჯილიც. თვით დღესასწაულშიც ვერ ჩაუცვამს ხალხს რიგიანათ.

ეს კი?..

და შეფრფინვით შეპყურებდა ახლად მოსულს.

მაგრამ ეს მოხდა სულ თვალის დახამხამებამდე: დანახვაც, დაკვირვებაც და უტუს მიერ მოწონება.

მოსულმა დაილაპარაკა:

— ბიჭო, წამოიყვანე აქეთ ეგ ცხენები.

ხმაში დიდი რიხი იყო და შეუვალობა. მაგრამ განა ამ ხმაში ბრძანება გაისმოდა? უტუ მიხვდა, რომ ეს ბრძანება არ იყო, მხოლოდ არც ტოლ-ამხანაგის წინადადება. თხოვნა ზომ სულ არა. ეს სულ სხვა რამ იყო! და ამან დიდათ გააოცა უტუ.

მურზა და უტუ გაჰყენენ ამ უცნაურ კაცს. ცხენებიც თან გაიყოლეს. თავლას რომ უახლოვდებოდნენ ის კაცი უტუს შეეკითხა:

— ეგ ცხენები ზომ პეტრე პატენისქუასია? ზომ იმას ახლავხარ?

— დიად.

— შენ ვისი კაცი ხარ, ჯიმაგეე?

— ბიჭინა ხუბუტიასი.

— რა გვარი ხარ?

— მიქაა.

— მიქაა? სადაური? ხუბუტია ჯვარელია. მიქეები ჯვარშიაც არიან?

— ჩემი ოჯახია მარტო.

— რა გქვია?

— უტუ.

— ჩემი სეხნია ყოფილხარ. — შეჩერდა. მურზა ჩაერია:

— ეს, ბატონო, თასიკოჩის დისწულია. თასიკოჩი გეცოდინება.

— თასიკოჩი? ღვინჯილია? როგორ არა გაბედული „მარგალი“ იყო თავის დროზე. — და თითქო საამურმა შექმა გადაურბინაო სახეზე შემდეგ მურზას მიუბრუნდა.

— შენ კი ვილა ხარ?

მურზამ დაუსაზღვლა. ამ დროს შეამჩნიეს, რომ თავლის გვერდით, მდ. ჩხოლშისას ნაპირათ, ივანე მუხრან-ბატონის მხლებელი რუსი ჯარისკაცები ცხენებს აბამდნენ.

— ოოჰ, მოსულა ეს „ქუდი-აბარწამი“ *) ხალხი. — წარმოსთქვა უტუს და მურზას თანამოსაუბრემ და შეზღუდი ოდნავ შეეკმუხნა.

ქუდი-აბარწამი! კინალამ გაეცინა უტუს, მაგრამ იმის მიერ მოწონებულ კაცის რიდით თავი შეიკავა.

იმან კი მიმართა ყმაწვილებს — აგერ თავლა და ცხენები მეჯინიბეებს ჩააბარეთო. უტუმ შეუბრუნა: პეტრეს არ უბრძანებია და ცხენებს უნაგირი რათ უნდა მოვხადოთო, მაგრამ ასეთი არის ბრძანებაო, მიიღო პასუხი და დამორჩილდა.

*) ქუდი-აბარწამი — ქუდი-აივინიანი, მოაჯირიანი. თვით აბარწა კი უფრო ზღურბლს ნიშნავს, ჭოხის წინა არეს, ჭოხის სვეტებსა და კედლებს შუა.



თავლაში რომ შევიდა იქ გამოიკითხა ამ კაცის წინაობა და რომ გაიგო, გული აუტოკდა:

— მაშ ეს არის განთქმული მართალია? უტუ თოდუ... ვინა? გლეხების თავი კაცი, ჭკუის საკითხავი აღამიანი? როგორ მალე შემისრულდა გულის წადილი! რამდენი ხანია მენატრება მავის ნახვა. ეხლა კი აქ არის, აგერ ჩემ გვერდით და... ნეტა შორს ხომ არ წასულა?

მალე მოხადა ცხენებს უნავიერი, მურზაც დაიხმარა. ეჩქარებოდა გარეთ გამოსვლა, მხოლოდ მურზას რომ გამოელაპარაკა, გაახსენდა:

— ასე მენატრება იმ მეორე თოდუს ნახვა, მაშინ რომ მურზამ მიქო, საჭილაოელი კოჩა თოდუა. ცხადია, იმასაც ვნახავ როგორმე, თუ ამ ომს მალე მოვრჩით, ან თუ არ შესდგა, საშობაოთ უთუოდ წავალ მაშინდასთან, მურზას დედასთან და... ვინახულემ იმ კოჩასაც. მხოლოდ ეხლა მართალია არსად გამექცეს.

გამოვიდა გარეთ და დიდათ გაიხარა: იქვე ახლო, მალალ ქანდრის ჩრდილქვეშ მიმჯდარიყო მართალია და ჩიბუხს აბოლებდა.

მაშინვე მოისურვა უტუმ მისვლა, მაგრამ მორიდებამ კალთა ჩამოსწია. ვერ ისედაც უფროს კაცს, ძველი, მეგრული ჩვეულების გამო, როგორ უნდა გაუშინაურდეს ვერე და მერე ისიც ვის? მართალია თოდუს! მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ეს კაცი მართალია იყო კიდევ უფრო მეტი მოკრძალება იგრძნო მისდამი, პატივისცემა და სიყვარული.

სიყვარული? ამას ვერ აგისხნიდათ მაშინ ახალგაზრდა უტუ მიქაა. მაგრამ, რალაც თბილი გრძნობითი რომ გაიმქვალა ამ კაცისადმი, ეს კი მისთვის მაშინაც ცხადი იყო.

— ბიძი, მოდი აქ. — ახლა თვითონ მართალია ეძახდა. ამ ძახილში ბევრი ლმობიერება იყო, თუმცა ხმას თავისი რიზი შორეულათ მაინც არ მოკლებია.

და აი შესცქერაიან ერთი მეორეს სენიები: უტუ თოდუა — მართალია და უტუ მიქაა. ახალგაზრდა მიქაა ალტაცებით შეჰყურებს, თითქო მოურევენელ წყურვილს იკლავს სანატრელი წყაროს დაწაფებითაო.

ვაეკაცი მართალია კი გამოცდილი თვალითა სჭერეტს ჩვიდმეტი წლის ჭაბუკს, თითქო უნდა გაიგოს მისი წონა, მისი თვისება და გამჭრიახი გამომეტყველება დინჯათ ზომავს ახალგაზრდას აღნაგობას.

— ჩამოგექ, ბიძი, აგერ ახლოს. მიახმე სად იყავით ეხლა, საით მიემგზავრებით, რას ეპირებთან შენი ბატონები? თუ იცი რამე?

მიქაა ახალგაზრდურის სისწრაფით, სხაპა-სხუპით უყვება:

— ბევრი არა ვიცი-რა. ჩემთვის ბევრი საიდუმლოა. მე ბევრს არას მაგონებენ ჩვენი ბატონები, როდესაც თათბირობენ. მხოლოდ ეს ვიცი, რომ საცა პეტრე პატენისქუა დადის, ყველგან თავად-აზნაურები ემზრობიან, იარალდებიან და გადიან ენგურგადმა...

— გლეხობა?

უტუმ დაავვიანა პასუხი. ფიქრობს: ამანაც ის მუთხა, რაც მურხამ. რა უნდა უთხრას? და პირველად მის სიტყვებში იხმაობ ჩამოკრული მხოლოდ ფრაზა მურხას სიტყვებიდან შეადგინა: *მეცხეა*

— ზოგი ძიძიშვილია, ზოგი ყურ-მოჭრილი ყმა.

მართალია ამხედ-დახედა უტუს. ისეთი კი მიიღო გამომეტყველება თითქო სრულად განსჭვრიტაო უტუ, თითქო ხელში აიღო და ტომარასავით გამოზღერტა ქაბუკი ისე, რომ შიგ გაუსინჯავი არა დარჩა-რაო. თითქო მიუხედა, რომ უტუმ სხვისგან ვაგონილი გაიმეორა და თავისი კი არა ჰქონდა-რა სათქმელიო.

სირცხვილმა ახლა უფრო დასწვა უტუ, მაგრამ თოდუას საყვედური არ წამოცდენია, პირ-იქით სულ სხვაგვარ შეაბრუნა:

— მერე და როგორ გგონია, სანამდე უნდა ვიყოთ ყურ-მოჭრილი ყმები?

არც ამიზე ჰქონდა უტუს საპასუხო რამ. მან ერთი იცის მხოლოდ, ამას ბევრჯერ უფიქრდება, ბევრჯერ უტრიალებს... რომ ასე არ უნდა იყოს, მაგრამ „სანამდე?“ ეს კი არ იცის. თუმცა იცის, იცის.. აგერ გიორგი ჭკადუაშელი გაანთავისუფლებს ხალხს, პეტრე მაინც ასე ამბობს და მაშინ ეშველება ქვეყანასო. მაშასადამე გლებებსაც. ჰო, ეს იცის, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით არ უთხრა მართალიას. სულ სხვა ცბიერმა აზრმა გაურბინა და შეჰხედა კიდევ:

— შენ ხომ აზატი ხარ, ბატონო!

თოდუას თითქო დაუწვრილდა თვალები, თაფლის ფერიც გამუქდა. მოლურჯო ცეცხლმა თითქო გაიპწიალა.

სადგისები, სადგისები ჩამერქოო! — ათრთოლდა ქაბუკი.

— კმ!.. მერე რას ნიშნავს ჩემი აზატობა? შე-საბრალო, მე თუნდაც ბედნიერი ვიყო ჩემი აზატობით, თავისუფლებით, მერე ქვეყანას რა? გლებობას ამით დაუამდება თავისი ჭირი?

უტუმ ვერ მოითმინა:

— მალე გვეშველება, მართალია-ბატონო! აგერ მალე გადაადგებენ დავით დადიანს და...

— ვინ? ბატონიშვილები?

— ჰო, ისინიც და ყველა ჩვენ...

— ვითომ? მერე?

— მერე გრიგოლ დადიანს ავიყვანთ ტახტზე.

— როგორ? ტახტზე აიყვანთ ისევე მეფეს? ისევე მთავარს? და ისიც გრიგოლს, დავითის ძმას? 'ჟლელები! იმის მაგივრათ რომ...

აღარ გაათავა. ჰანდრის ხისკენ მოემართებოდენ შმაგი კორძიას „ფანია“ და მათ შორის ჯოლორია დგებია.

თოდუა წამოდგა, ცოტა უკან დაიხია, მოსულთა პატივისცემის ნიშნით თავზე ხელი ბტყლათ დაიდვა და ისე დაიხარა, მხოლოდ, როდესაც გაიმართა, მისი თვალები შეხედნენ ჯოლორიას თვალებს და ორთავეს ერთი-

მეორის ისეთი სიძულვილი გამოეხატათ, რომ, კაცს ეგონებოდა, საცა არის ერთმანეთს მიახტებიან და სასიკვდილოდ არ დაზოგავენ. ეს კარგათ შეამჩნია უტუ მიქაამ.



თ ა ვ ი მ ი ხ უ თ ი
ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო დ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ბ რ ი ვ ლ ო
ი ბ

მთავრის კაბინეტში ოთხნი იყვნენ: თვითონ დავითი, რუსული კანცელიარიის გამგე პოლონელი პატოცკი, ამის თანამშრომელი, ახალგაზრდა, 27 წლის ანდრი გეგეჭკორი და ქართული კანცელიარიის გამგე ივა-ბერი.

დავითს წესად ჰქონდა შემოღებული: დილაობით ჯერ მის მიერ დადგენილ მოხელეებს უსმენდა, ეცნობოდა მიმდინარე საქმეებს. ეს გრძელდებოდა დილის რვიდან თერთმეტამდე. შემდეგ კი, ერთი საათის განმავლობაში, ღებულობდა მხოლოდ მთხოვნელებს, იმათ ვინც გულდაგულ საქმეზე იყო მოსული.

შუადღეზე საუზმობდა. ნაშუადღევს კი, საუზმეს რომ მორჩებოდა, განაგრძობდა კვლავ მთხოვნელების მიღებას, ან საპატიო სტუმრებისას, რომლებიც საუზმეზე არ იყვნენ მოწვეულნი. ზოგჯერ უზენაეს სასამართლოშიაც შეიხედავდა. და ასე სულ, სადილობამდე, საღამოს შვიდ საათამდე.

საუზმე შუადღისას და სადილი საღამოთი ევროპიულ პრანჭობით არ მომდისო, ამბობდა დავითი მეგობრებში. ეს ძალიან უდგება მეგრულ ჩვეულებას, ამ დროს საუზმობს და სადილობს მთელი ოდიში. ამ საათებშია იგი მოუცლელი და მეც რათ უნდა გავეჩქე ამ ჩვეულებასო.

ნასადილევს კი, ჩვეულებრივ, ან თათბირი ჰქონდა მდივანბეგებთან თუ უზენაეს სასამართლოს წევრებთან, ან საქმეზე ჩამოსულ რუსის გენერლებთან თუ სხვა წარმომადგენლებთან ან და თუ ესეთი სხდომა რამ არ ჰქონდა, რჩებოდა მარტო-მარტო, ჩაიკეტებოდა კაბინეტში და ან სწერდა საკირო ქაღალდებს, ადგენდა გეგმებს, მეცადინეობდა უფრო კანონ-მდებლობაზე, ან კითხულობდა ზოგიერთ ამოჩემებულ წიგნებს, მეტწილად ფრანგულ და რუსულ ენციკლოპედიას, ან რაიმე სახელმძღვანელო წიგნებს, უფრო იურიდიულ მეცნიერებიდან, აგრონომიიდან და ხუროთ-მომღერებიდან.

დედოფლის საღამოებზე ან დედასთან ბოლო ხანებში აღარ დადიოდა და, თითქო რიდასიც ეჩქარებო, სულ საქმითა და მეცადინეობით იყო მოცული.

ამჟამად სავარძელში იყო მისვენებული და უსმენდა რუსულ კანცელიარიის გამგე პოლონელ პატოცკის:

„სანკტებერბურგიდან ვილაც დიდი მოხელე, თავადი ჩერნიშოვი იტყობინება, რომ ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ-ინტენსიონტად მიერ საზღვარ-გარეთიდან გამოწერილ ავეჯეულობაზე საბჭო გადასახადი გაგინახვერათო“.

დავითს არ დატყობია სიხარული.

„კავკასიის ნამესტნიკი ვარანცოვი იწერება თბილისიდან — ერთი ვინმე საგვეო პიროვნება, ლიუსიენ რე, გამოგვეპარა და მანდ თქვენს სამთავროში თუ იმყოფება, დაქერილი წარმოგვიდგინეთო“.

ამაზე კი იფეთქა დავითმა:

— როგორ შიბედავს! მისი იასაული ხომ არ ვგონივარ! მე ჩემი სამეფო მაქვს და გამოქცეულს თუ შემოფარებულს როგორც მოვეპყრობი ეს ჩემი საქმეა!

პატოცკიმ უღელაშებ ქვეშ ცბიერად ჩაიციხა და ეს უსიამოვნო ღიმილი მხოლოდ იგა-ბერმა შეამჩნია.

— მოიტათ ეგ ქალაღი აქა! — პატოცკიმ დაუყოვნებლივ მიართვა. — სხვა რაღა არის?

— აქ კიდევ თავად დეისმა ჩიჩუას შესახებ გახლავთ...

— რომელი დეისმა ჩიჩუა, ცეკვას რომ უჭებენ? — თითქო უფრო იგა-ბერს შეეკითხა დავითი. მაგრამ პატოცკიმ განაგრძო:

— არ ვიცი, რა მოგახსენო, მხოლოდ ამას ნამესტნიკის საქმეთა მმართველი იტყობინება, დეისმა ჩიჩუა ჩვენს რწმუნებულს ხახუ ჩიჩუასთან სტუმრათ ყოფილა თურმე, მაგრამ ისეთი საქმეები ჩაუდენია, რომ ნამესტნიკის ბრძანებით დაუტუსაღებიათ კიდევ.

— კიდევ! დაუტუსაღებია! საოცრად იქცევა ვარანცოვი! მაინც ისეთი რა ჩაუდენია?

— ბევრი სისაძაგლე: ვილაც სომხის სოვდაგარის ქალი დაუნიშნავს. ის სომეხი, ეტყობა, კნიაზის ტიტულს დახარბებია. — დაციენვის კილოთი მოახსენებდა პატოცკი. — შემდეგ დამოყვრებისა, სასიამაოროსთვის თავად ჩიჩუას ფულები დაუცინცლია და ჯვარისწერაზე კი უარი უთქვამს.

— Ченуха! — წარმოსთქვა დავითმა.

— არა, „ჩეხუხა“ არ გახლავთ. ეს არ უცმარებია. ერთ ღამეს თავის ძმა-ბიჭებით დასცემია თავს ამ სოვდაგარს და სულ ერთიანად გაუცარცვია.

დავითი ჩაფიქრდა.

პატოცკიძე არ შეჩერდა, განაგრძო:

— მაგრამ მარტო ამაში არ ამტყუნებენ. მთელი „შაიკა“ ჰყავდა თურმე შედგენილი და სისტემატიურ ცარცვა-გლეჯას ეწეოდა. ერთ ხანს თქვენი მაღალი სახელის გამო და თქვენი წარმომადგენლის ხახუ ჩიჩუას პატივისცემით ერიდებოდნენ, მაგრამ როდესაც მისი საქმეები მეტად გამოაშკარავდა, სხვა გზა არ ჰქონდათ, რომ არ დაეპატიმრებინათ.

— ხახუ ჩიჩუა რას იწერება? — იკითხა დავითმა.



ქართული

— მე არაფერი მომსვლია.

— შენ? — ეხლა ივა-ბერს მიმართა მთავარმა.

— არც მე, ბატონო.

— შეუწყნარებელი ამბავია! — გაფიცდა დავეითი. — ჩემს საქმეებში ასე მოურიდებლად როგორ ერევა?! ჩემი ქვეშევრდომის დატუსაღება!.. ეს გადაღახვია რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებისა. მართალია ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმეში ვეკითხები ხოლმე რუსეთის მთავრობას, მაგალითად სიკვდილით დასჯის საქმეში და სხვა ასეთ შემთხვევებში, მაგრამ ეს ჩვენი ზრდილობაა, სამეგრელოს მთავრებისა.

— მამითქვენისობას 1825-ში რომ აღძრულა საკითხი... — შეაპარა პატოკი — კაცის-კვლა, ტყვეთა ყიდვა და ავაზაკობა გარჩეულიყო ქუთაისში, სამხედრო-სამსჯავრო კომისიაში.

— რა ვუყოთ მერმე? ეგ აღიძრა მამიჩემისობას. მე კი წყალობითა ღვთისათა — ამ სიტყვებს მნიშვნელობა მისცა დავეითმა — ჩემი პრეროგატივები არ ჩამომრთმევია. ვარანცოვი პირადი მეგობარია ჩემი, მაგრამ წრეს გადაცილებას არც იმას ვაპატივებ. სამეგრელოს რუსეთის მთავრობასთან თბილისში თავისი კონსული ჰყავს, როგორც სხვაგან: კასპიის მხარეში, სოხუმს და სხვა. ეს თქვენც კარგათ იცით, კაზიმირ სიგიზმუნდოვიჩ, და... ცხადია ვარანცოვს, თუ ჩემმა ქვეშევრდომმა რაიმე უხიაგი ჩაიდინა, ჩემი კონსულისათვის უნდა მიემართნა. მისწერეთ, რომ მე არ მოვითმენ ჩემი უფლებების შელახვას და რომ ეხლავ გაანთავისუფლონ ბრალდებული და ჩააბარონ ჩემს წარმომადგენელს ხახუ ჩიჩუას.

— როგორც მიბრძანებთ! — მიბრუნდა პატოკი და მიმავალმა თავისთვის წაილაპარაკა: — იმიტომ ყოყლოხინობ ეხლა, რომ ევროპაში ღრუბლები გროვდება რუსეთის საწინააღმდეგოდ.

ამ სიტყვებს კვლავ მხოლოდ ივა-ბერმა მოჰკრა ყური და უსიამოდ თავი გაიჭნია. რუსული კარგად ესმოდა, ოღონდ თვით არ შეეძლო დალაგებული გამოთქმა.

— შენ რალა გინდა? — მიმართა დავეითმა გეგეჰკორს — წაჰყევი და ქალღლები მალე დაამზადეთ.

— მე დავეით-ბატონო...

ცოტა შეთამამებული იყო გეგეჰკორი. იცოდა, რომ თავადს უყვარდა ის: ახალგაზრდა, ნიჭიერი, ქუთაისის გიმნაზია ახლად დასრულებული, რუსულის კარგი მცოდნე და საერთოდ კარგა განვითარებული, გონება-შეთამამებული ყმაწვილი. გრძნობდა, რომ მას მთავარი სამთავროსთვის სასარგებლო კაცად სთვლიდა და დაახლოვებული ჰყავდა. ასე რომ საუბარშიც და მოხსენების დროსაც თამამად ელაპარაკებოდა. არც მთავრობით იხსენიებდა და „დავეით-ბატონო“-საც ეძახდა.

— რა გინდა? — მაინც შეეკითხა დავეითი.

— აგერ ერთი ლექსი მინდა წაგიკითხოთ.

— ლექსი? — შუბლი შეეკუმუნა დავითს.

— რა დროს ლექსია, ანდრი! — შეუტია ივა-ბერს მისი რამ
მაქვს მოსახსენებელი.

— არა, ეს ლექსი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. ჩვენ დუბჭირ
უზენაეს სასამართლოს შეეცება. — თითქო ხუმრობით, თითქო უხუმრად
წარმოსთქვა გეგეკორმა.

შუბლი კიდევ უფრო შეეკრა დავითს.

— საჭიროა მთავარმაც იცოდეს, როგორი სასამართლო აქვს. გუთუ
აფაქიძის გამოთქმულია.

— გუთუ აფაქიძე?

მთავარს გაახსენდა: ეს კაცი რაღაც დანაშაულისათვის გადახვეწილი
იყო სამეგრელოდან. წესი-კი ასეთი იყო, თუ გადახვეწილი თავის ნებით
დაბრუნდებოდა, დანაშაულს აპატიებდნენ. კაცი დაბრუნდა, რამდენი ხა-
ნია მას აქეთ. აგერ მესამე წელიწადი იქნება და ნუ თუ აქამდე არც კი
გაურჩევიათ მისი საქმე?

ეგრეც იკითხა. მაგრამ ანდრიმ ლექსი მიაწოდა და თან დასძინა —
აქედან გაიგებ ყველაფერსო.

აფაქიძის ლექსი მეგრულათ მას მოუთხრობდა, რომ ის თავის ნებით
იყო დაბრუნებული და თუ რამეში წინად იყო ბრალდებული, იმაშიც
უდანაშაულო იყო. ეს კარგათ გამოარკვეია როსთო ჩიჭვანმა, უზენაეს სა-
სამართლოს თავმჯდომარემ, მაგრამ მდივანბეგებმა ამ გამორკვევას არ
მიაქციეს ყურადღება და როსთო რომ შორს გაიგულეს, მათ მართლ-
მსაჯულებას ბოლო არ მოეღო, განუწყვეტელ სხდომებში გადის დრო,
აგერ მესამე წელიწადია და ერთ-გზას ვერ დადგომიან, რომ უნდათ
ერთი რამ დაადგინონ, უცებ შეცვლიან და საბოლოო განაჩენი არ გამო-
აქვთ. ამასობაში კი აფაქიძე იტანჯება საკანში ბორკილებ-დადებული,
გამვალ-ტყავებული. ასეც ათავებდა:

... ხსილას კანი მა ვეგებმ დიცარიში ვინანჯირა...

მინილენა — დოჭარუნა, გიმილენა — დოსოფენა,

ხოლო ლორინთქ ნუ მოლას გემარჩინეთ როსთო-ქულა*).

მწარედ გაიღიმა დავითმა. გეგეკორს თვალებით თითქო მადლობა ვა-
დაუხადა ლექსის ჩვენებისათვის და შემდეგ დაყვავებით უთხრა:

— კარგი, წადი.

გეგეკორი რომ გავიდა, ივა-ბერს მოუბრუნდა:

— უზენაესი სასამართლო არ შეკრებილა? ხომ დღეს უნდა მოსუ-
ლიყვნენ?

*) გვერდზე კანი აღარ მამეც დიცარზე ნაწოლს... შევლენ — დასწერენ, ვა-
მოვლენ — დახევენ, ისევე ლმერთმა ნუ მოშალოს განმზინებელით როსთო-კოქლო.



— გეახლნენ.

— ვინ არიან?

— სუჯუენის მდივანბეგი ტაია ბატონიშვილი, ჯვარიშვილები, მარტვილის — მაქსიმე ქოჩაქიძე და ლეჩხუმიდან, მურმანაძეები.

— როსთო-ქულა?

— არ გხლებიათ, მთავარო.

— არაფერია, ჩემი ტაია გაუძღვება სასამართლოს. როსთო-ქულა კი — თითქო გახალისდა დავითი — ვეღარ ელევა თავის ახალ შერთულ ცოლს... ჰა, ჰა. ეს სამოცდა ექვსი წლის ჭაბუკი...

მაგრამ აქ უეცრად შესწყვიტა სიცილი და შეუვალად ბრძანა:

— აბა, საქმეები.

ივა შეუდგა.

აგერ ერთ მებატონეს ყმა გაუნთავისუფლებია, მაგრამ არც მიწა-წყალი დაუნებებია, არც სახლ-კარი. თვითონ კი მისგან ყოველი მოძრავი წაუღია: საცერიც, ვარცლი, ცული, წალდი, ჭათამი, თვით კატა და ძაღლიც კი წაუყვანია. გამწარებული ყმა აფხაზეთში გადავარდნილა თურმე და „ფიოშია“ ეხლა, თავისუფალი კაცი. აფხაზეთის მთავარი ამისთანა ხალხს მიწა-წყალსაც აძლევს და ხე-ტყის მასალასაც რომ დაესახლონ.

— მიხეილ შარვაშიძე ჩემი ძინით ირჯება ასე! — წარმოსთქვა დავითმა.

— რაიმე უნდა გვიბრძანო, მთავარო, თორემ მალე სამთავრო გაცარიელდება.

მთავარმა არაფერი არ უბასუხა, მხოლოდ მოითხოვა:

— შემდეგი.

— აზნაური უტა ლოლუა უძეოთ გადავიდა. ჩვენი წესისამებრ მისი ყმა თავისუფლდება, მაგრამ ლოლუას მებატონე დეისმა ჩიჩუა ამ ყმებს მაინც არ ანთავისუფლებს და ურჩობისათვის თავის ციხეში ჩაუყრიდა...

— ეგ რომელი დეისმაა?

— აი წელან რომ მოგახსენეს. თბილისში რომ დაუტუსალებიათ.

— საძაგელი კაცია ეგ ვილაც დეისმაა. გარეთაც მარცხვენს და შინაც ვერ მოუსვენია. ჩამოიყვანენ თუ არა, იმ გუთუ აფაქიძის მაგივრათ შევაგდებ ციხეში და იქ ამოვალაობ... მერმე?

— მერმე... ის ყმებიც გეახლნენ თქვენთან სამართლის საძებრათ და ლოლუებიც არიან, იმ უტას ბიძაშვილები. ლოლუები ამბობენ, თუ უძეოთ გადასულის ყმები განთავისუფლდებიან, ისევე ჩვენ გადმოგვეცით, ჩიჩუა რა შუაშია, ღარიბები ლოლუები ვართო.

— მაგათაც მადა გაელვიძათ? კანონია საჭირო, ჩემო ივა, სასტიკი კანონი.

— მაგის მთხოვნელი ვარ, მთავარო, აგერ რაცა ხანია: შეგვიდგინე.

— აგერ! — დავითმა მიუთითა მეორე პატარა მაგილაზე, რა დადასტოვებული იყო სხვადასხვა ფოლიანტები და მათ შორის შუაზე ეარჯა მოსკო ხელთნაწერი რვეული.

— ვიცი, ბატონო. აღგენ მაგრამ დრო არ ითმენსა წყაყუტებამა გარბის მაინც.

— მაღე, ჩემო ივა, მაღე. მხოლოდ... მე წინ არა მიმიძღვის—რა ვახტანგის კანონების გარდა და ნიკოლოზს დადიანოვის... — აქ შეჩერდა. ეტყობოდა გიორგი ჭკადუაშელის მამის ხსენებაზე გული აემღვრა და მაგარი სიტყვა უნდოდა გამოეძებნა. ეგრეც მოიქცა. — ნიკოლოზის მიერ შეთითხნილი დასტურლამალი... მე კი... — და აქ თითქო სახე გაუნათლდა კმაყოფილებით — არამც თუ თვით კანონები, ისეთი კონსტიტუცია და ეწერო ჩემი სამთავროსათვის, რომ თვით ნიკოლოზ იმპერატორსაც შეურდეს...

ჩაფიქრდა. წარმოსთქვა:

— ასე კი აღარ შეიძლება. დაუწერელ კანონით ცხოვრება ყოველად მოუხერხებელია. ეგ მგონი იმ ჩემ პატოკის სურს: რას მიქვია ან სახელ-მწიფო, ან კანონებიო... ხანდახან რომ გაუტევეს...

— პატოკი, ბატონო... — შეექრა ივა, მაგრამ დავითმა გააწყვეტინა:

— ვიცი. არ მოგწონს. მაინც ძალიან განათლებული კაცია. ჩემთვის საუკრო. დეკაბრისტი ვარო ამბობს... მამ! დეკაბრისტები დიდათ განათლებული და მოწინავე ხალხი იყო. შენ გაგეგონება, მე მყავდა ქვისლი... აი ჩემი კატენკას და ნინო მისი ცოლი იყო... გრიბოედოვი.

— როგორ არ ვიცი, მთავარო. დიდი კაცი ყოფილა ძალიან, მწერალი კაცი, პოეტი.

— ჰო. და ისიც ამ დეკაბრისტების დიდი თანამგრძნობი იყო თავის დროზე. უხეიროთ წააგო თავი უბედურმა ირანში, თორემ ეხლა ისეთი დიდი კაცი იქნებოდა, რომ...

დავითი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. ეტყობოდა შორს გაიტაცა მოგონებამ. განაგრძო, მხოლოდ ისე თითქო თავის თავს ხმამაღლა ესაუბრებოდა:

— დიდი განზრახვა ჰქონდა: როგორიღაც აღმოსავლეთის იმპერიის დაარსება... რასაკვირველია რუსეთის მფარველობით.

— იმპერია იმპერიაში?

დავითს ყური არ უგდია.

— ეს რომ განხორციელებულიყო მაშინ სამეგრელოს ბედსაც ძალიან არ დაჰყევდა...

— ბატონო!.. მთავარო!.. ბატონო დავით! უნდა ერთხელ კიდევ გავიხედო და მოვახსენო, რომ ამ რუსეთის მეფეს ეგრე ნუ ანდობ გულსა... ეხლა კი მოიხედა დავითმა. რამდენჯერ გაუგონია ეს ივა-ბერიისაგან, რამდენჯერ! მაგრამ ივამ რა იცის ხალხის ისტორიული ბედი?

ოო, ეს ბედი ძალიან სწამს დავითს.

ქართულ ყაიდაზე შორკალულ კარგა ფართო ფანჯრიდან გახედვით ხალხი „ბდგუთ“ ირეოდა.

— მთხოვნელები გველოდებიან, ივა! ჩვენ აქ ლაყბობას ვეწეოთ. ჯიბიდან კარგა მოზრდილი ოქროს საათი ამოიღო არ დავსწრდით მხოლოდ კიდურზე ერთ ღილს ცერი მიაქირა და საათმაც სამაური ზანზალაკით ნაზათ დარეკა ათი და ცოტა ინტერვალის შემდეგ ერთი.

— თერთმეტის ნახევარი ყოფილა. დაუჩქაროთ... მართლა, ივანე მუხრან-ბატონს თუ მოუსვენეს?

— დაშშვიდებული ბრძანდებოდეთ, მთავარო! მხოლოდ... თქვენთვის არაფის მოუსხენებია, მაგრამ მე ვერ დავიშალავთ.

— რა იყო?

— პეტრე დადიანი გეახლათ.

— უჰ, ფარისეველი!.. არაფერია! დედაჩემთან იქნება უთუოდ.

ჩაჯდა სავარძელში და ამოოხვრით უბრძანა:

— განაგრძე, ივა-ბერო!

ივამ განაგრძო:

— აზნაურ გურალიებს რალაც უწყენინებიათ თავად ჯოლორია დგეზიასთვის. ჯოლორიასაც გამოუცხადებია გურალიების ყმებისათვის — თქვენი საბატონო ღალა მე უნდა მადლიოთო. ძალა უხმარია, ყმები თურმე ხატზეაც დააფიცა და ისინიც შიშით შეჰპირდნენ ხარკის გადახდას. ეხლა გურალიები აქ გახლავან და თქვენს სამართალს ელოდებიან.

დავითმა ჩაიციწა.

— მერე ყმებს რა? გინდა ძალის შეუჭამია და გინდა ძაღლის ფერ შეგელსა. გადაეცი სასამართლოს ეგ საქმე.

— ჯოლორიაზე კიდევ გახლავთ. აგერ თხოვნაც მოუერთმეცია:

„მის უგანათლებულესობას, მთავარსა მინღრელინაა დავით დადიანს.

ჯვარის მაზრისა, სოფელსა ნაშიკოლოს მცხოვრების ჯათურია ჩილაჩავა-საგან

უმორჩილესი თხოვნა.

მე ვიმყოფები ყმა გობეჩიას მეუღლის აზნაური ედუკია გვაჯავას ჭალისა, რომელმაცა დამიხსნა საკუთარის ფულით ჯოლორია დგეზიასაგან მცირე წლოვანობის დროსა ჩემსა და მის შემდგომ მას ვყავარ. წარსულ წელს, უმართლოდ თავადმა ჯოლორიაემ ემძლავრა და ჩემი თავი წაართვა და მას შემდგომ ჩივილში არიან. მე ვიმყოფები ესრეთი უმოწყალოთ, მიწა არ მაქვს და მამულიც ეთივი ხანაში ცხენი მაყვდა, იმას გარდა სრულიად ხუთი მარჩილის საფასო არაფერი დამიჩინია და იგი ცხენიც ჯოლორიაემ წამართვა. ამ ცხენის ჯერ არ მოუტემა და აღებული ვარ. ამა სასამართლოს ძალა-უნრით წამართვი და ის არ უწყესსენიოდნენ ამის მნათობი № 5.

4444

16592



მეტი ღონის ძიება თუ არა მაქვს. ჯვარის მღვიანებებს, მაშვირ ივანე ჩიქვანი იყო, მივართვი არზა და ვამცნე, მაგრამ არც აბნან ჩემს მსახივს და არც კმაყოფილება მომცა. ამისთვის შევსთხოვე თქვენს უგანასტელულესობას, მოწყალეო მთავარო, განიხილოთ მოხსენება ჩემი და ასე უბრალოთ ნუ წამართმევენ, რადგანაც იმის მეტი ღონის-ძიება არა მაქვს. ამას წინათ შევედრეთ კნიაზ ივანე ჩიქვანს და მან გვიპასუხა, რომ „მე რა ვქნა, რაც შენს ბატონს უნდა იმას გიზამსო“. ამის მეტი პასუხი არ გვიბრძანა.

ჯათუნია ჩილაჩავა, რადგან მან წერა არ იცის მის მაგიერ ხელს ვაწერ მაძინია ქოიავა.

ჩუნბ

ღვინობისთვის ია დღესა“.

— ჰა, ჰა! — გაეცინა დავითს. — ეს ჩვენი განთქმული მაძინიას დაწერილია? რას შერება? ხომ არ მოხუცებულა?

— არა, ყოჩაღად გახლავთ. კიდევ იცავს საქმეებს. მღვიანებებს ძალიან არ უყვართ. სულ კრიკაში ჩაუდგება ხოლმე.

— ნიჭიერი კაცია, ნამდვილი ორატორი! მერმე ახლა რა ვუყო ამ ჯოლორიას.

— ჯოლორიაზე საქმე ამით არ თავდება, მთავარო! აგერ კიდევ თხოვნა გახლავთ, მაგრამ წაკითხვით აღარ შეგაწუხებთ, საქმე ასე გახლავთ: ჯოლორიას სხვა ბევრთა შორის ორი თავისი ყმა ისე შეუწუხებია, რომ გაბეზრებულან და კახეთში გაქცეულან... ამბობენ თქვენს ნათესავს, გულბაათ ქავქავაძეს შეეხიზნენო....

დავითმა შეაწყვეტინა:

— კარგი ეშმაკია ის გულბაათიცი: როცა სამეგრელოში ჩამოვა ნელ-ნელ იტყუებს კახეთში გლეხებს... სამოთხესა ჰპირდება და მერმე თვითონ იცის...

— განა ბატონი საცა უნდა იყოს დაინდობს თავის ყმასა? — ნალღლიანად და თამამად წარმოსთქვა ცხოვრებას ჩაკვირებულმა იეა-ბერმა. მან კარგად იცოდა, რომ დავითი სხვა თავადებზე ბატონ-ყმობის გაჩენას ღმერთს არა სწამებდა, არამედ პირდაპირ ამბობდა — ჩვენი წინაპრების ძალ-მომკრებით არის შექმნილი, მათის ამაგიტო და ამას ერთ-გვარ დამსახურებათაც უთვლიდა თავის წინაპრებს.

„ბუნებაშიც ეგრე ყოფილა, სუსტს მუდამ ძლიერი მორევიანო“ უყვარდა თავის გამართლება დავითს. „ძლიერება კი წინეთ ხელ-ტორიანობაში ჰყოფილა, ეხლა გონებაზეა დამოკიდებული და დოვლათზე, ყმებზე და მიწა-წყალზე. ეს კერძოთ. სახელმწიფოს მფლობელისათვის კვლავ გონების გამჭრიახობასა და მორკმულობაზე, ერთგულ ჯარზე“. თვით მისი დინასტიის გამთავრებას სამეგრელოში წინაპართა უნარიანობას აწერდა დავითი.

ხშირად იტყოდა: პირველი ჩვენი წინაპართაგანი, კინჩელი კაცო ჩიქვანი, რომელიც ოდესღაც თხის ხალხით მარტვილის ბაზარზე თაფლსა პყიდდა, ფეხთ არ ემოსა და ისე ჩამოლანძული დადიოდა, ვეფხე-გამთავრდებოდა თუ, შოთასი არ იყოს, „თავი თვითონ არ ხელმეფაო“.

და ამ კაცო ჩიქვანის სურათი, განაგონობით აღნადგენი, ერთხელ ერთ კათოლიკე ფრანგ ბერს შეუკვეთა და ფერადებით დახატული, სწორედ ესეთის ხალხით ზურგზე და ფეხ-შიშველი, თმა-გაბურძგენილი, მაგრამ მეტის მეთი გერგილიანი გამომეტყველების ადამიანის სახე, თავის საწოლ ოთახში ჩამოაკიდებინა. მაგრამ შემდეგ დედოფალმა ეკატერინემ არ უყაბულა — ვინ არის ეს გლეხუკა? თუ შენი წინაპარია, გვარცხვენს მისი შესახედლობაო და დავითს არ უნდოდა, მაგრამ მაინც ჩამოახსნევინაო.

იცოდა ეს ყველაფერი ივამ, მაგრამ ისიც იცოდა — თამამ სიტყვას მთავარი ივასაგან ხშირად მოისმენდა და ეხლაც იმიტომ უხსენა ბატონისაგან ყმის დაუნდობლობა.

დავითმა შეწყვეტილ მოხსენების განგრძობა ბრძანა. ივა მოახსენებდა: — შემდეგ ეს ყმები ჯოლორიას კახეთში რომ გაქცევია, აქ იმ გლეხებს ცოლ-შვილი დარჩენია. ჯოლორიას მოუნდომებია მათი ცოლ-შვილის თავის სახლში გადაყვანა: თან ვარჩენ და თან ვიმსახურებ კიდევ სანამ იმ ყმებს მთავრობა უკანვე არ ჩამაბარებსო. ყმების უკან დაბრუნებაზე თქვეთნვის წინებზე არზაც მოურთმევეია თურმე და ამას იმით ასაბუთებდა, რომ ის ყმები ჩემი დელმასხორეები არიანო. სიცრუე, რასაკვირველია! ახლა ამ ყმათა ცოლ-შვილი თქვენ მოგმართავთ თხოვნით, რომ დაიცვათ ჯოლორიას შიმძღავრებისაგან. თხოვნაშიც ასე უწერიათ: „ჩვენ ბატონის შიშით და დევნით ჩვენი ქმრები სხვაგან გაიქცნენ ფულის საშოვნელათ. ძალით და გაჭირვებით ჩვენმა კაცებმა ჩვენ დაგვეყარეს. ასე და აბა ეს ჩვენგან როგორ იქნება, რომ ჩვენ მათ სახლში გადავიდეთ და მან გვარჩინოსო? ჩვენ მაგისი რჩენა არ გვინდა, ოღონდ თავი დაგვაწებოს, ჩვენ ვიარჩენთ ჩვენის შრომით თავსა და მცირედს მაგასაც მივცემთ. მხოლოდ მაგას ჩვენი რჩენა კი არ უნდა, ჩვენი დაპატიმრება სურს თავის სახლში და სამსახური, ჩვენი ყოლა, რომ ჩვენც ქმრებთან არ გავიქცეთ ჩუმათო“.

ივაც დაჩუმდა. მთავრის განჩინებას დაელოდა.

დავითი კი ღიმილით შეეკითხა:

— ეგეც მაძინიას დაწერილია?

— არა, ეს მგონი გუჟოჩია ჭოჭუასი.

— ეს ჩემი საბაჟოს გამგე რიონის შესართავთან?

— სწორედ ის ვახლავთ.

— მაშ ბევრი გვეყოლია ადვოკატები!

მოსწყვიტა. გადაუხვია.

— მაინც რა კაცი ყოფილა ეს ჯოლორია?

— აქ გახლავთ.

— როგორ? შმაგი კორძაიასთან რომ მოსულა, მისი სიტყ, ეს ის ჯო-
ლორიაა?

— ის გახლავთ.

— ჰა, ჰა! ძალიან კარგი. კარგად გავუმასპინძლდები დღეს. დაინიშნე:
იმ მთხოვნელ ქალებს რომ მოიყვან, ჯოლორიასაც აქ დაუძახე, ჩემთან.

— ჯოლორიაზე კიდევ გახლავთ საჩივარი.

— კიდევ?

— დიალ, მაგრამ რაკი დაიბარეთ, მათ ჩამოთვლაზე თავს არ შეგა-
წყენო.

— მაინც რაში ამტყუნებენ?

— რა არ გინდა, მთავარო, აქ არ იყოს: ყმების გაყიდვა სათათრეთ-
ში, სხვადასხვა გვარი ძალ-მომარეობანი, ქალების გაუპატიურება, ერთი
მღვდელიც უჩივის.

— მღვდელი რათა?

— მისი ყმა ყოფილა.

— შე რომ ავკრძალე მღვდელის ყმათ ყოლა...

— არ შეუსმენია მაგ უჯილაგოს.

— მაინც რას უჩივის მღვდელი?

— დამიჯაბნა, ისევ ყმათ მიპირობს გამხადოსო. წრეულს უკვე ჩემი სა-
კუთრება დობილო-ვენახი თავისთვის მოაკრეფინა, მე ახლოს არ გამაკარა,
ერთი რალაც ქოხი წამოვიდგი მთავარმა რომ სასულიერო წოდება გან-
გვათავისუფლა მას შემდეგ, ეხლა შედავება — გადი მაგ ქოხიდან, ეგ ჩემი
საკუთრებაა, შენ ჩემი ყმა ხარ და ჩემთან უნდა იტხოვროვო. ეს ქოხიც
და მისი ეზო, კარ-მიდამო ჩემი კეთილ-შენაძენია, ახლა ამასაც შედა-
ვება, ამას გარდა კიდევ წამართვა ხარი თხუთმეტ მანეთად ღირებული და
გაჰყიდა კიდევ. ესეც არ მაკმარა, ერთხელ სახლში დამიბარა და ძალით
თავის წისქვილზე ტომრით ფქვილი ჩამატანიაო.

დავითმა სიცილი შეიკავა:

— ანაფორიანი „ხუცესი“ ტომრით?

— მოგეხსენება, მთავარო, აბრეშუმის და ატლასის ანაფორა არ ეცმე-
ბოდა ჩვენებურ მღვდელს, უბრალო ღირთი ჰქონდა უთუოდ. მაგრამ
ამით საქმე არ იცვლება.

— რასაკვირველია არა. მთავარი აქ ის არის, რომ ჩემი დადგენი-
ლება დაურღვევია. ჰაი გიდი, ჯოლორია დგებიავ! ჩემზე იყოს შენი მას-
პინძლობა, მაგრამ... შმაგი კორძაიასი არ მერიდებოდეს...

უცებ თვალები აუციმციმდა მთავარს და წამოისროლა:

— გაეპარსავ თუ შე დავითი მქვია! ხომ გრძელი წვერები აქვს?

— წვერები? — შეაგვიანა ივამ. არ მოეწონა მთავრის ასეთი „მო-
ფთქება“ და ვერც კარგად გაიგო: მღვდელი უნდოდა გაეპარსა დავითს
თუ ჯოლორია.

როგორი ჭკვიანი კაცია და ხანდისხან რათ მოერევა ხოლოდ თითქო ბავშური სიცილქეო, გაიფიქრა ივამ.

აი ეხლა: არ მოსწონს მთავრის მუდამ დინჯი და ნამდვირად ამდამად აცელქებული გამომეტყველება.

ივა გრძნობს რომ დავეითი კუჭკუჭებს სიცილით თავის გუნებაში. საოცარია!

დავეითი ხელ-ახლა ეკითხება:

— ხომ აქვს წვერი?

ივამ კვლავ არ იცის ვის წვერებზეა ლაპარაკი, მაგრამ მაინც მოახსენებს:

— კი, ბატონო, კი. — მხოლოდ ეს მოხსენება ცოტა უხეშათ გამოუვიდა, რადგან ეტყობა, უნდა, რომ აკვირებულ ბავშვივით როგორმე თავიდან მოიშოროს ამ საგანზე დავეითის შეკითხვები.

— სხვა რაღა საქმეებია? — ეხლა უკვე უხეშრათ იძლევა კითხვას მთავარი.

მეტე წილი ქურდობაზე გახლავთ. აგერ...

და ჩამოუთვალა გვარები. აქ უფრო მალალ-წოდების ხალხი ერია. ნაქურდალი უფრო იმერეთიდან, გურიიდან და აფხაზეთიდან იყო, მაგრამ ორი იყო ყველაზე შესანიშნავი: ერთს ქალაქ თბილისიდან წამოეყვანა ბედაური, ამზობდენ, რომ დეისმა ჩიჩუას გუნდის არისო. ერთს კიდეც რუსის ჯარისთვის გურიაში, ივანე მუხრან-ბატონი რომ მეთაურობდა, ცხენი მოეპარა და ამჟამად შეპყრობილი მთავრის დილეგში იჯდა. ჯერ არ გაესამართლებინათ.

ამაზე დავეითმა ბრძანა რომ განაჩენს, თვით გამოუტანდა მუხრან-ბატონის თანადანსწრებით.

შემდეგ თვითონ გადაიკითხა ხელ-მოსაწერი ქალაღდები:

ერთ ქალაღდს ასეთი ტექსტი ჰქონდა: „სოფ. სუჯუნის მდივანბეგს ტაია დადიანოვს“.

დავეითი დადიანებს მეგრულ ჩვეულებებისამებრ არ ეძახოდა „ბატენის-ქლას“ ან ქართულ „ბატონიშვილს“, არამედ უფრო „დადიანოვებს“. ამას უძრახავდენ კიდეც — გვარუსებსო და თვით დადიანები მაინც დაჟინებით ქართულად აწერდენ თავის გვარსა. დავეითს კი დადიანათ მხოლოდ თავის თავი მიაჩნდა და რუსულათაც „დადიანო“ აწერდა. აქაც ასე მოიქცა. თვით მის საყვარელ ტაიასაც „დადიანოვი“ მისწერა. წერილი კიდეც ესე გრძელდებოდა: „მებატონეს თავად ფალავას თავისი გლეხი ჯუმაშხია კოწია აუყრია და გაბუნიათვის მიუცია. მებატონეს უფლება არა აქვს გლეხი სხვაგან გადაასახლოს, შეუძლია მხოლოდ სხვას მისცეს იმ პირობით, რომ წინანდელ მიწაზე დასტოვოს და მიწაც არ წაართვას, ამიტომ აღეკრძალოს თავად ფალავას აყრა ზემოდდასახელებულ გლეხისა“.

მეორე ქალაღდზე:

„ზუბის მდივანბეგს ანტონ ჩიჭვანს. არჯევანი დაჯიჯიანის ძეგლები თავად ჩიჩუას უჩივიან უკანონოთ თავის ქალს მზითვეში გაგვატანაო. თუ მათი საჩივარი საფუძვლიანია, გლახები დააკმაყოფილონ და თავის ალაგას დააბრუნეთ“.

კიდევ:

„ნოჩოია ლურჯია მებატონეს, ნარჩუ აფაქიას, უჩივის უმამულოთ სხვას მიჰყიდა-ჩემი თავიო. თუ მთხოვნელი მოჯალაბე არ არის, მებატონე ვერსად გადაასახლებს; შეუძლიან გაჰყიდოს, მაგრამ სადაც სახლობს იქიდან ვერ აჰყრის“.

ჩაიკითხა სხვა ქალღმერთები და ყველას — სამეგრელოში მაშინ მეტად ცნობილი და შემდეგში სიყალბის მქმნელთაგან მეტად ბოროტად გამოყენებული — უცნაურად ხვეული „დავით დადიანი“ მოაწერა.

ბატის ფრთის „ზრქელი“ სიმტკიცით და თავდაჯერებით.

ყველა სათი ამოიღო დავითმა და დაარეკინა. უკვე თერთმეტი იყო. ივას უბრძანა, რომ მისაღებ დარბაზში მთხოვნელები შემოეყვანათ. ჯოლორია დგებიაც დაიბარა. ივანე მუხრან-ბატონსა და პეტრე დადიანისათვის განკარგულება გასცა მის პირად საუზმეზე მოეწვიათ.

მისაღებ დარბაზში მთხოვნელები რომ შემოეშვეს, მთავრის გამოსავალ კარებთან ჩამომწყრივდა ოთხი მისი ახოვანი შინა-ყმა „კანავი“ პეტრე მხეიძის მეთაურობით და მხოლოდ ამის შემდეგ გავიდა მთავარი დარბაზში.

გვერდით ახლდა მომხსენებელი ივა-ბერი, ზურგს უკავდა პირადად მისი ფარეში და მესაიდუმლე თავით ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი ჩაგუნავა.

იღ

გასაჰირში ჩავარდა სახლთ-უბუცესი ივანე ჩიჭვანი. დიდძალი სტუმრები მოგროვდა: დედოფლის კარზე, მთავრის კარზე, ქვრავ დედოფალთანაც. ახლა მათი შინა-ყმები. ყველას პარტივისცემა უნდა, შესაფერი გამასპინძლება, მოსვენება, ადგილის მიჩენა.

ეს ყველაფერი მსახურთ-უბუცესს ეკითხება. ივანეც მიჩვეულია მთავრის კარზე სტუმრიანობას, მაგრამ დღეს ძალიან ბევრი დაგროვდა.

ამბობენ ჰყონდიდელიც მობრძანდაო და გურიიდან შემოქმედელი ექვთიმე, ელოდებიან დავით ჭუთათელსაც.

მაგრამ ეს იმდენათ არ აწუხებს, რადგან ჰყონდიდელს ზუგდიდშიაც თავისი მომცრო სადგომი აქვს და მის თანამომძმეებსაც იქ მიიღებს.

ივანეს უფრო რუსის ჯარი აწუხებს: რა გააძღობს?! მოსვენება არაფერია, ჩხოლუშის გაღმა, ჯერ კიდევ ლევანის დროს, აგებულია მათთვის ყაზარმა, მაგრამ რა გააძღობს?!

მუხრან-ბატონს შეეკითხა და მან უბრძანა:

— ბორში მოუხარშეთ, პურიც რუსულად გამოუცხვეთ და თუ მთავარი არ დაინანებს ცოტა ოდენი მშრალი ძროხის ხორციც აჭამეთო.

მთავარი როგორ დაინანებს! ან მთავარს ამის კითხვას შებედავს? ეს თვითონ ივანეს საჭმეა. ძროხას დაკლავს ბუნისასი სჭაპრა, ათს, ოცს.

ერთი ძროხისა რა მცოდნია! თითო ძროხას, მთავარი კი არა, თვითონ ივანე აკვლევინებს ყოველ დღე თავის სოფელში, იქ, კინჩხას. იმდენი არის ყოველდღე მჭამელები.

ძროხა არაფერია და არც სხვა საკლავი რამ. უფრო ღვინისა ეშინოდა ჯარისათვის: რომელი დააღვინოს, როგორი და რამდენი, მაგრამ მუხრან-ბატონმა ჩააგონა, რომ სალდათებს, არც ღვინო, არც არაყი არ გააკაროთო.

და აი დარბის ივანე ერთი სამზარეულოდან მეორეში, რადგან მთავარს ევროპიული სამზარეულოცა აქვს და ადგილობრივიც. ხაბაზებიდან — სასაკლაოზე და მაინც კი უფრო მარანს დასტრიალებს.

თუმცა ივანემ კარგად იცის, რომ მარანს გამოცდილი მეღვინე ბერუკლა კუხალეიშვილი განაგებს. ღვინის საოცარი გამომცნობი.

ერთხელ რომ ბერუკელას სადღაც გამოსაცდელად ერთ სასმისში ჩაუსხეს და მაინც გამოიცინო. დაუსახელა კიდევ: ჰეტილური, ჩეჭიფეში, მაკვატური, ქორბადიდი, შონური და გოდაათური ერთიმეორეში გადაგირევიათო.

ივანეს გაახსენდა ერთი იმერელი დეგუსტატორიც. იმაზე ლეჟიცი არის გამოთქმული. ჩაუსხეს სხვადასხვა ღვინო და თან ერთი ქალწულის შარდიც ჩაატანესო. რომ იგემა გაიღიმა და სთქვა:

„ფერი ფერსათული აქვს, გემო ოცხანური, ცოტა მოიბუფებურა...
მე იმ ტივის პირი რა ვქენ, ეს რომ გააფგემურაო!“

ესეთია ბერუკელა კუხალეიშვილიც. და საარაკოთაც აქვს მოწყობილი მარანი. თუმცა ზუგდიდის მარანი რაა?

მთავარს ლაკადაში*) აქვს ვენახები, განთქმული ოჯალეში. აი სალხინოში უნდა ნახოთ, ნახურში. მარნები ხომ ყველა სასახლეებში საესეა მუდამ. სულ ბერუკელა განაგებს მათ და თავისი ხუთი თითივით იცის სად რამდენი უსხია, რა ჯიშის, რა ხნოვანების და... მუდამ შეუმცდარია.

— დღეს უფრო რა ღვინო იქნება მთავრის სუფრაზე. ა, ბერუკელა? — ეკითხება ივანე.

— მთავარსა და მუხრან-ბატონს, პეტრე დადიანსაც, ჯანდაბას მისი თავი, გაუხსნი ექვსი წლის ოჯალეშს.

— იფ, იფ! ერთი დამალევინე თუ გიყვარდე!

*) ლაკადა — მთა, ზეგანი.

— დაიცა, ნუ ხარ სულ წასული კაცი! შენთვის ჩვენთვის, ავერ გა-
დანახული მაქვს...

— ექვსი წლის, აი!

— ჰო ექვსისა. დედოფალ ეკატერინეს და სტუპაკის პეტიციის მივართმევ. მერთალი ვარდისფერია, ტკბილი და გემრიელი. საჭყონ-
დრული, საწილაურიც ღვინოა, იამება კორძაიას ქალს კლეოპიას.

და თვალებმა ცბიერად გაუელვა ბერუკელას.

— შეხედე ამ დაფეხვილს!.. შენც მოგწონს კორძაიას ქალი? მართლაც
საუცხოვო კი ყოფილა ის ოჯახ-აშენებული შვილი. დიდიან-პატარიანი
სულ დააფეთა სასახლის კარზე ყველანი.

— ვითომ როგორა გგონია, გემოვნება დავკარგე თუ? — თუმცა შე-
გვიანებით, მაინც წარმოსთქვა ხან-დახმულმა ბერუკელამ და კიდევ რა-
ღაც რომ უნდოდა დაემატებინა, ის არ აცალა ივანემ:

— მართლა, ბერუკელა! შარშან, რომ მთავარმა პეტერბურგში წასვლა
დააპირა და წინ გაგზავნა ყუთებით 600 ბოთლი ოჯალეში, ნეტავი რა
მოუვიდა? აქამდე კი არ მიკითხავს შენთვის. დადიანი არ წაბრძანებულა
და დავიბრუნეს?

— იცოცბლე! უვნებლად ჩამომივიდა ყველა. ჰო და შენ ამით უნდა
გასინჯო ოჯალეშის სიკეთე: აქედან პეტერბურგამდი იმგზავრა, ვინ იცის,
ერთი თვე მაინც. იქიდან დაბრუნდა თბილისს, იქაც ცოტა ხანი მოათია,
შემდეგ ჩამოგვივიდა. წარმოიდგინე, არამც თუ გაფუჭებულია, გაკეთებუ-
ლა კიდევ. ეგ არის კიდევ ოჯალეშის ღირსება: მაგარია, თუ შეინახავ,
ათი წელიწადი უეჭველად ძლებს, ეზლა დავრწმუნდი, რომ ასეთ შორ
მოგზაურობასაც იტანს. სხვა რა გინდა, ძმაო, ღვინისაგან?

— აბა ეზლა წავალ და ერთს კიდევ ჩამოვუვლი.

ჩამოუარა: იკვლებოდა ძროხები, ცხერები, ბურვაკები და თხაც შე-
ეპარებინათ.

შემოდგომაზე მეგრელს უყვარს თხის გაწირვა. გემრიელია. და თუმცა
უცხო სტუმრები არც ისე ეწყობიან, მაგრამ თავს არ უნდა დავიწყებ-
ეს კარგად იცოდა მსახურთ-უხუცესმა.

ჩამოუარა სამოახლოს. აქ ფრინველების ფუფქვა და წმენდა იყო.

საოცნებო საცივისა და „უწვნოს“ გაკეთება „უცხო სუნნელით“ ვის
შეეძლო თუ არა ამაში გაწვრთნილ და დახელოვნებულ მოახლეებს და
გამდელებს!

მაგრამ უფროს გადიასთანა არ შეიძლებოდა! ეს ფხალეულობის იყო
ოსტატი და ამჟამად ივანე ჩიქვანმა შეამჩნია, რომ გადია ნიყვის (წითელ-
სოკოს) რაღაც უცნაურ საჭმელს ამზადებდა. საარაკო სურნელება იყო
გაბნეული პატარა კვაწიებში მოთავსებულ შენამზადისა.

ივანემ გაამხნევა. თან იამა, რომ საუზმისათვის მას ამ გადიასა და
მოახლეების მოწყალებით, ბევრი რამ სანუგბარო ეჭნებოდა განმზადილი.

შეუხვია „საგაგესქოში“. ესეც მეგრული სამზარეულო. აქ მძაფარი გაგესქუა, ტაია ბატონიშვილის გამოგზავნილი, განთქმული ნიტუია ხუბუხაია სარდლობდა საქმეს. არავინ იცოდა ასეთი ხელოვნური გაგესქუა საქონლის ბეჭის, უცნაური საკაზმით რომ იყო დაკეპილნი. შეზავებული, ან მისი „ჯღურჯანი“, შიგნეულებიდან დამზადებული კერძი, მის მიერ შემწვარი „ლაფიცხოურები“ ზუთხისა, ორაგულისა, „კელაერები“ ბურვაციების და სხვა მრავალი.

ივანემ გული დაიმშვიდა, როცა დაინახა ნიტუია შესდგომოდა თავის „მღვდელ-მოქმედებას“ და ახლა ევროპულ სამზარეულოსაკენ გაუხვია. მოსახვევში უტუ მიქაას შეხვდა. უტუ შორი-ახლო უკვირდებოდა ქალების სწრაფსა და გამოზომილ მუშაობას.

ივანეს აბა რაზე უნდა შეემჩნია ვილაც პირ-ტიტველი ბიჭი, რამდენი ამისთანა ირევა სასახლის კარზე, ეზოში?!

მაგრამ საკვირველი!

რალაც ძალმა გამოსწია, რომ ბიჭისკენ მიბრუნებულიყო. პო, უთუოდ მითომ რომ აქაური არ უნდა იყოს, მეტად უცხოა. თვალში გაეხირა.

— ვისი ხარ, ბიჭო, ვინა ხარ?

— ხუბუტიასი ვარ, ბატონო უტუ მიქაა.

არაფერი არ განუმარტა ამ პასუხმა მსახურთ-უხუცესს. ზურგი შეუბრუნა და გასწია

მხოლოდ... ამისთანებში არ იყო დაკვირვებული კაცი ივანე. აბა ამისათვის სადა სცალოდა, არც მხატვრის თვალი ჰქონდა, მაგრამ ამ ბიჭის პირი-სახე მაინც დაახსოვდა.

თმაც, თითქო მოოქვრილი, ცოტა სპილენძის ფერი რომ გადაჰკრავს. რად ხარჩა გუნებაში?

აბა რა იცოდა ივანე ჩიქვანმა თუ ისტორიულ გზაზე ერთ-ოდესმე — არც ისე შორს — ერთიმეორეს შეხედებიან ეს ტლუ-ბიჭი, მარგალი მიქაა და თვითონ, უფლება-მოსილი, სამეგრელოს მთავრის მსახურთ-უხუცესი. როგორც ორი მოპირდაპირე წოდების წარმომადგენელი, ორთავე მტრულად განწყობილნი.

ამას ვერ წარმოიდგენდა ივანე.

უტუს არ მოეწონა ჩიქვანი: მისი წვრილი თვალები, დაუდგრომელათ რომ ფუსფუსებენ, თითქო მხედველობის წერტილი ეკარგებათ და „ლობე-ყურეს ედებიან“. ან სიარული როგორი ჰქონია: ჩათლაზი, მრუდეთ დადის, არ მიგოგავს მოსხლეთილ მეგრელივით, არც პირდაპირ მიიმართება, უხვევს, უხვევს და არ იცის მარჯვნივ წავა, მარცხნივ, პირდაპირ, უკან დაიხვევს? მატყუარა, დაუნდობელი!

უტუ მიუბრუნდა ქალებს. რამდენი ფრინველები დაუკლავთ! ზედა-ხორაა დამდგარი. იქ სასაკლაოზეაც იყო და ნახა: რამდენი საქონელია დაკლული, ამდენი ერთად არასოდეს არ უნახავს. ან სახაბაზოში რამ-

დენი პური ცხვება, ლავაში, მქადი. ან იქ ფურნეში, ^{გაბერილი} ბურთი-
ვით პურებს რომ აცხობენ — უტუს უთხრეს რუსის ჯარისთვისაო.

გაახსენდა: ჰმ, ქუდ-აბარწიანებისათვის.

ან აგერ, კვლავ ეს ფრინველები! ეგერ ფხალეული, ^{ხოკოქი} თეთრი,
წითელი, მსუქანი, წერწეტა, ქოლგიაანი.

რა ოხერი ყოფილა ეს ადამიანის სტომაქი!

ანდა საიდან მოაქვთ აქ ამდენი?

ჰმ... სამეგრელოს მთავარია, მისი ბატონის ბატონის ბატონი. მთელი
ქვეყნის უფროსი და... რა გასაკვირია, რომ მთელი ქვეყანაც ჩაიდგას მუ-
ცელში.

ეს კი ყველაფერი ჩვენი მოტანილია... ჩვენი მონაგარი, ჩვენი მოწე-
ული... გლახების, მარგალების!

ეგ კი ვინ არის თვითონ? მარგალი კია? ვინ უთხრა ამას წინეთ? ჰო,
თასიკოჩმა: — შეილო, ეს თავადები, — უფრო თავადები, — არც ერთი არ
არის მკვიდრთაგანი, ჩამოსულებია, ჩამოთესლებულები, ეგენი მარგალები
არ არიან. მარგალები ჩვენ ვართ გლახებო.

მერე და ეს გლახები რად დავემორჩილეთ ამ ჩამოთესლებულებს?
თუნდა მარგალებიც იყვნენ საერთოდ რად ვემორჩილებით? აკი ზომ ყო-
ფილა გლახი გლახის ბატონი.

ბატონი არც ერთი არ ვარგა ეტყობა. აგერ თვითონ მთავარი, დადია.
მთელი სამეგრელოს უფროსი! რამდენი მოსამსახურე ყოლია, რამდენი
უნდება მაგის ხარჯს და თუ პატარა მებატონე თავის პატარა ხარჯის-
თვის, საჭიროებისათვის ეგრე აწვალებს და პირში ლუკმას ართმევს თა-
ვის ყმას, ეს რას იზამს!

უტუს ტვინმა დაიწყო გაძლიერებული მოქმედება. თითქო იგრძნო
რომ რაღაც დიდ სიშართლეს მიაგნო, მაგრამ გარკვევით შაინც ვერაფერ-
ში ვერ გაერკვია.

შხოლოდ ჩვეულებრივ უფეთქავს აზრი: რატომ არის ასე? განა შეი-
ძლება ასე იყოს?

ასე არ უნდა იყოს, არა. — უდასტურებს თავის თავს და თანდათან
გული ემღვრევა. — ეს უსამართლობაა, გაწამებაა ერთი ადამიანისაგან მი-
ორესი, ეს ერთის ტანჯვაა, მეორეს განცხრომა.

მაშ როგორ უნდა იყოს? რა ეშველება?

სად არის პასუხი? ვინ ეტყვის?

მაგრამ აგერ... ეს სად მოხვედრილა! ვერ შემჩნია, რომ ფიქრში წა-
სდგომია თავს: თვალებს წაუტყუებია და ფეხებს მოუყვანია. აზრი კი...
სხვაგან იყო.

ოთხ-კუთხიან ლუმელში ცეცხლი ვარვარებს. აგურისაგან არის აშენე-
ბული და ლუმელი უნდა იყოს. ცოტა ქურასაც ჰგავს, მაგრამ ეს უფრო

ფართოა და ზედ, ჯიშალურელი *), რამდენი ქვაბია დაწყობილი, რა და რა ზომის, რა და რა მოყვანილობის!

ერთი სულ თეთრებში გამოწყობილი კაცი მიმდგარა, ერთი ხის... გადაფხვნილ და გადარეცხილ მაგიდასთან და რაღებესაც ახვევდა: ყინურვალურს ადევნებს ასეთსავე გამოწყობილ ახალგაზრდებს და რაღაც ბრძანებას აძლევს, ისინიც ხან ქვაბებს დასტრიალებენ, ხან გრძელტარიან თუჯის კეცებზე რაღებესაც აწიშინებენ, ზოგიც ხახვსა სჭრის, მწევანის კეპავს, ხორცსა რეცხავს, თევზეულს შიგნავს და სხვ.

უტუ, რასაკვირველია, მიხვდა, რომ აქაც საკმელს ამზადებენ. რომ ესეც სამზარეულოა მხოლოდ რუსული სამზარეულო კი უნდა იყოს.

და მერე? ეს არ სჯობია ჩვენებურ საგაგესჭოუს? იქ კვამლი თვალსა სწვავს, ცეცხლი ქვევით ანთია, ათასჯერ წელში უნდა მოიკაცოს ადამიანი, რომ ქათმები შეატრიალოს, სამწვადე ღაატრიალოს, ქვაბი გადმოილოს.

არა, კარგი ყოფილა რუსის სამზარეულო.

რუსი უფრო მოხერხებული ყოფილა ჩვენზე, უფრო კარგათ გამოუწყვია აი... საკმელების დამზადებაც.

მაშ რათ იხსენიებს რუსებს ეგრე დაცინებით მართალია თოდუა?

„ქუდი აბარწამი“ უმანკო სიტყვაა, მაგრამ უტუ მიხვედრილია, რომ ამაში რაღაც სხვა გამკილავ შეურიგებლობას აყოლებს თოდუა.

— მუსიო სოლომონ! — შემოვარდა ერთი კოხტა გოგო და მიმართა თეთრებში ჩაცმულ უფროსს. — დედოფალი კითხულობს, დღეს რა მენიუ არის საუზმეზედაო?

სოლომონმა აიღო და მოგრობა ქალაღზე, სუფთად, ფრანგულათ დაწერილი საუზმის ნუსხა გაუწოდა. გოგომ ქალაღი გამოართვა და გაჭრა.

სოლომონმა მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ სამზარეულოში ვიღაც უცხო ბიჭი შემოსულიყო. ერთხანს თითქო გაგდება მოუნდომა უტუს, მაგრამ რომ შეამჩნია როგორის დაკვირვებით ათვალეერებდა იქაურობას, გაეღიმა და უტუს მეგრულათ დაუძახა:

— მორთი აშო... წიე!

„წ“-ს გამოთქმა გაუჭირდა, მაგრამ უტუს მაინც გააგებინა.

მუსიო სოლომონი სასახლის მთავარი მზარეული იყო, შვეიცარიელი ფრანგი და კარგა ხანია მთავარს ემსახურებოდა, ასე რომ მეგრული გვარიანათ ჰქონდა შეთვისებული, მხოლოდ თავისებურად მაინც უჭკევდა. ახლაც ასეთის მეგრულით გაუბა საუბარი უტუს.

— მოგწონს ჩვენი ხელობა?

უტუ იკრიჭებოდა, ართობდა ფრანგის მეგრული.

— მოდი აქ! აი გასწავლი. — და თხელი ქალაღი გადააძრო უკვე სუფრაზე მისართმევათ დამზადებულ რაღაც თევს. უტუ მიხვდა, რომ

*) ჯიშალურელი — სიტყვა სიტყვით „შმა-მკედაროა“.

ეს თევზი იყო, მაგრამ რა არ იყო ზედ: სოკოები, კიბოები, მამცრო კიტრი, თევზის ირგვლივ შემოწყობილი და ყველაზე უფრო განსაკუთრებულ სათვის: შამფურივით წკირებზე წამოცმული პატარა პატარა კვანძებით რალაც ნამცხვარი, ზედ სხვადასხვა ქუჩუჩებივით ჩამოძენილ მწვანე-წითლად, ხოლო ამ წკირების თავზე პაწია ანგელოზები, ფრთებიანი, ისეთი, როგორც ეკლესიაზე ხატებზე უნახავს ხოლმე უტუს.

— მერე ეგ საკმელია? — წამოცდა უტუს.

სამზარეულო ახარხარდა.

— რა თქმა უნდა! — იცინოდა სოლომონი. — და ერთი თავი საკმელიც.

— ერთი თავი? ამდენი სხვადასხვა რამე რომ არის ზედ?

— ჰო, ეგ სულ ერთი თავია.

— უიიტ, სარიკო! *) — იკვირებდა უტუს.

— ეგ რა არის, შენ ხორცეული უნდა ნახო, როგორ ამზადებს მუსიო სოლომონი. — გამოელაპარაკენ თანაშემწეები. — აგერ ღვინოში მოხარული სუკი...

— ღვინოში?

— ჰო... და ზედ კიდევ რეები არა აქვს შემოლაგებული... მაგალითად...

— არა, ძმაო, არა, — შეაწყვეტინა უტუს — მე თქვენ გადამრევთ!... ჰამაზე ყოფილა შეშლილი განათლებული ხალხი...

და კვლავ ჩაფიქრდა უტუს. თითქო დანადვლიანდა კიდევ.

— მაშ არ გინდა ისწავლო? — შეეკითხა სოლომონი უტუს და თვითონ სტაფილოსგან ფიწლისებური რალაც სახე გამოიყვანა.

— მე კი არა ნეტავი შენ არ გასწავლა! — წყენით წარმოსთქვა უტუს. — სად ისწავლე?

— ჩემს ქვეყანაში, დიდ-კაცებთან. ერთ დროს მე მილიონერ როტშილდსაც ვემსახურებოდი, მოხუცი ვირტუოზის ანტუან კარემის შეგირდი ვარ და აქამდინაც დაერჩებოდი როტშილდთან, ძაან ვუყვარდი, მაგრამ მე უფრო პრინცებთან და ჰერცოგებთან მიჩვენია სამსახური. გრაფ დეროზმორდიუკმა მომნახა და წამომიყვანა. აი ეხლა თქვენს ჰერცოგთან ვემსახურებ!

უტუს ბევრი ვერაფერი გაიგო ამ მილიონერისა და ჰერცოგების ამბავი, ან რათ მოსწონდა ამ ყოყოჩა კაცს თავი.

სოლომონს კი ვილაც შეეკითხა და ისიც განუმარტავდა:

— როტშილდი არ იცით ვინ არის? ურიაა! აი თქვენი ცხაკუნია-ურია ხომ იცით? ის ხომ თქვენ ძალიან მდიდარი კაცი გგონიათ?

— სამეგრელოში მაგოდენა ფული ვისა აქვს.

*) საარაყო.

— მაგაზე მდიდარი კაცი ვინ გაიგონა.

წამოიძახეს იქიდან, აქედან.

— ჰო და... — უხსნიდა სოლომონი — როტშილდს მავ, ცხაკუნიაზე ერთი ათი ათასჯერ მეტი ექნება.

ეტყობა ეს „ათი ათასჯერ მეტი“ კარგად ვერ წარმოიდგინეს ოპონენტებმა. ერთმა თმაზე მოიკიდა ხელი და სოლომონს უჩვენა:

— ცხაკუნიას აი ამდენი აქვს.

მაშინ სოლომონმა ერთ ორ ყმაწვილს თავი თავზე მიუდვა, შემდეგ თითი თავის თავზე მიიშვირა, უტუსაც გადაწედა, კიდევ ორ ყმაწვილზე უჩვენა, ხუთი თითი კიდევ გადაითვალა და ვითომ ამით გაურკვია როტშილდის ქონება.

უტუმ კი წამოიძახა:

— ეს მაზაკვალობაა, ცუდი კაცი ხარ შენ!

სოლომონმა გაიკვირვა.

— აბა კაცმა თავის მუცელი ეგრე როგორ უნდა გაალოროს! შენ ამას ხელს როგორ უნდა უწყობდე?.. დასწყევლოს ჩემმა ეშმაკმა!

და უტუ მოწყდა თავის ადგილს.

ხარხარი გაჰყვა უკან.

სოლომონი კი მოუბრუნდა თანაშემწეებს:

— მეგრელია, ქარაფშუტა თქვენსავით... ხელობას მიწუნებს!.. აბა რა სჯობია?.. ცხენი, მათრახი და ჰვიუტ! — დაცინვით გაუსტვინა მთავრის მზარეულმა.

მაგრამ უტუს გულის ტკივილს, მის გამოუთქმელ აზრს ვერაფერ ვერ ჩაწედა.

(შემდეგი იქნება)



ნიკოლოზ მიწიუხვილი

ახალი ღემები

1. გემი „აფხაზეთი“

შორი ნაპირი ზღვას ეფარება
და ნელა ჰქრება მთვლემარე ნისლში,
თითქო მსროლელი იხვს ეპარება
პალიასტომის ქოჩორა ისლში.

გაჰქრა ბათომის დამტკბარი უბე
და თეძოები ფეხშიძივით გემთა,
შზემაც დახუჭა დაღლილი უბე
მოვარაყებულ აქარის თხემთან.

და ზღვაზე მხოლოდ გემი-ლითონი
პორიზონტების ასუსტებს ალყას,
ალყას, რომელსაც პოსსეიდონი
ულვაშის გრეხით აშველებს ტალღას,

რომ უფსკრულებთან კაცის კამათი
და რკინის კენესა ჩატარდეს უქმად,
რადგან ხომალდი ზღვების თავადმა
სცნო — მარილწყალში ჩადებულ ლუკმად.

უკანასკნელად შეჰკივლა ქარმა
და სამშვიდობო გზები დაჰკეტა...
„ნუ სწუხებო, — მუშამ, ანძასთან მდგარმა
სთქვა — ლენინგრადში ჩვენ ავაგეთ“.

2. დიდი დილა



ქართული
 ენციკლოპედია

როგორც ვერცხლის სათითური,
 გადმომდგარა მწვერვალი.
 ზღვას აღნება ცისკიდური
 და ზურმუხტი მღელვარე.

მიდის გემი, როგორც მაქვა
 მოწყვეტილი ნაპირებს,
 კომლის ცოცხით ზღვების დაგვას
 ამ დილით რომ აპირებს.

ასეთ დილას ლაზიკიდან
 გაფისული ნავეებით
 იტაცებდენ მთას იქითა
 ჭალს, ვიშერა კავეებით.

აშორებდენ მაღალ მიწას,
 ლალს, მზიური წყალობით,
 აღმართაედენ ცისკენ ფიწალს
 წარმართულის გალობით:

„დედავ-დილა, რაშავ-დილა,
 ო, დელია, რაშაო.
 ზღვაზე ნისლი დაპენტლია,
 დილა, არ დაგვაშავო“.

იმ შავ დილამ წინაპართა
 შთანთქა ცალფა ნავეები
 და წივილში უცხო ჭართა
 დასწყდა მოსართავეები.

გადაიმსხვრა წინდის ჩხირა,
 უიალქნო ანჭები,
 დასობილი თავდაყირა,
 ვით დაცლილი ყანწები.

მოჩვენება დაიჩრდილა,
 თავს შორიდან მაფერებს...
 გადმოადგა დიდი დილა
 ჩემი ქვეყნის ნაპირებს.



3. კ ო ლ ხ ი ღ ა

ვხედავ გემის ბაჭანიდან
 ციებიან ფაზისს.
 ისმის ქარის ქაქანი და
 ხმა ტროპიკულ დასისს.

უცბად ღამე გახევეს ფარდას
 გაცვეთილი ჩითის
 და გადაშლის ველი ფართო
 ფანტასტიურ კიდილს.

დავინახავ წარსულ დროში
 ცად აშვერილ ხელებს:
 საბერძნეთის ძველი დროშა
 ჩრდილავს შინდორ-ველებს.

თითქო ბლავის ოქროს ვერძი,
 გრგვინავს აეტის ხმა
 და გუბაძის მალალ მკერდზე
 ფრთა გაშალა სისხლმა.

თითქო ხალხი გმინავს ტყეში,
 როგორც უღლის ხარი:
 გავაძლოთო ბერძნის ლეშით
 სულ კოლხეთის მხარე.

სისხლს მოითხოვს შუბთა ტვერი,
 ხმალი — მოელვარე
 და რჩეული ბევრში ბევრი
 აბჯარი და ფარი.

ირაზმება ჰერაკლესი,
 ასპილი და სვანი,
 გზები — ქუსლით მონაგლესი
 და ტყეები მწვეანე.



ბრძოლაა და სისხლის ჩქეფი
 ეინ ლა დააგუბოს,
 როცა ხმაღმა გასკრა კეფა
 შუბს რომ წაეჩხუბოს,
 როცა კივილს ერთეის ყეფა,
 როგორც ცრემლი — კუბოს.

ეხედავ გემის ბაჭანიდან
 ჭაობიან ფაზისს.
 ისმის ქარის ჭაჭანი და
 ხმა ტროპიკულ დასისს.

ხმები ჰქრება, სოველ ღამის
 დამდნარ სიმაღლეში,
 იღუპება — შმორის შხამით
 ძირს ჭაობის ლეში.

და როდესაც დილით მთებზე
 მზე კოცონებს ანთებს —
 ღამე ასწევს მაღალ მზრებზე
 და გადისერის ლანდებს.

•ქ კი დღისით გაჩაღდება
 ბრძოლა სულ სხვა ფასის,
 ახალ გმირებს — სხვა დახედება
 კოლხეთი და ფაზის.

და მეც ვესერი ჭაობს ყოფილს,
 ძირს დარაზმულ მხედრებს —
 ერთ სუნთქვაზე ამოწყობილს
 ასეთ ჰეკზამეტრებს:



ახლო ვმირებო, ვაეკაცებო, თქვენ,
რომელთა ძარღვები ეღვარებენ და ჩუხჩუხებენ ნულო
როგორც მჩქეფარე მდინარენი ჩემი ქვეყნისა.

თქვენ, საბჭოთა საქართველოს ბარაქა და სინოყიერე,
წელამდე რომ ჩამდგარხართ ულარტში
და იალბუჯის ბრწყინვალეებას თვალს არ აშორებთ, —

კოლუმბებო უზარმაზარ საუკუნოსი,
სამშობლო რომ იპოვეთ და გრანიტის სიღონიერით
ასწიეთ იგი, საოცარი და საგანგებო, —

მიიღეთ, მაღალ სიყვარულში თქმული პანგები.

ახალი მოედანი

ბარათაშვილის ყორანივით, ღამე ბედითი,
გაიშალა და ჩააფრინდა ახალ მოედანს.
როგორც შენიშვნა, აწყობილი წვრილი პეტიტით,
მე ვიციდი, ვიდრე მზე ტრამევის არ გამოიტანს.

აღმართულია აღმასკომზე მაღალი დროშა,
მოსჩანს საათი, როგორც დაღი ცხენის ნალისა
და მოედანი ბზინავს, როგორც ცინცხალი გროში
და როგორც ლოყა მომღიმარე ზანგი ქალისა.

მწერალთა სახლში ჩამოთავდა მორიგი სხდომა,
„ინ ტირანოსზე“ უფრო ადრე ჩაპქრა ოპერა,
ღამის დარაჯმა დარაბები შეკინდა ტომად,
ჩაიარა და კომინტერნის ქუჩა მოფერა.

სძინავს მოედანს. მხოლოდ დინჯი საათის ხმაზე
მილიციელი, აღმწუსხველი კარგის და ცუდის,
ბელურასავით დასკუბდება ასფალტის ტბაზე
და შეეხება გაფერილი ნაგანის ბუდეს.



მე კი ამ სივრცემ, ძველ კმუნვათა ვადამლახველმა,
 ამახმალურა ქართლის ვულში ჩაქციულ ბრაზით:
 აქ, მეცხრამეტე საუკუნის ხელში, მახვილმა
 „ქართლის ცხოვრება“ დაასრულა ბიბლიურ ფრაზით.

და შემდეგ, როცა პეტერბურგის ჩახლია ყინვამ,
 ციმბირისაკენ გაბაწრული ვაეკაცთა ხმები, —
 აქ, ძველ თეატრში, ივიწყებდენ ჩაგრულთა გმინვას
 როსსინისა და ვარანცოვის ბრწყინვალე ყმები.

მაგრამ თეატრიც, ქარვასლებიც, ვაქართა ბუდეც,
 შეშინათა სულის აკროპოლი — ალაბი, დახლი,
 შთანთქა დროებამ და ლენინის აღმავალ ზღუდეს
 სემინარიის გადმოჰყურებს მდუმარე სახლი.

აქ, ჯულაშვილი, ხშირად მდგარა პუშკინის ახლო.

ახლა — ტრიუმფით აქ შემოდის ყოველი ქუჩა
 და მეც სამშობლოს სიამაყით ვული შევსება,
 როცა ძმასავით აქ მილიმის ზარბაზნის ტუჩი,
 როცა დროშები ფართხალობენ ოქროს თევზებად.

და ხალხის ძმობა, რაც ოქტომბრით მონაბერია,
 ამ მოედანზე ირაზმება, როგორც გმირობა,
 დედას ქართლისას ვარსკვლავისთვის რაც უმღერია,
 აქ დადებულ ფიცს ექსოვება ახალ პირობად.

მაშ, ალაყაყედი, ჩემო სიმწრით გაზრდილო დღეო,
 ვეღარ დაგზრდილავს წარსულ დროთა მწარე ნალველი:
 ძვირფას ელლადას დაუბრუნდა მხნე ოდისეოს, —
 ზღვების, ხმელეთის და სიკვდილის ვადამლახველი.

2. მთავარი შტაბი

არის სიტყვები, ადგილები, არის პანგები,
 ერთის ხილვით რომ ბავშვობითვე გულში რჩებიან.
 ერთხელ პოენილი — ეგ სიმდიდრე არ იფლანგება,
 ეგ ხმები სიკვდილს ყოველ წუთში ეურჩებიან, —
 აღინთებიან, არ სქენებიან, არ დასცხრებიან
 და, როცა ვკვდებით — მხოლოდ მაშინ ერთხელ პკვდებიან.

ასეა — როცა ბავშვობაში ვაგლაზავს უცხო,
 ასეა — ცოტნე დადიანის ლეგენდა ძველი,
 ასე მახსოვხარ, ჩემი ქვეყნის დამწველო, ^{მწველი}
 როცა სამშობლოს, მკერდჩანგრეულს, არ ჰყავდა მცველი.

და ეს შენობაც, ამ ქალაქის გულში ჩადგმული,
 ეს — ქილებივით ჩაწყობილი, თეთრი სვეტები,
 შუროსძიების ნატვრად იყო გულში ჩათქმული —
 ამპირის სტილზე ნაშენები სისხლის წვეთები.

მთავარი შტაბი... ბასტილია კავკასის ერთა...
 რკინის კლანჭებით დაკაწრული სახე ქართული,
 გლადიატორის შებღაველება. ყიფინი მტერთა
 და — საქართველო, ცეზარების წინ გაშხვართული.

მაგრამ იცოდი: არ მოჰკვდები, ცოცხალს მიგელის
 უკვდავი გული ამბოხებულ ულენშპიგელის.

გაჰქრა ის დროცა... ჩამოინგრა ყორანთა ბუდე,
 გაიღო კარი, როგორც გული ალალმართალი
 და გადმოადგა აღდგენილი ქალაქის ზღუდეს
 წითელდროშოვან არწივების მთავარსაარდალი.

ამაღლდი ხმაო, აელარუნდი ლექსო ფოლადის,
 ხანჯლის პირივით გაიელვე ლექსთა წყებაში
 და თუ ვერ გახდი იმ ბრწყინვალე სიტყვის ტოლადი —
 შენს რაინდს ძმურად უპატრონე დამარცხებაში,

რომ ეს სიმღერა საუკუნემ გადასცეს ჯილდოთ
 გიგანტთა გზაზე ჩამწყკრივებულ ვაჟაკთა მოდგმას,
 რომ კაჟის გული ოქტომბერის ბედნიერ შვილთა,
 შეიბრალებდეს ჩაკირული ზურაბის მოთქმას,

რომ იგი მოთქმა კიდევ უფრო შეგყვარებოდეს,
 ახალ სიმღერას, ახალ საქმეს, ახალ დიდებას,
 რომ უგალობდეს ყოველ ხნულში მარცვლის დეარება
 სტალინის მზესთან წითელ დროშის გადმოკიდებას.

რედაქციის განცხადება

ლექსები სიყვარულით

(კომპილაცია)

გვიან განედევნა. ზანტად ვტოვებ ლოვინს. ცალდარაბა გამოღებულ ფანჯრიდან რძისფერი სინათლე შემოდის. მინებზე სითბო გაყინულა და ზედ უცნაური, გამჭვირვალე ფრინველები და ვარდის ფოთლები გამოუსახავს უჩინარ მხატვარს.

ჩემი საათი გაჩერებულა.

ან-კი რა მაჩქარებს. დღეს ერთი ფიორი საქმეც არსად მაქვს. არც თუ წერის გუნებაზე ვარ. გულბათის ნაამბობი გონებაში ეკალივით ჩამრჩა და მოსვენებას არ მაძლევს. შეცოდება ილია, მენანება მშვეინარის ადრე დაღუპული ქალობაც. ვეძებ დამნაშავეს მათ შორის და ვერ მიპოვია. ილია და მშვეინარიც უბრალოა ცალ-ცალკე.

მხოლოდ ცუდი ისაა, რომ მშვეინარმა ქალაღდს ანდო საიდუმლო. მაგრამ არც სხვისი წერილების ქექვაა მაინცადამაინც კარგი ზნე.

დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა მართებს ადამიანს მეტადრე სიყვარულში. თუმცა ეს შეუძლებელია, რადგან ალაღმა სიყვარულმა ბუპალტერია არ იცის. და, მართლაც, რას ემგვანებოდა ცხოვრება, რომ უანგარო გრძნობები მისხლობით იწონებოდეს!

ნეტავ ვინ იყო მშვეინარის გულის მურაზი? იქნებ ის ილიაზე უფრო იწყევლიდა თავებდს. მაგრამ რას დავეძებ ან ერთს, ან მეორეს! მათი ძელებიც აღარაა აღბათ ახლა. უკეთესია ცოცხლებზე ვიფიქრო. ცოტა ჩემს თავსაც მივხედო, თორემ ცუდათაა საქმე. დიდი ხანია ასე მოწალული არ ვყოფილვარ. ვითომ მარტო ილიას და მშვეინარის ზედრითაა ეს გამოწვეული?

რაღაცა სხვა მაწუხებს. განვაგრძობ მარჩიელობას. — გული ვიღაცას უხმობს:

— ზეინაბს!

ეს სახელი მკაფიოდ მესმის და გოცეხული ვიხედები აქეთ-იქით, ოთახში ჩემს მეტი არვინაა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვყოფილვარ, — ვამბობ ჩემთვის, და ამ ზემო-რობით მსურს სარკველი მაგრა დავახურო გულში ჩასახულ ახალ გრძნობას. ვერიდები ზეინაბზე ფიქრს, მაგრამ ლოკოკინას მსგავსად როდემდის უნდა ვმალო რქები?

აგერ ვარაყიან ჩარჩოში ჩასმული სალომეია, რომელსაც ხელში ლანგარი უჭირავს იოჭანანანის მოკვეთილი თავით, უცებ შეირხა და მის ალაგას ზეინაბი გამოისახა. მალე მოჩვენებამ ხორცი შეისხა და ჩარჩო კარად იტყა, საიდანაც შემოდის ნამდვილი ზეინაბი. მისი კაბის შრიალიც-კი მესმის. ღმილით მიახლოვდება. მისი სტუმრობა ცხადი მგონია და ვწუხვარ, რომ ასე შილიფად ვხედები. რატომღაც თვალებს ვხუჭავ და ისევ ვახელ: სალომეია თავის ჩარჩოშია. ზეინაბის ნატერფალიც არ ჩანს.

უნებურად მეცილება. ამგვარი რამე მხოლოდ წინათ მემართებოდა, როცა წარამარა საულვაშეზე ვიკიდებდი ხელს და სულ დიდკაცად გახდომას ვნატრობდი. მაგრამ ახლა რა ეშმაკმა მომიტყია მხარი!

მართალია, ლამაზია ზეინაბი. ამ დოვლათის გარდა მას სხვა თილისმაც აქვს, რაც ბევრ ქალს აკლია, მაგრამ მე რაში მეკითხება რამდენი კარგი ქალია ამ ქვეყანაზე! ან იმ ძუქნა სალომეიას სურათი რა ოხრად მინდა, ნიადაგ თვალწინ რომ მიკიდია!

...გვიან ვღებულობ გაზეთებს. ვიდრე მათ მიღებას ეღირსებოდე, გული გაგიწვრილდება კაცს. არა-და უგაზეთოდ ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ქურში ვიჯდე. ვინ იცის ახლა რა ამბები ხდება ქვეყანაზე. იქნება პიტლერი უკვე დამარცხდა, ბოლშევიკებმა ფაშისტების სინსილა გაწყვიტეს და ტელმანი თავისუფალია... ნეტავი მართლა! ერთი ამ ბურჯუაზიულ-თქვალთმაქტურ ევროპას პროლეტარული რევოლუციის ხანძარი მოედებოდეს და მეტი არაფერი მინდა, — ვამბობ ხმამაღლა და თანაც ყელსახვევს ვისკენი. მაგრამ სად უნდა წავიდე ამ ქარბუქში? ძალღიჯ არ გაიგდება გარეთ ისეთი ამინდია. უმჯობესი იქნება შინ დავრჩე და კალამს მოვკიდო ხელი.

მაგიდას მივუჯექი. სუფთა და თოვლივით კრიალა ქალაქის მთელი დასტა დავიდევნი წინ. კალამი ნელა ამოვარე მელანში, მაგრამ აზრი არ შემოორჩილებოდა. საშინელებაა პირდაპირ. ხანდახან ისე შემეკვრება კრიქა, რომ ერთი-მეორეზე ორი სიტყვის გადაბმა მიჭირს.

უბედური და უმადური საქმეა ეს მწერლობა. ქვის კოდვა ჯობია წერას. აბა, რა შეედრება ახლა ჩემს ტანჯას: საათზე მეტია ვზივარ ფიქრებით თვალებგამოღამებული და ლექსის მაგიერ ზედიზედ ვწერ ჩემსა და ზეინაბის სახელებს. ან, ჩემი ჰკუთით, ვხატავ იმავე ზეინაბის სახეს, ფარშავანგებს, ვეფხებს, ჩაფხუტიან რაინდებს და ათასგვარ სასაცილო რამეს.

ასე უქმად მიდის დრო.

ახალი წიგნი მაინც მომცა, — ვნატრობ და არაჩატვამილიერული კალამს ხელიდან ვაგდებ.

რამდენი პაპიროსი მომიწევია! ოთახში ნისლივით დგას თუთუნის ბოლი. სულს ველარ ვითქვამ ნებაზე. თვალები მიბჭყვივალებს.

დაეცილი ვდგები. ფანჯარა გამოვალე. სუსხიანმა პაერმა გამომაფხიზლა და ძალა დამიბრუნა. დავშოშმინდი. ფანჯარა მივხურე. თაროებზე წიგნებს ვათვალიერებ, მაგრამ რომელიმე მათგანის ხელახლა წაკითხვა ყუათში არ მომდის. გადავწყვიტე არქივი გადაეთვალიერო. ტყვილა ყოფნას ეს ჯობია. ბალასტს გადავყრი, საჭიროს და საყურადღებოს წესზე დავალაგებ. ვინ იცის, რა არ დამიგროვდა ამდენი ხნის განმავლობაში?

მაგიდას ეუბრუნდები. გამოვწიე პირველი უჯრა. მეორე, მესამე.

მაგიდა აივსო ნაჩქარევად თავმოხეულ კონვერტებისა და ფერშეცვლილი ჭალალების ზვინებით. მათი წაკითხვით ბევრი რამ საწყენი და სასიხარულო მომაგონდა.

აუჰ, რამდენს ვყვარებივარ, რამდენი მყვარებია თურმე! რამდენი მეგობარი და კეთილი მყოლია!

სად არიან ნეტავ ახლა ყველა ისინი, რომელთა გარეშე ერთ დროს სიცოცხლე ვერ წარმომედგინა?

აგერ, ჩემი პირველი ლექსი, პირველი სიხარული და პირველი ბედნიერება.

როგორი მონდომებით და ზრუნვით გამომიყვანია ასოები, პწკარები, თითოეული ხანა.

სათაური ვარდებში ჩამისვამს.

ვიგონებ ბავშვობას:

როცა დედაჩემს ნავთი არ ჭონდა ლამპაში
და შთვარეზე ვკითხულობდი აკაკის ლექსებს.

რამდენი სიმწარე მახსოვს ბავშვობაში, მაგრამ რა სიამოვნებით ვიჭკვოდი ისევ იმ შარვალგამოხეულ ბავშვად, რომ ეს შესაძლებელი იყო. უკანასკნელი უჯრაც გამოვალე. პირველადვე ხელში მომხვდა უკანო, მოსჭო და ფართო რვეული. გულისყურით ვათვალიერებ. წინა ფურცლები კარგა ბლომად აკლია.

საიდან, რა უნდა ამას ჩემთან? ვისია? — ვკვირობ, მაგრამ მალე მახსენდება, თუ სად, როგორ ვიბოვე ეს უსათაურო და უაეტორო ხელთნაწერი.

როდის იყო?

ერთ ზაფხულს დიდიხნის უნახავ მშობლებთან ჩავედი ქუთაისს: კვირა საღამოა. ნიავე ქრის. მზე აჭარის მთებს იჭით ნელა ჩადის. ქალაქი განზე მრჩება. ვუახლოვდები იმ სახლს, სადაც ჩემი აკვანი დარწე-

ულა, სადაც მინატრია თავისი კბილები და ახალი წულები, სადაც ბორძიკით მიკითხავს „დედა-ენა“ და გამოგონია უცნაური სიტყვები. ამ შუკებში ფეხშიშველა მარბენალს რამდენი ეკალი და წვეტიანი ხეინკა შემსობია, ვინ მოთვლის!

მთავარ შარაზე ჩენი უბნის ბავშვების ერთმულა.

ზოგნი რიკტაფელას თამაშობენ, ზოგნი საყუბურთობიას.

აგერ ერქანს უშვებენ, და ჯვარედინ ტეჩებზე გაკრული ჭალაღდი სულ მაღლა-მაღლა იწევს. ერქანს კულად გაკეთებული აქვს ძაფზე ასხმული ანწლის ტოტები და ისეთი სანახავია, თითქოს თეთრ არწივს მერცხლების მწკრივი მიდევდეს. ერქანის პატრონი ბიჭი ცოტა მანძილის გარბენის მერმე უეცრად იჩოქებს, წვრილ თოკისაგან გაკლილი პატარა ჯოხი მიწამდე დააქვს და როგორც-კი საფრთხეს იგრძნობს, მაშინვე წამოხტება და ერქანს კვლავ ქარის ნებაზე გაეკიდება.

ლობის ძირას, სადაც წინათ, ჩემს პატარაობაში, მნათე ლევანას ბრუციან ვირს უყვარდა გაჩერება, რამდენიმე ბავშვი ჩაცუტულა და თავიანთ დაბეულ ერქანს აახლებენ. ღიმილით მიედღივარ მათთან. ბავშვებმა ერთი ვაოცებით ამომხედეს და ისევ დაუბრუნდენ ერქანს, რომელსაც დაზიანებულ ადგილებზე აწებებდენ რვეულის ფურცლებს. ჩემი ყურადღება მიიქცია ამ ფურცლებზე სუფთა ნაწერმა. უცებ იქვე ახლოს თვალი მოვკარ თვით რვეულს. ძველმა ნიჩმა მძლია: ბავშვობაში წიგნებს დახარბებული ვიყავი და ჭურჭაში ნახულ ჭალაღდის ნაგლეჯსაც არ ვუშვებდი წაუკითხავს. რვეული ავიღე: ვიგრძენი ვილატის ცხოვრება იყო შიგ მოთხრობილი და გადავწყვიტე ამ პატარა ბარბაროსებისაგან მიიკადარჩენა.

ბავშვებმა იკადრეს წამოდგომა.

ერთ მათგანს ფული მივაჩერე და რვეულის ფურცლით გზა განვაგრძე. კარგა მანძილის გავლის შემდეგ უკან მივიხედე. ბავშვები ერთმანეთს ფულს გლეჯდენ ხელიდან. მათ სხვებიც მიმატებოდენ და იყო ერთი ჩოჩქოლი.

ნეტავი თქვენ, — ვთქვი გულში და ჩემი ეზოს ჭიშკარი შევადე.

რვეულის წასაკითხავად ჭუთაისში არ მეცალა, მაგრამ ტფილისშიაც ვერ ვიშოვნე დრო. რაღაი ერთხელ მიმრჩია, — მიმრჩია და ბოლოს სულ დამავიწყდა მისი არსებობა.

ახლა-კი უთუოდ უნდა წავიკითხო ეს:

უცნობ ბალის ცოვრება



ეროვნული
გრაზდარობა

1925 წ. აპრილის 4.

ჩვენს სახლში ნამდვილი ჯოჯობეთია. ჩემი მამინაცვლი ცოფიანი ძალივით იღრინება. დედას ეჩხუბება და ცუფს. ამ დილითაც გაულახავს საწყალი. მე-კი ბოლოხანებში, რატომღაც, მეფერება კიდევ. საკვირველია: წინად დღე არ გავიდოდა ისე. სასიკვდილოდ არ მოვეჭკიე.

კომკავშირში მიღებას მიქიანურებენ. მგონია ჩემი მამინაცვლის გენერლობა უნდა იყოს მიზეზი. რა ცეცხლში ჩავევარდე არ ვიცი!

აპრილის 8.

დღეს სადილი არ გვექონია. შიმშილისაგან ბრუ მესხმის. მამინაცვალს დედაჩემისათვის უკანასკნელი, ჯვარნაწერი ბეჭედიც წაუძვრია თითიდან და წაუღია. თავის ოქროს მენდლებს-კი სასოებით ინახავს. რა ოხრად უნდა ნეტავი! ალბათ გონია, კიდევ ელირება მათ დაკიდებას.

თუ მთვრალი მოვიდა, ვაი ჩვენი ბრალი.

როგორ მოვამზადო გაკვეთილები, გული მეღევა. ნინო მამიდასთან წავალ, იქნებ ხმელა პური შინაც მაჭამოს. მაგრამ დედას რა ვუყო. მარტო ლანდი-ღაა. ნიადაგ შიმშილობამ სულ მოუთავა ხელი.

როგორ-კი დავამთავრებ სკოლას, მაშინვე სამსახურს ვიშოვნო. მაგრამ ვიშოვნო? 15 — 16 წლის გოგოს რა სამსახური შემიძლია ჯერ? თუ სამსახურს ვერ შევძლებ, თუთუნის ფაბრიკაში ხომ გამოვდგები. ბოლოს-დაბოლოს მოახლედ დავუდგები ვინმეს. ჩემი მამინაცვლის ხელში ყურებას ყველაფერი შირჩევნია.

მაგრამ უნივერსიტეტი? როგორ უდროვოდ ეკვეცება ფრთები ჩემს ოცნებას.

არა, მთავრობას ვთხოვ შემწეობას. რა ვუყოთ, რომ ჩემი მამინაცვლი გენერალი იყო! მე რა დანაშაული მიმიძღვის?

წავალ უშანგთან. ყველაფერს დაწერილებით ავუხსნი. ჩვენი სკოლის უჯრედის მდივანია. კარგი ვაჟიცაა. დამეხმარება, ან შირჩევს რამეს. მაგრამ ჩემი ოჯახის სიგლახე სხვას როგორ გავაგებო? ეს ხომ თავის დამცირება იქნება. რას იფიქრებს უშანგი, ან რა თვალთ შემოძხედავს შერმე. ისევ აჯობებს საკუთარი ძალით ვცადო გზის გაკვლევა, თორემ მარტო წუწუნით ვერაფერს გავხდები.

ნეტავი რომელი საათია? კრებაზე არ დამაგვიანდეს.

აპრილის 9.

გუშინ დავესწარი ჩვენი სკოლის უჯრედის ღია კრებას, საიდანაც მე და უშანგს ერთად მოგვიხდა წამოსვლა. თინამ შურით გამოგვაყოლა თვალის. რა სულელია!

როცა უშანგთან ვარ ახლო, ძალა მემატება. უფრო ხალისიანი ვხდები. ხან მეხუმრება, ხანაც მაჯავრებს, მაგრამ მეტწილად უკმაყოფილებს, თუმცა ჩემზე უფროსი ერთი წლით თუ იქნება.

საკანდიტროში ძალად შემეყვანა. მეგონა იცოდა, რომ მშვიერი ვიყავი და სირცხვილისაგან ცეცხლი მომეკიდა. გემო ვერაფერს ვუნახე. ვებრალეები უთუოდ, — ვფიქრობდი, — და მიწასთან გასწორებულად ვგრძნობდი თავს. ის ჩვეულებრივ ლალი იყო. ენამქვერი. მეც ვცდილობდი მხარი ამება. ცალს არ ვუგდებდი. მაგრამ ნამდვილად ლუკმების მაგიერ ნაკვერცხლებს ვყლაპავდი. მხოლოდ გარეთ რომ გამოვედით, მაშინ ვიგრძენი შეება. ვიდრე მშვიოდა, უბრალო ჭია მეგონა ჩემი თავი. დანაყრების მერმე-კი თამარ-დედოფალივით თავადურილი მივეყვებოდი მხარდა-მხარ უშანგს და ისეთ გუნებაზე დავდექი, თითქოს მთელი ქვეყანა მართო ჩემი და მისი ყოფილიყო.

სახლამდე მიმაცილა. მთელ ქალაქს მთვარე ვერცხლის ბრეს აყრიდა. შინ შესვლა დამეზარა, ისეთი კარგი ღამე იყო.

დიდხანს ვმუსაიფობდით.

— შენ კვიციანი გოგო ხარ. კარგი კომკავშირელი იქნებოდი, რომ გენერლის ოჯახში არ იყო გაზრდილი და მეტისმეტად არ კობტაობდე, — მოულოდნელად მითხრა მან და თავი დახარა. თან დაუმატა: — კომკავშირში შენი მიღება გაჭირდება.

ნიადაგი შემერყა ფეხქვეშ. ენა დამება. ქუთუთოები ამეწევა, გული ყელში მომებჯინა და ჩემდაუნებურად ქვითონი ამივიარდა.

აღბათ წავეიქცეოდი, რომ უშანგი დროზე არ მომშველებოდა. როცა მისი მკლავი ვიგრძენი წელზე, სულ გამომელია ღონე.

უცებ თავი ამიწია, ცრემლიან თვალებში კარგახანს მიცქირა, მერმე ერთი მიმოიხედა ირგვლივ და... მხურვალედ მაკოცა. მაკოცა და გაიქცა. კედელს მივეყრდნე. უცნობებმა გაიარეს, ჩემზე რალაც თქვეს, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. ან სად მქონდა ამის უნარი. გული გაფრენას ღამობდა და თავი სიზმარში მეგონა. როგორც იყო გამოვეფხიზლდი. შევეკრთი: ვილაც კაცი მსუნავ ნადირივით მიახლოვდებოდა.

გალიიდან გამოშვებული ჩიტივით მოვეკურცხლე, აღმართი სულმოუბრუნებლად ავირბინე და ფრთხილად შევალე ჩვენი სოროს კარი. ჩემი მამინაცვალი ჯერ კიდევ არ იყო მოსული. დედაჩემი გაუხდელი იწევა. მის გაფითრებულ სახეს უსაზღვრო მწუხარება ეტყობოდა. გული მეტკინა. აღარ გამოიღვიძებია, ისე დავწექი. მაგრამ რა დამაძინებდა!

ბიონერად ხომ არ უნდა დავბერდე, 5 წელიწადი არ კმარა? — ვფიქრობდი შეშფოთებული. — თუ თინას მამა გენერალი არ ყოფილა, ვითომ ჩემზე უფროა საბჭოთა ხელისუფლების ერთგული? რაში ეტყობა!

რომ მართლა არ მიმიღონ კომკავშირში, რა უნდა ექნა?

თუ გამართლდა მისი სიტყვა, სულ ამოვკოტავ იმ ბრიალა თვალებს. მაკადოს, ვანახებ სეირს, — დავეკადნე უშანგს და ჩამთვლიმა, მაგრამ

მალე ხმაური მომესმა: ჩემი მაშინაცვალი მთვრალი მოსვლიყო და საჩქაროდ წამომდგარ დედაჩემს უკმხად ელაპარაკებოდა, თან ოთახში დაბორილობდა. დიდხანს იყებდა ასე. ბოლოს მოუახლოვდა ჩემს ლოგინს ფანდლით და ერთბაშად საბანი გადამხადა.

ვიკვილე.

— რამ შეგაშინა, სულელო? კაცის მკამელი ხომ არა ვარ! — მითხრა ლულულით და ლოგინზე წამომჯდარს კოცნა დამიპირა.

ამ დროს მოვარდა გამწარებული დედაჩემი და ძლიეს მომაშორა.

მეგონა, დედაჩემს ცემით მოკლავდა, მაგრამ ჩხუბის ნაცვლად, ახლა მას დაუწყო ბღლარძენი. საწყალი დედა ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა, ის-კი რაც დრო ვადიოდა, უფრო უხუთავდა სულს ხვეწნით და უტიფრად ლოშნიდა.

ბოლოს სინათლის ჩაჭრობის საშუალებაც არ მიცა, ისე უსირცხვილად წააქცია ლოგინზე.

მხეცი!..“

III

სამი დღეა საწერ მაგიდას არ გავკარებდევარ.

არც ლაშასთან შემივლია.

უცხო ქალის დღიურში უგუნებოდ გამხადა. უბედურებაა პირდაპირ: რაღა მაინცდამაინც მე უნდა გადავაწყდე ყველაფერ უცნაურს!

ვატყობ, დღიურის გაგრძელება უფრო საშინელი იქნება. მეტს აღარ მოგვიდებ ხელს.

უკვე დაღამდა.

ელექტრონი ავანთე და ოთახში ფრთა-მოტეხილ ბატივით დავიწყე ფარფატი.

ზეინაბი მაგონდება.

ნეტავი რას აკეთებს!

გუშინ ტრამვაიდან თვალი მოგვარი პროსპექტზე, ჯეირანივით მარტო მიმავალს, და გულმა რეჩხი მიყო.

არ მეგონა, თუ ასე გამახარებდა მისი ნახვა.

ჩემი ამბავი მიკვირს სწორედ: ეს დაბრძენებული კაცი რა ჯანდაბამ ამატრუა, რომ არ ვიცი?

არცაა საჭირო ვიცოდე. ავად იყო თუ კავრად, მე ჩემი არჩივი კიდევ მომიხნავს და კიდევ მომიმკია. ახალი ტრაგედიების თავი სადღა მაქვს. სიყვარულის გარდა სხვაც ბევრი რამაა საინტერესო ამ ქვეყნად.

სავარძელში ჩავჯექი და გაეინაბე.

ფიქრებში გართულს უეცრად გივი წამომადგა თავზე.

— როგორ მუშაობ ქვეუღახარ! ადე, ადე, თეატრში წავიდეთ, შილერი ვნახოთ, — შემოსვლისთანავე მითხრა მან და ერთი კარგადაც შემანჯღრია. — აბა, ჩქარა პო, დავგვიანდებით.

გვიმ თან მოიტანა თოვლის სურნელი და სუსხი.

უხალისოდ შევეუდეთი მზადებას. იმავე დროს ვეუბნებოდა:

— შე გაუთლელი, კალოშებით რომ შემოდლაგუნდი ჩემს კსახლი თველა ხომ არ გგონია?!

გვივის მამა ტფილისის გუბერნატორის მეჯინიბედ იყო ნამყოფი და ჩემი ზუმრობა არაფრად იამა. ეს გვიან გამახსენდა.

— კიდევ თოვს? — ვცადე ნათქვამის გაქარწყლება.

— არა, ქუჩებში შუშაა მოგებული. ცა მოწმენდილია და ყინავს. მთვარე არ ჩანს, მაგრამ დღესავით ნათელია. გარედ ყოფნას ახლა არაფერი ჯობია, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიპასუხა და თანაც ცვაივის ახალ წიგნს „ქოზეფ ფუშეს“ დაუწყო ფურცელა.

კობახნის შემდეგ წიგნს ხელი უშვა და ცალყბად თქვა:

— არ მიყვარს ეს ცვაივი. მეტისმეტად შაქარყინულიანი კალამი აქვს.

— მეც მაგრე მგონია, მაგრამ „ფუშე“ უთუოდ საინტერესოდ არის დაწერილი. წაიკითხე, დარწმუნდები.

— ჯერ სტენდალის ვასალი ვარ. მაგისტვის არ მცალია.

— წავიდეთ!

სახლიდან მარდად გამოვედით, მაგრამ ქუჩაში-კი ახლად ფეხადგმული ბავშვებივით მივაბიჯებდით. მოლიბულ ქვაფენილებზე წარამარა გვიცურდებოდა ფეხი. მართლაც, შესანიანივი ღამე იყო. ჯანსაღ ჰაერს მთელი მკერდით ვსუნთქავდით. ნესტოებიდან ორთქლი ბოლად გვდიოდა.

შევედით თეატრში. ხარიხები საესეა. ჩვენი პალტოების დასაკიდებელი ადგილის შოვნა გაჭირდა. ეტყობა, მთელი ტფილისი აჭაა დღეს.

დიდიხანია თეატრში არ ვყოფილვარ და მეხამუშება ფოიეში მოყიალე ხალხში გარევა.

გადავეჩვიე თეატრს.

რალაც მოკლილი ხალხის დროს-მოსაკლავ ალაგად მეჩვენება თეატრი ამ ბოლოხანებში.

ესეც არ იყოს, კარგ პიესას სცენა არაფერს მატებს. მე მისი წაკითხვა მირჩენია.

სცენა ისეთ დრამატურგებისათვის არის მოგონილი, რომელთაც წერა უჭირთ.

მაინც რა ცამ თოვა ამდენი ხალხი!

გვი თვალსა და ხელს შუა გამიქრა. მეშინია არავინ ამეკიდოს. სხვასთან ლაყბობის თავი სრულებით არა მაქვს. სისულელე მომივიდა: ჩემს გუნებაზე მყოფ ადამიანს თეატრში რა უნდოდა!

კედელს მივეყუდე და გამველე-გამომველე ქალებს ვათვალეირებ. მათ უმრავლესობას ფრესკის სახე აქვს, მაგრამ ტანი? ტანი ათში ერთს არ უფარგა. დაბალ თეძოებს მიწაზე მიათრევენ. მოკლე ფეხები მუთაქებს უგავთ.

არა, დღეს მეტად ახირებულ ხასიათზე ვარ. არც ისეა მართლა სულ საქმე, როგორც მე ვსჯი.

ქართველი ქალების სილამაზე დასაბამიდან განთქმული ქართველანის წაპებს და ოსმალეთის სულთნებს, ყოველგვარ ძვირფას სურათს, მწიფე-ლი ქალწულები ერჩიათ. ზოგჯერ მარტო მათი გულისათვის აოხრებდნენ ეს ზეადები საქართველოს.

ახლაც ამ თეატრში ბევრია ლამაზი და აზიზი, მაგრამ ის ქალი, რომელიც ფოიეში შემოსავალ კართან დგას ზურგით ჩემსკენ, ვატყობ ყველას ჯობია. თუმცა გამვლელები მიშლიან, მაგრამ მაინც ვახერხებ მისი გარეგნობის დანახვას: კენარი ტანი აქვს. მხრები ზომიერი და სათუთო. თავი შეუმჩნეველ სიამაყით უჭირავს. თმა ვაჟურად შეკრეპილი და სადად დავარცხნილი. წელზე სამაჯური შემოწვდება. თეძოები მაღალი და ჩამოსხმული. ფეხები? ასეთი ფეხების მნახველი იშვიათად ვარ.

ვინ არის?

მეორე ხარი დაკრეს.

ქალი მობრუნდა.

ეს ხომ ზეინაბია!

ის ვაჟი ვინლა?

გულბათ...

მომასწრეს დარბაზში შესვლა.

რამ დამაბრმავა ასე. რატომ აქამდე ვერ ვიცანი ან ერთი, ან მეორე? შუა ფოიეში ვარ გაშეშებული. ვგრძნობ დარბაზში ჩქარა შესვლის მსურველებს გზას ვუბოროკავ, მაგრამ დაძვრა ვერ მომიხერხებია.

აი, დალახვროს ეშმაკმა! ჩემს თავს ველარ ვცნობ. აბა რა საწყენია ზეინაბის და გულბათის ერთად ყოფნა?

ფოიე დაცარიელდა. კაპელდინერმა მთხოვა დარბაზში შეესულიყავი, მაგრამ მე პირდაპირ დავადექი გზას. პალტო ულაზათოდ ჩავიცვი და გარედ გამოვედი. უპ, როგორ ცხელოდა იმ დასაწვავ თეატრში, ძლივს არ მოვიტყვი სული!

მინდა სხვა რამეზე ვიფიქრო, მაგრამ მთელი არსებით ისევ თეატრში ვარ. ზიან ახლა ისინი, — ვფიქრობ მე, — გვერდი-გვერდ და ისმენენ კარლ შოორის ცეცხლოვან სიტყვებს. მე-კი უგულოდ ვხეტილებ ამ ყინვაში. ესაა მაღლი?

მინდოდა ლაშასთან შემეველო, მაგრამ გადავიფიქრე.

ხვალ სერობაზე მივალ და ის იქნება. დღეს აღარ ღირს.

• • •

ლაშასთან იმ დროს მივედი, როცა გივი ამბის სათქმელად ემზადებოდა.

ზეინაბმა მთელი სახით გამიღიმა. მანიშნა მის გვერდით დამჯდარიყავი, მაგრამ მე ლაშას ახლო დავედგი სავარძელი.

მეგობრებს თვალი გადავაღვლე.
 გულბათმა სახე მომარიდა.
 ზეინაბმა საყვედურით შემომხედა.
 ბუხარი ჩვეულებრივ გუგუნებდა.



ტკბილი სასმელების გარდა, მაგიდაზე რამდენიმე ბოთლი ღვინო იდგა.
 — სად დაიკარგე წუხელის, რაიბულ? მე და ზეინაბი ყოველი ან-
 ტრაქტის დროს გეძებდით, მაგრამ შენი ასავალ-დასავლის ვერაფერი გავ-
 ვიგეთ, — ნახევრად სანანო, ნახევრად საყვედურის კილოთი მომმართა
 გვიმ.

— ცუდად გავხდი და შინ წავედი, — ნაძალადევად ვუპასუხე მე.
 — გეტყობა შენ არც ახლა უნდა იყო კარგად.
 — პირიქით, მშვენიერად ვგრძნობ თავს.
 — კეთილი. რადგან აღარავინ გვაკლია, ნება მიბოძეთ, მეგობრებო,
 ჩემი ვალი მოვიხადო.
 ზეინაბმა კვლავინდებურად სასმისები შარბათით აავსო.
 მე ღვინო დავისხი.

უცნაური ბასმენება

1918 — 19 წლებში ქუთაისში პოეტების მთელი რემა იყო, — ცოტა
 დამკინავ კილოზე დაიწყო გვიმ. — მეც, რა თქმა უნდა, მათ რიცხვში
 ვერივ. ბევრი ჩვენგანი ჩხიარის გადამბრუნებელიც არ იყო. იშვიათად
 ეწერდით ლექსებს. უფრო ხშირად ვჭევიფობდით. ახლაც არ ვიცი, რა
 სერმიით ვახერხებდით ყოველივე ამას.

სალამოს ამოვიდოდით სარდაფებიდან და ქუჩებში ვტყებდით აყალ-
 მაყალს. თუ დავინახავდით ცოტა მსუქან კაცს, ვაი მის დღეს! მივესუო-
 დით და ნალევლას ჩავუტყევდით მუცელში მუშტების რტყმევით. ზან-
 დახან ძახილით: „Бей спекулянтов!“ შევიჭრებოდით თეატრში ან კლუბ-
 ში და ნამდვილ დარბევას ვაწყობდით.

ამის გამო ვაჭრებს პირივით ვჭულდით. ჩვენს დანახვაზე ელეთ-მელე-
 თი მოდიოდათ. არც მენშევიკებს ვუყვარდით მაინცადამაინც. ჩვენს თავ-
 აშვებულლებას ისინი არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ
 მოქმედებად თვლიდენ და რაც შეეძლოთ გვდევნიდენ.

მაშინდელი მილიციის უფროსი ქორივით დაგვედევდა, მაგრამ რაღაცა
 იღბლად, მისგან ყოველთვის უვნებლად ვალწევდით თავს.

ბევრი უცნაური ამბავი მახსოვს ამ დროიდან. მე თქვენ მოგიყვებით
 მხოლოდ ერთ მათგანს ყველაზე უფრო კურიოზულს და თანაც განსა-
 ცვიფრებელს, რომელიც მოხდა რაიბულის ქუთაისში არყოფნისას.

ჩვენთან მუდამ იყო ფარმაცევტი, ვინმე აბელ ლაბაძე. კაცი თავზე
 ხელადებული და ნამდვილი ბოგემა. პოეტები სიცოცხლეს ერჩია. უჩვე-
 ნოდ ფინჩხას არ ჩაიდებდა პირში. კოკლსა და ჭარბალივით სახეწითელ
 აბელს ორთაყვირებივით მკლავები ქონდა.

ქუთაისელებს ძლიერ უყვარდათ გასვენებაში სიარული. ზოგჯერ სრულად უცნობის გასვენებაშიაც-კი მიდიოდნენ. და რა ეგვიპტელებს, რომ პოეტების მიერ პოეტის გასვენება ყველა გასვენებაზე უფრო საინტერესო ყოფილიყო მათთვის.

ჩვენ, როგორც ჭირისუფლებს, აღარავენ გვაკარებდა კუბოს.

სულ ჰაერში აწეული მიჭონდათ.

როგორც იყო ავალწიეთ ბაგრატის ტაძრამდე.

გაქრილ სამარესთან კუბო მოწიწებით დაასვენეს.

მღვდელმა უკანასკნელად იმღერა სულთანანა და ოლარი მოიხსნა.

მძიმე სინჯუმე დადგა.

მეგობრებმა მაიძულეს მეთქვა სიტყვა.

ჩემზე უფრო კარგად ბევრს ეხერხებოდა ლაპარაკი, მაგრამ უარი არ ვამივიდა.

შევედქი ლოდზე. გაფითრებულმა ჯერ თვალი მოვაველე იქაურობას, მერმე თმაზე ხელი გადავისვი და აკანკალებული ხმით დავიწყე ლაპარაკი.

ხალხი სულგანაბული მისმენდა.

მართლა ისე ვიყავი გულნატკენი იმ ყმაწვილის უდროო დაღუპვით, რომ თითოეულ სიტყვას მთელი გრძნობით ვამბობდი. შევატყე, ხალხს გული აუჩუყდა და ხმას აფუწიე. აქა-იქ გაისმა ქალების ქვითინი. მალე ფრთაგაშლილ მტრედივით ყველამ ხელში დაიჭირა ცხვირსახოცი.

მწუხარებით სავსე ჩემი ხმა გაბზარული ზარივით რეკდა და მისი გავონება მევე უცნაურ ჟრუანტილს მგვრიდა.

არ ვიცი, რამდენხანს ვილაპარაკე. როგორც-კი ჩამოვედი ძირს, ბავშვივით აზღუტუნებულმა აბელმა გულში ჩამიკრა და მაკოცა.

— დამწვა კაცი შენმა ენამ. ისეთი გრძნობით ლაპარაკობდი, თითქოს... ძმობას გეფიცები, ჯერ არ მახსოვს ასე გულდაგულ მეტიროს, — ლულულულით მითხრა მან და კვლავ მაკოცა.

ჩემს შემდეგ ლოდზე ავიდა მენშევიკი ნოქარი, რომელმაც მთელი მენშევიკური პარტიის სახელით ილაპარაკა. შეეხო „საერთაშორისო“ საკითხებს, დემოკრატიზმის პრინციპებს და ბოლოს ცხედრის წინაშე მხურვალე ფიცი დასდო, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ...

მენშევიკი ნოქარი შეცვალა ფედერალისტებისა და ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენლებმა და ამასობაში მზეც გადახარა.

როცა სიტყვების წარმოთქმა დასრულდა, აბელმა ხმამაღლა გეტხოვა:

— მომეცით უფლება უკანასკნელად ვნახო ჩემი ახალგაზრდა მეგობრის, ძმაზე უფრო საყვარელი ადამიანის სახე! — და კუბოსთან მივიდა. შესაფლავეს წალკატი გამოართვა და მისი თხელი პირით კუბოს ერთბაშად ახადა თავი.

ყველა გავოცდიოთ.

— მკედარი გაცოცხლდა, მკედარი! — იყვირა ვიღაცამ და წარმოუდგენელი ჩოჩქოლი შეიქნა.

— თავს უშველეთ, თავს! — კვლავ დაიძახა ვიღაცამ და წარმოუდგენელი ხალხი კისრისტეხით გაიფანტა.

...კუბოში იდგა ერთი დიდი ტიკი, შიგვე ეწყო კალათები შემწვარი გოჭით, ხაჭაპურებით, მრგვლად მოხარშული ქათმებით და მწვანელით საესე.

ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებთან ჩვენი ლექსების კითხვა და სადღეგრძელოები ალიონამდე არ შეწყვეტილა.



ამბის ფინალმა საერთო მხიარულება გამოიწვია.

— ვერაფერი ხუმრობაა მაინცადამაინც, რომ მართალი თქვას კაცმა, — ჩაილაპარაკა გულბათმა.

— არა, შენ რომ გაცუცურაკებულხარ, ჩემო გივი, ცხადია. მაგრამ არც იმ მენშევიკ ნოქარს დაყრია კარგი დღე, — სიცილით უთხრა გივის პაატამ, თან ქიჭები ააესო და თვითნებურად თამალობა დაიწყო.

რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ უფრო მხიარულ გუნებაზე დავდექით, თუმცა მე კიდევ ვერ ვგრძნობდი თავს ჩემს ტყავში.

ეკითხულობდით ლექსებს და შიგადაშიგ ვყვებოდით ანეგდოტებსაც. განსაკუთრებით მოილხინა ლაშამ. სულ აღარ ეტყობოდა, თუ ნააგად-მყოფარი იყო.

— ამხანაგო ლაშა, მე როგორც ვაგივე, შენ მეტად საინტერესო წარსული გქონია. გთხოვ, გვიამბო ერთი პერიოდი მაინც შენი წარსული ცხოვრებიდან, — მოულოდნელად მიმართა მას ზეინაბმა.

— კარგი იქნება, კარგი! გთხოვთ, გთხოვთ, ლაშა! — ყველამ ერთხმით შეეძახეთ.

— სხვა დროს, ახლა არ შემიძლია, — ბოდიში მოიხადა ლაშამ და ეაშლის ნათალი აიღო.

— უარი არ შეიძლება. ჩვენ, ახალგაზრდებს, გვსურს ვიცოდეთ: როგორ იბრძოდნენ ჩვენი მამები და პაპები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. და შენ, პატივცემულო ლაშა, რომელიც-ებრძოდი ძველ წესწყობილებას, ვალდებული ხარ ჩვენი სურვილი უყოყმანოდ შეასრულო, — პათეტიურად მოუწოდა მასპინძელს გივიმ.

— ნეტავ არ მიკბინო, აღუუ! თავის დროზე ცოლი რომ შეგერთო, ლაშას ტოლა შვილი გეყოლებოდა. შენ თუ ახალგაზრდა ხარ, მაშინ მე რაღა ვყოფილვარ? — ორჭოფულად გამოექომაგა ლაშას თამადა.

— რა ყოფილხარ და... წყნეთელი რაში! — იმავე კილოზე უპასუხა გივიმ და ლაშას მიუბრუნდა: — ხუმრობა იქით იყოს და ზეინაბს მაინც ნუ გააწბილებ.

— რა გაეწყობა. ზეინაბის ხათრისათვის მზად ვარ ისევ ჩაეწყოს ბომბები ჯიბეებში, — ღიმილით თქვა ლაშამ, ოდნავ შევერცხვლილად თმის სწორებით ბუხრისაკენ პირი იბრუნა და მცირე სიჩქარით შეეძვრა გვერდსა მისი მშვიდი ხმა:

ჩაფხან დაღუშქელიანი

მთვარე არ ჩანდა, მაგრამ ცა ისე კრიალებდა და ისე იყო მოკენჭილი ვარსკვლავებით, რომ წითელი ვაშლებივით მსხმოიარე უზარ-მაზარ ხეს გავდა.

მოვარვარე მზისაგან დარჩენილი თაკარა ჯერ კიდევ ვერ გაენელებია კოჯრის ნიავს და როგორც ახლად ჩამჭრალ ხანძრის ალაგას, ქუჩაში სუნთქვა ჭირდა.

მაინც გარეთ უოფნა გულს უფრო გვრიდა შეებას და თეთრით მოსილი ხალხი ფარებიდან უეცრივ გამოორეკილ ცხვრის ფარასავით მიყვებოდა ვიტრინებიდან გამოცემულ შუქს.

მეტადრე დიდი ფუსფუსი იყო ახალი კლუბის ალაყაფთან, სადაც ჩემმა მეეტლემ ისე ერთბაშად შეაჩერა დაოთხილი ცხენები, რომ მათ ნალებს ნაპერწყლები ავიარდა.

წინასწარ განდობილ მეეტლეს გარეშეთათვის თვალის ასახვევად ფული მივეცი, თანაც ვანიშნე — შორს არ წასულიყო, და მტკიცე ნაბიჯით შევედი ალაყაფში.

კლუბის კართან უნებურად ჯიბე მოვისინჯე და ვიგოძენი, სახე ამელანძა, მაგრამ ისევ მალე მივიღე უდარდელი იერი.

მარმარილოს საფეხურებზე ნელა ამავალს წინ გამომეგება თვალწარმტაცი და უცხო სილამაზის მქონე ქალი. პირველად მეგონა, თითქოს ეს ქალი მეორე კიბიდან ამოდოდა ჩემთან შესახვედრად. დავაკვირდი: ქალს ლოყებზე სიმკრთალე დაკრავდა, ხოლო ღაწვებზე ოდნავ ლალი უჭვიოდა. ქერა გრუზა თმა ზევით ქონდა ავარცხნილი და ერთი-მეორეზე გადაბმული წარბები ნათელ მაღალ შუბლზე მწყურის ფრთებივით საფეთქლებამდე გშლოდა. მოლისფერი დიდრონი თვალეები საოცრად გრძელი წამწამებით ციავ სხივებს ისროდენ. მის მოგროძო სახეს უფრო მიმზიდველს ხდიდა ორკაპი ნიკაპი და ცოტა სქელი, დამუწული ტურები. სათუთი ცხვირის ნესტოები პეპელასავით უთრთოდა. ჩალისფერ კაბაში შოლტივით მოქნილი ტანი არც-კი ერხეოდა.

ეს სურათი უფრო მერმინდელი შექმნილი და მოგონების ნაყოფია, თორემ მაშინ ასე ზედმიწევნით მისი გარეგნობის აღწერისათვის არც დრო მქონდა და მით უმეტეს არც სურვილი.

მხოლოდ საოცარი ის იყო, რომ მისმა დანახვამ უნებლიედ შემაჩქეფა. მაგრამ მალე, პირისპირ შეყრის მაგიერ, ქალმა ღიმილით გვერდი ამიარა და მოჩვენებასავით გაქრა.

მასთან ერთად თვალს მიეფარა ჩაფხან დადუშქელიანიც, რომლის ორეული სულ ბოლოს შევნიშნე ჩემს წინ, კიბის მოსახვევთან, მთელი კედლის სიფართოზე დაკიდებულ სარკეში.

იმავე სარკეში გვიან შევამჩნიე ჩემი ლანდიც და ვერცხლქუჩის გამომეტყველება.

კლუბის ბაღში ენინიანი ერიამული იღვა.

ერთავად ისმოდა ნაირად მორთულ ქალების კისკისი და ერკემლებით მოსიარულე ოფიცერთა დეზების წყარუნი.

პაერი გაფლენთილი იყო ყვავილების და ვარდის წყალში ნაბანი ქალების სურნელებით.

გაენაპირდი.

ამდენ ქალ-კაცის ხორბოცი თანდათან გულს ზიზღით მიმქვალავდა.

იმავე დროს, თვალწინ მესახებოდა მუშათა უბნები ჩაბნელებულ ვიწრო ქუჩებით და კერდაბალ ქოხებით, სადაც ბავშვებს ძილშიაც-კი ენატრებოდათ ხმელა პური. მერმე ფრონტი მომაგონდა მთელი თავისი საშინელებით და ფარცაკი ცეცხლით. და ვფიქრობდი: ახლა ამ წუთს ვინ იცის, იქ რამდენ ვაჟკაცს ყორნები კორტნიან თვალებს, რამდენს სდიბთქიალით სისხლი, რამდენს უჭირავს ყუმბარის ნატეხით გადმოყრილი შიგანი საკუთარ ხელით, უკანასკნელად ეძახის დედას და ერთი წვეთი წყალი სიცოცხლეს ურჩევნია.

აქ-კი ნამდვილი ღრეობა გაუმართავთ, რომ შემდეგ ნასუფრალი მათ საჩუქრად გაუგზავნონ.

ფიქრებიდან გამომარკვია მეყსეულად დარხეულმა მუსიკის ხმებმა.

ხალხში გარევა დავაპირე.

უცებ მკერდზე მომხვდა ვარდი, რომლის დაჭერა არც-კი მიცდია. ძირს დავარდნილ ვარდს ფეხი დავაბიჯე და გზა განვაგრძე.

კარგახანს ვიარე ცალკედ.

დროდადრო გამახვილებულ მზერას ბაღს მიმოვავლებდი, მაგრამ ვისაც ვეძებდი, ჯერ არსად ჩანდა.

ერთხელ, ასე მზვერავი, წინ შევეჩეხე სარკეში ნახულ ქალს და მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ეს ქალი იყო გენერალ ლაზარევის შვილი, რომელსაც, როგორც ეორონცოვ-დაშკოვის ნათლულს, უფრო ბევრი იცნობდა.

ქალი მკლავდამკლავ მოყვებოდა შალიაპინს, გამოჩენილ რუს მომღერალს, ხელში ეჭირა ომში მოკლულ ჯარისკაცის ქუდი. შალიაპინის გარდა ქალს ახლდა შავ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, იშვიათი თვალტანადობის ჭაბუკი — ჩაფხან დადუშქელიანი და რამდენიმე ქალისა და ოფიცრის ამაღა.

ქალმა უცნაური ღიმილით შემომანათა თვალები.

— გოთხოვთ დაეხმაროთ ომში დასახრჩობულებს.

ქალის ხმამ, — ცოდვა გამხელილი ჯობია, — უხილავი თანხებით შემოქა, მაგრამ მალე ვძლიე მის ჯადოს, ოქროს თუმნიანქვედ-ბრეწვად შალიაპინს ფულით უკვე საესე ქუდში და სწრაფად წავედოქროსა

სათქმელად მომზადებული მადლობა ქალს ბაგეზე შერჩა.

მარტო დადემქელიანმა შეამჩნია, თუ როგორ გაუხარდა ქალს ჩემი დანახვა და შევატყუე შურით აღიესო.

სენამა ღაზო თვალი გამაყოლა.

მე ალაღბედზე გავსწიე ზევით, ყვავილოვანი ტერასებით, როგორც მაშინ ეძახდენ, „ოქროს ჩარდახისაკენ“.

ჩარდახი გაჩირაღდნებული იყო.

ფათალოთი შეფოთილ სვეტებზე ფერადი შუშის სანათურები ეკიდა. შიგ შესვლისათანავე თვალში მეცა თანდარმთა პოლკოვნიკის დრაგომიროვის სტაფილოს მსგავსი უღვაშები.

უცებ ცივმა ოფლმა დამახსა.

არ ველოდი, თუ იქ შევხვდებოდი მას.

დავიბენი, მაგრამ ეს იყო წუთით.

დრაგომიროვის გარდა, დიდ მოგრობა და ლურჯ მაუდ გადაკრულ მაგიდას უსხდენ სოლოლაკელი სოვდაგრები.

ვიღაც ადგა წელმოწყვეტილი და მისი ალაგი მე დაეიკავე.

კარტის თამაშში ჩემი ჩარევა ყველაზე უფრო არ ეჭაშნიკა ქალაქის მოურავს ხატისოვს.

დრაგომიროვმა, რომელიც სტოვებდა ბავშვების მიერ ყვითელი თიხით ულაზათოდ გაკეთებული კაცის შთაბეჭდილებას, ჭიჭის წვრილი თვალები ერთი უტიფრად მომაყარა, მერე ხატისოვის წინ დახვავებულ ფულს შეხედა და გაბიჟვინებულ თითებით უღვაშები გაისწორა.

ძალისძალად ვითმენდი მის ახლოს ყოფნას. ან-კი როგორ შემეძლო მშვიდათ მეცქირა იმ კაცისათვის, რომელიც მთელი სისასტიკით არბევდა არალეგალურ წრეებს, მუსრას ავლებდა რევოლუციონერებს და მეტეხის ხარობებში ყრიდა მათ. დრაგომიროვი ცდილობდა არალეგალური ორგანიზაციებიც ხელში ჩაეგდო, კვალი მიგნებული ქონდა, მაგრამ მისი გუმანი უკვე ვიცოდით და დღეს იქნებოდა თუ ხეალ, სამაგიერო უნდა მიგვეზლო.

საჭირო იყო დრაგომიროვი ისე აგველაგმა, ისე მოგვეხერხებია მისი მოკვლა, რომ ამ ისტორიულ აქტს მიცემოდა შემთხვევითი ხასიათი და ბრალიც მარტო ერთს დადებოდა.

და ჩემი გონება მოცული იყო ერთი ფიქრით: რით გამომეწვია მისი რისხვა, რომ სხვების თვალის ასახვევად საბაბი მქონოდა იქვე მომეყვანა დაეალება სისრულეში.

„ოქროს ჩარდახი“ ამ მიზნის განსახორციელებლად ყველაზე უფრო დასამზარ ალაგად მომჩვენა.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

კაფანდარა კრუპიემ გამოაცხადა ბანკში დაგროვილ თანხას რაოდენობა.

დარიგდა კარტი.

მოგების სურვილი მეტოქეებს აშკარად გამოეხატათ, სახეზე, მაგრამ ხატისოვმა ზედიზედ დაამარცხა ისინი.

ჩემმა ჯერმაც მოაღწია.

— ხუთი თემანი, — უხალისოდ დავეძახე.

ხატისოვს მჭირდავმა ღიმილმა შეუჩხია მოკუმული ბაგე.

წავაგე.

ხატისოვმა კრუპიეს ჩოგანი გამოართვა და ჩემგან მოგებული ფული ხელუკულმა მიცა იქვე მდგომ ლაქიას, რომელიც დროგამოშვებით ქალაქის მოურავს ლანგარით აწვდიდა ხილს და მალაღფეხიან კიქას, საცხეს უნულზე გაცივებულ შამპანიურით.

დრაგომიროვს ხმამალა გაეცინა.

ლაჩარი ყოველთვის გმირია მაშინ, როცა მის მტერს ხელემა შეკრული აქვს, — გავიფიქრე მე და თვალემა ნაკვერცხლებად შექცა, მაგრამ თავი შევიკავე.

ბანკში უკვე ას თემანზე მეტი იყო.

ხელახლა დაარიგეს კარტი.

კვლავ წააგო:

პირველმა.

მეორემ.

მესამემ.

მეოთხემაც.

ჯერი ჩემია.

შევყოყმანდი.

ათასმა აზრმა გამიელვა.

რა კარგი იქნებოდა, ხატისოვის ნაცვლად ამ კიდილში დრაგომიროვი მყავდეს მოქიშვედ, — ვინატრე ჩუმად, — მაშინ ყველაფერი იოლად მოხდებოდა.

პარტნიორები თვალს არ მაშორებდენ.

ჩემსკენ აღმაცერად მაკჭერალი ხატისოვი შამპანიურით ისველებდა გაფიცებულ ტუჩებს.

ჩარდახში უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა.

მუსიკის ხმაც რაღაც ძალიან შორიდან მოდიოდა.

ფათალოს ფოთლებსაც მოძალეებული კოჯრის ნიავე სხვანაირად აშრილებდა.

— ბანკ!

გაისმა იჩქითად ქალის ხმა და გულმა დარეკა.
 ვიგრძენი: ჩემს უკან იდგა მეფის ნაცელის ვორონცოვის ნათლული,
 რომელიც ცალი ხელით მხარზე მსუბუქად დამყრდნობდა.

მე თავიც არ ამიწვევია. ვიჯექი გარინდებული.
 სხეები ვაოცებით უცქეროდენ ჩემს ჭომაგს.
 სწრაფად წამომდგარი დრაგომიროვი მხედრულად მიესალმა ქალს და
 მისი რილით ახლა მეც მოწიწებით გადმომხედა.

დანარჩენებიც გაიმსქვალენ ჩემდამი კრძალვით.
 ზოგს ალბათ ქალის მურაზი ვეგონე, ზოგს თვით ვორონცოვ-დაშკოვის
 მახლობელი, ზოგსაც მოეჩვენა, რომ ხელმწიფისაგან ახლადმოვლენილი
 დიდი კაცი ვიყავი, რომელსაც, მათი ფიქრით, საერო ტანისამოსი იმ სა-
 ლამოს განგებ მეცვა.

ხატისოვი შედრკა: საწინდრის მოთხოვნა ველარ გაბედა.
 — დაარიგეთ! — ნაძალადევი ღიმილით ესროლა მან კრუპივს.
 მეტი გზა არ იყო: კარტი მშვიდად ავიღე.
 ხატისოვი თვალეზად იქცა.
 მთელი კრებული მოუთმენლობამ შეიპყრო, — ყველა გაცეცებული
 მომჩერებოდა.

ლენჩივით მდგარ კრუპივს ფულის სახვეტი ჩოკანი ჰაერში დარჩა გა-
 წვდილი.

მეგონა სხვისი ხელები მება: უეცრად გამხმარი და ფრჩხილებ-გათეთ-
 რებული თითები აღარ მემორჩილებოდენ. როგორც იყო, კარტებს თავები
 მოვუსინჯე და ისევ მაგიდაზე დავაწყე, მერე პორციგარი ამოვიღე, ასანთს
 გავკარი. და ერთი მოწვეით პაპიროსი შუამდე დავიყვანე. მოლურჯო
 ბოლი ჩემს წინ გრძელ-ღერიანი ყვავილივით აიშართა. ენით გამოუთქმე-
 ლი სიმსუბუქე ვიგრძენი.

ქალის მკერდს თავით ვეხებოდი და მისი აჩქარებული სუნთქვა ჭო-
 ჩორს მირხედა.

— გაშალეთ კარტი, — ველარ მოითმინა ხატისოვმა.
 — თვითონ გაისარჯეთ, — დაუდევრად ვუპასუხე და კარტი მივაწოდე.
 ხატისოვს ცოფი მოერია, მაგრამ შეურაცყოფაზე უფრო ცნობისმო-
 ყვარეობამ ძლია და კარტი გაშალა.

— ო-ო-ო-ო, — ერთსა და იმავე დროს აღმოხდა ყველას.
 ნახევრად მოხუჭული თვალეზი ფართოდ გავახილე და ჩემს კარტს
 დავხედე.

— მოვიგეთ! — ეყენებიანი ხმით დაიძახა ქალმა.
 მე დიდხანს ვიყავი მდუმარედ, ბოლოს კრუპივს ჩოკანი მოვთხოვე და
 საბე მოლრეცილ ხატისოვის უკან სვეტად ქცეულ ლაქიას დავუძახე.
 ლაქიამ დაუყოვნებლივ მოიბრინა ლანგარით, ალბათ ეგონა, შამპა-
 ნიურს ვთხოვდი.

მარცხენა ხელით ლანგრიდან ყველაფერი ძირს გადაევსე, მერე ჩოკანით ფული ავხვეტე და გაკვირებულ ლაქიას ზედ დავეყარე. ამაყად წამოვდექი, მაგრამ წინ დრავომიროვი გადამედგინა ნულოვანი — რას შერებოთ, თქვენო კეთილშობილებავ, ამდენი ცხელი სანთელი როგორ შეიძლება!

პოლკოვნიკს ზიზღით ვკარი გულზე ხელი.

უჩვეულო ჩოჩქოლი შეიქნა. ვიდრე სახტად განზე გამდგარი დრავომიროვი გონს მოვიდოდა, სარკეში ნახული ქალით ჩარდახი დავტოვე.

მეგონა, ენდარმთა პოლკოვნიკი, განთქმული თავის სიმკაცრითა და ვერავგობით, არ მაპატიებდა ამ დამცირებას და თვალი უკან მგვირა, მაგრამ მღვეარი არ ჩანდა.



მეფის ნაცვლის ნათლული თვინიერი ნიამორივით მიმყვებოდა კვიმატ ფიქრებში გართულს.

ქალს აღიზიანებდა და თანაც იზიდავდა ჩემი ურჩი და უკმეხი ქცევა.

— უცნაური ყოფილხართ, — მითხრა მან ტკბილად, — უცნაურია ჩემნი შეხვედრაც, მაგრამ მე კმაყოფილი ვარ ამ შეხვედრით. ასეთი რამ ჯერ არასოდეს არ მიგონებია სხვა მამაკაცებთან, რომლებიც ფარვანებივით მუდამ გარს მეხვევიან და მზად არიან ჩემი ნატერფალი ლოკონ, მაგრამ ისინი მე მიყვარს, როგორც უყვართ მხოლოდ კარგი ძაღლები.

მცირე სიჩუმის შემდეგ, ჩემდა გასაკვირად, ქალმა შიამიტი ხმით კვლავ განაგრძო ლაპარაკი, საიდანაც ბუნდოვანად გავიგე, რომ ის პირველ ხანებში ცოტა სხვანაირად ებყრობოდა თურმე სევან თავადს. ქალი მოუხიბლავს დადემქელიანის გარეგნობას და ზრდილობით დაოკებულ მის ველურ ბუნებას, მაგრამ მალე ჩაფხანში მარტო ხვადი დაუნახავს, რის შემდეგაც მასზე გული აუყრია. ქალს ხანდახან თუ იამებოდა მასთან ყოფნა, მეტწილად-კი მობეზრებული ქონია მუნჯი თავადის უტყვი ტრფიალი.

ეს შეუტყვია დადემქელიანს და ბარათით გაუმხელია ქალისათვის თავისი ალალი სიყვარული. იქვე დაწვრილებით ყოფილა მოთხრობილი გიმნაზიაში ორძელეზზე ვარჯიშობისას სევანის ძირს ჩამოვარდნის ამბავი, რის დროსაც დაკარგვია მას მეტყველების უნარი, მაგრამ ქალში ამ ბარათს მხოლოდ სიბრაღული აღუძრავს მისდამი.

ქალი მიხვდა, რომ მე მაინცადამაინც არაფრად მაინტერესებდა მისი აღსარება და გაჩუმდა.

კარგახანს ვიარეთ ასე უბრაოდ ბალის ზევითა მხარეს, მომცრო ხეივანში.

ქვევით ისევ ლალობდენ.

— თქვენზე მე ნაწყენი ვარ, — დაარღვია ქალმა სიხუმრე და თავი დახარა.

ერქონულნი

— რატომ? — გულუბრყვილოდ ვკითხე და შეეჩინა.

— როგორ თუ რატომ! — გაიოცა ქალმა. — როცა პირველად დავინახე სარკეში, სიხარულით ცა გამეხსნა, მაგრამ მერე რა! ჩემგან მოძღვნილი ვარდი გათელეთ, ჩემს ბედზე მონაგები ფული ლაქიას აჩუქეთ, მამიჩემის მეგობარი დრაგომიროვი შეურაცხავით, არ კმარა? თქვენი გულისათვის რა არ ჩავიდინე ამ საღამოს, უცხო კაცს გულიც გადაგიშალეთ, თქვენ-კი ორი სიტყვეც არ გემეტებათ ჩემთვის! — ქალი პირისპირ დამიდგა და ვნებიანი ჩურჩულით მითხრა: — უმადური ყოფილხართ, ღმერთმანი.

სხვა დროს, სხვა გარემოში ალბათ ბედნიერად ჩავთვლიდი თავს მეცქირა მის ლურჯად მოკიაფე თვალებში, მაგრამ ახლა, როცა მისი მეოხებით განზრახვა ლამის ჩამეშალოს, — ვფიქრობდი მე, — როცა ასეთი დიდი მოვალეობა მაწევს, რა უფლება მაქვს საკუთარ გრძნობებს ავყვე!

ჭკუამოკლე ხალხი ცდილობს რაც შეიძლება გადასდოს არასასიამოვნო საქმის გაკეთება. ასე დამემართა მეც, წინდაუხედავად მოვიქეცი, ჩარდახში უნდა გავსწორებოდი მტერს, — ვუსაყვედურებდი თავს. — მაინც რას ამეკვიატა ეს ქალი, იქნებ შემოჩენილია? — გამიელვა უცებ, მაგრამ მისმა უზადო გამომეტყველებამ მალე გამიქარვა იქვი.

ამასობაში ქალი სულ ახლო მოვიდა ჩემთან. მისმა სუნთქვამ და ტანის სითბომ ნებისყოფა მომიდუნა, საგნების ცხადად დანახვის უნარი დამიკარგა.

ძარღვებში ბადაგი ჩამიდგა, ტკბილი და ბრუნდამხვევი.

წელზე ხელი მოხვეიე და ღონივრად მკერდზე მივიკარი.

ქალმა თავი გვერდზე გადაიგდო და თვალები შინაბა. გაშმაგებული მხურვალედ დავეწაფე მის ბაგეს...

ლაშას ერთბაშად გაახსენდა, რომ ჩვენს შორის ზეინაბი იყო და ბავშვივით გაწითლდა. უხერხულობის დასაფარავად დარცხვენით თქვა:

— მე მგონია, ცოტა გადავამლაშე.

— სრულებითაც არა. პირიქით, მე მოხარული ვარ, რომ ჩემი თანადასწრებით ასე დაწვრილებით და გულწრფელად ყვები ამბავს, — გაამზნევა ლაშა ზეინაბმა და შარბათით საესე სასმისი შიაწოდა.

ლაშამ გაბრწყინებული თვალებით ჩამოართვა სასმისი, ცოტა მოსეა და განაგრძო:

— ერთიმეორის აღერსით თავდავიწყებულებს უეცრად მოგვესმა:

„ღმერთო ფარვიდე მეფესა“...

მთელი ბალი გუგუნებდა. ამ გუგუნში ზარვიით რეკდა შალიაპინის ხმა. უსიამო ერუანტელმა დამიარა.

გამოეფხიზლდი.

ქალი ცივად მოვიშორე და დაუფიქრებლად ბილიქს გაეხედე:

დადღეშქელიანი აფთარის შემპარავე ნაბიჯით გვიახლოვდებოდა. მუნჯმა ჯერ მახვილი მზერა, როგორც ბოძალი, მე მტყორცნა, მერე სატყვარის ვადას ორივე ხელი მაგრა ჩაჭიდა, ქალის წინა წინა მხარე მოიდრიკა და მიახვედრა, რომ შალიაპინისაგან იყო მოტყუვებული. მსგავსი ნილი.

— წადი, მოვალ! — მკეახედ მიახალა ქალმა და ჩამოცვენილი კულულები გაისწორა.

ზეიადი სვანი დატუქსულ მწვეარივით გაბრუნდა.



ჩვენც მალე დავტოვეთ ხეივანი.

ბაღში თითქმის აღარავე იყო მოსიერნე. მაგიდებს უსხდენ ყველანი. ბროლის სასმისებიდან შამპანიური უმშუნით ისროდა შეხედებს.

დაგვინახეს თუ არა, მყისვე შეწყვიტეს მზიარული ხმაური.

ყველა იშვიათ ლუწს გვიცქეროდა.

მე უხერხულობა ვიგრძენი, ქალმა სიამაყე.

გვიან ამოსული მთვარე ნარიყალაზე ვერცხლის ფარივით ეკიდა.

შალიაპინმა სწრაფად მიატოვა მაგიდა და ჩვენს შესახვედრად გამოემართა.

ღეზებიც აწკარუნდენ.

— მოგვკლა ლოდინმა, უთქვენოდ ყველაფერს ლაზათი დაეკარგა. — სიცილით უსაყვედურა შალიაპინმა ქალს და ხელზე აკოცა. შემდეგ მე მომიბრუნდა:

— გთხოვთ გვეწვიოთ.

ქალმა ფარული მუდარით შემომხედა.

ამ დროს თვალი მოვკარი ბალიდან მიმავალ დრაგომიროვს.

— მადლობელი ვარ, მაგრამ მეტხანს დარჩენა არ შემიძლია, უნდა გეახლოთ. — შეკავებულ ღელვით ვუპასუხე შალიაპინს და ქალს დავეშვიდობე.

შეწყუბებულ ქალს ხმის ამოღებაც არ ვაცალე, ისე სწრაფად გავშორდი. მანდილოსნებმა ლორწეტები მოიმარჯვეს.

„ოქროს ჩარდახის“ უნებური გმირი, ყოველ მხრიდან ვგრძნობდი ცნობისმოყვარე თვალებს, მაგრამ ერთხელაც არ გამოხედავს განზე, არც სიარული შემინელეზია, მხოლოდ უკანასკნელად მოვიხედე უკან: მეფის ნაცვლის ნათლული გაფითრებული სახით იყურებოდა ჩემსკენ.

დარწმუნებული ვიყავი, რომ მას ვერასოდეს ვერ შევხვდებოდი კიდევ და სინანულმა ბჭყალი გამკრა.

მაგრამ რა დროს სინანული იყო!

ყოველი წუთი იმ ქალის წონა ოქროდ მიღირდა.

სწრაფად დავეშვი კიბეზე.

წინ არაეინ შემხვედრია.

კლუბის ტალანებში ისმობდა მხოლოდ ჩემი აჩქარებული ფეხის ხმა.

გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა, უკვე ვეღარ ჩახსოვდნენ ქალი-ჩემი გონება ახლა მოცული იყო ერთად-ერთი ფიქრით: დრაგომიროვი ხელიდან არ გამსხლტომოდა.

როგორც-კი გავეცდი კლუბის კარებს, თვალი მომკვეთა მთვარის შუქზე ორლესულის პრიალმა, მაგრამ რალაც ძალით მოვასწარი უკან დახვევა და მომარჯვებული რევოლვერი მტერს რამდენჯერმე ვესროლე. დაღეშქელიანს სატყვარი ხელიდან გაუვარდა.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).



გ. ქუჩიშვილი

სამი ლექსი

1. მუსიკა და კოფინა

ორი რამ არის
ჰანგთა მთესავი,
კაცობრიობაც
ორივეს ჰყვარობს;
ორივე შემრგოა
დედის რძესავით,
გულიც მზესავით
დარობს და ხარობს.

აი, ეს არის,
ეს არის ის რაც
შობს შემოქმედთა
უღვინო თრობას
და თუ ეს წყარო
დაწყდა, დაგვიშრა,
უმალ თან მოჰყვეს
ჩვენი გაჭრობაც.

2. დედას

რა დამავიწყებს
დალუბულ დედას,
მის ტანჯულ სახეს,
კრემლებით ნაბანს?
შუალამისას
მოვა, დამხედავს,
შემომიკეცავს
ვადახდილ საბანს.



ეროვნული
წიგლმწერთა კავშირი

„არ გამიცვიდე,
შენ დაგენაცვლე“...
მომიაღერსებს,
მოხრილი წელში;
ამომიკეშსავს
დახეულ საცვლებს,
გადამკოცნის და
გაპჭრება ბნელში.

ახ, ნეტავ აღარ
მელეიძებოდეს,
ჩემთან რჩებოდეს
დედიკოს ჩრდილი;
ვეფერებოდე,
მეფერებოდეს
და არ მწყდებოდეს
გული სიკვდილით.

3. ნორჩ თაობას

ველის ყვავილებს ვადარებთ,
ყვავილნო, ფეხადგმულეზო;
ხან კლასში ვხედავთ, ხან გარედ,
ლექსივით ფრთა-ასხმულეზო!

მახარებთ, რადგან მაგონებთ
მეც რომ ვიყავი პატარა;
მხოლოდ ერთი რამ მალონებს:
სკოლაში არეინ მატარა.

დღეს ყველასათვის ღიაა
საბჭოთა სკოლის კარები
და მეც რომ ბალღად მაქცია
მოწაფედ მივებარები.



გიორგი კახანიძე

ს ა ნ ა კ ი რ ო ქ უ რ ა

ხშირად მინახავს, აქ, მტკვრის ნაპირას,
ნაგავს ფანტავდენ მეეზოვენი.
იყო სინესტე და გასაკვირად
მიწა ნიადაგ ყარდა სოველი.
მარტის თვე როცა სუფთა ქალაქში
იყო ხალისის კარის გამღები,
აქ, მტკვრის ნაპირას, დიდი ვანგაშით
იკრიბებოდენ უბნის ძაღლები.
გაუმაძღარნი მიწას უნოსავდენ,
ურთერთს უმზერდენ ღრენით, გინებით;
ძვლებს პოულობდენ და მზის ჩასვლამდე
ღრღნიდენ... მაგარი ჰქონდათ კბილები.
კვალი არ ჩანდა კაცის გონების,
ანადგურებდენ ძვალთა თაობებს.
ხარბი თვალის და გულის მქონენი
ერთი კანჭისთვის ხშირად დაობდენ.
თითქოს ანთებდათ მტკვრის ხმა; დუდუნი,
ჩხუბს დასასრული დიდხანს არ ჰქონდა;
იყო შეხლა, და ბოლოს წკმუტუნით
დამარცხებული სადღაც გარბოდა.
ჩვენი წარსულის ეს მოგონება
არის მრავალის თვალით ნახული,
მაგრამ პოეტის ნათელ გონებას
შუქი ამაღლებს სხვა გაზაფხულის:
მახსოვს, ბრწყინავდა იმ წელს აპრილი,
ედო ცისფერი მაღალ ჩინარებს,
იზღუდებოდა ბევრგან ნაპირით
მტკვარი, აშლილი სახის მდინარე;
თითქოს უნდოდა ზღვისკენ დაგეშილს
სადმე ვეება არხის გაყვანა...
გაზაფხულდა და ვერის ბალებში
თეთრად ალუბლის კვირტი აყვავდა.

ჩვენ შევიკრიბეთ მჭრელი ბარებით,
 ხელის მოცემას ბევრი დაგვიბრდა,
 მიწა გავსინჯეთ ქვიშანარევი
 და გავიბრძოლეთ აქ, მტკერის ნაპირთან.
 ცამ დაგვანახა გული ძმობილის,
 დიდხანს ამინდის შექმნა იკისრა...
 დავსცხეთ, გავხადეთ კეთილშობილი
 ჭუჭყით დამჭკნარი პირი მიწისა.
 იმ წელს, იმ თვეს და ბევრ შაბათობას
 ახლაც განვიცდი, ახლაც ვიგონებ;
 თვალნი უჩანდათ გულის მნათობად
 ჩვენი დღეების დამკერულ გოგონებს.
 მათი მიმოხერა ღირდა ოცნებად...
 ფიჭის სიჭაბუკის ქარში ვუშვებდით...
 ძალას ვხარჯავდით, და ჩვენს მოქცევას
 კმაყოფილებით ჰქვრეტდნენ მუშები.
 არ გვეძრახებთ, ალბათ, მიხვდებით:
 ჭაბუკები ვართ, გვიყვარს სიმწვანე,
 ხმა სიყვარულის, გაშლა კვირტების
 და სიხარულის შექმნა მიწაზე.
 სხვა დროს, სხვა თვეში აქ, მტკერის მახლობლად,
 ვრგავდით ყვავილებს ნამით დანარწევთ,
 ვქმნიდით ხეების კარგ მოსახლობას
 და სანაპირო ჭეჩხა მოვაწყვეთ.
 იგი, მოზრილი მძიმე რკალივით,
 მტკვართან ტფილისის ფიჭურებს გადაშლის...
 ფრთხილად ამ ქუჩით ავტო გაივლის
 და ტვირთს წაიღებს ყველგან ჭალაქში.
 აქ ჩვენც მოვალთ, და სიოც გაირბენს,
 საღამოობით ვიგრძნობთ აგარაკს;
 ვნახავთ ხეივანს, ლამაზ იივნებს
 და გაგვიღიმებს მტკვარი ანკარა.
 ცა და გარემო მოგვეწონება,
 აზრის ქვეყანას გავზრდით დილისთვის,
 დავკრეფთ ვარსკვლავებს, ვეტყვიტ ცხოვრებას:
 „როგორ მაღლდებით, გვათბობს ტფილისი“.
 გულს მოვიჯერებთ... ალბათ, მიხვდებით:
 ჭაბუკები ვართ, გვიყვარს სიმწვანე,
 ხმა სიყვარულის, გაშლა კვირტების
 და სიხარულის შექმნა მიწაზე.

ი. ლიოხელი

თანამედროვე პრეტნიკები

თ ა ვ ი მ ე ო რ მ *

1920 წელი რევოლუციისათვის მთელი რიგი ბრწყინვალე პოლიტიკური და სამხედრო გამარჯვებით აღინიშნა. ამა წლის იანვრიდან დაიწყო თეთრი არმიების საბოლოო ლიკვიდაცია. უკვე თებერვლის შუა რიცხვებში მოხალისეთა განადგურებული არმია, ყირიმის ნახევარ კუნძულზე გარიყული, წელმოწყვეტილი გველივით იკლაკნება.

მარტის დამლევს წითელმა არმიამ შემუსრა კონტრ-რევოლუცია ჩრდილოეთ-კავკასიაში.

ისტორიის მიერ განწირული რუსული ვანდუა დაეცა, რევოლუციამ საბოლოოდ გაიმარჯვა.

რუსეთის მიწა სისხლით განიბანა; მის ნაოხარ, დახეთქილ მკერდს გაზაფხულის მზე ვნებით ჩაჰკეროდა.

მალე სამხრეთით უძველესი რევოლუციონური ცენტრის — ბაქოს პროლეტარიატმა აღმართა აჯანყების წითელი დროშა. ბაქოს ახსოვდა უწმინდესი სისხლი, ზღვას გაღმა ცბილე უდაბნოში უწყალოდ დაღვრილი.

აღმართა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა.

ჭრება სამუდამოდ ბაქოს მიზგითებისა და მუსულმანურ სასახლეთა მწვერვალებიდან ქალაქს ირიბულად დამყურე მცხრალი მთვარის ემბლემა. განთავისუფლებულ ბაქოს ახალი სასიცოცხლო ძალა უნდა მიეცა რევოლუციისათვის. რევოლუციონური ქვეყნის სახალხო მეურნეობას ხარბად უნდა შეესვა ბაქოს მსუტან გულიდან მომდინარე შავი წყარო.

მღელვარე აღმოსავლეთი მშვიდდება.

ვოლგის გაღმა უსაზღვრო ველია, უფრო შორს — თეთრი ურალი, იმას იქით — ციმბირის ტაიგა. ტაიგის დასასრულს, თებერვლის ცივ ღამეში, რევოლუციის სახელით დახვრეტილ იქნა რუსეთის „უზენაესი მმართველი“, კოლჩაკი. ციმბირის დიდი რკინისგზის სადგურებზე მზესუმზირას

გამყიდველი ბიჭები თუ იგონებდნენ თავის დროში ხალხს მიერ ვადადებულ მართველს:

Мушдир англйский,
Табак японский,
Погон российский,
Правитель Омский.

ერეკონული
გინგლიჩოთქა

რევოლუციონურ პეტროგრადთან ფრთა-მოტეხილი ყორანივით ატუხული იუდენიჩი ბალტიის ჭაობის ნისლში სამუდამოდ გამჭრალიყო.

საერთაშორისო ძალთა განწყობილებაც რესპუბლიკის საკეთილდღეოდ შეიცვალა. დაიმსხვრა მსოფლიო ბურჟუაზიის ბლოკადა და ინტერვენცია.

რევოლუციის აღზნებული თვალი აღმოსავლეთიდან ევროპის გულში ვნებიანად იყურება.

საბჭოთა რუსეთი ოქტომბრის რევოლუციით განთავისუფლებულ შეზობელ ერებს სამშვიდობო წინადადებით მიმართავს. ამას ეხმაურებიან უპირველესად ესტონეთი, შემდეგ ლიტოვეთი და ფინეთი.

საქართველოში ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციის უნიათო, საბრალო ამინდი იდგა...

შუა აზიის ღია კარებში შედიოდა უდიდესი რევოლუცია და იქაურ მზეს რევოლუციონური ცეცხლის ალის მხურვალეობაც ემატებოდა. რევოლუცია მისცემს ამ დამწვარ მიწას უწმინდეს ნამს, ხოლო ოდითვე მოხეტიალე ნომადებს — ადამიანობასა და ბინადრობას.

თვით რესპუბლიკაში 1920 წ. გაზაფხულზე მომხდარი მე-9 პარტიული ყრილობა რევოლუციის ძირითად ამოცანას ხედავს „უსისხლო ფრონტზე“ გადასვლაში. ამაში იგულისხმება იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებისაგან განადგურებული მრეწველობის ფეხზე წამოყენება და სოფლის სამეურნეო აღორძინება. ამ დროს ხდება წითელი არმიის ზოგიერთ ერთეულების შრომის არმიებად გარდაქმნა.

ღელავს მხოლოდ რესპუბლიკის დასავლეთი საზღვარი. თითქოს შავ ღრუბელივით იშლება ისევე ლანდი მსოფლიო კაპიტალის ინტერვენციისა. ამ საზღვარზე ამჟამად იმუქრება პოლონეთი.

ასეთი იყო საერთო მდგომარეობა, როდესაც № დივიზია დაბანაკდა მდ. ენისეის მარჯვენა ნაპირზე, მინუსინსკის რაიონში, სადაც ციმბირის უდიდეს მასივს ვნებიანად ეხეთქებიან ცენტრალური აზიიდან მონღოლეთის ცხელი და ზრიოკი უდაბნოები. № დივიზია კოლჩაკის წინააღმდეგ ძლევამოსილი შეტევის სახელოვანი მონაწილე იყო. იგი შეიქმნა 1918 წლის ზაფხულის დრამატულ დღეებში. რევოლუციონური ბრძოლის უწმინდესი ნათელა მას მიეღო ჩეხებსა და თეთრგვარდიელებთან თავდადებულ ბრძოლაში ქ. ყაზანთან.

ამჟამად ხდებოდა წითელი არმიის რკინის ლეგიონების ორგანიზაცია საეალდებულო სამხედრო წვევის საფუძველზე. პარტიული თუ პროფესიონალური მობილიზაციით გაწვეული მუშები უხვად ერთვოდნენ № დივი-

ზიის რიგებს. მასში კომუნისტური პარტიის 3.500 წევრი ითვლებოდა და ეს ის ბირთვი იყო, რომელიც შინაგან სიმტკიცესა და რევოლუციონერ აღმაფრენას აძლევდა სამოქალაქო ომის სუსტიან ქართველებში წამოყალიბებულ № დივიზიას.

განთავისუფლებული იქნა ვოლგის თვალუწვდენი ველები, მშფოთვარე ურალი და პირქუში მძიმე ციმბირი.

ომის გამანადგურებელი სტიქია დივიზიის რიგებსაც ამეჩბრებდა: მრავალი განიგშირა ვოლგის ნაპირებზე, ურალის სანახებში და შემდეგ ციმბირის ცივი მიწის ზედაპირზე. და მათი სახელიც შეუერთდა გმირთა იმ ლეგიონს, რომელსაც ითვლის თავის წიაღში რევოლუციის პანთეონი.

№ დივიზიამ თავისი ლაშქრობა აღმოსავლეთ ფრონტზე კოლჩაკის წინააღმდეგ დაიწყო ვოლგის ნაპირებიდან. ეს ლაშქრობა დაასრულა ორი წლის ბრძოლის შემდეგ აზიის უდიდესი მდინარის ენისეის ნაპირებზე.

ვოლგის მღელვარე საზღვარი იგივე უნდა ყოფილიყო ოქტომბრის რევოლუციისათვის; რასაც საფრანგეთისათვის მდინარე რეინი წარმოადგენდა.

რეინის აღმოსავლეთ მიჯნას დიდი რევოლუციის დროს ფეოდალური ვეროპის არმიები მიადგენ.

ვოლგის ნაპირებზე კი შინაურ რესტავრატორულ არმიებს გვერდში უდგა მსოფლიო ბურჟუაზია თავისი საინტერვენციო კორპუსებით.

მაშინ რეინი მხოლოდ რესპუბლიკის საზღვრად დარჩა.

ვოლგა კი გახდა რევოლუციის გული.

ვოლგის მხარეში ფრონტზე გაწვეული დივიზია გააფთრებით იბრძოდა ყაზანთან, სვიაჟსკის მიმართულებით. აქ მიიღო მან საბოლოოდ დივიზიის სახე, რომელიც შერჩა შემდეგ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფრონტებზე.

ყაზანის ფრონტზე ბრძოლის დროს მოვიდა საბედისწერო ამბავი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ბელადის ლენინის დაქრის შესახებ. არმიის ყველა ნაწილებში წაკითხულ იქნა ი. სვერდლოვის მიერ ხელმოწერილი მომართვა ცენტრ. აღმ. კომიტეტისა რესპუბლიკის მოსახლეობისა და წითელი არმიის მიმართ.

ლენინის დაქრას სულ სხვა დეტონაცია მოჰყვა შედეგად, ვიდრე ამას ფიქრობდა ისტერიკითა და ფსიქოზით შეპყრობილი კლასობრივი მტერი. რევოლუციონერ არმიას ამ ვერაგულმა აქტმა შთაბერა ახალი სული, ახალი შეგნება და მშრომელ მასებთან ერთად უფრო მჭიდროდ დაარსმა იგი საბჭოთა ხელისუფლების გარშემო.

მსოფლიო ქაოსში რევოლუციის გემი მედგრად მიიწვედა წინ.

მეხუთე არმიის ოპერაციებიდან აღმოსავლეთ ფრონტზე, რომლის რიგებშიც № დივიზია იბრძოდა, ყველაზე შესანიშნავი იყო ბაისაროვის (თეთრი მდინარის შესართავთან, უფასთან), იურეზანის, ჩელიაბინსკისა და ბოლოს ნიკო-ნიკოლაევსკის ოპერაციები.



იურეზანთან მტრის დამარცხებამ გადასჭრა ბედი მზიმეველოვანი სამრეწველო ცენტრის — ზლატოუსტისა და მით მთელი ქრისტოპოლიტონი-კოლაევსკთან წითელმა არმიამ მტერი სასტიკად დაამარცხა. ამის შემდეგ დემორალიზებული და პანიკის ფსიქოზით შეპყრობილი კოლჩაკის არმიის ნაფლეთები მიიმართებიან შორს, მდ. ენსეის ნაპირებისაკენ.

საშინელი ზამთარი იდგა ციმბირის დაუნდობელი ყინვებით და სუსხიანი ქარებით. უფრო საშინელი ბარაბინის ველზე, რომელიც ციმბირის მოშამანო ტომებს ათასნაირი ავი სულებით და მოჩვენებებით დაუსახლებიათ. ირგვლივ ცივი უდაბნო და უღრანი ტაიგა. ციმბირის თოვლის ფიფქით დაფარულ ზედაპირზე მოსჩანდა ძველი რუსეთის უკანასკნელი სისხლიანი კვალი. თოვლით შესუდრული უღრანი ტაიგა თვალგატეხილი შესცქეროდა მის წიაღში მდუმარედ მოძრავ არმიას. ქარი სასიკვდილოდ მშენივარებდა ველზე და ტაიგაში. თითქოს არ უნდოდა ციმბირს აპათიოს აღამიანს, რომ მან აღმოაჩინა იგი...

ხერხემალ-გადატეხილი კონტრ-რევოლუციის არმია იხევდა უკან, სანამ შესაძლებელი იყო...

წითელი არმია მიიწვედა წინ...

რევოლუციის ცეცხლი მზურვალედ ანათებდა აზიის საუკუნოებრივ წყვდიადს და ბრძოლით მიიწვედა მკაცრ აღმოსავლეთისაკენ.

ვერობაც განიცდიდა ამ დროს რევოლუციონერ დუღილს. მსოფლიო რევოლუციის მშფოთვარე ტალღები ლამობდნენ გადაელახათ რეინის ნაპირები დასავლეთისაკენ, ხოლო სამხრეთში იტალიის დაბლობებს ელტვოდნენ.

მაგრამ ჯერჯერობით მზის ქორწილი მხოლოდ ვოლგის ტრამალებზეა....

თეთრების აღვირაბსნილ თარეშს უპირველესად სოფელი ეწირებოდა.

თეთრებმა ყველგან ამართეს სახრჩობელა და მასიური ხასიათი მისცეს „გაროზგვას“. ამით ებრძოდნენ ბოლშევიზმს და უზრუნველყოფდნენ მობილიზაციას. ეს იყო ძველი რუსეთის შეშლილი სახე „კნუტით“, „როზგით“, „ვოდკით“ და სახრჩობელებით დამშვენებული. სოფლის გზებზე, ქალაქის მოედნებზე, ეკლესიის გალავნებთან ეკიდნენ ტიალად სახრჩობელაზე ადამიანები. გეამთა ხრწნის სუნით დაგეშილი ძაღლები დუქემორეული ძრწოდნენ. ყვავყორნები სბდებოდნენ სახრჩობელებზე და თავისი ავხორცი თვალებით ირიბად დაჰყურებდნენ ენა-გადმოგდებულ და თვალეზ-დაბერილ ადამიანთა სახეებს.

ქალაქებშიც სისხლიანი თეთრი ტერორი იყო გამეფებული. თეთრები შემჩნეულ ანდა ექვემდებარებოდნენ რევოლუციონერებს ლინჩის სამართლით ასამართლებდნენ; „მალალი“ საზოგადოების მანდილოსნები დაპატიმრებულ რევოლუციონერებს უსირცხვილოდ თვალეზში აფურთხებდნენ. ისინი ხშირად ქუჩის კვლებში ჩაკლულ ადამიანთ ქუსლებით უტეკავდნენ სახეს ან განგმირულ გეამებს „შლიაბის“ ჩხირებით თვალეზს სთხრიდნენ; როცა თვალეზის ადგილას შავი სიღრუვე გამოჩნდებოდა და ადამიანის მკრთალ სა-

ხეზე ჩალურჯებული, ოდნავ შედგებულ სისხლი მძიმედ ჩამოაღვეწეთებოდა, მხოლოდ მაშინ იგრძნობდენ ეს ისტერიული მანდისეფექტური ლაღაც საშინელებას და გაბოროტებული იხედდენ უკან, თითქოს ქრამქრამწერსა და უწმინდურს შეეხებო. ეს იყო ჯერ არნახული სისხლიანი ორგია, რომელსაც განწირული კლასი მისთვის გათხრილი საფლავის პირას უკანასკნელი გახელებით და ავხორცობით აწყობდა.

კოლჩაკის არმიის ნამსხვრევები უკუგდებულ იქნენ მდ. ენისეის ნაპირებამდის. რევოლუციონური არმიის მოწინავე რიგებში მიიწვედა წინ № დივიზია. დივიზიის ავანგარდი უახლოვდებოდა ერთერთ მნიშვნელოვან სოფელს. მწვერავთა გუნდი აწარმოებდა წინასწარ დაზვერვას, რათა საღამოთი ეს სოფელი წითლებს დაეჭირათ. შორიდან სოფელს ღურბინდით ათვლიერებდა რაზმის უფროსი. მაგრამ საეჭვო რამ სოფელში ვერაფერი შენიშნა. სოფელში მოძრაობის ნასახიცი არა სჩანდა, მხოლოდ სახლების სახურავებიდან ამოვარდნილი თეთრი კვამლი, ბირთვებად გაფანტული, ზეცისაკენ მიიმართებოდა.

მცირე ხნის შემდეგ № დივიზიის მწვერავთა გუნდი ნელი ნაბიჯით გაეშურა სოფლისაკენ. დაწინაურებულსამ მხედარს პატარა ტყე უნდა გაველო. ტყის პირას მხედრები ცოტა შეჩერდნენ. ცხენებმაც იგრძნეს სადგომების სიახლოვე. ბეჭობზე გადამდგარი, ისინი ცივ ჰაერს ხარბად ისუნთქავდნენ. გახურებულ სხეულზე ოფლით შესველებული დაბალი და ხშირი ბეწვი ძალზე ათოშილიყო.

მოწინავე ცხენოსანმა ტყის პირას, განმარტოებით მდგარ ხის ძირში, შენიშნა მისკენ ზურგით გაჩერებული ადამიანი. მას თითქოს განძრევის ეშინოდა. მხედარმა თავის ამხანაგებს ანიშნა ეს და რევოლვერ-ამოწვდილი გაეშურა საეჭვო ადამიანისაკენ. გზის პირად მომლოდინე მხედრები უცებ გასროლილი თოფის ხმამ გამოაფხიზლა.

ამხანაგთან მისული, ისინი ამჩნევენ მიზეზს, რომელსაც ასე უზომოთ დაეფიქრებია მიტკა.

მიტკა, სერიოფა და ვანია ცხენებიდან ჩამომხდარიყვნენ. ირგვლივ ბეჭობი, აჭა-იქ ტყისკენ მეჩხრად ხეები. ცხენები დიდი თვალებით შეჰყურებდნენ თავიანთ მხედრებს. შორეულ გზის პირად კვლავ მდუმარე სოფელი.

ის, ვინც მათი ყურადღება მიიპყრო, ახალგაზრდა აღმოჩნდა. თეთრების დამსჯელ რაზმს ის სოფლის განაპირად ჩამოეხრჩო. ახლოს მისული მწვერავები ამჩნევენ, რომ თავზე ჩამოფხატული საზამთრო ქუდი ქაღალდის ნაგლეჯს აჩერებდა; ამ ნაგლეჯს ჩამომხრჩვალის სახე თითქმის სავესებით დაეფარა, მხოლოდ გვერდიდან შეეძლო მაყურებელს დაენახა გაბერილი, წინ გადმოვარდნილი ენა... ჩანდა, სანამ ჯალათები საწაღელს შეისრულებდნენ, უცნობი საშინლად უწველებიათ. ორივე ხელის რამდენიმე თითზე ფრჩხილები მთლად დამძვრალი ჰქონდა. სახე დაეყვილი და სისხლიც განგისფრად ჩამდგარი. ქაღალდი, სახეს რომ უფარავდა, არალევალური

ბოლშევიკური კომიტეტის მოწოდება აღმოჩნდა. იატაკ ქვეშ ღრმად ჩასული ბოლშევიკები მაინც არსებობდნენ და ხელმძღვანელებდნენ არაგელივ მძვინვარე პარტიზანულ ომებს.

როცა მიტკა ჩამომხრჩვალს მიუახლოვდა, რაღაც მოძრაობა მოეჩვენა. იქვე ბუჩქებში შენიშნა ღორი, რომელიც ჩიჩქნიდა პატარა გოგონას უსულო სხეულს. მიტკამ ინსტიქტიურად გაისროლა ხელში მომართული რევოლვერი. დაჭრილი პირუტყვი გაიშხლართა და სასიკვდილო ზრიალი მორთო. იქვე ახლოს გვერდგამოკმული გოგონა პირქვე იყო ვართხმული მიწაზე. მისი აბურჭვენილი ქერა თმა ტალახში იყო ამოსვრილი. გოგონა და ყოფილა თეთრების რაზმის მიერ დასჯილ ახალგაზრდისა. ის გამოკიდებოდა რაზმს და შორი-ახლოდან მისდევდა გულამოსკენილი. ბავშვი გაფაციცებით იყურებოდა, თითქოს მშველელთ უხმობსო.

მოულოდნელად ტყიდან გამოვარდნილმა ტყვიამ ამ უმანკო არსებასაც უმოწყალოდ გაუგმირა მკერდი. წასული რაზმი, მოშორებით დარაჯობდა — თუ ვინ მივიდოდა პირველად ჩამომხრჩვალთან, და რადგან ვერავენ ვერ შენიშნა, ცხელი ტყვია ამ ბავშვის საშინელი მწუხარებით აღსავსე გულისთვისაც აღარ დაიშურა.

მხედრებისათვის ეს რამდენიმე წუთი შეტად მძიმე იყო. როცა მათ სოფლისაკენ გაიხედეს, შეამჩნიეს, რომ ხმალამოწვდილი ცხენოსანი რაზმი გრიგალივით მოჰქროდა. წითელარმიელები მიხვდნენ, რომ რაზმი მათ სროლას გამოეხმაურა.

სერიოზა ფიცხლავ გაექანა გაუგებრობის გასათანტავად. მან შორი-ახლო ცხენოსანთა გუნდი შეაჩერა და ეს უკანასკნელი მწყობრად შევიდა სოფელში.

სოფლის დამფრთხალი მცხოვრებნი ნელნელა ჩნდებოდნენ და როცა დარწმუნდნენ, რომ წითელი ჯარი შემოსულიყო, აღტაცებას და სიხარულს გამოსთქვამდნენ. თეთრები ხომ ხშირად ატყუებდნენ და ესეც რომ არ იყოს, მხოლოდ წუხელ გაიბარგნენ ისინი. ვინ იცის, ჯერ კიდევ რა მოხდება. — ფიქრობდნენ შინ დარჩენილი ისტორიის ინვალიდები.

ცხენოსანთა რაზმმა გასწვია ტყისაკენ. მას სოფლებლებიც გაჰყვნენ. ტყის პირას სამარისებური სიჩუმეა. ტყეში გაისმის მხოლოდ შემოღოკამამდის გამოყოფილი ყვითელი ფოთლების შრიალი. ნაძვნარიც შავად ალექწილა, ვით განდგვილი.

რაზმი შორი-ახლოს იდგა. უფროსის გარშემო რამდენიმე მხედარი შეგროვილიყო.

სიჩუმე უეცრად გულშემშარავემა კივილმა დაარღვია. ეს იყო დედა, რომელიც დასტიროდა დაღუპულ შვილებს. მას ამ ქვეყნად აღარავენ დარჩა. ქმარი გერმანიის ფრონტზე დაეღუპა და ახლა თეთრების ტერორმა მისი ორი შვილიც შეიწირა. ყოველივეს აიტანდა უბედური დედა; მაგრამ თვალთავან ვერ მოუცილებია ტალახით და სისხლით შესვრილი გოგონას მოკმული გვერდი.

იგი შეიშლება კვუიდან ზამთრის ცივ ღამეში...

რაზმის უფროსმა უბრძანა მხედრებს გვამების მოვლა და კრულში ჩასვენება. რევოლუციის მხედრობა განთავისუფლებულ ხალხსა და ქვეყნად შესაფერი პატივით მიაბარებს მიწას უკანასკნელ მსხვერპლთა ნაწილის ტანჯვითა და სისხლით შეჯერებული მიწა ერთხელ კიდევ მიიღებს უწმინდეს საგანძურს.

არმიის უმაღლესი სარდლობის ბრძანებით № დივიზია ენისეის სათავეებში დაბანაკდა. უსაზღვრო ველების თავგანწირული ბრძოლით გადაძლახველი, № დივიზია ამჟამად საჭიროებდა შესვენებას. სისტემატიურ სამხედრო ვაჯიშობასთან ერთად, № დივიზიას უდიდესი პოლიტიკური მუშაობა უნდა ჩაეტარებია თეთრებისაგან ახლახან განთავისუფლებულ რაიონში საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების ჩამოსაყალიბებლად. გლეხობა, დაბრუნებული თავის კერას და მეურნეობას, დაჯერებული ხვალისდელ დღეში, გულმოდგინედ შეუდგა შრომას, რომ სამხრეთ ციმბირის ნოკიერი მიწის გულს კვლავ გამოეჩინა თავისი უბვი ბარაქა. სოფლის მკლევ და გამოფიტულ ჩონჩხს სწიროდა ქონი მას შემდეგ, რაც რევოლუციამ მიწასთან ერთად მშვიდობაც მიუტანა.

ამ ხანად, მეხუთე არმიის რევოლუციონურ-სამხედრო საბჭოს ბრძანებით, ნაწილებში მტკიცედ ტარდება ერთპიროვნული მართვისა და წყობის პრინციპი. ნაწილების უფროსთ დაეკისრათ აგრეთვე კომისრის ფუნქციები. ეს უკანასკნელნი, საკონტროლო და სამეურნეო ფუნქციებისაგან სრულიად განთავისუფლებულნი მთელ თავიანთ ენერგიას, დროს, გამოცდილებას სწირავდნენ პოლიტიკური და კულტურულ მუშაობის მაღალ დონეზე აყვანას.

საჭირო იყო საცხებით გამოჩენილიყო რევოლუციონური არმიის კულტურული სტილი, როცა დივიზია აზიის უცხელეს მკერდის — მონღოლეთის მიჯნაზე იყო დაბანაკებული.

მთელს მსოფლიოში ყველაზე ხშირად იხსენიებოდა სიტყვა ლენინი.

მის სახელს ევროპის ქალაქებში და შორეულ აღმოსავლეთში, ბომბეისა და შანხაის ქუჩებზე, პატარა ბავშვებიც კი კედლებზე წერდნენ. რადიოს ტალღებიც ეთერის სივრცეში სხვაგვარად ირხეოდნენ, როცა უდიდეს სახელს მიაჭროლებდნენ მსოფლიოს ყველა მიმართულებით.

ლენინის სიტყვას ჰქონდა წინასწარმეტყველისა და ისტორიის მსაჯულის გარდაუვალი ძალა. საუკუნეთა და ეპოქათა ენერგია იყო მასში კონდენსირებული. მისი უნივერსალური ნება მსოფლიო ქაოსს იოკებდა და ბრძოლათა გრივალებში თამამად მიაჭროლებდა რევოლუციის გემს. სოციალური რევოლუციის მღელვარე ტალღები მძაფრად ეხეთქებოდნენ უნაპირო სივრცეებს. მიწაზე დანთხეული სისხლი მზის ოქროსფერ თალხში განგისფრად ბრწყინავდა.

№ დივიზიის ერთი ნაწილის არმიელები შეკრებილიყვნენ პოლიტსათზე.

— ოქტომბრის რევოლუციამ მოგვცა ზაფი, — უმარტავდა სელმძღვანელი, — ჩვენ დავემარცხეთ ბურჟუა-მემამულეები. ბრძოლა არ გათავებულა. ბურჟუაზიასთან მრავალი შეტაკება გვექნება, სანამ სხვათაგან არ იქნება დამხობილი კაპიტალის ბატონობა მსოფლიოში. ამიტომ დამტკიცდება საბჭოთა წყობილება. კაპიტალისტები და მემამულეები ჰქმნიან უზარმაზარ არმიებს, რომ აწარმოონ მომავალშიც სისხლისმღვრელი ომები.

1917 წელს მარტო მეფის მთავრობა 50 მილიონ ოქროს მანეთს ხარჯავდა დღეში ომის საწარმოებლად. ეს ხომ დამონებული ხალხის სისხლი და ოფლი იყო! უნდა გვახსოვდეს ლენინის სიტყვა: „ომის მოსპობისათვის საჭიროა კაპიტალის ბატონობის დამხობა“. ამიტომ გვინდა ჩვენ ძლიერი წითელი არმია, რათა დავიცვათ მტკიცედ ოქტომბრის მონაპოვარი. შემდგენისათვის, ამხანაგებო, ეს საკითხი უნდა დავამუშაოთ. ახლა კი ამხანაგი კოზლოვი წაიკითხავს პატარა მოხსენებას ლენინის ბიოგრაფიიდან. სიტყვა თქვენია, ამხ. კოზლოვ!

— ამხანაგებო, მეფის მთავრობა სასტიკად სჯიდა რევოლუციონერებს. ზოგს სახრჩობელაზე გზავნიდა, ზოგს კატორღაში ალბობდა და ზოგსაც სამუდამოდ ასახლებდა ციმბირში. ლენინს მეფის ჯალათებმა ძმა ჩამოუხჩვეს. ის სტუდენტი იყო და მონაწილეობას იღებდა მეფეზე თავდასხმის სამზადისში. იმ რაიონში, სადაც ახლა ჩვენი დივიზიაა დაბანაკებული, თვითონ ლენინიც იყო გადმოსახლებული. ყველას გაგიგონიათ აქვე მახლობლად მდებარე ს. შუშენსკოე, სადაც მან გადასახლების სასჯელს მოიხადა. გამოჩენილი რევოლუციონერი ჯერ სრულიად ახალგაზრდა მოსწვევით მეფის ჯალათებმა მუშათა რევოლუციონურ მოძრაობის დიდ ცენტრებს. გლეხებს ახლაც ახსოვთ, თუ როგორ დასეირნობდა ლენინი სოფლის ახლო-მახლო და ღრმად ჩაფიჭრებული დიღხანს დაჰყურებდა მიწას. ამავე სოფლის მიდამოებში, როცა თავისუფალი დრო ჰქონდა, ნადირობდა თავისი საყვარელი ძაღლით. ხოლო საღამოს, ეპს მისი სიმღერაც ერთვოდა წელი სიოს მიერ დარჩეულ ოქროსფერ ყანების შრიალს.

ყაზანის ფრონტზე ვიყავით, როცა რესპუბლიკას ელვის სისწრაფით მოედვა საბედისწერო ამბავი 30 აგვისტოს ლენინის დაქრის შესახებ. ყველას ვახსოვთ, რა გრივალად გადმოინთქა არმიის აღშფოთებისა და რისხვის გრძნობა. ერთ გამოჩენილ ექიმს დაქრილი ლენინის ნახვისას, აღელვებულს, განუცხადებია: ასეთ ჭრილობებს მხოლოდ ბედისწერისაგან შეჩვეულნი გადაიტანენ ხოლმეო.

ჯერ კიდევ კოზლოვს სიტყვა არ დაესრულებია, რომ ოთახში წითელ-არმიელი შემოეარდა და გაისმა მისი ძლიერი შემოძახილი: „Товарищи! Даешь Варшаву! Даешь Варшаву!“ ოთახში ჩოჩქოლი ატყდა. გამოირკვა, რომ ბურჟუაზიულ პოლონეთს ომი გამოუცხადებია საბჭოთა რუსეთისათვის...

მოსულის გადმოცემით, დაბანაკებულ ნაწილებში დიდი მოძრაობაა, რომ კოზლოვს რეესახბუოს პოლონეთის ფრონტზე ვაგზავნი! ბრძანება. პო-

ლიტერატურა ხელმძღვანელი რამდენიმე კაცის თანხლებით გაეშურა ნაწილია შტაბისაკენ.

№ დივიზიის შტაბს ნაწილებიდან მოსდის რეზოლუციებზე შუამდგომლობით პოლონეთის ფრონტზე გაგზავნის შესახებ. თანვე მსარჩელე დივიზიის სარდლობა დიდის სიხარულით შეხვდა წითელარმიელთა სურვილს. შტაბმა მიმართა მეხუთე არმიის რევოლუციონურ-სამხედრო საბჭოს, რომ დივიზიისათვის ფრონტზე წასვლის ნება დაერთო.

არმიის სარდლობამ დააკმაყოფილა შუამდგომლობა. რევოლუციონურ-სამხედრო საბჭოს დადგენილებით, ებრძანა № დივიზიას — სასწრაფოდ გადაესროლა თავისი ნაწილები აღმოსავლეთიდან პოლონეთის ფრონტზე.

რევოლუციონურ-სამხედრო საბჭოს ბრძანება დივიზიის ყველა ნაწილში იქნა წაკითხული. წითელარმიელები დიდის აღტაცებით შეეგებნენ რევ-საბჭოს ბრძანებას. დივიზიის სარდლობაც შეუდგა სამზადის დასავლეთ ფრონტზე თავისი ნაწილების სასწრაფოდ გადაგზავნისათვის. სარდლობა ახალგაზრდა იყო: მაგრამ მიუხედავად ამისა, დივიზიის გადაგზავნის უდიდესი ამოცანა მან ბრწყინვალედ გადასჭრა. რკინისგზის ლიანდაგამდე დივიზიას სალაშქრო წესით მოუხდა გადასვლა. ეს მანძილი ასეული კილომეტრით განიზომებოდა. ენისეის ძლიერი მდინარეობის გამოყენება, ტრანსპორტის უკონლობის გამო, მხოლოდ ნაწილობრივ გახდა შესაძლებელი. რაიონში მინდვრად მუშაობა იყო გაჩაღებული. დივიზიის სარდლობას გადაწყვეტილი ქმონდა არ ესარგებლა მოსახლეობის ტრანსპორტით, რომ სოფლის მეურნეობა არ დაბრკოლებულიყო. რკინისგზაზე მთელი დივიზია გაყოფილ იქნა 96 ეშელონად. ისინი გახლებული მისდევდნენ ერთიმეორეს და, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, რომლებსაც რკინისგზა მაშინ განიცდიდა, დივიზია ახერხებდა დღესა და ღამეში 700 ვერსის გარბენას. ქ. ოსკამდე ეშელონები მიეჭანებოდნენ მთავარი მაგისტრალით, შემდეგ კი გაყოფილ იქნენ ორად: ერთი ნაწილი გაემართა ჩრდილოეთის რკინისგზით, სვერდლოვსკზე, მეორე სამარ-ზლატოუსტის ხაზით.

ზაფხული იყო და ამწვანებულ მობიბინე ველებს, ვინ იცის, რა ფარული გრძნობების გაღვიძება შეეძლო ერთი წუთით დასვედიანებულ. წითელ არმიის ფორმაში გამოწყობილი გლეხის გულში. ისინი ვეგონიდან სვედიანად გაჰყურებდნენ ზაფხულის მზის სხივებში დაღვარულ თვალუწდომელ ველებს. მაგრამ მიწის რჯულზე უფრო ძლიერი რევოლუციის კანონი აღმოჩნდა.

ურალის მთებთან მოახლოებისას № დივიზიაში მყოფი პროფესიონალი რევოლუციონერები უამბობდნენ წითელარმიელებს, თუ რა მძიმე იყო წარსულში რევოლუციონერებისათვის ამ მედიდური ქედის მოახლოების განცდა.

რევოლუციონერთა მთელი თაობანი, ბორკილებგაყრილი, ურალის საზღვისწერო საზღვრის მოღანდებას უღრმესი ტკივილებით განიცდიდნენ. ურალის აქ იყო მძაფრი ღიჟს ბნელად წყლიადი იწყებოდა ციმბირი,

ძველი რუსეთის ანაქრონიზმი. აქ მიღწეულნი სასჯელს წუთით თითქოს ურიგდებოდნენ, როცა უმიამესი ტანჯვა გულში ურატის მტკბილად წვე-
ბოდა.

მოგზაურებს ახლაც აჩვენებენ იმ ადგილს, სადაც მძიმე საკატორლო ეტაპებში მიმავალი რევოლუციონერები ეშვებოდნენ ევროპის მიწას და თავიანთი გმირული ცხოვრებისა და აწ დაწყებული მარტვილობის სამახსოვროდ, მიჰქონდათ თითო პეშვი მიწა. მიწა იყო მათთვის უკანასკნელი მესაიდუმლე.

ხშირად ურალის მთელ ქედს მოიცავს ხოლმე თეთრი ბინდი. აქედან წარმოსდგა ალბათ ლეგენდა თეთრი ურალის შესახებ. თუ ამ დროს მოხედო ნისლითა ფერხულში, იგრძნობ, თითქოს ბინდთან ერთად მალლა და მალლა იწვევ უცნობ მწვერვალისაკენ.

ღამე იყო, როცა ჩრდილოეთის ვხით მიმავალმა ეშელონებმა ურალს მიადწიეს. მღუმარე ქედს მთვარის მკრთალი, ოდნავ ცივი ნათელი დაჰყურებდა. ირგვლივ სიჩუმე, მთაში რომ იცის ზაფხულის ღამეს. ორთქლმავლის შტვენა და მისი ცეცხლის თვალები არღვევენ ამ სიჩუმეს. მბუტავ წერტილებად რჩება უკან პატარა სადგურები. ურალს ეშელონები დილით გადასცილდნენ და დაქანდნენ ზღვარ გადალახულ რუსეთის ველებსაკენ.

მსოფლიოში უდიდესი ველის გულში ლეგენდარული ქალაქი მზის ნათელზე ელვარებდა...

№ დივიზიის რამდენიმე ეშელონი მოსკოვის ბჭეებთან იდგა. გიორგი მიდელი მოსკოვში ახალი ჩამოსული იყო. მკითხველს ალბათ აგონდება ის დღეები, როცა გიორგი მოსკოვს ჩამოვიდა. ის მოხალისეთა გუნდში შერეული სხვებთან ერთად დააბანაკეს ქალაქის განაპირად მოზრდილ შენობაში. ახალგაზრდა წითელარმიელებმა მოხალისენი აიყვანეს აღრიცხვაზე და შემდეგ დაანაწილეს სხვადასხვა ოთახებში. ოთახში შესული გიორგი მიდელი ფანჯარასთან ამჩნევს ძველი გაზეთის ნახევს, რომელშიაც მან ამოიკითხა მაიაკოვსკის პოემის რამდენიმე ადგილი.

„Что ты?“

Рехнулась старушка Россия?

Касторки прими!

Поправься!

Выздорься!“

ცოტათი ქვემოთ, გაქონილ და შექმუქნულ ადგილას მსუქნად იყო შავი ასოებით ამოყვანილი შემდეგი სიტყვები:

„Ешь ананасы, ребзинов жуй.“

День твой последний приходит буржуй“.

მოსკოვში მოხალისეთა ნაწილები ციმბირიდან მომავალ ეშელონებს უნდა გაჰყოლოდნენ ფრონტზე. ერთერთი სადგურის მოედანი თანდათან იესებოდა ვასაგზავნ ჯარის ნაწილებით. გიორგის ნაწილიც მოსულ იყო.

ხალხმაც იწყო მოგროვება ჯარის გასაცილებლად. ვაგონებიდან მოედნი-
საკენ იყურებოდნენ ციმბირის სუსხიან ქარისაგან ამწვარი სახეებით № დი-
ვიზიის მხედრები. მოედნის შუა ადგილას სასწრაფოდ აღმართულ ტიხობუ-
ნაზე რამდენიმე კაცი ავიდა. ერთმა მათგანმა გახსნა მსტრანსკის სიგა მიე-
სალმა ციმბირის ჯარის ნაწილებს და სიტყვა მისცა გიორგის.

გიორგის მეტად უხედბოდა წითელი არმიელის ფორმა, მის ყმაწვილურ
სახეს ერთგვარი სიმკრთალე გადაკვროდა, რაც ამჟღავნებდა შინაგან სი-
ძლიერესა და დაძაბულობას. ზევით აეარცხნო თმებით, ენერგიულ ნე-
ტობით, ცოცხალი თვალებით გიორგი პირველ შეხედვისთანავე ახდენს
კარგს შთაბეჭდილებას. მან თამამად გადახედა მის წინ გადაშლილ ადა-
მიანთა ათასებს და თავის მკვეთრი ხმით დაიწყო სიტყვა:

ამხანაგებო! როცა ძღვევამოსილმა წითელმა არმიამ გმირულ ბრძოლებ-
ში შემუსრა კოლჩაკის ურდოები, როცა სამხრეთით განადგურებულ იქმნენ
მეფის გენერლების არმიები და საბჭოთა ქვეყანა უნდა გადასულიყო მშვი-
დობიან აღმშენებლობაზე, ამ დროს თეთრი პოლონეთის მთავრობა რე-
ვოლუციონურ რუსეთს თავის ჯარებით შემოესია. მსოფლიო მუშათა
კლასმა იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლება, კატეგორიული წინააღმდეგი
იყო პოლონეთთან ომისა, რომლის ასაცილებლად მან რამოდენიმეჯერ მი-
მართა პოლონეთის მთავრობას სამშვიდობო წინადადებით. პოლონეთის
ბურჟუაზიამ უარყო ეს წინადადება და ცდილობს იმპერიალისტური
ზრახვების განხორციელებას. მან აღმართა მახვილი ოქტომბრის რევოლუ-
ციის წინააღმდეგ, რომელმაც პოლონეთს მიანიჭა ეროვნული განთავის-
უფლება და უპირველესმა იცნო მისი დამოუკიდებლობა. გმირული წითე-
ლი არმია შეტევაზე გადასული და შორს არაა ის დრო, როცა აღმართუ-
ლი იქნება ვარშავის ბქეებზე წითელი დროშა პოლონეთის მუშების მიერ.
ამხანაგებო, ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას უძლიერესად ეხმა-
ურება მსოფლიო მუშათა კლასი. ევროპა რევოლუციონურ დუდილს გა-
ნიცდის. კოლონიებში სწარმოებს იმპერიალიზმის ბორკილების დასა-
მსხვრევად თავგანწირული ბრძოლა. თვით ბურჟუაზიულ პოლონეთის
დღეები დათლილნი არიან. ამ ომში გამარჯვება უთუოდ ჩვენი იქნება.
ჩვენ მივესალმებით და ძმურ კავშირს შევკრავთ განთავისუფლებულ მუ-
შურ-გლეხურ პოლონეთთან. თეთრი პოლონეთი რევოლუციის წინააღ-
მდეგ იბრძვის; სიკვდილი პოლონეთის ბურჟუაზიას, გაუმარჯოს წითელ
პოლონეთს, გაუმარჯოს წითელ არმიას, გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომ-
ბერს.

ორატორის სიტყვა დაფარა აღელვებულ მასის გულის სიღრმიდან ამო-
ხეთქილმა შემოძახილებმა.

მიტინგის შემდეგ ჯარის ნაწილები სასწრაფოთ ჩასხდნენ ვაგონებში.
პოლონეთის ფრონტზე მიმავალ № დივიზიის ეშელონებს მოსკოვის ნაწი-
ლებიც თან გაყვნენ.

თითქმის რვა საუკუნის მანძილზე არსებობდა დამოუკიდებელი პოლონეთის სახელმწიფო, სანამ 1772 წლის შემოდგომაზე ესტრუქციულ დასუსტებული ის არ იქმნა განაწილებული რუსეთს, პრუსიასა და ავსტრიას შორის. ოქტომბრის რევოლუციამ გაანთავისუფლა ნაციონალურად დაჩაგრული პოლონეთი, რომელიც 1918 წ. ნოემბრიდან ითვლის სახელმწიფოებრივობის აღდგენის თარიღს. ანტანტას უნდოდა ძლიერი კაპიტალისტური პოლონეთი, დამარცხებულ გერმანიისა და ბოლშევიკურ რუსეთის წინააღმდეგ საიმედო მოკავშირედ. ბურჟუაზიულ ევროპის სალონებში შემუშავდა კიდევ „თეორია“ პოლონეთის დიდი ისტორიული მისიის შესახებ.

თავისთავად ბურჟუაზიული პოლონეთი მცირე ძალაა ისტორიის თვალსაზრისით, რომ ის დამოუკიდებელიც ბედავდეს რაიმე ამოცანის გადაწყვეტას. ამას ამტკიცებს მთელი მისი ისტორია მე-19 და მე-20 საუკუნეებში. გერმანელების მიერ დაპატიმრებული, შემდეგ განთავისუფლებული მაგდებურგის ციხიდან იღუფე პილსუდსკი, პოლონეთის სახელმწიფოში გადამჭრელ როლს თამაშობს. ერთ დროს „სოციალისტი“ და „რევოლუციონერი“, ლეგენდარული ექსპროპრიატორი და შეშლილობის იშვიათი სიმულდინტი, ვარიბალდის მისიით მოვლენილი პილსუდსკი ბოლოს ცეზარისტულ პეტაფორიის კომედიანტად გადაიქცა.

საბჭოთა რუსეთის სამშვიდობო წინადადების მიღების ნაცვლად, პილსუდსკიმ მოწოდებით მიმართა 26 აპრილს უკრაინის მოსახლეობას. „კომენდანტს“ თუ შოენატრა კომედიანტის როლის გათამაშება.

მოწოდების საპასუხოდ პანებისა და მემამულეების შემოჭრის შემდეგ უკრაინაში იწყება ფართო გლეხური აჯანყებები. აჯანყებული გლეხები კულამოძუებულ პოლონეთის ჯარს ისევე მიაცილებდნენ, როგორც ერთ დროს ავსტრო-გერმანელების რკინის კორპუსებს.

პოლონელებს გენერალი ბულაბ-ბალახოვიჩი და ცნობილი ესერი, ყოფილი სამხედრო მინისტრი სავინკოვი, თავის ბანდებით გვერდში ამოსდგომოდნენ. მათთან იმყოფებოდა უკრაინის მუშების და გლეხების ძველი ნაცნობი ატამანი პეტლიურა კულაკურ-გაიდამაკურ ურდოებით.

მოსკოვიდან გაგზავნილმა ნაწილებმა ორი დღის შემდეგ კიშპირის ეშელონებთან ერთად მიაღწიეს მომჭმედ არმიის ზონას. მოხული ჯარი დაბანაკებულ იქნა ერთი პატარა ქალაქის მიდამოებში.

გიორგი გრძნობდა, რომ ირგვლივ ამხანაგური და მშობლიური ატმოსფერა სუფევდა. აღფრთოვანებულ გიორგისათვის წარმოუცვლელი იყო, რომ აქ ბრძოლის პირად რაიმე სევდიანობას ადგილი ექნებოდა.

ერთად ბრძოლა და ლაშქრობა ადამიანებს განსაცვიფრებელი სისწრაფით ააბლოებს; მით უფრო ითქმის ეს რევოლუციონურ არმიასზე, რომელიც აესილია მტკიცე ნებით და აღფრთოვანებული ერთი იდეით. განა ამ მასამ არ დაამტკიცა თავისი უმაღლესი თავდადება, როცა იბრძოდა ბარიკადებზე, როცა სამოქალაქო ომში მშვიერ მწყურვალე საკუთარ სის-

ხლით ჰბანდა რევოლუციას უღრმეს კრილობებს. გიორგი ერეკლე ამ საიდუმლო კავშირის აღმოჩენას, რომელიც სპობს რა განსხვავებას პიროვნულსა და საერთოს შორის, უძლიერეს აღმაფრენას გამოიწვევდა ხოლმე მღელვარე მასას. რევოლუცია იყო ეს უმადლესი სულიერი კონტაქტი. ფიქრებში გართული გიორგი ერთერთ ქუჩას გააყოლოდა. ქალაქის ბოლოს მან შეამჩნია დაკრილები; დაკრილებს ტკივილებს გარდა საშინლად აწუხებდა ზაფხულის და ხორცის სუნით დაგეშილი ბუხები.

ომის სისასტიკეს არ უმოქმედნია ისე, როგორც ამ სცენამ იმოქმედა გიორგი მიდელზე. მან მთელი თავისი არსებით იგრძნო ომის საზიზღარი სახე და რევოლუციაში ხედავდა ძალას, რომელიც მოსპობდა ამ სისხლიან ლანდის შემზარავ კოშმარს. ეს შეეძლო მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციას. გიორგის უძლიერესად აღებრა სურვილი რევოლუციონურ მასასთან კიდევ უფრო მჭიდროდ დაახლოვებისა და მასთან ერთიანად შეერთებისა. მიუხედავად იმისა, რომ ომები ემორჩილებიან ისტორიის კანონებს, გიორგის წარმოუდგა ომი დიდ და მცირე მოვლენათა, შემთხვევათა და ბუციკლებლობათა მოძრავ კალეიდოსკოპად, სადაც შეიძლება უმცირეს მოვლენას მოყვეს ვაუთვალისწინებელი შედეგები. იგრძნო თუ რა დიდი პასუხისმგებლობის მატარებელია თითოეული წითელი მხედარი რევოლუციისა და ქვეყნის წინაშე; ამიტომაც რომ ომში გმირობა, უმადლესი გმირობაა.

დასავლეთ ფრონტზე № დივიზია იბრძოდა მე-№ არმიის რიგებში. კავკასიის ფრონტიდან სასწრაფოდ იქნა გადასხმული ბუდიონის ცხენოსანი არმია, რომელსაც ლიკვიდაცია უნდა ექნა საბჭოთა უკრაინაში შემოკრილ პოლონურ არმიებისთვის. ბუდიონის ცხენოსანი არმია 26 მაისს იწყებს თავის ისტორიულ შეტევას. სკვირთან უსასტიკეს ბრძოლებში ბუდიონი არღვევს მოწინააღმდეგის ფრონტს და პოლონეთის არმიების ზურგში იკავეებს ეიტომირს. ეს საბელოვანი ოპერაცია გახდა მიზეზი პოლონეთის არმიების სრული დემორალიზაციისა და მათ მიერ სასწრაფოდ კიევის დატოვებისა. ამ ფრონტს ხელშემდგენლობდა მხოფლიო პროლეტარიატის ბელადი და რევოლუციონური ომების გენიალური სტრატეგი სტალინი. პოლონელების ზურგს უკან დაწყებულმა ძლიერმა გლეხურმა აჯანყებებმა, დიდი როლი ითამაშეს უკრაინისა და ბელორუსიის ოქტომბრისთვის.

გამარჯვებული წითელი არმია ძღვემოსილი მიიწედა წინ. 14 ივლისს მან ვილნო დაიკავა, 19 ივლისს — გროდნო.

ვარშავასთან მისავალი გზები შიშვლდებიან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და წითელი არმიაც მიიწევეს ახალ კართაგოსკენ.

20 ივლისს რევოლუციონური არმია შეიქრა ეთნოგრაფიულ პოლონეთის ფარგლებში.

სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე ბუდიონის არმიის ამხანად დაკავებული აქვს ქალაქი ლუბნო და გალიციის სივრცეებს წითელი ლეგიონები მთარღვეედენ ლვოვის მიმართულებით.

მდ. დას. ბუგს იქით მიიკლავნებოდა პოლონეთის არმია. სრულად აღადგინდა ვარშაის ბუკები.

მდ. ვისლას მოდუდუნე ტალღები ზაფხულის მზესში მარტო მარტო მოგონა ჩვენს.

ბურჯუაზიული ვარშავა ნევრასტენიულ თვალებიდან ისერის სისხლიან ნაპერწკლებს. პოლონეთი ელის თავის ოქტომბერს; ნაციონალიზმის სპლინით მოთენთილ პოლონეთს, მხოლოდ სოციალისტური რევოლუცია მიაინიჭებდა ნამდვილ ისტორიულ განახლებასა და აღორძინებას.

№ დივიზიას ჰქონდა რამოდენიმე ფიცხელი შეტაკება მტერთან მდ. დას. ბუგის ნაპირებზე.

ბუგის მღელვარე ტალღები ისტორიულ წაჩხურში მრავალჯერ ყოფილან ნაფერი პოლონეთ-ლიტოველების ომებში დაღვრილა სისხლით.

ამავე ბუგის ნაპირებზე „რეჩ პოსპოლიტას“ გახულებით უწევდა წინააღმდეგობას ზაპოროვის სეჩი. ეს ლალი ნაშეერი ტრამალთა თავანებისა და ბატონყმურ დესპოტიის წინააღმდეგ ამხედრებულ დრუჟინებისა.

სქნს არ სწამდა არც პანების კათოლიკური პოლონეთი და არც მართლმადიდებელ მოსკოვის ჯვარის ნათელი.

27 იელისს ჩვენმა არტილერია მდ. ნ-ის მიმართულებით გამანადგურებელი ცეცხლი გააჩინა და № დივიზიის ნაწილები გადავიდნენ შეტევაზე. წითელ ნაწილების შეტევას მტერი ტყვიისმფრქვევებითა და არტილერიით გამოეხმაურა. პაერში ყრუთ ისმოდა ყუმბარების ზუზუნი, რომელსაც მცირე ხნის შემდეგ მოსდევდა აფეთქებათა შემზარავი ხმა. შეტევა თითქოს ინსტიტუტურად ჩერდება; მრავალი ეცემა ბრძოლის ველზე ტყვიით განგმირული თუ დაქრილი; მტრის პოზიციების ამოძრავებამ, საშუალება მისცა დივიზიის ბატარეას უფრო ზუსტად ამოელო მოწინააღმდეგე მიზანში. ცხენოსან ნაწილებს ნაბრძანები ჰქონდათ შეტევის განვითარებასთან ერთად შემოეცლოთ მტრისათვის. ბრიგადის ნაწილები წინ მიიწვიენ, არტილერიის ცეცხლმა პოლონელების ბანაკში რამოდენიმე ტყვიისმფრქვევი ჩააჩუმა; მაგრამ მოწინააღმდეგე ჯერ კიდევ მტკიცეთაა. მტრის თვალის ასახვევად ბრიგადამ შეტევა სხვა მხრივ მიმართა. მოჩვენებითი შეტევამ მიიპყრო მოწინააღმდეგის ყურადღება და ის ახდენს თავის ძალების სწრაფ გადაჯგუფებას. ამით ისარგებლეს წითელმა ესკადრონებმა და გაარღვიეს მოწინააღმდეგის ხაზი. შეტევაზე გადასული ბრიგადის ნაწილებიც საკმაოდ დაუახლოვდნენ ჩასაფრებულ მტერს.

მზის სხივებზე თვალის მომპრეღად ელვარებდნენ საომარ ველზე ოხრათ დარჩენილი ხმალი, თოფი და სხვა საჭურველი.

არტილერიის ცეცხლი მახლობელ სოფელსაც სწევდომია. მინდვრად უმხედრო ცხენები დარბოდნენ დაფეთებულნი; განაპირებულნი, ხშირათ შესდგებოდნენ ხოლმე, გაფაცოცებით მიმოავლებდნენ ირგვლივ ანთებულ თვალებს და სროლით გამოფხიზლებულნი მოჰყვებოდნენ ისევ ხეტიალს

სანამ ტყვია პატრონსავით არ მოუსწრაფებდა მათაც სიციცხლეს, ან სადმე ჯარის ნაწილებს არ გადაეყრებოდენ.

მტრის ცეცხლმა საგრძნობლად იკლო და არც სანადარდო მხარე შექმნილი, რომ მტერს ახალი ძალები ემატება. ბრიგადის ქვეითი ნაწილები ერთბაშით გადავიდნენ შეტევაზე, რასაც რამოდენიმე ხნის შემდეგ მარჯაფში მყოფი ცხნოსანი რაზმებიც მიყვნენ. ჩასაფრებულ მტერს მიესიენ წითელი ნაწილები და ცივი იარაღით იწყეს მათი შემუსვრა სანგრებში. გიორგი წინა რიგებში მოქცეული ერთი პირველთაგანი მივარდა ტყვია-მფრქვევთან; მან ამოწვდილი ხმლით პოლონელ ჯარისკაცს კისერი თითქმის სავსებით გადააკვეთა და გვერდზე გადაკიდებულ თავის ალაგას სისხლმა შედრევეანივით აასხა ზევით. ასე უშუალოთ გიორგის არ ნიელო მონაწილეობა ომში და ეს სურათი სამუდამოდ დარჩა მის მეხსიერებაში. შეტაკებიდან გიორგი უვნებლად გამოვიდა; მცირე ხნით სოფელში შეჩერებული ის ქარქაშიდან ხმალსაც ამოიღებს, რომლის წვერზე ახლათ შემშრალ სისხლის ლაქები შენიშნა მას ხელმეორეთ წარმოუდგა ნახევრად გადაჭრილი კისრიდან შედრევეანივით მოქუხარე სისხლი.

ნაშუადღევს მდ. ნ-ის გადასასვლელები დაკავებული იქმნენ. ახლათ დაკავებული ხაზის გამაგრება ველარ მოესწრო და მხმარე ნაწილების დაგვიანების გამო, უკვე სალამოსთვის მოაწვეს გასასვლელთ პოლონეთის უკან დახეულ არმიების ნაწილები; მათი გამკლავება ბრიგადის ძალოვნებს აღემატებოდა, მაგრამ მან ყოველივე გააკეთა, რისი გაკეთებაც კი შეეძლო უმაღლეს თავგანწირვასა და გმირულ თავდადებას. მოწინააღმდეგემ იგრძნო, რომ ერთადერთი გზა უკვე გადაჭრილი იყო, და საშინელი გახელებით შემოუტია. მან დააწინაურა ცხენოსანი ნაწილები, რომელთაც ეკვეთენ რიცხვით უმცირესი წითელი ესკადრონები. მათში გიორგიც ერთადუნდობელი იყო ამ ორ ცხენოსან რაზმების დაჯახება. ადამიანებზე უფრო ცხენები იყვნენ დაგეშილნი, თავისი ძლიერი კბილებით გლეჯდნენ ისინი მოწინააღმდეგეს. ბრძოლაში შეჭრილ გიორგის სისხლი არც კი შეუმჩნევია. თუ ესმოდა მხოლოდ სროლის ხმა, ჩახლჩილი ხმით ადამიანების ხრიალი და ცხენების ფრუტუნნი, მას აგონდებოდა შემდეგ, რომ ის ნელნელად ძირს ეშვებოდა. ცხენისათვის ტყვიას თავი ვაეზვრიტა და მის საფეთქელთან სისხლი ვიწრო ნაკადით მოკამკამებდა. თვითონ გიორგიც დაჭრილიყო და ამ მომენტიდან არ ახსოვდა რაიმე. ბრძოლის მსვლელობის შესახებ. მოწინააღმდეგემ დროებით დაიბრუნა ეს პუნქტი და უზრუნველყო იმ ლამით თავის ნაწილების დახევა. მეორე დილით გიორგი ტკივილებმა გამოაფხიზლეს. თან წყურვილიც საშნლად აწუხებდა. სცადა ფეხზე წამოდგომა, მაგრამ ვერ შეძლო. მან იქვე ახლოს პირქვე დაშობილი ადამიანი შენიშნა და ინსტიქტურად მიხიხდა მასთან; დასუსტებული მიეყრდნო მოკლულის გეგმს და ჩასთვლია.

საბოლოოდ გიორგი პოლონეთის ერთს პატარა სოფელში გამოფხიზლდა, რომელშიც დაჭრილები მოსახლეობაში იყვნენ დანაწილებული. გიორგის

ქრილობა მძიმე არ აღმოჩნდა, მაგრამ დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვას ის ძალზედ დაესუსტებია...

წითელი არმიის მოსთეპილი ლეგიონები გადაგზავნილი იქნა ელვის სისწრაფით მოარღვევენ.

მომქმედ არმიას დაჭრილი გიორგი რამდენიმე ხნით ჩამორჩა. შესაფერმა მკურნალობამ ის სულ მალე ფეხზე წამოაყენა. გაშლილი ჰაერი და სოფელი დაჭრილებზე კარგათ მოქმედებდნენ. მოკეთებული გიორგი სასიეროდ მინდვრათაც კი დადიოდა. გადახრილ მზის სხივებზე ყვითლად მოელვარე ყანები სავედ ირზეოდნენ. მკა დაწყებული იყო და მინდვრად გაფანტულ მუშაკებთან ერთად, შორიდან მოსჩანდნენ ჩამწყრივებული რიგები შეკრულ ძნებისა. აქ აღამიანისა და ბუნების პარამონიას თითქოს არაფერი არ არღვევდა, თუმცა ამ მინდვრებს სულ რამოდენიმე დღეა, რაც ჩაუჭროლა დიდმა გრივალმა, რომელიც ვინ იცის, აწი როგორ შესცვლიდა კაცობრიობის ბედს. ერთს სალამოს, ყანებში უფრო შორს შესულმა გიორგიმ შენიშნა მოხუცი და მასთან ახალგაზრდა ქალი რომლებთანაც ჰქონდა მას ბინა. ამ ქალის ორი უფროსი ძმა ომში იყვნენ გაწვეულნი. მათ არც კი იცოდნენ თუ რა ბედი ეწვიათ ჯარში გაწვეულთ. შინ მოხუცი ბაბუა და ქალი დარჩენილან და შეძლების დაგვართ უძღვებოდნენ ოჯახს.

ამ სალამომდი გიორგის ქალიშვილისათვის ყურადღებაც კი არ მიუქცევია, ახლა კი მოხიბლული დარჩა იავვიდათი, რომლის მშვენიერი ტანი ვნებით ირზეოდა ჩამავალ მზის სხივებში. ქერა თმები თეთრი მანდილით შეეკრა და თათლისფერ დიდრონ თვალებს ირგვლივ სვედიანათ მიმოაეღებდა. გიორგის იავვიდასთან დაახლოების უძლიერესი სურვილი აღეძრა. მაგრამ როგორ? რა საშუალებით?

ამ ფიქრებში გართულს არც კი აგონდებოდა, თუ როგორ ჩაება საუბარში მოხუცთან.

— მაშ თქვენში მემამულეების მიწები გლეხებს დაურჩევთ? ეკითხებოდა მოხუცი.

— რასაკვირველია, გლეხებს. მემამულეები გავანადგურეთ, მიწა უსასყიდლოთ მშრომელ გლეხობას გადაეცეით.

— როგორ კერძო საკუთრებაში?

— კერძო საკუთრება მიწაზეც გააუქმა რევოლუციამ.

— მაშ როგორ გადაეცეით მიწა გლეხებს?

— მიწა სამუდამოდ სარგებლობაში აქვთ გადაცემული გლეხებს.

— მიწა გლეხებს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც ქარხნები ქალაქის მუშებს.

— მუშებს ქარხნები საკუთრებაში არა აქვთ. ქარხნებიც და მიწაც მშრომელთა საზოგადოების, სოციალისტურ საზოგადოების საკუთრებაშია.

მოხუცმა თითქოს თავისთვის განაგრძო საუბარი და ჩიბუხი ზელის გულზე გადმოფერფლა. მან ყურადღებით აათვალიერა დღის ნამუშევარი

და სახვლიოთ დარჩენილი სამკელი ნაპირები. მზე ჩასულყო მინდორს ჩრდილი წელიწად ეფინებოდა. ყანები მდუმარეთ იდგნენ, ქოხვულში ძაღლები ყუფავდნენ და შორიდან პირუტყვიც ახლოვდებოდა.

მეზობელ სოფლიდან მწუხრის ზარის ხმა სვედიანათ მოისმოდა. იავვიდას სოფლის ქსენდზი წითლების შიშს გაუქცევია და თავისი სამწყსო უპატრონოთ მიეტოვებია.

მაინც ეს სამღვდელოება, რაფინირებულ სიყალბის სისხლიანი ფარეში...

გიორგი და იავვიდა დაწინაურდენ. იავვიდა მის წინ პაერს თამამად მიარღვედა. გიორგის ფანტაზია ძლიერათ აშლილიყო. ის ეძებდა სიტყვებს, რომ გაეზიარებია თავისი გრძნობები, მაგრამ საუბარი მაინც უმნიშვნელო საგნებს ეხებოდა. შორიდან მოისმის საველე არტილერიის გუგუნე, რომელიც მძიმეთ ვარდება გიორგის გულში და იქ ყრუთ იძირება სადღაც სიღრმეში. წყაროსთან გავლისას მათ ერთმანეთს პირველად შეხედეს. გავიდნენ დღეები...

თავის გრძნობების საბასუხოდ გიორგიმ მიიღო იავვიდასაგან უმხურვალესი თანაგრძნობა.

მთელს სიცოცხლეში დაუვიწყარი იქნება გიორგისათვის პირველი ალერსის უტკბესი წუთები, როცა ქალის მღელვარე სხეული მკერდზე მხურვალეთ მიიკრა და უნაზესი სველით ავსილ სახეს ვნებიანათ ჩაეკონა...

უკანასკნელად მოსულმა მკურნალმა შესაძლებლად სცნო გიორგის ნაწილში გაწერა. ახლოვდებოდნენ განშორების წუთები. იავვიდამ ბევრი იტირა, მაგრამ ცრემლი რას გახდებოდა, როცა ირგვლივ სისხლი ბატონობდა.

იმ ღამეს იყო უკანასკნელი ალერსი.

ჭობის ვიწრო სარკმლიდან მთვარეს მდუმარეთ შემოენათა.

სოფელში იდგა ზაფხულის ღამის სიმშვიდე.

ჭობში გიორგი და იავვიდა უკანასკნელ ალერსში აფრქვევდნენ თავიანთ სიყვარულს.

გიორგის მკერდზე მინდობილ იავვიდას მშვიდათ ეძინა. დილით კი თვალცრემლიანი აცილებდა მიმავალ გიორგის.

— ღმერთო ჩემო! სანამდის ეს უბედურება? იძახოდა იავვიდა და ქვითინით შევიდა ჭობში.

გიორგი სხევბთან ერთად გაუდგა გზას.



პოლონეთის პანებმა და ბურჟუაზიამ მსოფლიო კაპიტალის დახმარებით შესძლო ვარშავის დაცვა და სხვა ფრონტით შემოპილ წითელ არმიას უბღბა უკან დახევა.



არმიასთან ერთად იხვედა № დივიზიაც. გიორგის ნაწილმა იაგვიდას სოფელში ღამით გამოიარა. მან დიდხანს იარა ვახიზნა და მტერს რომ ეკითხა და გაეგო იაგვიდას ამბავი, მაგრამ ვერაფერს ვერაფერს ვერაფერს ჩამოშორებული გიორგი სოფლის განაპირათ მთვარის შუქზე გაპყურებდა მინდვრებს, სადაც პირველათ იაგვიდა იხილა.

გიორგი დიდხანს იყო მდუმარეთ.

წითელი არმიის დაღლილი ნაწილები რისხვიან ბოლმით მიიწვედნენ აღმოსავლეთისაკენ.

შარაგზიდან მოისმოდა მძიმე ხმაური.

უკვე მოწმენდილ ცის თაღზე მკრთალი მთვარე დასავლეთისაკენ მდუმარედ მიჭროლავდა. დამწუხარებული გიორგი თავისი ცხენით მიჭროდა აღმოსავლეთისაკენ, რომ დასწეოდა დილამდის თავის ნაწილს.

მეორე თავის დასასრული



პეტრე სამსონიძე

მთა-გმირები

(ერთი თავი პოემიდან)

ბ ა ა დ უ რ

— გელა, ფხიტუსის ქედვით თმა შეგვერცხლია...
გამიხსენ გული, საიდუმლო ფიქრებით სავსე...
როგორ მოხდა ეს, რომ მდინარეს გადურეცხია,
ვით ნორჩი ყანა, სიყვარულის შვება-სიამე...

მე ზომ მიყვარდით თქვენ სუყველა ისე რომ თვით მზეს,
არ ყვარებია წვიმის შემდეგ ძირს გადმოხედვა...
როცა ის ველის მოლანანე ყვავილებს უმზერს,
როცა მათ ტრფობით და აღერსით ყელზე ეხვევა...

მე არ ვფიქრობდი: ჩემს თავს თუ რა მოუვიდოდა;
მხოლოდ თქვენ მყავდით ვარსკვლავივით წინ ანთებული...
და თუ ოხვრანი აღმოქუხდა მაინც გულიდან —
შტანჯავდა ბედი თქვენი ოხრად აქ დაგდებული.

გელა, გამიხსენ ეგ შუბლი რომ მთის თხემებივით
დაგილარია და ზედ სევდა დაგიდალია...
როგორ მოხდა ეს, რომ მეწყერი მთით მოხეთქილი,
მოვარდნილა და მოუგდია არაგვი მღვრია...

გ ე ლ ა

— ბაადურ, შენი სიტყვები გულს ცეცხლად ედების,
თითქოს ისარჩი შხამიანნი მკერდზე მესვევა,
თითქოს ორ კედელს შუა ვღგავარ და, ჰა კედლებიც
დაიძრინ უცებ... წამოვიდნენ ჩემს გასასრესად...

რა ვქნა... რა გითხრა ისეთი რამ, რომ დაგამშვიდო...
 გაგინიავო ეს ფიქრები, შენი, ბილწები...
 ვაი, თუ ჩემმა სიტყვამ უფრო გარდმოგიშალოს...
 ის ჯოჯოხეთი, რასაც ითხოვ ცნო დაწვრილებით...

ბ ა ა დ უ რ

— გელა, მითხარი ყოველივე ნუ დამამადლი,
 როგორ მოხდა ეს!? დამნაშავე რომ გამოენახო!!
 ვაიმე, დედა, როცა შენს შეილს მზრდიდი, მივლიდი,
 რატომ განგებამ ძუძუები არ ჩამოგიხმო!!!

რატომ არ ჩაქლა შენში გრძნობა დედა-შვილობის,
 რომ სადმე ხრამში გადაგეგდე გადაგეჩეხე!!!
 მაშინ ხომ ამდენ ცრემლის დენას ავშორდებოდი,
 სისხლის ღელეთ რომ დამზნევია ახლა ჩემს სახეს...

მითხარი გელა... გული კედება, გული სივდება...
 ვაიმე... ნუ თუ სიბრალული, შენში ვერ ვპოვო;
 თუ ასე არის, მაშინ მითხარ წინ რა გიდგება:
 აიღო ხმალი, დამჭკრა თავს და შუა გამაპო.

გ ე ლ ა

— დამშვიდდი შეილო... ხშირად თქმითაც არა გამოდის,
 პირიქით: უფრო ატირდები ფიქრ-ანაშალი...
 ხშირად კი სიტყვა მალამოა იქ დანადნობი,
 სადაც დაჭრილი გული გიძგერს კაეშნიანნი...

თუმცა წინდაწინ, მე მაინც ვგრძნობ, რომ ჩემი სიტყვა,
 შენ ვერავითარ ნუგეშს მოგცემს, დაგაშოშმინებს;
 პირიქით: ვგრძნობ, რომ შენი გულის მძიმე სატკივარს
 ის აფრასავით ზღვაზე ფრთებსა გააშლევინებს...

ყური დამიგდე... ომში წახველ... გულდაისრულნი
 ჩვენ აქ ვეყარნეთ და ნუგეშად მხოლოდ ის გვექონდა,
 რომ თვეში ერთხელ გვეძახოდა იასაული,
 რომელსაც შენი მოწერილი წიგნი მოჰქონდა...

ჩვენ ვკითხულობდით შენს ბარათებს, და ყოველგვამ,
ჩვენს ირგვლივ ისე იცინოდა, და ბრწყინვალეობდა,
როს ღრუბლებიდან გამოსული მზის სიცხოველე
ეტრფიალება ველს ფრიალო მწვერვალებიდან...
ერკონულნი
ბიზლიჩისეჰა

მაგრამ გავიდა რვა თვე, რაც შენ ომში იბრძოდი
და შეწყდა შენი ბარათების მიღება სოფლად...
სად არ ვიყავით... ეხ... ვის არა ვევედრებოდით,
შენი ამბავის გაგება რომ კვლავ გვლირებოდა...

მაგრამ ამჟამ იყო ჩვენი ყოველივე ცდა...
და ჩვენც ბედკრულნი ნუგეშს მხოლოდ მასში ვეძებდით,
რომ თვალკრემლიანს შევცქეროდით გულა-მაცრის ცას,
ვით მგლოვიარე, რომ ირთოდა თაღნით ძაძებით...

ნოდარი ხშირად დადიოდა ჩვენსას, რადგან მე,
სიბერის გამო ვერ უვლიდი დათესილ ყანებს;
გვეხმარებოდა, როგორც შენი ძმა და მოგვარე...
მას, ვით ყავარჯენს, გაჭირვების დროს დავემყარეთ...

ვერ ვიტყვი შეილო... და მით ცოდვით სულს ვერ წავეწყმედ,
თითქოს მას გულში, რამე ცუდი განზრახვა ჰქონდა...
მე იმის სინდისს, ვაჟკაცობას იმდენ პატივს ვცემ,
რომ აღარ ძალმიძს: ვსთქვა მის მიმართ, რაიმე გმობა...

მზიას უძახდა ის თავის დას, მართლაც და-ძმური
იყო იმათი საუბარი, ურთიერთობა...
ჩვენც ამის გამო, შენი წასვლით დამმარებულნი
მის მიმართ, მხოლოდ პატივცემით გული გვითრთოდა...

აჰა, გავიდა ერთი წელი, შენგან ბარათი,
რაც არ მიგველო და ჩვენც გული ისე გვიწუხდა,
როგორც საშინელ გრიგალის დროს ეს მთა და ბარი,
როცა მრისხანე ზეცის ძალნი ჰქეპენ და ჭუხან...

ერთ დღეს... ვაჰ... იმ დღეს... რა მწუხარე მოსაგონია...
მამასახლისმა დამიბარა ნაცვალის პირით...
გავსწიე, თუმცა მკერდში გული აღარ მქონია,
ისე კენესოდა ის წინდაწინ სვე დანაცარი...

მამასახლისმა — მიველ თუ არ, რაღაც ქალღი
 გამომიწოდა და თან ცივად წაილულულა: —
 — მოუკლავთ შენი სიმე ომში... — მე ავლრიალ...
 დავემხვე იქვე... მილალატა ბებერმა მუხლმა.

რა ვაეაგრძელო, იმ დღის შემდეგ შენც წარმოიდგენ,
 თუ რა ვაება ჩვენს ოჯახში გამეფდებოდა,
 თითქოს ძალნიო ჯოჯოხეთის ერთად წარმოდგენ
 ჩვენი ვარსკვლავნი, ისეც მკრთალი მთლად დაეფერფლა...

ტიროდა ნოდარ... გულწრფელობით სავსე ვაქცატი
 ამბობდა მწარედ: — „ვაპ, ბაადურ, ერთგულო ძმაო,
 სადღა ვიბოვო მეგობარი შენი სანაცვლი
 რომ ვით შენ მასაც ფიჭრი ჩემი გაუზიარო“...

ასე ტირილით გაირბინეს თვეებმა, წლებმა
 და დრო, ხომ ყოველ იარების დოსტაქარია,
 გრძნობ რომ სიმშვიდე, თუმც ბორძიკით, მაინც გაწვევა,
 თითქოს ვაება ეამთა სრბოლით დაგიჭოლია...

ნოდარი ისევე უანგაროთ და წმინდა გულით,
 დადიოდა და, მოსავლის დროს გვეხმარებოდა...
 კვლავ ვიმეორებ: მზიასთან ის მშურ სიყვარულით
 იყო და სხვა რამ მის გულს ვგრძნობდი, არ ეხებოდა...

ბოლოს, აჭა-იქ ქორიკანა დედაკაცები
 (ხომ იცი თუ რა ავი ყიას პატრონებია)
 დაჩურჩულებდენ და მით ხშირად მზიაც დაცინვით,
 გულის სიღრმეში დაუჭრიათ, დაუკორტნიათ...

ესმა ეს ნოდარს და მის შემდეგ ჩვენსას სიარულს
 უკლო, ბოლოს კი მთლად შეწყვიტა დაღონებულმა...
 ვამჩნევდი მზიას, რომ არ გვრიდა ეს მას სიხარულს,
 პირიქით: სახე კიდევ უფრო გადაედრებლა...

ებ, ბებერი ვარ ჩემო შეილო... გამოცდილება
 ბებერი მინახავს... ჩავწვდენილება იღუმალ ძალებს..
 ბუნებამ ასე შექმნა და ვინც მის გზას ცილდება
 ის თვით თავის თავს ისამარებს და ისაძაგლებს...

ვერვინ დაუდგეს ბუნებას წინ... ის მთის ზევივით,
წამოვა რისხვით, გაგიტანს და გაგაცამტვერებს...
ასე არ არის?!! აბა შეძელ ჩაჰკლა ის აზრი
ხალხში ჩანჩქერად რომ ჩნდება და, ჯებირებს ამტვრევს...

ვიცი ნარნარი ყვაილი რომ მზეს შესტრფიალებს,
რა ასულდგმულებს მის ცხოვრების დედა არსს ამით...
ან შევარდენი ციდან-ცამდი რომ ჰჭრის, ტრიალებს,
თუ რა უშრეტი ცეცხლის არის ირგვლივ მთესავი...

...და სცადე ახლა ეს ყვაილი ვით სიხალისე,
წაართვა მზეს და გადანერგო სადმე ბნელ ადგილს...
გაფერმკრთალდება... გაყვითლდება და ნალელით სავსე
დაემსგავსება წინანდელი ყვაილის აჩრდილს...

ან შევარდენი ციდან-ცამდე რომ დაჰჭრის ვერე,
რომლის სიმარდეს თვით ნიავეც ვერ შეედრება,
რომ დაიჭირო... დაამწყვდიო სადმე ბნელ ნანგრევს,
მეორე დღესვე სასიკვდილოდ დაავადდება...

...ჰო და... აი მეც ვამჩნევდი რომ ჩემს თვალწინ ქალი,
ითხოვდა ალერსს, ვით ყვაილი მზეს და სინათლეს...
შეღერებული, ახალგაზრდა, სიმწიფით მთვრალი,
გავდა ჯეირანს: ზმანებაში ღამე განათევს...

იმისი სახე — მოლაქლაცე განთიადივით,
იმის თვალების სიელვარე და სხივოსნობა,
იმისი ბაგე თითქოს მთვრალი ტკბილი შარბათით
ალერსს ითხოვდა, ჩემო შეილო, ალერსს ითხოვდა.

და ეს სურვილი მის თვალებში სევდის ზოლებათ,
გაწოლილიყო მთის ნისლივით დღესა აედრიანს...
ხედავდა: დღენი ერთფეროვნად მიზოზინებდა...
ხედავდა: ირგვლივ მოწყენა და მხოლოდ დარდია.

ჰკნებოდა ქალი, ვით ყვაილი ბნელით მოცული,
რომლის თვალები უბეებში ღრმად ჩაძირულა
და დადიოდა დაღვრემილი იმ მოხუცივით,
რომელიც წლებმა და ცხოვრებამ დააძაბუნა...

ერთ დღეს ნოდარმა შემთხვევით აქ გამოგვიარა;
 შეჩერდა წუთით... მოგვიკითხა, თუ როგორ ვცხოვრობთ...
 თითქოს წვიმების შემდეგ უცებ გამოიღარა, გიგანური
 და მზე წამოდგა მწვერვალთან სამახარობლოდ;

ეგრე მზიამაც მარმარილოს მალალ შუბლიდან,
 გადაირეკა მოწყენის და სევდის ღრუბლები, —
 რომლებსაც იგი არა ერთხელ დაუშუბიათ,
 და მიუგდია კუთხეში გულ-ანადულები...

განათლდა სახე... და თვლებიც ვარსკვლავებით
 აელვარდენ და აციმციმდენ ჩუმი ალერსით...
 შესტრფილებდენ ნოდარს, თუმცა მათში გარკვევით,
 სჩანია ხაზები საყვედურის გამოსათქმელი...

ნოდარი თითქოს, გრძნობდა მზიას ამ საყვედურებს
 და მოწყენილი მხოლოდ ასე გაიღიმებდა:
 თითქოს ამბობდა: — „რა ვქნა ჩემო, რომ ნავთსაყუდელს
 ვერც მე ვპოულობ რაც აქედან წაველ იმ დღიდან...“

მაგრამ რას ვამბობ?! ჰე, თვალეზო, დაიფერფლენით...
 ნუ, ნუ გაამხელთ ჩემს გულში ღრმად რაც დამარხულა!..
 სად მე და სად ის?! ის, რომელიც იმ ვაჟაკს შესტრფის,
 ვინც იყო ჩემი ძმად ნაფიცი, მაშ სად ნახულა

ვამბობდე ამას!?! არა, სჯობს, რომ ისევ და-ძმური
 იყოს ჩვენს შორის ერთმანეთთან გასაუბრება...
 მაშ, წყნარად ნოდარ, ეს ფიქრები გრძნობით დაძრულნი,
 თუნდ გულს გაივლო, შენ როდი გაქვს ამის უფლება...

თვალეზი ნოდარს, თითქოს ასე ამეტყველებდა
 და მზიაც სევდით შესტკეროდა მის სივაჟაკეს...
 ასეა, როცა სასოება წარგეკვეთება
 და შიშით გული გიკანკალებს და გიცახცახებს...

წავიდა ნოდარ და მზიაც კვლავ დანალრუბლები
 ისევ მიენდო თავის გულის მძიმე ხვაშიადს...
 თითქოს სოფელზე, სიცოცხლეზე დანაუბრები
 განწირულა და სიხარულის კარი დახშია...

გავიდა ხანი... მზია უფრო და კიდევ უფრო
 სევდიანობდა და მიზეზიც ვიცოდი რატომ...
 და მეც ვით იმის მშობელ მამას მფარველს და
 რა უნდა მექნა, თვით განსაჯე ბაადურ ამ დროს...

დავდუმებულყავ... ხომ უთუოდ დატლქედობდა
 და წამართმევდა ჩემს ერთად-ერთ ნუგეშს სიკვდილი...
 მაშასადამე, რომ მზე სულ-მთლად არ ჩამქრობოდა
 ერთ დღეს ნოდარზე ჩამოუგდე სიტყვა სიფრთხილით...

ჯერ შეკრთა... შემდეგ თითქოს წყრომით მისაყვედურა: ---
 — რას ამბობ, მამა??! ნოდარს!. ნოდარს!!? ეს რა ძითხაი?! --
 მაგრამ შევატყვე ამ პასუხში დაისადგურა
 მისმა გრძნობებმა ნოდარისა მიმართ სიხარბით...

რა გავაგრძელო... მოხდა ისე, რომ შევეართე
 ორი არსება, რომ იწვოდენ გულდარდიანი...
 მაგრამ, კვლავ ვამბობ: დამნაშავეს ძებნა თუ გემართებს ---
 ეს მე ვარ... შემდეგ ბუნება და ადამიანი...

დადუმდა გელა... და ბაადურ დგას უპირქუბო...
 თითქოს დუმდუმის ტყვიით იქცა ნაჯუწ-ნაჯუწად...
 რა ქნას, რომ ყველგან ელანდება სისხლი და კუბო...
 რა ქნას, რომ გელას ნაუბარმა გული დაუწვა...

ჩაფიქრდა წუთით: საშველი რამ რომ გამონახოს,
 მაგრამ იმდენად დახშულიყო კარები ხსნისა,
 რომ უიმედოდ კვლავ ატირდა და იქვე ახლოს,
 მიეგდო ტახტზე ცრემლის კი არა, მდენი სისხლისა.



ჯემალ-ზადე

ნ თ ვ ი ლ ი ბ ი

ჯემალ-ზადე უახლესი ირანული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ნოველების კრებულმა, რომელიც 1922 წელს გამოვიდა, მთელი ეპოქა შექმნა ირანულ პროზის განვითარებაში.

ჯემალ-ზადე თავის ნოველებში აშხელს და ებრძვის თავისი ხალხის ცხოვრების მახინჯ ტრადიციებს. მის ნაწარმოებებს ახასიათებს იუმორი.

ჩვენთვის, საბჭოთა შოთხელებისთვის, მნიშვნელოვანია ჯემალ-ზადე იმდენად, რამდენადაც მისი ნოველები საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ირანის ცხოვრების ზოგიერთ მხარეს და ღრმად ჩავიხედოთ იმ ისტორიული უკულმართობით გამოწვეულ ხვედრებში, რომელთაც ადგილი ჰქონდა ქაჯართა ბატონობის უკანასკნელ პერიოდში, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დამდეგს მსოფლიო ომის ჩათვლით.

„თანამდებობის კაცი“

საკმაოა რამდენიმე ხნით უცხო ქვეყანაში დაჰყოს კაცმა, რომ მის გულში ათასნაირი ზრახვა გაჩნდეს. რა ოცნებასა და ფანტაზიაში არ გადაიქრება ადამიანი, რის საღერლელი არ აეშლება! შორეულ ქვეყანაში ყოფნის დროს საკმარისია ადამიანს მოაგონდეს რაიმე მშობლიური, რომ ინდოეთისათვის დასვედიანებულ სპილოს დაემსგავსოს, ხოლო გონიერი ადამიანი გაჯიუტდეს ფეხმძიმე დედაკაცივით, რომელიც ერთი რაიმე აზრის აკვიტებით შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ თეთრს შავისაგან ველარ არჩევდეს.

ამ უკანასკნელ ხანებში ევროპის ცენტრში ყოფნის დროს როგორღაც თავისთავად, ყოველგვარ საბაბს გარეშე, ვამიჯდა აზრში ირანის თბილი და სანუკვარი აბანოები ქერბელაიე ფანჯშანბეკი ქაჯვერის მასაით. საქმე იქამდე მივიდა, რომ მზად ვიყავ ხელი ამელო ჩემ თვიურ ჯამაგირზე, ოღონდ შეხილა მაცოცხლებელი ლეგენდარული ხეზრა, ჩემ თავზე წყლის მასხურებელი. თვალს ვახელ და ვხედავ თავს თეირანში, ჩენი უბნის აბანოში, თითქოს ერთი ტილო, რგოლივით დახვეული, თავქვეშ ამოუღვიათ ჩემთვის, ხოლო მეორე ვაუშლიათ ჩემ სხეულ ქვეშ, რომელიც ლაზათიანად გამოტილა გამთბარ მარმარილოს ზედაპირზე. ქერბალაიე

ფანჯრანზეკი წამოყუნცულა ჩემს გვერდით თავისი სანაქებო მარჯველიანი ხელთათმანით, რომლის ნახვრეტებიდანაც ზენით შეღებული ოთხი თითი გამოუშვერია. სრულიად დამშვიდებული და თავმომწონე უფიქრის ოსტატობით უდგება იგი თავისი ხელთათმანით ჩემი თავისა და ტარის წინას.

მას შემდეგ, რაც ამ წარმოდგენამ დაისადგურა ჩემს თავში, დამეზო ყოველგვარი გამოსავალი — თითქოს მაგლაჯუნა დამწოლოდეს ზევიდან. ვეღარც კი ვახერხებდი ბალიშზე თავისუფლად თავის დადებას იმ დრომდე, სანამ დიდი ხეტიალისა და გამოკითხვის შემდეგ არ მოვინახე ერთი აბანო, რომლის პატრონიც, დაყრილი ხმების თანახმად, თითქოს ერთხანს ირანში უნდა ყოფილიყო და იშვიათი მექისე გამზადარიყო. ვიფიქრე, ასეთი აშბის გამო საკუთარი სიცოცხლეც კი არ უნდა დაიშუროს ადამიანმა მეთქი.

მივანებე თავი საქმეს და გავუდექ გზას სანუკვარ ადგილისაკენ. მთელ გზაზე ჩემ წარმოდგენაში ირეოდა ჩვენი უბნის (თეირანში) აბანო და მისი მოწყობილება თავისი სველი და დაძველებული კიბით, კედელთან დატანებული სანაგვე ნაბრალით. აბანოს ერთ-ერთ თაღზე გამოქანდაკებულია შუაზე გაყოფილი წვერით გმირი როსტომ, თეთრ დევეს რო მუცელს უფატრავს. განსაკუთრებით მაგონდებოდა ის ადგილი, სადაც თეთრი დევეს მუცელი უნდა ყოფილიყო. სწორედ იქ გაჯი მოშორებოდა და გაჩენილიყო შავი ლაქა, რომელიც უფრო და უფრო დიდდებოდა. აი ვხედავ როსტომზე არა ნაკლებ გრძელწვერიან აბანოს პატრონს, რომელიც ზის გამურულ დახლში და „გაამოს“ ძახილით ქაჩავს ხის მუშტუკიან ყლიანს.

მაგრამ არა, ეს ხომ ოცნებაა. სად ევროპა და სად ასეთი სიმშვენიერით შემკული აბანო! არც ალუჩის ბურახი, არც შაქრის წყალი, არც სურნელოვანი თამბაქო. შენც არ მომიკდე! გამოგართმევენ რა დაწესებულ საფასურს, ჩაგჩრიან ხელში ბილეთს და შეგაგდებენ სრულიად შიშველ ოთხაში, რომლის მოწყობილებაც შესდგება კედლის შუა ადგილას გამოყვანილ ერთი სპილენძის ონკანისა, ჰერკვეშ დაკიდულ წყლის სასტურებელ მილისა და ერთი ძელისაგან, რაც გაგონებთ საყასოში გადებულ ხარბხას და რაც კარებს უკან მიუტყედიათ ტანისამოსის დასაკიდებლად. ეს არის და ეს. დაილუპოს მათი თავი! ნუ თუ შესაძლებელია ამას აბანო ეწოდოს?

ასეთ ფიქრებში ვიყავ გართული, როდესაც გაიღო კარი და მოულოდნელად გამოჩნდა მექისე. მინდოდა დამეფარა ჩემი სიტიტვლე, მაგრამ მომაგონდა, რომ თვით ლეგენდარული ადამიც არ მორიდებია სიტიტვლეს. მეც მის მაგალითს მივბაძე. როდესაც ჩემი დოსტის თვალები დაეცა ჩემ შავ თმას, მრუდესა და ირიბ თავის ქალას, თანაც ჩემი სხეულის დათვალიერებით მიხვდა, რომ მე აღმოსავლეთის შვილი ვარ, — გაიღიმა. ხოლო, როდესაც გაიგო, რომ მე ნამდვილი ირანელი ვარ, პირი ისე დაალო, რომ მის ნაპრალებმა საფეთქელამდის გაიწიეს. ერთბაშად გადამავლო

წყალი თავსა და სხეულზე და გავიდა. როდესაც დაბრუნდა, ვხედავ მოაქვს ჭრელი ხელთათმანი, რომლის ერთი შეხედვაც კარ მხელს — სწრაფად შეიძლება დაფასდეს. ერთის სიტყვით, დამაწვინა ირანულ ყაიდზე, — თუმცა თავქვეშ ამოსადები და გასაშლელი ტილოები არ მოეტანა, — და შეუდგა ხელთათმანით ჯირითს. ახლა მნელია, რა თქმა უნდა, იმის წარმოდგენა, თუ რანაირ კმაყოფილებას ვგრძნობდი მაშინ. თავლის ხსენებით პირი არ გატკბილდების.

უნდა შევნიშნო, რომ როდესაც დავრწმუნდი ჩემი დოსტის მარიფათიანობაში, თანაც ვხედავდი, რომ იგი ზედმიწევნით ფლობდა სათანადო წესებს, ერთგვარ განცხრომას მიეცე თავი და შეგობრული გრძნობების გამოსამჟღავნებლად ეკითხე:

— ისტატო! მსმენია, თითქოს თქვენ ირანში ყოფილხართ. ხელში რომ ხელთათმანი ეჭირა, იმაზე მანიშნა და მითხრა: — და აი მისი საბუთიც! — რისთვის გიმგზავრიათ ირანში? გაიცინა და მითხრა: — თვითონ გამოიცან.

— მაშ კარგი. იქნებ ირანში გაპყევით იქიდან ჩამოსულ რომელიმე შაჰს?

— არა.
— იქნებ მოსამსახურედ ახლდით რომელიმე მოგზაურს?
— არა.
— შეიძლება ქურდობას ეწეოდით და იმიტომ მიმართეთ ისეთ ადგილს, სადაც მთავრობას ხელი არ მიუწვდებოდა, რომ საფარველი გქონოდათ?
— არა.
— ახალგაზრდობის ეამს რომელიმე ირანელს ხომ არ წაუყვანიხართ ირანში?

— არა.
— მეტი არა მომდის რა აზრად. ახლა თვითონ თქვით, რა მიზნით გიმგზავრიათ ირანში.
— ეეე, შე ჭკუის კოლოფო! მე ხომ სახელმწიფო მრჩეველი ვიყავი... ვაოცებისაგან პირი მოლარეს პირივით ღიად დამრჩა, ხოლო თვალები აბანოს ამობურთული მინების მსგავსად გადმომეკარკლა.

— მრჩეველი იყავით?!
— დიალ, ვიყავ. რატომაც არ ვიქნებოდი?
— რანაირი მრჩეველი იყავით?
— ყოველნაირი. შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგარეო, საფინანსო, სამხედრო, განათლების, საზოგადო ქველმოქმედების, ფოსტა-ტელეგრაფის, საბაჟოს, ვაჭრობის და სხვა და სხვა.

მინდოდა გამეცინა, მაგრამ ვხედავ, დოსტი ზუმრობის გუნებაზე არ არის და მისი სიტყვები მართლაც უსაფუძვლო არ უნდა ყოფილიყო.



შევეკითხე:

— თქვენ ისეთი ორფეხათა ჯიშის წარმომადგენელი ბრძანდებით, რომ თქვენგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ თვეფი დაქვემდებარებით, რომ ირანში თქვენი მრჩეველად ყოფნა თითქოს არც ისე ადვილად დასაჯერებელი საქმეა.

გაიციანა და თქვა:

— როგორც ჩანს, თქვენ ნაკლებად იცნობთ ირანს. თუ გინახავთ კარნაველი ჩვენს ქვეყანაში, საფრანგეთში, იშვიათი ზეიმის სახით რომ იმართება ზოლმე?

— დიდაც მინახავს და ვიცი კიდევ, რომ კარნაველი ისეთი ზეიმია, როდესაც ხალხი ნაირ-ნაირ და საკვირველ ტანისამოსში გამოწყობილი და ნიღაბ-აფარებული გამოიშლება ზოლმე, დაერევიან ერთმანეთს და ლაზღანდარობენ, მაგრამ ამას რა კავშირი უნდა ჰქონდეს ჩვენ თემასთან?

— თუმცა მე თვრამეტ თვეზე მეტხანს არ მიცხოვრია ირანში, მაგრამ ჩინებულად შევიგნე, რომ იქაური ცხოვრება თავიდან ბოლომდე ბერიკობას ჰგავს, სადაც ყველას შეუძლია გამოცხადდეს მისთვის სასურველ ტანისამოსში და მოდავე არაეინ იქნება...

— ყველაფერი ეგ ზორბად არის ნათქვამი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, თქვენი მრჩეველად ყოფნა მაინც...

— მაშ, მომისმინეთ და გაიმბობთ. დღიურიც კი მაქვს, სადაც ყველაფერი დაწვრილებით არის ჩაწერილი. თუ სურვილი გაქვთ, გადმოგცემთ წასაკითხავად.

— ძალიან მადლობელი ვარ, მაგრამ ამჟამად, რაკი შესაფერი დრო და ეამი გვაქვს, იჭნებ არ დაიზაროთ და იმ დღიურიდან მიამბოთ ზოგი რამ, რათა ბოლოს გამოვარკვიოთ, რომ ის, რომელიც ჩემს გვერდით წამოყუნცულა და ქისის შემწეობით ქუჭყისაგან ასუფთავებს ჩემს სხეულს, რანაირად მოხვდა მრჩეველად ირანის სხვადასხვა სამინისტროში, ამ ქვეყნის უმაღლეს სახელმწიფო სფეროებში.

ჩემმა დოსტმა დაბერტყა თავისი ქისა, განზე გადაისროლა ჩემ მკერდზე დაგროვილი ქუჭყი, გადამავლო ერთი სათილი წყალი და დაიწყო:

— მამაჩემი ამ ქალაქში პარიკმახერად იყო, თან აბანოც ჰქონდა. მე კი ბავშობიდან, გარდა აბანოსი, საპნისა და მასაეისა, არა ვიცოდი რა. სწორეთ ოცი წელია მას შემდეგ, რაც ავად გახდა ამ ქალაქის ერთი გამოჩენილი პიროვნება. თურმე მოიწვიეს ევროპის ყველა საუკეთესო და ცნობილი ექიმი მაგრამ ვერას გახდენ. ერთ დღეს მოულოდნელად ეს ავადმყოფი მოდის აბანოში იმ დროს, როდესაც მე იქ ვმუშაობდი. კარგი საჩუქრისა და წყალობის თვალით გადმოხედვის მოლოდინში ზორბად მიეყვებ ხელი მისი გვერდების ზელას. მეორე დღეს გავიხედე, კვლავ მოდის და მეუბნება: „მთელი ამ ექვსი წლის განმავლობაში მხოლოდ წუხელ მომეცა მშვიდად და წყნარად დაძინების საშუალება. უნდა ვიფიქ-

რომ, რომ ეს შენი მასაჟის ნაყოფია. კვლავ მოველ, რომ გავიგო — მართლა ასეა თუ არა“.

ერთის სიტყვით, იმის შემდეგ ყოველდღე დადიხარ კახლად, რომ ჩემ მასაჟს საოცარი ძალა ჰქონია, რის შესახებაც მე არაფერი ვიცოდი. გაიჩარხა ჩემი საქმე და დავმეგობრდით კიდევ. ჩემდამი ნდობა დღითი-დღე მატულობდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ არ მომეშვა, სანამ თავის სახლში აბანო არ აიშენა და მეც იქ არ მიმიჩინა ბინა. ყველა ამის შედეგად მე შევიქენი მისი ოჯახის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად. ამასობაში ირანის სახელმწიფომ ევროპიდან მრჩევლები მიიწვია. მოხდა ისე, რომ ჩემი ალა იქნა არჩეული მისიის მეთაურად, იმ პირობით, რომ თვითონ მას შეერჩია რამდენიმე პირი, რომლებსაც მის ხელქვეით უნდა ემუშავათ ირანში.

პირველად ძალიან უკმაყოფილო იყო, რომ მე უნდა დამშორებოდა, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა მეც წავეყვანე ირანში. ზოლო იმისათვის, რომ თავის ჯიბიდან ჩემზე არაფერი დახარჯოდა, აიღო და წარმადგინა თავის კორპორაციის წევრად, ასე რომ მეც გავხდი ღირსი აღმატებული მდგომარეობისა.

ირანში რომ ჩავედით, მართალია, ჩუმ-ჩუმად ყოველდღე უნდა ვამეკეთებინა მასაჟი ჩემი აღისათვის, მაგრამ როგორც კი გავცილდებოდი აბანოში შესასვლელ ზღურბლს, კვლავ მიბრუნდებოდა ჩემი დიდკაცობა, პატივისცემა, საპატიო ადგილი, სათანადო ეპიტეტები — მოსიო, საპებ და სხვა.

პირველად ვამგზავნეს ფოსტის სამმართველოში. ევროპაში ყველასათვის ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფოსტას. ყველამ იცის, მაგალითად, რომ წერილების დამტარებელს აცვია სპეციალური ტანისამოსი, რომ ყოველ უბანში არსებობს ფოსტის განყოფილება, ზოლო ქუჩის მოსახვევებში — საფოსტო ყუთები და სხვ. ავდექით და ჩვენც ასეთი წესები შემოვიღეთ თეირანში. ისეთი ეფექტი მოვახდინეთ, რომ უკეთესი აღარ შეიძლებოდა. გაზეთები ჩემ შესახებ წერილებს ათავსებდნენ, პოეტები ზოტბას მასხამდნენ, მომღერალნი და მუტრიბნი თასნიფებს თხზავდნენ და სხვა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ყველას, დიდსა და პატარას, ჩემი სახელი ეკერა პირზე. მეჯლისიდან მოვიდა ფართო ხასიათის დავალებები და რამდენიმე სამინისტრო თანდათან ჩემ განკარგულებაში მოექცა. რეფორმები ისე მრავლდებოდა ჩემი კარნახით, როგორც წვიმის შემდეგ სოკო. მომდიოდა ახალ-ახალი წინადადება მეჯლისში რეფორმის მოხდენის, მთავრობის სასახლეში წესების დამყარების და სხვათა შესახებ. ერთის სიტყვით, მიწვევდნენ ყველგან და ისეთი გაწამაწია იყო, რომ თავს ძლივს ვართმევდი.

მაგრამ ყელა ამასთან ერთად მასაჟიც არ უნდა დამევიწყა და რადგან ვიცოდი, რომ ის იყო ყველაფრის თავი და ბოლო, იძულებული ვიყავი ყოველდღე, დილით, ჯერ კიდევ გათენებამდე, წამეყვანა ჩემი ალა აბა-

ნოში და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე თითქმის მასზე მალე ვიდრე მდგომარეობით, პატივით და ნაირ-ნაირი ჩინ-მენდლებით, კინტის მეჭისედ და ტანის მზელავად უნდა დავრჩენილიყავ. ჩემთვის კი ერთ-აქეთ აქნევდა და უღვაშებში იღიმებოდა, თითქო აქ არაფერიყო. ბოლოს და ბოლოს მეც ხომ ფეხებზე მეკიდა ყველაფერი!

არ გასულა დღიხანი, რომ შევიქენ საკმაო კაპიტალის პატრონი. ბევრი აღარ მიფიქრია, მთელი ჩემი უძრავ-მოძრავი ოქროდ ვაქციე და განვიზრახე ევროპაში წამოსვლა იმ საბაბით, თითქოს ავად ვყოფილიყავ და წამლობა მჭირდებოდეს. შევკარ სამგზავრო ბარგი და ქვეყნის გაცნობის მიზნით ავირჩიე შემდეგი მარშრუტი: ყუმი, ყაშინი, ისპაჰანი, შირაზი და ბუშირი, ხოლო იქიდან — ევროპაში. თეირანიდან ჩემი გამომგზავრების დღე პირდაპირ ისტორიული ამბავი იყო. ქალაქის მთელმა მოსახლეობამ მუსიკითა და სიმღერით გამომაცილა, ია და ვარდი იფინებოდა ჩემ ფეხებ ქვეშ, ძროხებსა და ცხვრებს მსხვერპლად წირავდენ, ხოტბას მასხამდენ და თან ტიროდენ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ ჩავველწია ყუმიამდის, რომ თავს დაგვესხა ქურდებისა და ავაზაკების ბრბო. წამართვეს მთელი ავლა-დიდება და დავარჩი ისევ დედის შობილა. როგორც იყო, ათას-ნაირი გაჭირვებისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, ნასესხები ფულით მოველწიე ევროპას. თხუთმეტი წელიწადია უკვე, რაც ირანის სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლები დღე და ღამ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე ჩაიგდონ ხელში ის ავაზაკები და დამიბრუნონ ჩემი ქონება. რამდენი სიტყვა და დაპირება არ მოუციათ, მაგრამ არც ერთი მანუღლი მათი ხელიდან არ მიმიღია...

ევროპაში ჩამოსვლის შემდეგ, გაჭირვებისა და შიმშილის გამო, იძულებული გავხდი კვლავ ძველი საქმისათვის მომეკიდა ხელი და როგორც ხედავთ...

როდესაც საუბარი აქამდე მივიდა, აიღო ერთი სათილი წყალი, გადამასხა თავზე, ამოიოხრა და ჩაფიქრდა. მე მომაგონდა ბავშვობის დროს გავგონილი ერთი ასეთი ამბავი და მხოლოდ გავოცებას იწვევდა ჩემში ირანისა და ჩემი თანამემამულეების სავალალო მდგომარეობა. გამეცინა და ვთქვი: „როგორიც ქვაბი, ისეთივე ქარხალი“...

ეტყობოდა, რომ მას გავგონილი ჰქონდა „ქარხალი“. შემეკითხა, რა აზრით მოვიხსენიე ეს სიტყვა.

ვუბასუხე, რომ ეს არის ირანული ანდაზა მეთქი.

მთხოვა ძალიან, ამეხსნა ამ ანდაზის მნიშვნელობა. დავთანხმდი და თუმცა ძალიან ვეცადე, მაგრამ მაინც არა გამოვიდა რა, ვერ შევძელ ამ ანდაზის სისწორით გადაცემა. ამასობაში ჩვენი დროც გასულიყო. ჩავიციე და გამოვედი. ის იყო, მინდოდა აბანოს შენობიდან გარეთ გასვლა, რომ მოდის ჩემთან მეჭისე, ხელში რაღაც შეხვეული უჭირავს, და მეუბნება:

— ირანში ყოფნის დროს ვწერდი მემუარებს, დღიურებს, რომლებიც ეხება ირანსა და ირანელებს, მათ ჩვეულებებსა და ადათებს, მათ ხასიათსა და საკვირველ წესებს. იქნებ ინებოთ გადათვალიერებთ, ამოიკლით ერთი თხოვნით — მეორედ მობრძანების დროს თან წამოიძღვრანეთ.

გამოვართვი შეხვეული და გავსწიე შინისაკენ იმ განსაკუთრებული სულიერი განწყობილებით, რომელსაც ადამიანი განიცდის ხოლმე აბანოში ტანის დაბანის შემდეგ. შინ რომ მიველ, შევედგე წიგნის კითხვას.

ვხედავ ბ-ნ მრჩეველს მართლაც დაუწერია რაღაც ყურადღების ღირსი. ძალიან გამიტაცა. რადგან ბ-ნი მრჩეველი უსწავლელი იყო და მთელი ქვეყანა, მისი წარმოდგენით, ევროპის მსგავსი უნდა ყოფილიყო, ამიტომ ირანში ჩასვლის შემდეგ, ცხადია, რაღაც საოცარ მოვლენად უნდა მოსჩვენებოდა იქაური წესები. ეს იყო მიზეზი, რომ თავის შთაბეჭდილებებს იგი ავეწიერს გაკვირვებით და გაოცებით. ეს ნაწერი, რომელიც შეიცავდა დაახლოვებით ას გვერდს, შედგებოდა მრავალი თავისაგან, მოგვყავს სანიმუშოდ ერთ-ერთი თავი.

„ნაწილი მისამი“

ირანის ხალხი და სახელმწიფო

ირანელები საერთოდ საშუალო ტანისა და შევეკრემანები არიან. ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, ხოლო მუშაობით ცოტას მუშაობენ. ტკბილი საუბრისა და ხუმრობის დიდი მოყვარულები არიან, თუმცა არა იშვიათად ბევრსაც ტირიან. ენა ისეთი აქვთ, რომ გველსაც კი გამოიტყუებს ხერხელიდან. ბავშვები ქაჩლები არიან. მამაკაცები თავს იპარსავენ, ხოლო წვერს იყენებენ. მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი ამ ქვეყანაში ის არის, რომ იქ ქალები აღარ არსებობენ. ქუჩებში მხოლოდ ოთხ-ხუთი წლის ქალიშვილები თუ გამოჩნდებიან. რამდენი მიფიქრია ამ მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ვერაფერი გამოვარკვიე. მსმენია, რომ ქვეყნად არსებობს თურმე „დედაკაცთა ქალაქი“, სადაც მამაკაცის ხსენებაც კი არ არის. მაგრამ „მამაკაცთა ქალაქის“ შესახებ თავის დღეში არაფერი გამოიგონია. ევროპაში ამბობენ, რომ ყოველ ირანელს აქვს პარამხანა, რომელიც სავსეა ქალებითო. ჭეშმარიტად, ჩვენი თანამემამულენი სრულიად ვერ გარკვეულან ირანის მდგომარეობაში. ირანში ხომ საერთოდ დედაკაცი არ არსებობს და როგორღა შეუძლია ირანელს ქალებით სავსე სახლი ჰქონდეს? ზეციერო, შენ დაგვიხსენ უეცობისაგან!

ერთ მშვენიერ დღეს, ვხედავ, ბაზარში ხალხი თავს იყრის ვიღაც კაცის გარშემო, რომელსაც გრძელი თმა და უწვერ-ულვაშო პირისახე ჰქონდა. ემოსა გრძელი და თეთრი ტანისამოსი აბრეშუმის სარტყლით წელზე. ვიფიქრე, ალბათ ვიღაც ქალია მეთქი და უდიდესი სიხარულით გავეშურე: მეშველა, ერთ ირანელ დედაკაცს მაინც ვნახავ-მეთქი. მაგრამ არა, გამოირკვა, რომ ეს ვიღაც დერევიში ყოფილიყო, სხვანაირად

რომ ვთქვათ — მომღერალი. რადგან ირანში ოპერა და თეატრი არ აქვთ, მომღერლები ქუჩა-ქუჩა დადიან და მღერიან. ევროპის თეატრებში მიღებული შესასვლელი ბილეთის ნაცვლად, ირანში მომღერლებს აწვდის ხალხს მწევანე ფოთოლს. ფასი ძალიან მცირეა. სიმართლე რომ ითქვას, არც კია მაინცა და მაინც სავალდებულო ფულის მიცემა. გადაიხდი რამეს — კარგი, არ გადაიხდი და — უფრო უკეთესი.

ერთხელ შევეკითხე ჩემ კარგ მეგობარ ირანელს, რომელსაც რამდენიმე შვილი ჰყავდა, სად არის შენი ცოლი მეთქი. შევნიშნე მყისვე გაწითლდა და გაშტერებული თვალები ბუდიდან გადმოკარკლა. მივხვდი, რომ დიდი შეცდომა ჩავიდინე. ბოდიში მოვიხადე და მას აქეთია ცხადი გახდა ჩემთვის, რომ ირანში არა თუ არ არსებობენ ქალები, ქალის ხსენებაც კი შეუძლებელია.

ირანში ვასაოცარი კიდევ ის არის, რომ ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დაახლოვებით ამ ქვეყნის მცხოვრებთა ნახევარს უდრის, თავიდან ფეხამდე მთლად შავ მანტიაშია გახვეული, ასე რომ შესასუნთქ ჰაერისათვის ნამცეკვი ქუჭრუტანაც კი არა აქვთ დატოვებული, და ამ სახით მიმოდინ ქუჩებში. ყოვლად შეუძლებელი ამბავია, რომ ვინმეს სმენოდეს მათი ხმა ან ენახოს ისინი საყავეში თუ სხვა რომელიმე საზოგადო საკრებულოში შესული. მათთვის აბანოც ცალკე არსებობს და ისიც თავისებურია. ხოლო შესაკრებ ან სამლოცველო შენობებში მათთვის განსაკუთრებული ადგილია მიჩნეული. როდესაც ისინი ცალკ-ცალკე და დაფანტული არიან, მათ ხმას ვერაფერს გაიგონებს, მაგრამ საკმაოა ერთად მოიყარონ თავი, რომ მყისვე ატყდება არაჩვეულებრივი ხმაურობა. ჩემის აზრით, ისინი თავისებური მღვდლები უნდა იყვნენ, რომელთა მსგავსნი ჩვენშიაც მოიპოვებიან. ერთი კია, რომ მათ პატივს აღარ ცემენ და ზაყოფდს ეძახიან, რაც ნიშნავს სუსტსა და უსუსურ არსებას.

ახლა რამდენიმე სიტყვა მამაკაცებზე. მამაკაცი ირანში გამოიყვანება ქლით. ქულის მიხედვით განირჩევა სამი მთავარი ჯგუფი. თითოეული ჯგუფი ხასიათდება თავისებური მდგომარეობით და გარემოებით. ამ დაყოფის დამახასიათებელი ნიშანი ქულის ფერია: ყვითელი, თეთრი და შავი ფერი. პირველ ჯგუფს შეადგენენ ისინი, რომელთაც მეტ სახელად „მაშადის“ ან „ქერბალაის“ უხმობენ. მათ უმრავლესობას გლეხები შეადგენენ. არ ვიცი, რა მიზეზით არის გამოწვეული, მაგრამ მათ აღთქმა ჰქონიათ დადებული — იმუშაონ რაც შეიძლება მეტი, ხოლო ამ მუშაობის ნაყოფი მიაწოდონ დანარჩენი ორი ჯგუფის წარმომადგენლებს, ე. ი. თეთრსა და შავ-ქუდიანებს. ამ საკითხში იმდენად თანამიმდევარნი არიან, რომ ძალიან ხშირად ბევრი მათგანი ან მათი ნათესავები პირდაპირ იხუცებიან შიმშილისა და სიცივისაგან და ზოგჯერ სულარას მოკლებულნი ჩადიან შავს მიწაში, მაშინ, როდესაც შავ და თეთრ-ქუდიანები მათი ნამუშევრით ისე მდიდრდებიან, რომ არც კი იციან, რანაირად ხარჯონ ფული. ხშირად ხდება, რომ არაბეთის უცოლშვილო ახალგაზრდებისათვის

გზავნიან თანხებს, თავიანთ სახლებში კი ფარდები ჩამოშვებულნი აქვთ, უკეთუ ვინმე ესტუმრათ, პირისახეს ათასნაირად დაღუპვას მიცვალებულებს სასუფეველის დამკვიდრებას უსურვებენ და მათი მხარეც ჩაის და შერბეთს, ხოლო იშვიათად — ფლავს.

თეთრ და შავ-ქუდიანების მთელი მეცადინეობა და გულისყური იქითკენ არის მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი ყვითელ-ქუდიანი იყოლიონ თავიანთ გავლენის ქვეშ. ისინი ნიადაგ გართული არიან ყვითელ-ქუდიანების ყიდვა-გაყიდვაში, ამასთან მათი ფასი ყოველთვის მცირეა. ირანში ჩემი ყოფნის დროს არც ერთხელ არ მინახავს, რომ ისინი სათითაოდ გაეყიდოთ ან ეყიდოთ. როგორც ევროპაში ჩვენ, ვთქვით, ფუტკრის ვაჭრობას ვაწარმოებთ ბითუმად, თავიანთი სკებით, ისე ირანში ყიდულობენ და ყიდიან ყვითელ-ქუდიანებს სახლკარიანად, მთელი სოფლობით და თემობით. მაგალითად, იტყვიან ხოლმე: დღეს ამან და ამან ნასყიდობის პირობა შეკრა მავანთან და მავანთან ერთი სოფლის შესახებ, რომელშიაც ასი კომლი ყვითელ-ქუდიანები იმყოფებიანო.

ამ ყვითელ-ქუდიანების პარტია სავსებით სარგებლობს თავისუფლებით, ძმობითა და თანასწორობით, რის შესახებაც ევროპაში ყველგან ლაპარაკობენ. მაგრამ სინამდვილეში მათ ევრსად ნახავთ. მაგალითად, ყვითელ-ქუდიანების თავისუფლება იქამდე მიდის, რომ მათ შეუძლიათ მთელი თავიანთი უძრავ-მოდრავი ქონება, დიდება, პატივი, საკუთარი ან რომელიმე თავისიანის სულიც კი მსხვერპლად მიუტანონ თეთრ და შავ-ქუდიანებს, და ამაში ხელის შემშლელი არავინ იქნება. იგივე ითქმის თანასწორობის შესახებ. მართლაც, დღე და ღამ რომ იტრიალო ამ ხალხში, ერთსაც ვერ ნახავ ისეთს, რომელსაც პქონდეს რაიმე განსხვავებული მეორისაგან. თვით სიღარიბეშიაც, ე. ი. ყოველგვარი საშუალების ხელმოკლეობაში, ისინი სრულიად თანასწორნი არიან.

რადგან ყველანი თანასწორნი არიან, როდესაც გარდაიცვლებიან, მათ საფლავებს არავითარი ნიშნით არ ამშვენებენ — არც ქვით და არც აგურით, რის გამოც რამდენიმე ხნის შემდეგ ქარისა და წვიმისაგან მათი საფლავები მიწასთან სწორდება. რაც შეეხება ძმობას, რათა ამოიწუროს ზემოხსენებული დახარისხება, უნდა აღინიშნოს, რომ მეგობარს ისინი უწოდებენ „დაშ“, რაც ნიშნავს ძმას.

ახლა შევეხოთ თეთრ-ქუდიანებს, რომლებიც ცნობილი არიან „შეიხის“ და „ახუნდის“ სახელწოდებით. ამათ ხალხში განსაკუთრებული პატივი აქვთ, და რადგან მათი ცნობა შეიძლება ქუდით, ამიტომ თავზე იხვევენ ყოველგვარ ნაჭერს, რაც კი ხელში ჩაუვარდებათ. ისინი ემსგავსებიან ზღაპრულ მინარეთს, რომლის თავზეც თითქოს ყანჩას ბუდე წარმოუდგამსო. ერთხელ საიდუმლოდ ვკითხე ერთ ირანელს, რატომ იხვევენ მეთქი ამრიგად თავებს.

მან მითხრა:

— ნუ თუ არ შეგინიშნავს, როგორ შემოახვევენ ხოლმე ნატურს და-
შაყვებულ თითს; უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ტვინიც დაქუცმუცლდა და
აღბათ ცდილობენ არ შეუშვან გარედან შიგნით თავისუფალი ეს
თეთრ-ჭუღიანები. დარბაისელი ხალხი ჩანს. გათანაბრებისა და წონასწო-
რობის დასაცავად, რათა მიძიმე ჩალმა უკან არ ეწეოდეს მათ თავს, ცდი-
ლობენ შეძლებისდაგვარად წვერიც მიძიმე გაიხადონ. ჩალმა ერთის მხრით,
ხოლო გრძელი წვერი მეორეს მხრით — მათ თავსა და პირისახეს როდი-
ნის შეხედულებას აძლევს, მისი ერთი თავი თეთრია, მეორე კი შავი,
ხოლო ხელის მოსაკიდებლად თითქოს ზედ დასხმულან თვალები და
წარბები.

ეს თეთრ-ჭუღიანები იმდენად ტანშიმენი და დარბაისელნი ჩანან, რომ
ჭუჭიაში გავლის დროს ადამიანი იძულებულია ძალაუფლებურად თავყვანი
სცეს მათ. მიუხედავად ამისა, წლის განმავლობაში გამოერევა ხოლმე
ერთი თუ ორი თვე, როდესაც ისინი ჰკარგავენ წონასწორობას და ცხე-
ნებსა ან ვირებზე ამხედრებულნი მთელი დღე-ღამე დაეხეტებიან ჭუჭია-
ჭუჭია და იმ ზომამდე ბლავიან და ყვირიან, რომ ხალხი მონაწილე ხდება
ძათი მწუხარებისა: თავს იყრის ყოველ კუთხეში და იწყება ერთი ღრიან-
ცელი, ტირილი, მოთქმა. საჭმე იჭამდე მიდის, რომ ყვითელ-ჭუღიანები,
რომელნიც ყოველ წუთს მზად არიან ორი დანარჩენი ფენის წარმომად-
გენელთა კეთილდღეობას შესწირონ თავიანთი სული, ჭონება და სხვ.,
კისერზე ხელსახოც გადაგდებული ისერავენ თავს სპეციალური მოკლე
მახვილით, რომელსაც ყამას ეტყვიან. ამის შემდეგ ჭუჭებსა და მოედნებზე
სისხლი ნაკადებად მოჩუხჩუხებს.

ირანში ყოფნის დროს ძალიან მსურდა გამეგო, რაში გამოიხატებოდა
ამ თეთრ-ჭუღიანების საქმიანობა და მოღვაწეობა. სამწუხაროდ, ვერაფერი
გამოვარკვიე. მაგრამ შესაძლებელია აქ საჭმე გეჭონდეს რალაც საიდუმლო
საქმიანობასთან, რომელიც ჭახრაკდება ხალხისაგან მალულად. მე ვფიქ-
რობ, რომ ეს უნდა იყოს ხელთან დაკავშირებული პროფესია, რადგან
უბრალო ხალხი მათ ხელზე კოცნის.

ერთ მშვენიერ დღეს ვკითხე ჩემ ნაცნობ ირანელს:

— ვიცი, რომ თეთრ-ჭუღიანებს აქვთ რალაც ხელობა, რომელიც და-
კავშირებულია ხელთან, მაგრამ არსებითად ვერა გამიგია რა ამ ხელობისა.
მან მითხრა:

— დიად, დიდი ხელობაა. ეს ისეთი რამეა, რომლის მეოხებითაც ცოც-
ხლობს და სძლებს ირანი. წარმოვიდგინოთ, რომ ერთბაშად მოისპო ძათი
ხელობა, მაშინვე ჩაკედება ჩვენი ქვეყნის საქმიანობა და დაწყდება მისი
ნაწილების დამაკავშირებელი ძაფები.

ვკითხე:

— რა უნდა ვუწოდოთ ასეთ მალალ დახელოვნებას?

— ქრთამი, — იყო პასუხი.

შემრცხვა მეკითხა, არ მესმის მეთქი ამ სიტყვის მნიშვნელობა და ვითომ ყურადღებაც კი არ მიმექციოს. დღესაც ვერ შემიგნია მისი მნიშვნელობა. შეიძლება ამ სუბიექტმა იხუმრა. და როდესაც ვინმე საუბარს გაგრძელების დროს ვთქვი: დიალ, მე მინახავს, რომ ამ თეთრ-ჭუდიანთა ხელები გაწითლებულია და ალბათ ეს მათი ხელობისაგან დარჩენილი ნიშანია მეთქი, მან მიპასუხა:

— არა, ეს სიწითლე ადამიანის გულის სისხლიაო.

შემდეგში გავიგე, რომ მათი ხელის სიწითლე გამოწვეული ყოფილა სენისაგან, რის შემდეგაც ჩემი რწმენა მეგობრის სიტყვებისადმი საკმაოდ უნდა შერყეულიყო. ყოველ შემთხვევაში, ეს ხელობა, როგორც უნდა იყოს იგი, თხოვლობს ცერისა და სალოკი თითის აქტიურ მონაწილეობას, რისთვისაც მუდამ ცდილობენ ეს ორი თითი განუწყვეტელ ვარჯიშობასა და პრაქტიკაში იყოს გართული. ამ მიზნით ხერხტენ რველ კენჭებს, მერე გაუყრიან ამ კენჭებში ძაფს და დღე და ღამ ატრიალებენ აღნიშნულ ორ თით შორის, ალბათ იმიტომ, რომ თითებმა მეტი ძალა და ენერჯია მოიპოონ.

შევახოთ ახლა მესამე პარტიას — შავ-ჭუდიანებს, რომელთაც ირანში „ხანებს“ უწოდებენ. ამათ ხელშია თავმოყრილი ცენტრსა თუ პროვინციაში არსებული სახელმწიფო დაწესებულებანი. მათ მიერ დაარსებულია ერთი დიდი ენჯუმენი, რომელიც მასონთა ლოკას წააგავს და განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ ამ ჯგუფისათვის. ყველა, ვინც კი მოხედება ამ ენჯუმენში, მისი საქმე ჩინებულად წარიმართება. ამ ენჯუმენს ეწოდება „დივანი“, რაც მომდინარეობს „დივ“-ისაგან და ცნობილია ირანული ზღაპრების მიხედვით. მოგეხსენებათ, რომ დევთა საქმე ქაჯური რამეა — მათ ყველაფერი უკულმა ესმით. ასე, მაგალითად, დევს რომ სიკეთე უყო, მის პირველ ლუკმად შენ გახდები, სიმაართლეს ეტყვი და მტრად გაგიხდება, ხოლო თუ სიცრუეს ეტყვი, მეგობრად გადაგმტკიცავს. ეს შავ-ჭუდიანები სწორედ ასეთები არიან — მათი საქმეც ეშმაკისეულია. ამ მოსაზრებით თავიანთ ენჯუმენს „დივანს“ უწოდებენ.

ვინც კი მოისურვებს ენჯუმენში შესვლას, მან თავდაპირველად სახელი უნდა გამოიცვალოს. იმ სახელთა უმრავლესობა, რომელსაც ისინი ირქმევენ, აღებულია ცხოველებისა და საომარ იარაღისაგან. ასეთია, მაგ., ქალბდოფლე — „სახელმწიფო ძაღლი“, რაც ტურის მნიშვნელობით იხმარება, ან და მეყრაზ სალთანე — მაშის მნიშვნელობით (ჩვენ შორის დარჩეს და პატივცემული დალაქბაში არაბული ფრაზების თარგმანში ვერ არის მაგარი, რადგან ძაღლს ტურად თვლის, თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ღვალის ძაღლი ტურას ძმად ერგება, არც თუ იმდენად დაშორებულია იგი სიმაართლეს).

შავ-ჭუდიანების ეს დასი, ენჯუმენის დებულების ერთი პარაგრაფის მიხედვით, ვალდებულია ერთი ნაბიჯიც არ გადადგას ანგარების გარეშე და კონტიც არ დაძრას პირადი სარგებლობის გარეშე. საფრანგეთში გა-

მიგონია, რომ ანგარების ფილოსოფია ერთმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა მოიგონაო, მაგრამ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ სანამ ინგლისელი ფილოსოფოსის პაპა გაჩნდებოდა, ამ ფილოსოფიამ ირანში განუვითარებელი მიაღწია. ესეც ზედმეტად ადასტურებს იმას, რომ ევროპის განათლება და ცივილიზაცია აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მოვიდა.

ამ შავ-ქუდიანების მთელი მეცადინეობა მიმართულია იქითკენ, რომ ირანის მთელ სივრცეზე სიმშვიდე და სიწყნარე დამყარდეს. მათ იციან, რომ ყოველი უბედურება ფულისაგან წარმოდგება, ამიტომ მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ანდომებენ იმას, რომ ფული არავის ხელში არ რჩებოდეს. სადაც კი ყურს მოკრავენ ფულის შესახებ, მყისვე ართმევენ. და ამ მიზნით მუდამ იგზავნიებიან ირანის ყოველ კუთხესა და მხარეში მოხელეები. მათ ამოცანას შეადგენს — მიმართონ ყოველგვარ საშუალებას, რათა არავის არ დაუგროვდეს თანხები. ამ გონიერული ზომის წყალობით ისინი სწრაფად აღკვეთენ ხოლმე ყოველ საზარალო მოვლენას. ამისავე მეოხებით ფული თვით ირანშივე რჩება, შორ გზას აღარ მიდის და ბოლოს თუმნიანები გადადიან თავის ქისიდან ნაყის ქისაში. ქუთასთან ახლო იქნებოდა, ევროპის ბედის გამგებლებს გადაეტანათ მაგალითი ამ ღრმა-აზროვან მოქმედებისაგან და არ შეეკმნათ თავიანთი ქვეყნის დაჩაგრულ ხალხათვის ათასგვარი შევიწროების მიზეზები.

შავ-ქუდიანების პარტიიდან გამოიყოფა ერთი ჯგუფი — ფოქოლის (თეთრ-საყელოიანნი) სახელწოდებით. ისინი წერს იპარსავენ, ულვაშებს ეკუთვებიან და ქუდს გვერდზე ატარებენ, ჩვეულებრივზე რამდენიმე თითით დადაბლებულს. ეს ჯგუფი მოწადინებულია მოხდეს რეფორმა და მნიშვნელოვანი ცვლილება ენჯუმენის დებულებაში. მაგ., ისინი ამბობენ, რომ თეთრ-ქუდიანთა და ახუნდთა მიმართ არ არის სისრულეში მოყვანილი სათანადო პარაგრაფით გათვალისწინებული ვალდებულებანი და დროგამოშვებით მათი ქონების კონფისკაციის დროს დაუდევრობასა და უფურადღებობას აქვს ადგილიო. ამიერიდან საჭიროა სრული გათანასწოება და არავითარ განსხვავებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი თეთრსა და ყვითელ-ქუდიანებს შორისო.

ჩემის აზრით, ასეთი რეფორმა კანონიერია. ამაში მე მადლობელი ვარ ჩვენი ფრანგული ცივილიზაციისა, რადგან ამ ახალგაზრდებს, რომელნიც თავიანთ თავს „ევროპოფილებს“ უწოდებენ და რომელთაც ევროპის მენიერული მიღწევებით მოაქვთ თავი, გადაიტანეს რა ჩვენგან თანასწორობის იდეა, უნდათ ეს ნაყოფიერი თესლი თავის ქვეყანაში დათესონ.

საინტერესოა ერთი დეტალი „ესპერანტოს“ შესახებ. ამბობენ, რომ ესპერანტო შედგენილია სხვადასხვა სიტყვებისაგან და იგი უნდა გადაიტყოს საერთაშორისო ენადო, რომლის გასავრცელებლადც ეგზომ ზრუნავენ ჩვენში. ირანში ეს ენა უკვე დამკვიდრებულა და ფოქოლების მთელი პარტია ამ ენაზე ლაპარაკობს. გაგება ამ ენისა, რომელიც შეადგენს სხვადასხვა ევროპული ენის ნარევს და აღაგ-აღაგ აქრელებულია ირ-



ნულ-არაბულ-თურქული სიტყვებით, ჩვენთვის არაფერია სიტყვებს არ წარმოადგენს...

აი ეს არის მოკლედ გადმოცემული ჩემი დაკვირვება: „ჩვენს ქალეზისა და მამაკაცების, მთელი ხალხისა და სახელმწიფოს შესახებ“.

ამ სიტყვებით იხურება დალაქბაშის მონოგრაფიის შესაბამე ნაწილი.

„საზოგადო მოღვაწე“

თქვენ შევითხოვდით, თუ როგორ მოხდა, რომ მე „საზოგადო მოღვაწე“ შევიქნე და ხალხში გამოველ.

უნდა იცოდეთ, რომ ოთხიოდე წლის წინათ მე ვიყავ ბამბის მპენტაცი. ეს იყო და ეს. ჩემი საქმიანობა გამოიხატებოდა ბამბის პენტეასა და ნჯღრევაში.

გამოერეოდა ისეთი დღე, როდესაც ორყრანიანს ან კიდევ თუმანს ვიშოვიდი. მოახლოვდებოდა თუ არა საღამო, მიმქონდა სახლში ერთი შოთი პური და ხორცის ნაჭერი. შინ კი ჩემი გამოჩერებულნი ცოლი მოჰყვებოდა ხოლმე ლანძღვა-გინებას, თან ამბობდა:

— აბა, აზუზუნე შენი საპენტავი იარალი და, ცეცხლის შემბერავის მსგავსად, ფეხებზე წამოყუნცულმა აცახცახე მთელი შენი ტანი, ზოლო საღამო ეამს მოდიოდე შინ ჩამოძონძილი, მატყლსა და ობობას ქსელში გახვეული, მაშინ, როდესაც ჩვენი მეზობელი, პაჯი ალი, რომელსაც ერთი წლის წინათ გროში არ მოეძეოდა, უჭირდა სულის მოთქმაც კი, თანდათან გამოვიდა ხალხში და მიღებული კაცი შეიქნა — ფართო ნაცნობობა გაიჩინა. მისი ცოლი ამბობს, რომ ახლო მომავალში მისი ქმარი მეჯლისის დებუტატი გახდება, მიიღებს ყოველთვიურად ას-ასს თუმანს, ჩხრიალა, ახალ მოჭრილ ოქროებს, ამასთან ექნება მრავალი პატივი და დიდება. შენ კი თვით კუბოს ფიცრამდე უნდა აზუზუნო ეგ ეშმაკის მანქანა და პენტო ბამბა. ოჰ, ნეტავი ცოტათი მაინც გამოკეთდებოდეს შენი მდგომარეობა!..

დიაღ, ჩემი ცოლი მართალი იყო: პაჯი ალი, რომელიც უთავბოლო კაცად იყო მიჩნეული, უპატრონო ძაღლის მსგავსად დაძრწოდა, რომელსაც ერთად-ერთი ხალათი ებადა, — ეს კაცი თანდათან ადამიანად გადაიქცა. მის სახელს გაზეთებში ათავსებდენ. იმასაც ამბობდენ, რომ უკვე „დემოკრატი“ გახდა და, ფართო ნაცნობობისა და კარგი დამოკიდებულების გარდა, მეჯლისის დებუტატადაც კი გავიდაო, ასე რომ კავშირი გაუბამს როგორც შაჰთან, ისე მინისტრებთან.

სიმართლე რომ ითქვას, მართლაც თავი მომამბეზრა ამ უხეირო საქმიანობამ. მასზე უსაძაგლესი სხვა არა მეგულება რა. ამ ჩემი მშვილდის სიმთა ხმაური ენჭარისა და მენჭარის მოძახილზე უფრო საზარლად გაიხსმოდა ჩემ ყურებში, და ყოველთვის, როდესაც ვიღებდი ხელში საპენტავი იარალის ჩაქუჩს, — მაპატიეთ უზრდელობისათვის! — ასე მეგონა, თითქოს ვირის ასო მიჭირავს ხელშიო.

ეს იყო ერთხელ ღამით, როდესაც ცოლმა გამაშავა და გამათავისუფლა. გადაწყვიტე, რაღაც უნდა დამჯდომოდა, დამენებებია თავი პრეტენსიის და გაველოდი ჰაჯი ალის ხაზს. საამისო შემთხვევა კვლავ დაგმულს და ჩემი საქმე წარიმართა ისე, როგორაც მე მსურდა.

არ ვიცი, რა შემთხვევის გამო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ხმა გავარდა ბაზარში — დაკეტეთ თქვენი დუქნები და თავი მოიყარეთ მეჯლისში.

ცოტახნის შემდეგ მეც გამოფხიზლდი ჩამორჩენილი ვირივით, რომელიც უცდის, რომ არ ჩამოაჩინონ. ხელად დაეხურე სავაჭროს კარები და გაეუღებე ბაზრისკენ. მეც მივყავი ხელი ყვირილს, ზღავილს, ერთის სიტყვით, გადმონთხევის თავისუფლება მივანიჭე საკუთარ ზრახვებს, რომლებსაც ბოლო აღარ უჩანდა.

დავაკვირდი სხვებს, თუ რას ამბობდენ შექმნილი მდგომარეობის შესახებ, და მეც ვიწყე ორატორობა. მსგავსად იმისა, როგორც შინ ცოლთან გაეზამდი ხოლმე შელაპარაკებას, მოვრთე ისეთი ყვირილი, რომ შენი მოწონებული. მოდი და ისიამოვნე!

მე ვთქვი:

— ჰეი, ირანელებო, ჰეი, თავმომწონე ირანელნო! სამშობლო იღუპება! როდემდის უნდა ვიყოთ ასე დამცირებული? ერთობა, თანხმობა, ძმობა! ამ უქანასკნელად მაინც ვიმოქმედოთ წესიერად: ან მოვკვდეთ და გადავდეთ ჩვენი თავი საკუთარი რწმენისათვის და მით დაუფიწყარ ვყოთ ჩვენი სახელი, ან და დავრჩეთ ცოცხალი და ეიხსნათ ჩვენი თავი დამცირებისა და სირცხვილისაგან. წინ, ამხანაგებო, გაბედულად!

ყველამ დაკეტა დუქანი დამშვიდებულად და უაყალ-მაყალოდ, ყოველგვარი უწესოების გარეშე. გეგონებათ, მზე ჩასასვლელად ემზადება, ვაჭრები თავიანთ დუქნებს კეტენ და უნდათ. სურსათ-სანოვანე იყიდონ, რომ შინისკენ გაემგზავრონო. ბაზრისა და სავაჭროების ასე უცერად დაცალიერების გამო, ნოჭრები მხიარულად გაემართენ საყავესაკენ, დაიმედებულნი იმით, რომ განგების წყალობით ბაზარი რამდენიმე დღეს მაინც დარჩება დაკეტილი და მათ საშუალება მიეცემა იარონ იმამ-ზადე დაუდის მავზოლეიში. ჩემთვის კი გაუგებარი იყო: ყველაფერი ეს ჩემი ყვირილისა და დავიდარაბის, ზათქისა და აურზაურის შედეგი ხომ არ არის მეთქი. როგორც ქებაში მდღუდარე წყალი, ისე აფორიაქდა ჩემში ყველაფერი: აიძვრა და აიღეწა. თანდათან დავემსგავსე ცეცხლის მჭრქვევ გიზგიზა ნივთიერებას და ისეთ უწმაწურ სიტყვებს ეროშავდი, რომ შემდეგში თვითონ მე განცვიფრებაში მოვდიოდი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დავიძახე: „თუ მეფე არ გადმოვა ჩვენს მხარეზე, ძალით ჩამოვათრევთ ტახტიდან-მეთქი“. ამან ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჯერ იყო და მოდიოდენ ჩემთან ნაცნობები მოსახვევებიდან და მეუბნებოდენ:

— შეიხ ჯაფარ! დაგვიფაროს განგებამ უბედურებისაგან. კეჟა ხომ არ გაგპარვია თავიდან? რას მიედებ-მოედები, რაებს ზუფდუქ ქუმიჭუს მკენ-ტავს რაში უნდა სჭიროდეს ასეთი ზედმეტი სიტყვებმა ჩარჩვევისა.

მაგრამ ყველაფერი ეს თითქოს არც კი გაეგონოს ჯაფარ ხანს. ყვე-ლაფერი დამავიწყდა სამშობლოს განსაცდელის გამო: უფრო და უფრო ავუწიე ხმას და თვით ბაზრის დარბაზებამდე მივაწვდინე, ასე რომ ჩემი ძახილი ახშობდა ნაყინისა და მელიგრანული კიტრის გამყიდველთა ხმას. თანდათან ჩემ გარშემო თავი მოიყარა უსაქმო ხალხმა, ნაძირალებმა, ნა-ყარ-ნუყარმა, მახინჯებმა და სხვებმა. კიდევ ცოტა ხანი და ჩემ განკარ-გულებაში აღმოჩნდა მთელი ლაშქარი. ერთბაშად, მკედელ ქავეს მსგავ-სად, რომლის შესახებ ვადმოცემატ, სკოლაში მოსმენის შემდეგ, დამ-ლამობით არა ერთხელ უამბია ჩემთვის ჩემ ვაქს, ხასანს, გაბრუებული აქ-ლეშივით ავიღე მიმართულება მეჯლისისაკენ. ხოლო ჩემი დამქაშები სულ მრავლდებოდენ და მრავლდებოდენ. და იმ დროს, როდესაც მივა-ღწიეთ მეჯლისის კარებს, ათასამდე ვიყავით. მეჯლისთან გადაგველობა მცველი: შიგ არ გვიშვებდა. მე ვავიბერე და მოვინდომე მოედნიდან შე-სვლა, მაგრამ ვხედავ, ჩვენი დოსტი საკმაოდ გამოქექილი აღმოჩნდა. თი-თქოს აქ არაფერიაო, აინუნშიაც არ ივდებდა ჩვენს მღვთმარეობას. ძა-ლაღობით და გმირობით, ეტყობოდა, ვერაფერს გავხდებოდით: მეკარე თურქი იყო, რომელსაც ჩვენი ენის არაფერი გაეგებოდა. წელზე შემო-ეგრავნა ტყვიები, ხოლო მისი პოზა ამქლავებდა, რომ მასთან ხუმრობა არ გამოდგებოდა.

მიემართე შემოკრებილ ხალხს და შევძახე:

— ხალხო! საჭიროა კანონისადმი პატივისცემა. ამიტომ უნდა გამოი-ნახოს თქვენს შორის ვინმე, რომელიც გამოძებნის საშუალებას და მო-ახსენებს დებუტატებს, რომ ესა და ეს გამოცხადდა მრავალრიცხოვანი ამალით, უნდა სამართლიანობა და ამბობს, რომ სახალხო დებუტატებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მი-ლეთის ხალხი მზად არის გასწიროს თავი და მე უძღლური ვიქნები წინა-აღუდგე გაბოროტებულ ადამიანთა რისხვას.

წამსვე გამოტყვრა ახალგაზრდა სეიედი, რომლის ვადმოწეულ თავსა-ბურავიდან გამოშვერილი იყო კულულები. როგორც ეტყობოდა, მეჯლი-სის მსახურთაგანი უნდა ყოფილიყო.

წამოსწია წინ გულმკერდი და თქვა:

— მე მოვახსენებ!

და შევარდა მეჯლისში. არ გაუვლია რამდენიმე წუთს, გამოვიდენ მეჯლისიდან და მოითხოვეს შეიხ ჯაფარ. ხოლო მე ვავიბერე და თავმო-მწონედ, რამდენადაც შეიძლებოდა უშიშრად შევედი შიგნით, თუმცა ვფიქრობდი ჩემთვის:

„აბა, პატივცემულო, ჯაფარ, რომ შეგეკითხონ, თუ რა გაქვს სათქმე-ლი ან რა არის შენი მოსვლის მიზანიო, რა პასუხს აძლევ?“

მინდოდა კიდევ მეკითხა ერთი მსახურისათვის, რომელიც ჩემ გვერდით მოდიოდა და გზას მიჩვენებდა — ძმაო, რა მოხდა დღეს ასეთი და რაშია საქმე, რომ მთელი ბაზარი დაკეტილია მეთქი, მაგამს მამისა დრო აღარ იყო და ერთი წუთის შემდეგ დავინახე ჩემი თავი დღესაც კი შორს. თან აღმოჩნდა, რომ აყალ-მაყალისა და ალიაქოთის დროს ცალი ფეხსაცმელი დამკარგოდა და ისე შევსულვარ, რომ ცალ ფეხზე მცმია, მეორე ფეხი კი შიშველი მქონია. მეჯლისში ჩემი ყოფნა პირველი იყო; იქ ევროპულად ჩაცმული ხალხი ბლომად იყო, დარბაისლურად ჩამოშვადარიყვნენ სკამებზე, ჩამწკრივებულყვნენ მლოცველთა მსგავსად ერთი ვუთხიდან მეორემდე, ისეთი სისწორით, თითქოს საანგარიშოს კენჭები იყო. აქა-იქ, უფრო მსხვილი კენჭების მსგავსად, ირჩეოდენ მანდილშემოხვეული თავსაბურავიანები. წინ კი იმ ადგილას, რომელიც ტაძარში ამაღლებულ დასადგომს გავგონებთ, ისხდნენ დიდთავა მინისტრები და ორი კაცა კალმით ხელში, რომლებიც ნიშნავენ საქმიან ქალაქებზე ადამიანთა კეთილსა და ცუდ ნამოქმედარს თითოეულზე სათანადო მსჯავრის დასადგობად. ისხდნენ ასენი და მთელ ფურცლებს აშავებდნენ. ერთი სიტყვით, რალა ბევრი შეგაწყინოთ, პირველ რიგში, პირველ სკამზე მჯდომი თეთრთმიანი ფოქოლი მომიბრუნდა და მითხრა:

— თქვენო ბრწყინვალეობაე, ჰაჯი შეიბ ჯაფარ! სახელმწიფო ხელისუფლება მიიღებს ფიცხელსა და გადამწყვეტ ზომებს, რათა საქმე მოეწყოს ხალხის სურვილის მიხედვით, რათა ასრულდეს მისი ზრახვები. არის დიდი იმედი, რომ ყველა მოთხოვნილება კეთილად დაგვირგვინდება თქვენივე დახმარებით, რაკი თქვენ შეიქენით ხალხის ნამდვილი მებაი-რახტრე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სახელით თქვენ დააწყნარებთ ხალხს და მისცემთ სიტყვას, რომ ხალხის ზრახვები უეჭველად ჰპოებენ სათანადო გამოხმაურებას...

ამის შემდეგ ბევრი ილაპარაკა რამდენიმე კაცმა. რალაცას მიედ-მოედებოდნენ, და თუ რაიმე გავიგე მათი ნათქვამიდან, ეს იყო მხოლოდ ის, რომ ჰალარა ფოქოლი (თეთრსაყელოიანი) თურმე პირველი მინისტრი ყოფილა, ხოლო ყველა დანარჩენი, მრავალთავიანები — დემოკრატები, ზომიერები, ნაყარ-ნუყარი, ზახრუმანი და სხვა.

როდესაც მეჯლისიდან ვბრუნდებოდი, ეოცნებობდი იმაზე, რომ ხალხის წინაშე წარმოამთქვა გრძელი სიტყვა და გამომემზეურებია და გამო-მხატა იმ სიტყვების ნაწილი მაინც, რაც მე ის იყო მეჯლისში მოვისმინე. მაგრამ ვხედაე, ხალხი სრულიად დაფანტულა. რალა თქმა უნდა, ღირსეული და კეთილშობილი ხალხი უფრო თავგამოდებით უნდა იცავდეს თავის უფლებებს. ჭაჩალი და ნაყარ-ნუყარი ხალხი კი, რომელიც მე გამო-მყვა ფრინველთა ბაზრიდან, ვხედაე, კოჭს თამაშობს მოედანზე და არავითარ ყურადღებას არ მაქცევს. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს ის ხალხია, რომლის შემზარავი ყვირილიც — „გაუმარჯოს შეიბ ჯაფარს“ რამდენიმე წუთის წინ თვით ზეცამდე ადიოდა. თავჩალუნული გავეშურე

შინისკენ, რომ რაც შეიძლება ჩქარა მეცნობებია ცოლისათვის / ყველაფერი, რაც თავს გადაშხდა.

მოედნის კუთხეში დავინახე შავგვრემანი სეიფი ^{უარკენული} და ვერ ვხსოვს რა სახელი იქნა. კაცი, რომელმაც დაივალა გადაეცა მეჯლისისათვის შეიხ ჯაფარის მისვლა. ისვენებდა სკამზე, ქუდი განზე გადაეწია და ჩაის შეექცეოდა. თითქოს დავიწყებოდა ყველაფერი, რაც რამდენიმე წუთის წინ მოხდა სახელმწიფოს ხელისუფლებასა და კეთილშობილ ირანელთა შორის. ამ ფიქრებში გართული მივდიოდი შინ და ჩემ თავს ვეუბნებოდი: თუმცა ამალამ ჩემი ცოლი და შვილები მშვივრები იქნებოიან, მაგრამ მე ხომ გავხდები „სახელმწიფო მოღვაწე“ მეთქი.

სანამ შინ მივალწევდი, ცნობები ჩემი გმირობის შესახებ უკვე მისულიყო იქ, და ვერც კი მოვასწარი შესვლა, რომ წინ შემომეყარა გახარებული ხასანის დედა, დამაჯილდოვა ათასნაირი პატივით და მითხრა:

— ყოჩაღ! ახლა შენ ნამდვილი ადამიანი ხარ. გუშინ ცხენის ჩონჩორსაც არავინ გაიმეტებდა შენზე ასაკიდებლად, დღეს კი, პირიქით, შაჰი და მინისტრთა თავმჯდომარე დიდი პატივით გეპყრობიან. შენ უკავშირდები მთელ არმიას, შეიარაღებულ პოლკებს და იადონივით უხმატკბილებ. ამბობენ, თვით მინისტრთა მეთაური პირში გკოცნიდა თურმე. ყოჩაღ, უთვალავი ქების ღირსი ხარ, ჩემო კარგო. ვასქდეს ახლა აღი პაჯის ცოლი ჯავრისაგან!

ვხედავ, ჩემი ცოლი მართლა ფიქრობს, თითქოს მისი ქმარი გმიროსტომი გამხდარიყოს. მე კი თითქოს აქ არაფერიაო, თავდაქერით და დამშვიდებით, დონჯშემოყრილი ვეუბნები:

— დიად. ბოლოს და ბოლოს ქვეყანას პატრონი უნდა გამოუჩნდეს თუ არა! ხალხის იმედი ხომ უნდა ასრულდეს!..

და ის სიტყვები, საკვირველი და საოცარი გამოთქმები, რაც მე მეჯლისში მოვისმინე და რისი გამოხატვაც მეჯლისის წინ ვერ მოვახერხე, ყველაფერი ჩემს ცოლს გადმოვუვლაგე, თანაც შევეცადე გზა-კვალი ამებნია მისთვის.

მეორე დღეს ყველა გაზეთმა მოათავსა წერილები მომხდარი ამბის შესახებ ვრცელი ასსნა-განმარტებებით. ყველაფერს ჩემს ენტუზიაზმს, გატაცებას, პატრიოტიზმს მიაწერდენ, ხალხურ გრძნობებს და სხვას. განსაკუთრებით მოსახსენებელია გაზეთი „შექმენი“, რომლის პირველი ფრაზა — მას აქეთ, რაც ის დიდის ვაივაგლახით წამიკითხა ხასანმა — დღემდე ჩამრჩა მეხსიერებაში. გაზეთი ამბობდა:

„თუმცა ბამბა მცენარეა და რკინა ლითონი, მაგრამ ჯაფარ ბამბის მზენტავი და ჭავე მჭედელი ორივე ერთი საბადოდან წარმომდგარი ძვირფასი საგანძურია და ერთსა და იმავე გოლესთანში აღმოცენებული ვარდებია. ორივე ირანის მამაცი შვილია, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი“.

ვილაც კაციც კი მოვიდა, რომელიც ამბობდა, რომ მას ეწოდება მოხბარ და უნდა „დანთარეფუ“ გააკეთოს. ისეთ სისულელეს მტკითხებოდა, რომ ქაჯებსაც არ მოუფიქროდათ თავში. ვერ გავეგებოდა, რისთვის დასჭირდა ეს ამბავი.

ბევრად უფრო საინტერესო იყო, როდესაც მოვიდა ერთი ევროპელი ჩემი სურათის გადასაღებად. ჩემმა ცოლმა გინებით აავსო და პირდაპირ ცხვირწინ მიუხურა კარები. თან დააბარა, რომ ჩვენ, ირანელები ევრე ადვილად არ მოეტყუებდებითო. ერთი სიტყვით, უკვე იყო პირველი ნიშნები, რომ მე „პოლიტიკური მოღვაწე“ შევიქნენი, რადგან თუ კი რამ გაზნეთი გამოდიოდა ჩვენში, ერთბაშად მოზღვევდა ჩემთან, გასალეწე ყანას შესეულ კალიას მსგავსად. არ დარჩენილა ისე სახელწოდება, რაც ჩემს მიმართ არ ყოფილიყო ხმარებულნი. მაგალითად: „სახალხო სამართლის ხელმძღვანელი“, „სამშობლოს ლიდერი“, „მამულისთვის თავდადებული“, „ჩვენი დროის პლატონი“, „მიმდინარე ეპოქის არისტოტელი“ და სხვა მრავალი. ყოველგვარი ეპიტეტი მომაკერეს. სამწუხარო იყო, რომ ჩემ ცოლს ამ სიტყვების მნიშვნელობისა არა გაეგებოდა რა, თუმცა ვერც მე ვერკვეოდი მაზე უკეთ ყველაფერ ამაში.

ერთი სიტყვით, რალა თავი შეგაწყინოთ, იმავე რიცხვში მოვიდა ჰაჯი ალი ჩემ სანახავად და მითხრა, რომ სურს ჩემთან თვალდათვალ ისაუბროს. მე გამოვწმინდე ყალიანი, მივეც ხელში და ვუთხარი:

— მზად ვარ მოვისმინო თქვენი ბრძანება.

ჰაჯი ალიმ მოქაჩა ყალიანი, მალლა შეაგდო წარბები და თქვა:

— მაშ ასე, ჩემო ძმაო! ცხადია, ჩემი სწეულება შენც გადაგდებია და, ცნობილი თქმისა არ იყოს, დეე ჩვენი თვალთახილვა მრავალეამიერ იყოს! არ ვიცოდი, რომ პოლიტიკა სიფილისის მსგავსად გადამდები ყოფილა. მართალია, მოქიშვეებს არ უყვართ ერთმანეთთან შეხვედრა, მაგრამ გონიერ ადამიანებს შეკფერის ასეთ რამეებზე მალლა დგომა. მე შენ იბიტომ შეგაწუხე, რომ თუმცა შენ, ჩემო ძმაო, გუშინ ერთ წუთში გაიარე ასი წლის გზა და ახლა ქუჩებსა თუ ბაზრებში ყველას ენაზე აკერია შენი სახელი, მაგრამ, რაც უნდა იყოს, შენ ხომ გამოუტდელი გამოცხადდი კრებაზე, ასე ვთქვათ, ახალი კაცი. მე კი, ასეა თუ ისე, შენზე ერთი ხალათით მეტი გამიცვეთია ამ საქმეზე. უკეთესი იქნება, მივეთ ერთმანეთს ხელი და ამ მეტად საშიშ პოლიტიკურ ასპარეზზე ვიყოთ ურთიერთის მფარველი და დამხმარე. შენ გსმენია ალბათ, რომ ცალი ხელით ტაში ვერ დაიკვრების, ხმას ვერ გამოსცემს. ერთიანობა განსაკუთრებით საჭიროა პოლიტიკურ საკითხებში, როდესაც ერთ რომელიმე ჯგუფს შეუძლია დაეპატრონოს მთელს ასპარეზს და მოპირდაპირეთაგანს არაფის მისცეს თავის წრეში შესვლის უფლება. შენ გგონია, რაკი დღეს ვირის მსგავსად იყროყინე და მინისტრებსა თუ წარჩინებულებში გაერიე, ამით ყველაფერი გაკეთდა და აყვავდები... არა, ძამიკო, მიჰქარავ, ბოლავ! აი ნახავ, ამ დღეებში როგორ გადმოენთხევა შენ თავზე

ცილისწამებისა და გაბლენების ნიაღვარი და ყოველივე ამის უმნიშვნელოვანესი შედეგი ის იქნება, რომ შენი ცოლი შენთვის არამი გახდება.

ამ სიტყვების შემდეგ ჰაჯი ალიმ ისე მოქაჩა, ^{სხდომის} რომ მიღში წყალმა ნახევარზე ზევით აიწია და ცხვირის ორივე ნაწილიდან კვამლმა იწყო დენა არაჩვეულებრივი სიძლიერით. თუმცა მისი სიტყვებიდან ვერაფერი გავიგე და წესიერად ვერა ამეხსნა რა, მაგრამ მე მას ვიცნობდი ისეთ ადამიანად, რომელსაც უნახავს ქვეყანა, აქვს იშვიათი გამჭრიახობისა და მიხვედრის უნარი და, სხვათა შორის, მეც არაფრად მეჭაშნიკებოდა ჩემი თავი გამომემუხურებია ჩემი ცოლის წინ. ამიტომ თანხმობა მივეც წინადადებაზე. ჩვენც შევეთანხმდით, რომ მე ვეცდები ბაზარში გავიყვანო იგი დეპუტატად, ხოლო რაც შეეხება სამაგიეროს, ჰაჯი ალი მოიქცევა ჩემთან პატიოსნად და პირდაპირ, იქნება ჩემი ხელმძღვანელი პოლიტიკურ საქმეებში და სხვ.

ამ საუბრის დროს ჰაჯი ალიმ მომცა რამდენიმე იშვიათი მითითება მისი სიტყვით, ჩემი ფეხი უკვე წარემართა პოლიტიკის კიბის პირველ საფეხურისაკენ. ამის შემდეგ, ნახა რა, რომ ყალიბში ცეცხლი გამჭრალა და რაც შიგ იყო, გამოლულა, ადგა წასასვლელად, თან თქვა:

— სად და როდის იქნება შემდეგი სხდომა?

სიტყვა „სხდომა“ მანამდე არ წაჰკარებია ჩემს ყურებს, ამიტომ პასუხი დამიგვიანდა. ჰაჯი ალი ძალიან ეშმაკი კაცი იყო, მიხვდა საქმის ვითარებას და მითხრა:

— შენ რომ ეს გამოთქმა არ გესმოდეს, ამაში საკვირველი არა არის რა. როგორც, მაგალითად, ოქრომჭედლებს თავისებური თქმა აქვთ, ისე პოლიტიკურ მოღვაწეებს აქვთ თავისებური ენა. თანდათან შენც გავცნობი მას. იგივე სიტყვა „სხდომა“ ნიშნავს მეჯლისში საუბარს. როგორც ადამიანები ერთმანეთს ეუბნებიან — როდის ენახოთ ერთმანეთით, ასე სახელმწიფო მოღვაწეები იტყვიან — როდის გვექნება შემდეგი სხდომა.

შევეთანხმდით, რომ ამიერიდან ყოველ მომდევნო „სხდომაზე“ ჰაჯი ალი შემასწავლიდა რამდენიმე მსგავს გამოთქმას. იმავე დღეს გამაცნო რამდენიმე გამოთქმა, რომელთაგან მესხიერებაში ჩამრჩა: „პრინციპული — ღვთისნიერი“, „თანამოაზრე — მეგობარი და ნაცნობი“, „აქტიური — რომელიც დაძრწის“, „მემრუშე — გათახსირებული“, „გაუმარჯოს — მოგცეს სიცოცხლე“... და სხვა.

როგორც კი გავიდა ალი ჰაჯი, წესრიგში მოვიყვანე ჩემი თავი, და ცოლს ვეუბნები:

— მე სხდომა მაქვს.

და საწყალი დედაკაცი საშინელ საგონებელში ჩავაგდე.

შევყავი ცხვირი ბაზარში, რომ გამეგო, რა ხდებოდა ქვეყნად. წერილ ვაჭართა მოსალმებაზე შევატყე, რომ ჩემი ვადიდკაცების ამბავი უკვე მისულა მათ ყურამდე, ასე რომ 10—15 დღის განმავლობაში ნისიად

ცხოვრება უზრუნველყოფილია მეთქი, გავიფიქრე. გამეცინა გულში და ვთქვი: გაუმარჯოს ჯაფარ ხანს, ბამბის მპენტავს, ირანის ხალხთა წინამძღოლს! გაუმარჯოს!

შუა ბაზარში შემომხევია რამდენიმე კაცი დაბალჩუქნის და ქათინაურებისა და შეტების შემდეგ ყოველი მათგანი მიყვება თავის საჩივარს სხვა ვინმეზე, თითქოს მე ვყოფილიყავ კანონის გამჩენი ან უმაღლესი მოსამართლე. ერთი მათგანი მთავრობის წარმომადგენელს, გამოურკვეველი მიზეზის გამო, ძალით გაუგდია სახლიდან, ხოლო მისი ქონება მიუთვისებია. მეორე ერთ უღელს აფუძლებია გაყროდა ცოლს, რომელთანაც კანონიერად იყო შეუღლებული და რომელიც, როგორც ჩანდა, ღამაში უნდა ყოფილიყო...

ერთი სიტყვით, სანამ ბაზარს მივალწევდი, თეირანში მთელი ასი წლის განმავლობაში დაგროვილ სამოქალაქო და სასულიერო ხასიათის საჩივართა სია წინ გადამიშალეს. ისე ვფანტავდი საქმის მოგვარებას, როგორც ქეიშას. თვითონ კი საკუთარ ქისაში ვღებულობდი კეთილ სურვილებსა და ზრახვებს, ისეთებს, როგორც არის, მაგალითად: „დღეგრძელოს ცხოვრება შენი, ხოლო მტრები და ორგულები შენნი დამდაბლებულ და მოსპობილ იქნან“...

ცხადი ვახდა, რომ „პოლიტიკური მოღვაწის“ წვერი სამართლიანი ანუ შირვანის ჯაქვის მსგავსად, დილიდან საღამომდე მომჩიევანთა ხელში უნდა იყოს, მისი სახლი კი, მეფის საჯინიბოს მსგავსად, ქურდების, არამზადებისა და გაკოტრებულების შეუვალ თავშესაფარს უნდა წარმოადგენდეს. დანარჩენს ნულარ იკითხავთ, ეზრას ხანგრძლივი სიცოცხლეც რომ მოგენიქოს, ისიც კი ვერ აუვიდოდა მარტო ერთ ამ მომჩივართაგანს.

როგორც იყო, მივალწიე ბაზარს. ჩემ-ჩემად ვიბერები, ცხვირს მაღლა ვწევ; თან ძალიან ვეცილობ, რამდენადაც შესაძლებელია, ჯაფარ ხანის მოღუშული სახე სასიამოვნო, მზიარული და მიმზიდველი გაეხადო. ძალიან მზიარულად გამოვიყურებოდი და საღამოზე ისეთ თავაზიანსა და კეთილგანწყობილ პასუხს ვიძლეოდი, რომ იფიქრებდით — ათეული წლების განმავლობაში ალბათ რაიონის მოლად ნამყოფიაო. მოდიოდა ხალხი პირდაპირ და მეკითხებოდა ქვეყნის ახალ ამბებზე. მე კი ვიძლეოდი მოკლე და ძნელად გასაგებ პასუხს, თითქოს ქვეყნის მართვა-გამგეობისა და სახელმწიფოთა საერთაშორისო დამოკიდებულების კვანძი ჩემი სახლის საკუქნაოში ყოფილიყო მოქცეული. ვამბობდი ასეთ რამეებს:

„ღმერთი მოწყალეა“, „არა უშავს რა“, „შეიძლება იმედი ვიქონოთ“, „უნუგეშობას ადვილი არ უნდა ჰქონდეს“, „მდგომარეობა დაძაბულია“, „მოსალოდნელია კრიზისი“ და ასე შემდეგ... ამასთან შიგა და შიგ, იმისდა მიუხედავად, შეეფერებოდა თუ არა, ჩაუერთავდი იმ ფრაზებს, რაც კი მესხიერებაში ჩამრჩენოდა, და ამგვარად ვვარჯიშობდი პოლიტიკაში.

ცოტა ხნის შემდეგ მიველ ჩემ ღუქანთან. ყოველად გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი. არ ვიცოდი, რა მექნა. ჩემი ჯიბე ახალ დაქორწინე-



ბულთა სარკეზე უფრო სუფთა იყო. არსად ერთი გროში არ შომიმტეოდა. თუმცა ბაყალთა და წერილ ვაჭართა მხრიდან ქებისაუფრუხეზღების სალამი იმისი ნიშანი იყო, რომ რამდენიმე ხნით ლოზნისა „წყაქსმ საქშარუნ-ველყოფილი იქნებოდა და სანისიო საქმეც მოგვარებული, მაგრამ კარგად ვიცოდი, რომ ნისიად მიღებული პური ყელში გაგეჩხირება და ქვევით არ ჩავა. ამიტომ ვთქვი: „ჰეი ჩემო თავო! დროა პურისათვის იზრუნო. მარტო ნესვით ვერ გაძლები!“ ყველაზე უფრო ის მაწუხებდა, რომ ყოველთვიურად შესატანი იყო ხასანის სწავლის ფასი, რომელიც თვის ბოლოს მაჯლაჯუნასავით დაგვაწვებოდა და სიცოცხლეს გვიწამლავდა ხოლმე. რამდენჯერმე ეცადე არ გამეშვა სკოლაში შეილი. ამ მიზნით სახედრის მოვლაში გასავარჯიშებლად ვგზავნიდი, მაგრამ მყისვე ატყდებოდა ბრახუნი სახლის კარებზე და ჯერ თავს შემოყოფდა, შემდეგ გამოჩნდებოდა თვითონ სკოლის გამგე. იწყებდა ჩიფჩიფს, ყვებოდა შესალოც სიტყვების მსგავს აბდაუბდას, კითხულობდა რაღაცეებს ყორანიდან, და ჩემთვის ცხადი ხდებოდა, რომ თუ ყოველი თვის ბოლოს არ ვიშოვი ხუთიოდე ყრანს ხასანის სწავლის ფულს და არ გავგზავნი მას სკოლაში, შევიქნები უფრო წყეული და შეჩვენებული, ვიდრე იბნ გულჯამა, სინან იბნ ანასი ანდა შეგრზილ ჯავშანი, ე. ი. გავხდები ნამდვილი უღმერთო, გამცემი, ახმახი და სხე.

თითქოს ეშმაკი შემჩნოდა, ვიფიქრე — მოდი გავაღებ ჩემ დუქანს და მოგვიდებ ხელს ჩემ საქმეს მეთქი, რადგან ხელოსნობა ხომ ვერ შებღალავს ჩემ ღირსებას და მდგომარეობას, თვით დიდი წინასწარმეტყველიც ხომ ეწეოდა მებაღეობას... მაგრამ ჩემ ყურში კვლავ გაისმა ჩემი ცოლის გინება და საპენტავი იარაღის მომამზრებელი ზუილი, ასე რომ თმები ამეშალა და ხელები და ფეხები მომეკვტა.

ასეთ ფიქრებში წასული გამომაფხიზლა მისალმების სახეიმო ხმამ, და ჩემ წინ დაეინახე კაცი, რომლის სხეულის ყოველი ნაწილი თითქოს საქანელას წარმოადგენსო: მისი სახე მოგაგონებდათ დაუბოლოებელი ქათინაურებით შემამკობელს, მისი პირი ამბობდა — მე თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ; თვალი ამბობდა — მე თქვენი მოთვალთვალე ვარ, კისერი, რომელიც ხან იხრებოდა, ხან იმართებოდა, ამბობდა — თქვენი ფეხთა მტვერი ვარო, და ა. შ. ერთი სიტყვით, ეტყობოდა, რომ, ანტიქრისტეს მსგავსად, მის ტანზე თითოეულ ბალანს ენა გამობმოდა და ქათინაურებს ათასობით აყალიბებდა. კარგა ხანს იყო გართული ჩემს ქებაში: ჯერ იყო და თავის თავს ჩემ კეთილისმყოფელად ასაღებდა, შემდეგ ფარეშად, მეკარედ და, ბოლოს, ჩემ განუშორებელ ძაღლად გადაიქცა. პირველად უნდოდა ასი წლის სიცოცხლე ენატრა ჩემთვის, მაგრამ რაკი ნახა, რომ ხალიფის ქისა სიუხვის მომცემ-მომინიჭებელია, ასი წელი ათას წლად აქცია. ისე გამოდიოდა, თითქოს სალოცავ წიგნიდან გაუშეპირებია შესაფერი ადგილები და ჩემ წინ იმეორებსო. არც კი მოუცია ჩემთვის სულის მოთქმის საშუალება — ჯერ უკან დაიხია, მერე ისევ წამოიწია, წვერი ააცან-

კარა, ხელები მკერდიდან თვალებზე მიიღო, თვალებიდან თავზე დაქლო-
 ილიმებოდა და თავისა თუ კისრის კატუნით დამიწყო ლოცვა მე, ჩემ ბაე-
 შებეს, შვილიშვილებს, მამას, პაპას, პაპისპაპას... გული ჩემი მანჯარა მო-
 თმინების ფიალა აივსო, კინალამ ყვირილი მოვრთე, და მწიკტს მწიკტად
 შინისკენ მივტრიალდი, თან გულში ვლოცულობ. გამომიდგა, დარეტიანე-
 ბული ძაღლივით ტრიალებს ჩემს გარშემო. როგორც იყო, გავუსწორდი
 ჩემ სახლს. ვეცი კარს. ისიც დამნებდა და შევედი შიგნით. ვოცნებობდი,
 რომ ეიხსენ თავი აბეზარ „მეგობრისაგან“. მაგრამ, არა. ისიც შემოვიდა
 შინ, კარები ფრთხილად ჩაკეტა და თქვა:

— მადლობა განგებას, ახლა მაინც შემეძლება თავისუფლად ორიოდ
 სიტყვის თქმა.

მე გაოცებას ვეძლეოდი, ეს რა საოცარი ორფეხა რამ გადამეყარა
 მეთქი. თანაც მინდოდა გამეგო, რა უნდა გამოსულიყო ყველაფერ აქე-
 დან. მაგრამ უცებ, ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე, დამანება მე
 თავი და ხელი მიპყო ხაყან სალთანესა და მისი ოჯახის ქებას, დიდებას,
 მათი სიმდიდრის ხსენებას და სხვ. მისი ლაშები ხტოდნენ წისქვილის კბი-
 ლების მსგავსად და აყენებდნენ ქება-დიდების კორიანტელს. ეთქვი ჩემს
 გულში — ეტყობა, კაცი შექანებულა ქათინაურების ხმარებაში მეთქი. სა-
 ნამ ქება-დიდება მე მეხებოდა, რალაც აზრი მაინც იყო მათში, მაგრამ რა
 ჩემი საქმე იყო, თუ როდის დახურავს უფალი ხაყანის კარებს და სხვ.
 ასეთ აზრებსა და განწყობილებაში ვიყავი, რომ წუთში მიანება თავი ხა-
 ყან სალთანეს და გამოეკიდა ფალფურ დოვლეს, იმ ფალფურ დოვლეს,
 რომელიც მინისტრთა თავმჯდომარედ იყო იმ დროს. ამ შემთხვევაში ქება-
 დიდებისა და კარგი სიტყვების მაგიერ გადმოანთხია გინებისა და წყევ-
 ლა-კრულვის მთელი ნიაღვარი. გამოირკვა, რომ ამ კაცს ისევე კარგად
 შესძლებია თურმე ადამიანის თრევა და გინება, როგორც მისი შექება
 და განდიდება. ასე მოურიდებელი აღმოჩნდა იგი ყველაფერში. საწყალი
 ფალფურ დოვლე წარმოდგა ჩემს წინაშე ცბიერ, უმსგავს, გარყენილ, აუგ
 კაცად. არაფერი დარჩენილა, რითაც ის არ შეემკოს. ეტყობოდა ამ კაცს
 ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა ყოველი წვრილმანი და ცალკეული შე-
 მთხვევა ფალფურ დოვლეს და მისი ოჯახის ცხოვრებიდან... თითქმის
 მათი ქვეყნად გაჩენის მომენტიდან.

მეტე ველარ მოვითმინე და ვიყვირე:
 — ბელურას თავი ხომ არ გიჟამია, შე კაცო, რომ ამდენს ბოდავ და
 მევაჭრები! უკვე ორი საათია, რაც თავს მაბეზრებ და მაინც ვერა გამო-
 გია რა, თუ რა ვინდა ჩემგან. რალა მე გადამეკიდე! თუ რამე საქმე გაქვს
 ჩემთან, რალას უცდი, გადმოალაგე, ღმერთიმც ვადლეგრძელებს, და თუ
 ასეთი არაფერი გაქვს, მაშინ დამეხსენ და მიბრძანდე შენთვის პატიოსნად!
 რაკი ნახა მეგობარმა, რომ „ცა ილუშება“ და საქმე ცულად არის,
 აქვია პირი ისევე დაყვავებისაკენ და ნაძალადევი ღიმილით თქვა:

— ნუ ინებოს განგებამ, რომ მე შევიქნე თქვენი დადგენილების მიზეზი ან გავხდე თქვენი უკმაყოფილების საბაბი! პირიქით, მე იმდენად განწყობილი და ერთგული ვარ თქვენი, რომ ვერ მომეჩვენებოდა, როგორ გადმოგცეთ ის, რაც სათქმელი მაქვს. დიად, თქვენ აღმათ არ ეტყვიან ხაყან სალთანეს, რომ გაამართლოთ თქვენი უმორჩილესი მონა. ხაყან სალთანე ხომ თქვენი დიდი პატივისმცემელია. არა, ამაზე უფრო მეტიც, მე ჩემი ძალღონისა და შესაძლებლობის ფარგლებში გადმოგცეთ თქვენ პატივი და კეთილი სურვილები, სიძუნწე არ გამომიჩენია თქვენს ქება-დიდებაში. როგორც კი ვახდება იგი მინისტრთა თავმჯდომარედ, თქვენ თვითონ ნახაეთ, თუ როგორ გადაგიხდით ამავს. მე უკვე მოვახსენე, რომ შეიხ ჯაფარ ყველა კრებასა და სხდომაზე ნამდვილი პანეგირისტი და იშვიათი ნდობის მქონეა მეთქი. თქვენი შემწეობით ის გაიძვერა და დაუნდობელი ფაღფურ დოვლე, მზაკერობითა და ცბიერებით სამშობლოს გამყიდველი, რაც შეიძლება მალე იქნება განწირული. ხაყან სალთანე არ ეკუთვნის ისეთ ადამიანებს, რომელნიც ადვილად ივიწყებენ მეგობრებსა და მომხრეებს. ის, მაგალითად, ფაღფურ დოვლეს მსგავსად არ იტყვის — რა მესაქმება მათთან, დაილუპონ აქედანაო. რომ იცოდეთ, რაოდენი სამსახური გამიწევია მე ფაღფურ დოვლესთვის მისი მინისტრთა თავმჯდომარედ ვახდომის ჟამს. მას აქეთ, თითქოს არც კი სმენოდეს ჩემი სახელი, უბრალო ძალღონე არის, ძალღონის შესაფერ ყურადღებასაც კი აღარ მაქცევს. არა, ხაყან სალთანე სამართლიანი კაცია, ანგარიშიანი... ჯერჯერობით მოსალოდნელი ვასავლისა და ხარჯებისათვის ეს მცირე თანხა გამოგიგზავნათ იმ მიზნით, რომ ის თქვენთან დარჩეს. ცხადია, დანარჩენიც თანდათან მოაღწევს თქვენამდე. ისე კი განგების ნებამ ინებოს...

ერთი წუთიც და ვხედავ ჩემ ხელში ფულთი სავსე ქისას. სანამ გამოვერკვეოდი, მეგობარს ვაელო კარები და, ვითა ეშმა, გამჭკალიყო... პირველად არა გამეგებოდა რა მომხდარი ამბისა. მაგრამ როდესაც ღრმად ჩავუფიქრდი, მომავონდა მეგობრის სიტყვები და მივხვდი, რა ამბავიც იყო. ხაყან სალთანემ ფეხი გამოსდო ფაღფურ დოვლეს და, ესმა რა ჩემ შესახებ, ეძებს მისი ჩამოგდების საბაბს.

კარგია, ყოვლის მხილველი განგების შემწეობით მე უკვე თავის თავადი კაცი ვარ... და თანდათან სიცილი მერევა და ხარხარს ვიწყებ.

ამასობაში ქისა გამივარდება ხელიდან და დაეცემა ძირს, აგურის ამოჩრილ წახნაგზე. ქისა ირღვევა, ხოლო ფული, ახალმოქრილი თრ-თრ ყრანაინები, ძაღლის მიერ შეშინებული წიწილების მსგავსად, ჩხრილით გაგორდება ერთი მიმართულებით.

სწორეთ ამ დროს გაიღება კარი და — ოჰ, საოცრებავ! — ჯერ თავს შემოჰყოფს, მერე მთლიანად გამოჩნდება ჰაჯი ალი. მისი თვალები მყისვე დაეცემა მიმოფანტულ ფულს. ჰაჯი ალიმ ტუჩები და ღაშები გადმოყარა, მერე თქვა:

— ოპო, ეტყობა, ჩვენი უბნის დაკონკილი ბამბის პენტეით აღებულ უმნიშვნელო გასამრჯელოს ნაცვლად, შენ სახლში თურმე წვიმასავით ჩამოდის მეფის წყალობის ნიშნები. სწორეთ ჩინებულნი არაა მანგანგების წყალობა! რაც უნდა იყოს, უზენაეს ძალთა მამულში სხედვად ეღერს, ვიდრე საპენტავი იარაღის სიმები. ცხადია, თავიდან მოიშორებ დუქანში ჯახრიკს, გაყიდი ძველ ქამანს და მოიპოვებ ქონებასა და გაღლენას.

მინდოდა უწმაწური რამე სიტყვები მესროლა მისთვის, მაგრამ გავიფიქრე: ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ ერთმანეთს ძმურად გავუწოდეთ ხელი, და სიმართლე რომ ითქვას, გული რაღაც არ მანებებდა ჰაჯი ალის წინ არ გადმომეღაგებინა ჩემი თავგადასაყალი, ამიტომ ეუამზე მთელი ძტორია და შემდეგ დავუმატე:

— ახლა შეგიძლია თქვა, რაც გსურს. მე მზად ვარ.

ჰაჯი ალიმ თავი გააქნია და თქვა:

— კარგი, კარგი. შენი საქმე ჩინებულად მიდის. ჯერ ერთი მიგიღია ღირსება და პატივი ასეთი დიდი ადამიანისაგან... მაგრამ მე დამავიწყდა მეთქვა შენთვის ერთი წერილმანი, რის შემდეგ შენ თვითონ განსჯი და მოიქცევი ისე, როგორც გიკარნახებს შენი აზრი და გონება. მე მხოლოდ მინდა ჩემი ძმური მოვალეობა შეეასრულო.

მე გავიფიქრე — რაკი ჰაჯი ალის თვალები ამ ფულიდან რამდენიმეს მოუშორებლად აკედება, ხომ არ სურს ეშმაკური სიტყვებით გამაცუროს მეთქი. მაგრამ, არა, ჰაჯი ალის ზრახვები რაღაც სხვა უნდა ყოფილიყო. მან თქვა:

— ალა შეიხ ჯაფარ! იცოდე, ყოველ საქმეში აუცილებელია სერემია*). დაწყებული ბრმა რაპიმიტ, რომელიც ქუჩის განაპირას ზის და სიმიდს ჰყიდის, და გათავებული ჰაჯი ხუსეინით, ზარაფხანის უფროსით, ყველას, ვისაც სურს საქმე გააკეთოს და ორმაგი ფული აიღოს, უნდა ჰქონდეს სერემია. გასაგებია, რომ პოლიტიკური კარიერაც უფულოდ ვერ გაკეთდება...

შევაჩერე ჰაჯი ალი და ვუთხარი:

— ესე იგი, შენ გინდა თქვა, რომ წერა-კითხვის ცოდნა აუცილებელია...

ჰაჯი ალიმ უღვაშებში ჩაიციხა და მითხრა:

— არა, წერა-კითხვა რაში უნდა „პოლიტიკურ მოღვაწეს!“ „პოლიტიკურ მოღვაწეს“ ხომ სკოლის გახსნა არ სურს?!

— მაშ კარგი, შენ გინდა თქვა, რომ აუცილებელია ცოდნა და გამოცდილება

*) სერემია — თანხა. — მ თ ა რ გ მ ნ.

— ეი, შე მამაცხონებულო! კომპეტენტობა რის მაქნისია ისეთი „პოლიტიკური მოღვაწისათვის“, რომელსაც სიტყვა „კომპეტენტის“ დაწერაც არ შეუძლია?!

პოლიტიკური მოღვაწისათვის

მე ვთქვი:

— მაშ სხვა რა გინდა? შეიძლება გინდა თქვა, რომ „პოლიტიკური მოღვაწე“ ღირსი უნდა გახდეს მექა-ქერბელა-მეშხედის და მსგავსი ადგილების მოვლისა?

ჰაჯი ალი მეუბნება:

— არა, პოლიტიკური მოღვაწე ქარაენის ან მლოცველთა გუნდის მეთაური ხომ არ არის, ან და მათი ჩალვადარი, გზაში გამყოლი! ჩემი მიზანი პირდაპირია: პოლიტიკის კაცი უნდა იყოს სამართლიანი. ცოდნა, სიწმინდე, ყველაფერი ეს მხოლოდ სიტყვებია. პოლიტიკური საქმეებით მოვაქრისათვის პატიოსნება საშუალებაა. მორჩა და გათავდა! ბასტა!

მე ვამბობ:

— უნდა იყოს სამართლიანი, ე. ი., მაგალითად, კაცმა ქალს არ უნდა შეხედოს, ან და, ვთქვათ, მოზარდებთან არ იეშმაკოს...

ჰაჯი ალი სიტყვას მაწყვეტინებს.

— არა, მაგას რა დამოკიდებულება აქვს სამართლიანობასთან! სამართლიანობა, ე. ი. ქრთამის არ აღება. პოლიტიკური მოღვაწე ის არის, ვინც ქრთამს არ აიღებს.

მე ვთქვი:

— როგორ უნდა გავიგოთ, შენი აზრით, ქრთამის აღება. ეს ის ხომ არ არის, რასაც აძლევენ მოლებსა და მოჯთეპიდებს?..

— დიაღ, ძველად მათხოვრები და ღარიბები ქრთამს აძლევენ დიდებულებს, აიღებს, კარის კაცებს, შეიხებს, მოლებს და სხვებს. კონსტიტუციის შემოღების შემდეგ უკულმა შეტრიალდა ყველაფერი: ხანები და მათი შინაურები, მინისტრები და მმართველები თავიანთ ქვეშევრდომებს აძლევენ ქრთამს.

მე ვთქვი:

— კარგი, მაგრამ ეს ხომ ქრთამი არ არის, ეს ხომ მოწყალებისა და შემწეობის მსგავსია. რაშია აქ შეცოდება?

მან მიპასუხა:

— შეწირულება ხდება გარკვეული წესებით. ქრთამს კი ძველად იძლეოდა ის, ვისაც სურდა მაღალ პოსტზე ასულიყო, რისთვისაც ათას ან ორი ათას თუმანს გაუგზავნიდა შაჰსა და უფროს მინისტრს — ამით შიში საქმე დაწინაურდებოდა. დღეს კი იმავე მიზნისათვის იმავე ათას და ორი ათას თუმანს ანაწილებენ პატარ-პატარა ქისებში, ხუთ-ხუთ, ათ-ათ თუმანიანებად თავიანთ მომხრეებს შორის, ოცდაათ-ორმოც კაცს შორის, და ამით აღწევენ სასურველ მდგომარეობას. ასე რომ იმ „პოლიტიკურ მოღვაწეთა“ უმრავლესობა, რომლებსაც ხედავ, თუ რამეს აკეთებს, მხოლოდ იმას, რომ დღე და ღამე ასეთ ვაჭრობასა და აუქციონშია გართული.

შე ვამბობ:

— აქი შენ თვითონ თქვი, რომ პოლიტიკური მოღვაწე ვერაფერს არ უნდა იღებდესო.

— დიად, ჯერ ერთი, ქრთამის აუღებლობა არის, ასე ვთქვათ, კარის გასაღები. მაგალითად, თუ არა გაქვს აღებული ღამით სიარულის ნება-რთვა, ვერ გაივლი ქუჩაში და პატრულის უფროსის მიერ დაპატიმრებული იქნები. სწორედ ასევე, თუ მექრთამეობა დაგჩემდა, პოლიტიკურ საქმეებში ვეღარ გაერევი. მაგრამ, თუ შენი პოზიცია უკვე გამაგრდა, მაშინ შენ თვით გახდები შეიარაღებული რაზმის მონაწილე და მეთვალყურე. ამიერიდან აღარ გაგიჭირდება ღამლამეობით სიარულისათვის ნებართვის აღება სხვა პატრულებისა და ყარაულებისაგან. სავსებით ნათელია, თუ იმდენად გაიწვრთნები და იმდენ მარბიფათს გამოიჩენ, რომ ეს არავინ გაიგოს — აილე ქრთამი, მაგრამ იმ პირობით, რომ შენმა ცოლმა და ბავშვებმაც კი არ იცოდენ ეს. აი მაშინ გახდები ერთ-ერთი დიდთავა „პოლიტიკური მოღვაწე“. მაგრამ ეს სიყოჩადე და მოხერხება ყველას როდი ხვდება წილად. სანამ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაემბებოდე, საქმე უნდა მოაქაზებო ახუნდებთან, მოლებთან, სეიდებთან, ალებთან და მსგავს ხალხთან. უამისოდ ყოველივე ძნელი საქმეა. კაცმა ისე უნდა აილოს ქრთამი, რომ ვერავინ შენიშნოს.

ერთი სიტყვით, რაღა თავი შეგაწყინოთ, ჰაჯი აღის სიტყვები მომეწონა. მივხვდი, რომ მოვტყუებულვარ და იქნებ მთელ ქალაქში იციან უკვე, რომ შეიხ ჯაფარს ქუჭყიანი ხელები აქვს და ვერც კი მოუსწრია თვალების გახელა, რომ ხელებს წალმა-უკულმა აფათურებს... ჩემ გულში ვთქვი: „აღა, შეიხ ჯაფარ! განა ამის ღირსია შენი გრძელი წვერი? აი ამ წუთს იქნებ მეგობრები და მტრები თითზე იხვევენ ყურმოკრულ რამეებს და ამბობენ, რომ ამჟამად ხუთ-ხუთს იღებსო. უნდა ვეცადოთ და მივიღოთ ზომები, რომ პატროსანი შრომით და ჰაპანწყვეტით აღებული ორიოდ გროში ტყუილ-უბრალოდ წყალში არ იყრებოდეს“ და სხვ.

გამოველ შინიდან და ვავემართე მეჯლისისაკენ. მივალწიე თუ არა მეჯლისს, ეხედავ, მოუყრია ხალხს თავი და ერთი აურზაური აქვს. ჩემთვის გაუგებარი იყო საქმის ვითარება. მესმოდა მხოლოდ სხვადასხვა შეძახილი, როგორც, მაგალითად: „ცბიერება“, „საპყრობილეში“, „სახარობელაზე“ და სხვა. მივხვდი, რომ პოლიტიკურმა ვიგინდარებმა ალბათ სარმა გამოსდეს რომელიმე საწყალს და მათის წაქეზებით აფორიაქდა ყველაფერი, აირია მონასტერი.

აქასობაში ჩემს გარშემო ხალხმა თავი მოიყარა და გაისმა შეხვედრისა და მისაღმების სიტყვები, თანაც ხმა გავარდა, რომ შეიხს სურს სიტყვა წარმოთქვასო. და სანამ გონს მოვიდოდი და სათანადოდ მოვემზადებოდი. ეხედავ, ამიტაცეს ზევით და დამსვეს ამალღებულ ადგილზე. კრება პირდაღებული და თვალმდაპყრტილია. მშენად გადაქცეულიყო იმის მოლოდინში, თუ როგორ მოსცებდა შეიხ ჯაფარ მოლაღატევს. მე კი, მნათობი მ 5

თავი რომ არ შემერცხვინა, წარმოვთქვი შვიდი-რვა ფრაზა იმ განათქმე-
ბიდან, რომლებიც პაჯი ალიმ შემასწავლა. ყოველი წარმადგენელი დაეა-
მთავრე გინებით: „სამშობლოს გამცემნი“ და სხვ. ვისტყრუნებდა ხალხის
რისხვითა და მოთმინებიდან გამოსვლით, შემდეგ კი დაცინვის კილოთი
ვთქვი:

— აი, მოქალაქენო, ახალი ამბავი თუ გნებავთ, ისაა, რომ მათ მოუ-
ნდომებიათ, თავიანთ მსგავსად, სამშობლოს მოლაღატედ მეც გამხადონ,
მაგრამ ვერა, მისამართი შეშლიათ! მე ჩემი თვალთ ვნახე აუარება ფუ-
ლი ამ ქისაში. ეს ასიათასი თუმანი კი არა, რომლითაც მათ სურთ ჩემი
პირის გატენა, მილიონებიც რომ დამაყარონ, მაინც ვერ გადამახვევინებენ
სამშობლოს სიყვარულის სწორი გზიდან!..

ამ დროს ძალიან მინდოდა მომეყვანა შესაფერი ანეგდოტი ევროპელ-
თა პატრიოტიზმის ისტორიიდან, როგორც ეს მიღებულია ორატორებს
შორის, რომელთაც სურთ ნდობა დაიმსახურონ, თავი გამოიჩინონ და პა-
ტიოსნება მოიპოონ. რამდენადაც ვიცოდი, ამას მიმართავენ ყოველთვის,
როდესაც უნდათ უბრალო ხალხის გულის მოგება. მეც კარგ საქმეს ვი-
ზამდი, მაგრამ ასეთი არა ვიცოდი რა. ჯერ კიდევ არ ვიყავი გაწაფული
სიტყვის თქმაში, ამიტომ გადავწყვიტე, შესაძლებელ უხერხულ მდგომარ-
ეობიდან გამოსასვლელად, ხელი ამელო ამ განზრახვაზე. უცბათ ამოვა-
თრიე ხყანის ქისა, ჭება შევასხი მას და შეეფერებოდა თუ არა, მაინც
წარმოვთქვი ნაწყვეტ-ნაწყვეტი შაირები, რის მოგონებაც შევიძელ. და რო-
დესაც ხალხმა შეწყვიტა ხარხარი, დავუძახე ჩემს შეგირდს ხაშიმს, რო-
მელიც კრების შუაში ჩამდგარიყო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ტაშს
ცემდა და მონაწილეობას იღებდა საერთო აღრზაურში. მოვიხმე და ვუ-
თხარი:

— აიღე ეს ქისა ფულით, გადაეცე პატრონს და უთხარ, რომ ასეთ
მზაკერული ხერხებით ვერ ჩააჩუმებენ თავდადებულ მამულისშვილს თქო.
ხაშიმი გაშეშებული იღვა და ის იყო უნდოდა ეკითხა, რა და როგო-
რაო, რომ ატყდა ყვირილი: „გაუმარჯოს ჯაფარ ხანს!“ „გაუმარჯოს
ჯაფარ ხანს, ხალხის ენერგიას და სიძლიერეს!“ და შემოკრბა ხალხი ჩემს
გარშემო, სწორეთ ისე, როგორც სსწაულით თვალემახილულ ბრმის
გარშემო შეგროვდება ხოლმე. როდესაც გონს მოვედი და დავშოშმინდი,
შევატყვე, რომ მეჯლისიდან შორს წავსულეარათ. ბოლოს, მარტოდ-მარ-
ტო დავრჩი. თავი და კისერი მელრიცებოდა, დარეტიანებული ვიყავი.
მომინდა თუთუნის მოწვევა. ვხედავ, აყალ-მაყალსა და „გაუმარჯოს“ ყვი-
რილის დროს მადლობის გადასახდელად ამოუცლიათ ჩემთვის ჯიბიდან
ჩიბუხი, სათუთუნე და სხვა წერილმანი. ყველაზე უფრო გულს მწვავდა
ის ორიოდე გროში, რომელიც განგებ გამოვაძვრინე ქისის ნახვრეტიდან
სანოვაგისათვის.

უეცრად ჩემ ყურებთან გაისმა ნაცნობი ხმა, რამაც მთელ სხეულში
დამიარა. დავინახე ის კაცი, რომელმაც ფული მომიტანა მის მაღალკე-



თილშობილება ხაყანისაგან. მინდოდა ღირსეულად შემეკურთხებია მისთვის დ ამეხსნა ჩემი პატრიოტული გრძნობების მნიშვნელობა. მაგრამ, ვხედავ, არაეინ არის გარშემო უცხო საზოგადოებიდან, ამიტომ აღტკლება უნაყოფო იქნებოდა, ე. ი. პოლიტიკურ ენაზე რომ ითქვას, „ხალხის თაყვანება“ უადგილო იქნებოდა. არსებითად კი თვითონ მეგობარს საამისოდ როც ალარ ჰქონდა. კვლავ შეჯდა თავის ჯორზე, შეაბა ქათინაურების საფუძველში და საშუალებათა განურჩევლად გუშინდელივით მიჰყო ხელი გაწამაწიას. ქების შესხმის შემდეგ სულმოუთქმელად გადმომცა სალაში ხაყან სულთანესაგან და მეუბნება:

— მოვისმინე თქვენი სიტყვა. ჩინებულად გამოვიდა, ალბათ თქვენ საუკეთესოდ ჩათვალეთ სწორეთ ამგვარად გეთქვათ. ხოსრომ რაც უნდა ქნას, ყველაფერი მოსაწონია. ნამდვილი ოსტატობა გამოიჩინეთ. თქვენ ჩვენი დროის პლატონი ხართ. თქვენი ქანდაკება უსათუოდ ოქროსაგან უნდა იქნას ჩამოსხმული. უეჭველია, ამჟამად თქვენი სახელი ევროპაში ყველას პირზე აკერია. დარწმუნებული ვარ, თქვენის მეოხებით ხაყან სალთანე რაც შეიძლება ჩქარა ვეზირი გახდება. თქვენი წყალობის თვალი ჩვენსკენაც გადმოიხედავს, რაც ჩვენ ყველას გაგვხდის თქვენთვის მლოცველად...

ერთი სიტყვით, მეგობარი კაცი ისე აქნედა კუდს და მელაქუცებოდა, რომ არ ეციოდი, რა საშუალებით დამეხსნა თავი ამ კაცისაგან. როგორც კი შეველ სახლში, საჩქაროდ ჩავეკეტე კარი. დავრჩი მარტო და სული ამოვიოთქე. შევეუდექი თუ არა რიტუალურ წესებს, ვხედავ, ხაშიმმა გააბა ყვირილი.

ცოლმა მითხრა:

— ალა შეიხ, მოდი, შეხედე ერთი, შენი წვერის მადლსა, რაებს მიჰქარავს ის სალახანა! შენ მიერ გამოგზავნილ ფულიდან თხუთმეტი ათასი თვითონ დაიჩემა. ამბობს, ეს ჩემი თვითური ჯამაგირიაო. ვინ იქცევა მაგრე? ვის ჩაუბარებია კატისთვის ხორცი? ან და, ნუ თუ არ იცნობდი ამ არამზადას? აბა, თუ შეგიძლია შენ თვითონ მიუდექ ახლა!..

ცხადი იყო, ხაშიმს შინ მოეტანა ის ფული, რომელიც ჩემგან მიიღო მეჯლისთან, რადგან არ იცოდა, სად და ვისთვის წაეღო. 15.000 თვითონ მიითვისა ჯამაგირის ანგარიშში. რაღა უნდა მექნა? ასეთი იყო ალბათ განგების კარნახი. ჩვენ კი ვადიდებთ მის არსებას და ვემორჩილებით მის სურვილებს. მაგრამ შესახედავად მაინც შეუყვირე ხაშიმს. მან აინუნშიაც არ ჩაიგდო ყოველივე ეს, ბედნიერების მომნიჭებელი 15.000 ჩაიხზრიალა ჯიბაში და მოკურცხლა.

მეორე დღეს, ვხედავ, ჩემი სახელი ყველას პირზე აკერია. ჩემი ყურით ვავიგონე, როგორ ეფიციებოდენ ბაზარში ერთმანეთს, თითქოს საკუთარი თვალით ენახოთ ჩემთვის გამოგზავნილი მრავალი ათასი ოქროს თუმნიანები. მე კი ვითომ ზედაც არ შემეხედოს. იმასაც ამბობდენ, თი-

თქოს შაჰს ეთქვას, უკეთეს მე გზაზე არ გადაველობებები, მთელ სოფელს არ დაიშურებს ჩემდა გადმოსაცემად და სხვა.

ამგვარად, გავხდი ერთ-ერთი გამოჩენილი კაცი ქალაქში. ალი ორ-სამჯერ შემოვიდა ჩემთან. მისაყვედურებდა, რომ საქმეში გართულმა დავივიწყე და ყურადღებას აღარ ვაქცევ. შემდეგში გავიგე, რომ რალაც ხელობისათვის მოეკიდა ხელი და საკმაოდ კარგადაც გრძნობდა თურმე თავს. როგორც კი ამოივსო მუცელი, პოლიტიკა მყისვე გაფრინდა მისი თავიდან.

რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო არჩევნები. მე ამირჩიეს ორი პარტიის სიით — დემოკრატებისა და ზომიერების. ამირჩიეს რამდენიმე ათასი ხმით. მაგრამ ერთხანს დებუტატად ყოფნის შემდეგ, ეხედავ, რომ ეს საშიში საქმეა. კაცი საკმაოდ კარგადაც რომ ცხოვრობდეს, მაინც იძულებულია მოჩხუბარ მამალს დაემსგავსოს: ხან აქ დაეცეს, ხან იქ გაჰკრას ხანსაც, ვეზირსაც... მაგრამ მე შეძლებისდაგვარად პატიოსნად გავატარე რამდენიმე წელი და ამ წესებისათვის არ გადამიხვევია. მოხდა ისე, რომ ნელ-ნელა ამ ლამაზ ქალაქში მოვეწყე გუბერნატორად, სატახტო ქალაქის ყრიაბულს მოშორებული. ჩამოვიყვანე ცოლი, შვილი და ეცხოვრობთ ჩვენთვის წყნარად. ჩემი შვილი ამას წინათ დაინიშნა ირანის განათლების მინისტრად. ისიც კარგად არის და ჩვენთვისაც სასიამოვნოა.

თქვენ კი გთხოვთ, ამიერიდან არ ჩამთვალათ მე „საზოგადო მოღვაწედ“, არ მიწოდოთ ეს სახელი და არც მისურვოთ, რომ ვიყო ოდესმე მე „საზოგადო მოღვაწე“.

თარგმანი ირანულიდან მ. ხუბუშას მიერ.



ა. კუშინი

გაღმოსავლეთის უღმრესი

ბევრი, როგორც მე, ნახულობდნ ამ შად-
რევანს; მაგრამ იმათგან ზოგნი აღარ არიან
უკვე, სხვანი კი შორეთს მოგზაურობენ.

საადი.

იჯდა გირეი დაფიქრებული,
ბოლავდა ქარვა მის მდუმარ პირში
და მრისხანე ხანს კარისკაცები
გარს ეხვევოდნ მონური შიშით
სასახლეში კი იყო სიწყინარე:
ხანის მოღუშულ სახეზე ყველა
მწუხარებისა და რისხვის ნიშნებს
კითხულობდა და ეიღოდა ნელა.
მაგრამ გოროზმა მბრძანებელმა მათ
მოულოდნელად უჩვენა კარი
მოუთმენელი ხელის გაქნევით —
და თავდახრილნი გავიდნ გარეთ.

მარტოა ახლა თავის დარბაზში,
უკენის გული, სევდა რომ სდაღავს,
და მისი შუბლი — სიმკაცრის დაფა —
სულიერ ღელვის სიმძაფრეს სახავს:
ამგვარად მძიმე, შავი ღრუბლები,
როცა ქარიშხლის ფრთებზე სხდებიან,
სადმე ყურეში, ატორტმანებულ
ზღვის ვრცელ სარკეში გამოკრთებიან.

რა ამოძრავებს ხანის ამაყ სულს
და რა ბნელ ფიქრებს მოუტყავთ იგი?
რუსეთზე იწევს? თუ პოლონეთში
მოაქვს სასტიკი თავის წესრიგი?
თუ შეთქმულება აღმოაჩინა
ჯარში და შფოთავს მით მეხდაკრული?



თუ აფრთხობს ხალხის შურისძიება,
 ან გენუელთა ზრახვა მზაკერულია,
 არა, მოსწყინდა სარდლის დიდება
 და დაიჭანცა მრისხანე ხელი:
 შორსაა მისგან, ვით ცა და მიწა,
 დღეს ომზე ფიქრი და ბრძოლის ველი.
 მაშ, ეგებ, იმის პარამხანაში
 შემოიპარა დალატი კრული
 და ნებიერმა მონა ასულმა
 გიაურს სატრფოდ გაუხსნა გული?
 არა, გირვის მშვიშარა ცოლებს
 ფიქრის და ნდომის არა აქვთ ნება:
 იფურჩქნებიან ცივ სიწყნარეში
 და მათი სული მოწყენით სკვნება;
 ყოველგან გრძნობენ დარაჯის თვალებს
 და მარტოობის სევდით იწყვიან;
 უნუგეშობის შავბნელ კალთაში —
 რაა დალატი, მათ არ იციან.
 დამარბულია ლილეგის ჩრდილში
 მათი სიტურფე — უჩინო სოფლად:
 ასე ყვევილნი არაბეთისა
 სკოცბლობენ მინის სათბურში ობლად!
 მათთვის რიგრიგად მისდევს ერთმანეთს
 დღე, თვე და წელი უსიხარულო
 და შეუმჩნეველად მიაქვთ ნელნელა
 ახალგაზრდობა და სიყვარული.
 რაა ცხოვრება პარამხანაში?
 მოწყენილობა და სიზარმაცე:
 ყოველი დღეა ერთფეროვანი,
 ეამი ლოთივით ძლივს მიზარბაცებს.
 იქ იშვიათად თუ გამოკრთება
 მხიარულება, გულის გამთბობი...
 მაგრამ გირვის ყმაწვილი ცოლნი,
 რომ შეიქციონ თავი გართობით,
 იკაზმებიან ფერად-ფერადით,
 მღერიან, როკვენ ხეივანთ ჩრდილში,
 ან მოჩანჩქარე ბროლის ნაკადთან
 დასეიბნობენ გუნდ-გუნდად გრილში.
 თან დასდევს ყველგან მათ საკურისი;
 მისგან გაქცევას ვინც ფიქრობს, სცდება:



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისი ბოროტი და ეჭვიანი
ხედვა და სმენა ყველაფერს სწვდება.
მან დაამყარა წესი და რიგი
სამარადისო, დაურღვეველი.
იმისთვის ხანის ნება-სურვილი
კანონი არის შეურყეველი.
იგი ყურანის უწმინდეს აღთქმას
სასტიკად იცავს, რწმენაში ნალესს.
მისი დამპყნარი და ცივი სული
არ ითხოვს ტრფობას, არ ეძებს აღერსს.
ვითარცა კერპი, ყველაფერს იტანს:
დაცინვას, ხვეწნას, დრტვინვას განწირულს,
შეურაცყოფას, საყვედურს, ზიზლსა
და გამოხედვას, ცრემლში ჩაძირულს.
რა ცბიერია დედათა სქესი,
თავისუფლების, თუ მონობის ეამს,
ეს კარგად იცის გამოცდილებით
და ანთხევს ირგვლივ უნდობლობის შხამს.
მის გაქვავებულ სულის წინაშე
უძლური არის სუყველაფერი:
ცრემლმორეული საყვედურიც და
ცქერაც, სინაზის ვარდით ნაფერი.
სიცხის ეამს, მაშინ, როს ტყვე ქალები
ჩადიან წყალში თმისშლით, ცქრიალით
და იმათ ლამაზ, მომზიბლავ ტანზე
იღვრება წყაროს ზვირთნი ჩქრიალით,
მათი გართობის ეს განუყრელი
მოწმე-დარაჯიც აქვე სდგას, გვერდით,
უცქერის შიშველ მშვენიერებას
გულგრილად, თითქოს ჭვა დააქვს მკერდით.
როს ჰარამხანა ღამის სიბნელით
აივსება და დაიფარება,
აქ დაძრწის ისიც: რბილ ნოხზე ჩუმად
კარებისაკენ მიიპარება;
შედის, ლოგინებს ათვალეირებს,
თან შეაქვს შიში ამათრთოლები...
და ასე მუდმივ ზრუნვაში არის
ეს მეთვალყურე ხანის ცოლების.
ღამის სიბნელის ყრუ სიწყნარეში
მახვილი სმენით იჭერს ხმებს ჭარბად:
ოხერას, შეკრთობას, სუნთქვას თუ ტიტინს...

და ყოველივეს იხსომებს ხარბად.

და ვაი იმას, ვინც რომ ჩურჩულით
წამოისროლის ძილში სხვის სახელს,
ან მეგობარ ქალს გაუზიარებს
გულის ხეაშიადს, მიწიერ ზრახვებს!

მაშ, დღეს გირეი რაზედღა ოხრავს?

ზის თავჩაქინდვრით, მოხრილი წელში,

და ყალიონი, გრძელ ტარიანი,

უკვე ჩამქრალა მის უძრავ ხელში.

იქვე კარებთან სდგას საჭურისი,

სუნთქვაშეკრული, გაფითრებული

და ელოდება სასტიკ მბრძანებელს,

სამარესავით დაფიქრებული.

ამაყი რხევით დგება გირეი,

მის წინ ყურთამდე იღება კარი

და გუშინ კიდევ სანატრელ ცოლთა

სავეანისაკენ მიდის გულმკვდარი.

ბროლ, მოჩუხჩუხე შადრევნის ირგვლივ

ძვირფას ხალებზე ისხდენ ისინი

და ხანს უგულოდ ელოდებოდენ,

უზრუნველად და კისკის-სიცილით;

ბავშვურ ხალისით და სიხარულით

კამკამა წყალში უცქერდენ თევზებს,

თუ ვით დახტოდენ და დაცურადენ

თეთრ მარმარილოთ მოგებულ ფსკერზე;

და ცელქებს, განზრახ, ზოგი მათგანი

უგდებდა თავის ოქროს საყურეს...

ირგვლივ შარბათი სურნელოვანი

სინით დაჰქონდათ მონა მსახურებს.

უცებ სიმღერამ, ტკბილმა, საამომ,

დაიწკრილა აღმძვრელად ვნების

და პარამხანის ყრუ მყუდროება

შეათრთოლა და აავსო ხმებით.

თათრული სიმღერა

1

-ცა მოწყალეა: ცრემლით თვალნაბანს

მოუჩენს ადგილს მართალთა წრეში;

ნეტარება მას, ვინც ნახა მექა

სიბერის შიშვე, მწუხარე წლებში.

2

ნეტარება მას, ვინც ემსხვერპლება
 ქებულ დუნაის ნაპირთ დიდებას:
 მისკენ სამოთხის ნაზი ქალწული
 ვნებიან ღამით გამოფრინდება.



3

მაგრამ, ზარემავე, უფრო ნეტარ არს,
 ვინც შეიყვარა განცხრომის დღენი
 და ჰარამზანის დუმილში, ვით ვარდს,
 გელერსება და ხარობს შენით“.

ასე მღერიან. მაგრამ სად არის
 ტურფა ზარემა, ვარდი ხანისა,
 ეს სიყვარულის უცხო ვარსკვლავი
 და სილამაზე ჰარამზანისა?
 ვაჰმე, მწუხარეს და გაფითრებულს,
 ვით მეხდაკრული ნორჩი ბზაკალი,
 ჩაუკიდნია თავი და ქებას
 არ უსმენს ახლა გულის კანკალით.
 დღეს არაფერი არ უბარია,
 ზის და საშინლად უკენესის სული,
 რადგან გირეიმ უკვე გასწირა
 და აიყარა იმაზე გული.

მან გილაღატა!.. მაგრამ ვინ არის,
 ქართველო ქალო, შენებრ ღამაზი?
 ზამბახის შუბლზე ნახუქუქევი
 გშეენის დალაღნი, უცხოდ ნახაზი.
 დღეზე ნათელი და ბნელ ღამეზე
 შავია შენი ჯადო თვალები.
 ვის ენას ძალუძს სურვილთ სიმძაფრე
 გამოსთქვას შენზე მძლედ, მღელვარებით?
 ვისი კოცნაა შენს მწველ ამბორზე
 ვნებიანი და უფრო ცხოველი?
 ვით ატოკებდა სხვა სილამაზით
 გული, რეთხელვე შენი მპოველი?
 მაგრამ გირეის უკვე მოსწყინდა
 შენი თვალები — ეღვათა მკვესი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ლამის ბნელსა და ცივ საათებს
მარტოობაში ატარებს კენესით
მას აქვთ, რაც მის პარამბანაში
ტყვედ ზის პოლონელ მთაერის ასულს.
მარიამ სხვისი ცა რომ იხილა,
შემდეგ დიდი დრო როდი გასულა.
ჯერ კიდევ გუშინ, სიცოცხლით სავსე,
პყვაოდა მშობელ ქვეყნის უბეში:
ქალარა მამა მით ამაცობდა,
ის იყო მისი ღზენა, ნუგეში.
ყმაწვილი ქალის ნება-სურვილი
კანონად უზნდა... უვლიდა ფრთხილად:
სურდა, რომ მისი სვე ყოფილიყო
ნათელი, როგორც მაისის დილა;
რომ მწუხარებას ვერ დაეჩრდილა
მისი უმანკო ფიჭვი და სული:
რომ გათხოვების შემდეგაც ხშირად
მოგონებოდა ტყბილი წარსული,
ქალიშვილობა, შექცევის დღენი,
სიზმრებრ გამჭრალი და გადასული.

ხიბლავდა მნახველს მისი ყოველი:
მშვიდი ზნეობა, უმანკო სული,
მტკი-ცისფერი ელვა თვალები,
რხევა ცოცხალი, შნოებით სრული.
და ამ ბუნების ძვირფას საჩუქარს,
ის ხელოვნების მადლით ამცობდა,
როცა შინაურ ნადიმ-შექცევას
გრძნეული ქნარის ეღერით ატკბობდა.
ბევრი მდიდარი და დიდი კაცი
ლამაზ მარიას ეშხით თვრებოდა.
მის ხელს ეძებდა, მაგრამ ამაოდ —
და ჩუმად ტანჯვის ცრემლად დნებოდა.
მწველ სიყვარულის მზიბლავი განცდა
იმის მყუდრო სულს ჯერ არ სწევოდა:
მოცლილი, მამის ციხე-დარბაზში
დობილთა შორის შეეჭყოდა.

მაგრამ — რა! — დიდხანს გაგრძელდა ასე*
მოსკდა ღვარივით ურდო თათართა
და პოლონეთის თავზე მახვილი
უწყალო ხელით მძლავრად ამართა:
ასე საშინელ ელვის სისწრაფით



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამკალსაც კი არ ედება ალი!
 უღმობველ ომით აოხრებული,
 დაობლდა მხარე... ატირდა თვალი.
 გაჰჭრა შექცევა მშვიდობიანი:
 მუხნარი, უმწე სოფელი, დაბა
 და მედიდური ციხე-დარბაზი
 დაცარიელდა და გაინაბა.
 სღუმს დღეს მარიას ნათელი ბინაც...
 გვერდზე კი, კარის ეკლესიაში,
 სადაც ღრმა ძილით განისვენებენ
 წმინდა ნაწილნი, მიწის წიაღში
 საშთავრო ღერბით და გვირგვინითა
 ერთი აკლდამაც ზე იმართა:
 მამა — საფლავში, ქალი — თათრის ტყვედ,
 სასახლეს ძუნწი მემკვიდრე მართავს
 და მხარეს, მტრისგან განადგურებულს,
 უფრო ამცირებს და ჭირში ზღართავს.
 გაჰმე! დღეს მთავრის ასულს უწყალო
 ბახჩისარაის ფარავს დარბაზი:
 სწუხს და ჭეითინებს ახლა მარია
 და მონობაში სკვნება ლამაზი.
 ხანს ებრალება: მისი ტირილი,
 ცრემლი, თუ კენესა, უშფოთებს ძილსა
 და პარამხანის უმკაცრეს წესებს
 ურბილებს, მასში არ უდებს წილსა.
 პირქუში მცველი ხანის ცოლები
 არ შედის მასთან, ვით ითხოვს რიგი;
 მზრუნველი ხელით არ უშლის ლოგინს
 და ზედ არ აწეენს სიფრთხილით იგი;
 არა აქვს ნება, რომ სათაკილო
 ცივი თვალები მიმართოს იქით:
 თვით საიდუმლო აბაზანაში
 მარტოა თავის მხეველით, მშვენება;
 ტყვე ქალწულს ხანიც კი ერიდება,
 რომ არ შეუკრთოს მას მოსვენება.
 ნება ეძლევა პარამხანაში
 იცხოვროს ცალკე მუდროობაში
 და ჰგონებს: რაღაც შექვეყნიური
 იმალება ამ მარტოობაში.
 იქ დღე და ღამე ბრწყინავს კანდელი
 ხატის წინაშე წმინდა ქალწულის



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ისმის ლოცვა საოხად სულის,
კმუხვით დამწვარის და დაქანცულის.
იქ, სიჩუმეში, სრულ სასოებით.
სარწმუნოების უმშვიდეს არეს
აფარებს თავს და ყოველი განცდა
აგონებს მის გულს უკეთეს მხარეს.
იქ მარტოდმარტო, ჩუმად, ფარულად
ტრემლს ღერის ქალწული სულის წვალეებით,
სადაც ვერ სწვდება მეგობარ ქალთა
შურიანი და ხარბი თვალეები.
და მაშინ, როცა ირგვლივ ყველაფერს
ფუფუნების ზღვა ნთქავს და იპარავს,
დიდ სასწაულით გადარჩენილი
კუთხე სიწმინდეს მაინც იფარავს:
ამგვარად გული, შეცდომის მსხვერპლი,
როცა ეძლევა ბიწიერ ტკობას,
ინახავს, როგორც წმინდა საწინდარს,
ერთ სასოებას — ღვთაებრივს გრძნობას...

დაღამდა. ბნელმა დაჰფარა ირგვლივ
დამატკობელი თავრიდის ველი.
შორით, ლურჯ დაფნის ტალავარიდან,
მესმის ბუღბუღლის გალობა მწველი.
ვარსკვლავთა იქით, უღრუბლო ცაზე
ამოდის მთვარე, შუქმოელვარე,
და ცის სიღრმიდან ტყე-მინდვრებს, ქედებს
მკრთალად აშუქებს და აელვარებს.
ვით აჩრდილები, თეთრის ჩადრებით,
მდაბიო, თათრის დედაკაცები,
ბახჩისარაის ლამაზ ქუჩებით
შიჩქარიან წინ გატაცებით
უბნით უბნამდე, სახლიდან სახლში,
თავისუფალი საღამოს ეამი
მეუღლეებთან რომ გაატარონ,
გაიზიარონ სიამის წამი.
სძინავს სასახლეს და პარამხანას
უშფოთველად და განცხრომით, ტკბილად;
სიოც კი ოდნავ არ არხევს ღამეს —
დაღალეებივით რომ გადმოშლილა.
თვით ერთგულ დიარაჯს — საქურისსაც კი,
დაზვერა რა მან ირგვლივ ყოველი,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღრნად სძინავს ახლა, მაგრამ ძილშიაც
 აკრთობს მას შიში: ღალატს მოელის.
 და ვერ ისვენებს ვერც ერთის წამით,
 სულმოწამლული სიფრთხილის გესლით:
 მას ხან ჩურჩული, ხან შეკვივლება,
 და ხან ვიღაცის ფეხის ხმა ესმის.
 მოტყუებული იქნებულ სმენით,
 წამოიჭრება სულის ცახცახით
 და აყურადებს შეშინებულნი...
 მაგრამ არსად სჩანს ლანდთა ნასახი;
 სდუმს ყველაფერი; ბნელაში მხოლოდ
 სჩქეფს შადრევანი ტყბილის ხმაურით
 და განუყრელი ვარდის მიჯნური —
 ნაზი ბუღბუღი სტვენს უცნაურად.

რა წარმტაცია აღმოსავლეთის
 ბნელ ღამეების აელვარება!
 რა ამოთ გადის მათი წამები
 მათთვის, ვინც მაჰმადს ეთაყვანება!
 რამდენი სიტყმო და განცხრომაა
 მდიდრულად მორთულ იმთ სახლებში,
 მყუდრო, უშიშარ პარამხანებსა
 და თვალის მომჭრელ ღამაზ ბალებში,
 სადაც რომ მთვარის ზეგავლენის ქვეშ
 სუვეელაფერი სავსება ელვით,
 იღუმალობით, მყუდრეობითა
 და შთაგონებულ ვნებათა დეღვით!

პარამხანაში ყველა ცოლს სძინავს;
 ძილი მხოლოდ ერთს არ ეკარება;
 დგება, სიჩქარით აღებს კარებს და
 ნელის ნაბიჯით მიიპარება,
 სუნთქვაშეკრული და ფერმიხდილი.
 გარშემო ბნელა, სიო ჰქრის გრილი;
 წინ კი კალარა საჭურისი წვეს
 და ფრთხილობს... სძინავს ფხიზელი ძილით.
 ახ, მისი გული უღმობელია
 და მატყუარა თვით მოსვენება!
 მაგრამ ის მაინც შეუნიშნავად
 ჩაუვლის გვერდზე, ვით მოჩვენება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

აი კარებიც მარიას ბინის;
 ეხება ხელის თრთოლვით გასაღებს;
 შედის, ნახულით განცვიფრებული,
 და საიდუმლო შიშით ცახცახებს.
 მკრთალმა კანდეღმა, სახატემ, ჯვარმა —
 სიმბოლომ წმინდა სიყვარულისა
 და უწმინდესმა ქალწულის სახემ,
 მშვიდმა, აღმძვრელმა სინანულისა...
 ქართველო ჭალო, შენში რალაცა
 გამოაღვიძა, მკვდარი აქამდე,
 და წარსულ დღეთა დავიწყებული
 მშობლური ხმები გულში აჩქამდენ.
 მის წინ სიმშვიდით განისვენებდა
 მთავრის ასული... თმები ჩქერობდენ
 და ქალწულური ცხოველის ძილით
 ბროლის დაწვები ვარდისფერობდენ,
 სადაც ცრემლის კვალს აცისკროვნებდა
 მკრთალი ღიმილი — სულის კანდელი:
 ასე წვიმისგან დანამულ ყვავილს
 ააციმციმებს მთვარის ნათელი!
 გეგონებოდათ განისვენებდა
 თვით ანგელოსი, მოსული ციდან,
 დე ჰარამხანის უბედურ ტყვეზე
 სიბრალულის ცრემლს ქვითინით ღვრიდა.
 და უნებურად სულშეხუთულმა
 ზარემამ მის წინ მუხლი მოჰხარა:
 „გებრალეზოდე!.. მისმინე თხოვნა!..“
 უთხრა და ადრე ცრემლით მოღვარა.
 მისმა სიტყვებმა, რხევამ თუ კვნესამ —
 დაუფრთხო ქალწულს ძილის სიმშვიდე;
 უცქერს უცნობს ქალს მთავრის ასული
 და შიში იპყრობს, გულს ვერ იმშვიდებს;
 შეძრწუნებული, აყენებს თრთოლვით
 და ეკითხება, ვარდთა მთოველი:
 „ვინ ხარ?.. აქ მარტო შუალამის ეამს
 რისთვის მოსულხარ?..“

— „შენთან მოველი:

მიშველე, უნდო ბედისგან დასჯილს
 ერთი იმედი დღეს შენ-ლა მივი...
 დიდხანს ვსტკებოდი ბედნიერებით;
 მთლად უზრუნველი და ყოველმხრივი



ერკონულნი
გინგლირთუქა

მქონდა ცხოვრება, ტკბილი დღე-ღამე...
დღეს ნეტარების აირდილიც გაჰქრა:
ო, ვიღუბები, მიშველე რამე!

მე აქაური არ ვარ. ვშობილვარ
აქედან შორს, შორს... სულ სხვა მხარეში,
მაგრამ საგნები, ძველად ნახული,
დღემდე ღრმად მიზის ხსოვნის არეში:
კვლავ მახსოვს მთები, ცამდე აწვდილნი,
გივმაც ნაკადთა ფიცხი ჩქეფანი,
უტეხ მუხნარის ვრცელი ტევრები,
სხვა წეს-რიგი და ჩვეულებანი...
მაგრამ არ მახსოვს, თუ ვით დავტოვე
სამშობლო კუთხე, შვების მსახველი;
მახსოვს მხოლოდ ზღვა, იალქნები და
მათ ზევით კაცი...

შიში, ნალველი,
დღემდე სულისთვის იყო უცნობი;
ჩრდილ ქვეშ უშფოთველ პარამზანისა
ვიფურჩქნებოდი, საფრთხის უგრძნობი,
და სიყვარულის პირველ ტკბილ განცდას
ველოდებოდი მორჩილის გულით:
ახ, საიდუმლო ჩემი სურვილი
აღსრულდა!.. შვება ვიგრძენი სრული.
გირეიმ მშვიდ და ტკბილ განცხრომისთვის
სისხლიან ომებს არჩია ზავი:
შესწყვიტა მკაცრი თავდასხმები და
კვლავ პარამზანს ეწვია ზვაგი.
ჩვენ, მოლოდინით შემკრთალნი, მის წინ
წარვსდექით კრძალვით, მსგავსად მონათა:
მან, მრავალთ შორის, თავის ნათელი
თვალეები მხოლოდ მე მომანათა.
მას შემდეგ, მთვრალებს ბედნიერებით,
არ განგვიცდია წუთით წამება:
ვერ გვაშფოთებდა ბოროტი ეჭვი,
ვერ გვაძრწუნებდა ცილისწამება.
მაგრამ, მარია, რა შენ მოხვედი,
ვაჰმე, მას აქეთ გირეის სული
დაბნელდა ცოდვილ შავ ფიქრებით დ.
უჯურნებელი გაეხსნა წყლული!
გირეიმ ჩემზე იცვალა გული,
ვერ ხედავს ჩემში წინანდელ გრძნობას;



ქართული
განმანათლებელი

არ ესმის მწარე საყვედურები:
 მობეზრდა ჩემი კენესაც და ტრფობაც,
 ვიცი, არა ხარ შენ დამნაშავე,
 წმინდა ხარ ისე, ვითარცა ბროლი...
 მაგრამ მისმინე: მე ლამაზი ვარ,
 პარამხანაში არვინ მყავს ტოლი;
 მხოლოდ შენ-ღა ხარ ჩემთვის საშიში,
 მაგრამ არ ძალგის ჩემსავით ტრფობა;
 მე კი ვწობილვარ მხოლოდ ვნებისთვის:
 ვიცი ალერსი და გრძნობით თრობა,
 მაშ რად ამფოთებ ცივი სიტურფით
 სუსტ გულს? დაეხსენ: იგი — ჩემია.
 მისი ამბორი ჩემს ლაწვზე იწვის
 და ფიცაც გულში ღრმად ჩამრჩენია:
 ყოველი თვისი ფიჭრი, სურვილი
 დაუკავშირა გირეიმ ჩემსას...
 ვიცი, დამლუპავს მისი ლალატი
 და შავი მიწა ჩემს ავალებს შესვამს.
 ხომ ხედავ ესტირი, მუხლს ვიდრეკ შენს წინ,
 მაგრამ ბრალს არ გდებ, გემუდარები:
 მომეცი შევება და დამიბრუნე
 ძველი გირეი ნათელ თვალებით!
 ნურაფერს მეტყვი; იგი — ჩემია;
 მაგრამ ბრმად ქმნილა მშვენებით შენით:
 ხვეწნით, განკიცხვით... ან რითაც გინდა,
 ჩამოიშორე, გთხოვ ცრემლის დენით.
 თუმც ყურანისთვის, ხანის ცოლთ შორის,
 მე დამავეიწყდა აწ ძველი სჯული,
 მაგრამ ის შენებრ სწამდა დედაჩემს...
 მაშ, შემომფიცე, მორწმუნე გულით,
 რომ დამიბრუნებ გირეის ისევ;
 თუ არა, მაშინ... გახსოვდეს ერთი:
 რომ ვარ შობილი კავკასიაში,
 მემორჩილება ხანჯალი მკვეთრი!..“
 უთხრა და გაჰქრა. მთავრის ასული
 ვერ ბედავს გაჰყვეს, სდგას ქვადქცეული
 არ გაეგება უმანკო ჭალწულს
 ვნებათა ღელვის ენა გრძნეული,
 მაგრამ მისი ხმა მკაფიოდ ესმის,
 გასაოცარი და საშინელი.
 რა ჭნას! ვით იხსნის სირცხვილ-საგან



ერკონულნი
ბიზლიმთხეა

ლოცვა და ცრემლი, ლაწვების მწველი?
მაგრამ მისი ხმა მკაფიოდ ესმის,
რა ელის? ნუთუ სიცოცხლის დღენი,
ჯერ განუყრელმა სიყრმის ალიონს,
ხასის საზიზღარ და სამარცხვინო
მწარე ყოფაში უნდა დალიოს?
ოჰ, ღმერთო! ნეტა სასტიკ გირეის
განმარტოვებულ მის ბნელ საკანში
დავიწყებოდა ის საუკუნოთ,
ან, ვით უბრალო რამე საგანი,
მისი სიცოცხლე, კმუნვით მოცული,
შუა გაეჭრა იმის მკრელ დანას,
მაშინ, მარია, რა სიხარულით
გაშორდებოდა ოხერ ქვეყანას!
მისი სიცოცხლის ტკბილი წამები
დიდიხანია გააჭრენ უკვალოდ!
მაშ, რას აკეთებს ამ უდაბნოში?
დროა, გაშორდეს ისიც, უწყალოს,
და იქ, ცის მყუდრო, ნათელ კალთაში,
სად შშობლიური ღიმთა კიმციმით
მოუწოდებენ, განისვენოს აწ
სულმა, დაღლილმა ტანჯვის სიმძიმით!

გავიდენ დღენი. მოჰკვდა მარია;
ობოლმა სულმა მით ხსნა იპოვნა
და დიდიხნიდან ნანატრი ზეცა,
ვით ანგელოსმა, გააცისკროვნა.
რამ მიიყვანა კუბოს კარამდე
და ასე უდროდ ხელი დარია?
მონობის დარღმა, თუ ავმა სენმა? —
ვინ იცის: არ გვეყვს ნაზი მარია!
დაცარიელდა ისევ სასახლე,
დასტოვა ხანმა აწ იგი კვალად
და თათრის ჯარით სხვათა საზღვრებში
მკაცრ თავდასხმებით გზა გაიკვალა.
ის ისევ ბრძოლის ქარიშხალშია,
დაღვრემილი და სისხლით მწყურვალე,
მაგრამ მის გულში სულ სხვა გრძნობა სდუღს,
უნუგეშო და ცეცხლზე მხურვალე:
ხშირად ხელჩართულ, საბედისწერო
ბრძოლაში, როცა ხმალს აწვეს შალა,

გაუშეშდება ჰაერში ხელი,
 თითქოს უეცრად ეუფლა დაღლა
 და გაშტერებით უცქერს მიდამოს,
 გაფითრებული და შებლ ნალარი,
 ბუტბუტებს ჩუმად რაღაცას მისთვის
 და თვალებიდან სდის ცრემლის ღვარი.

ვერ ხედავს იმას აწ ჰარამხანა,
 დავიწყებისგან შენაძრწოლები:
 იქ, საჭურისის ცივ მზრუნველობით,
 სკვნებიან ტანჯვით ხანის ცოლები.
 მათ შორის არ სჩანს ქართველი ქალი:
 ის ჰარამხანის მუნჯმა დარაჯმა
 ზღვის ბნელ უფსკრულში გადაისროლა,
 როს ღამემ ბინდთა ჯარი დარაჯმა;
 მაშინ, როს მოკვდა მთავრის ასული,
 მასაც შეეხო წამების ხელი:
 თუმც დიდი იყო დანაშაული,
 სასჯელი მაინც შიშვე და ძნელი!

გააპარტახა რა ომის ცეცხლით
 კავკასიის და რუსეთის მხარე,
 ხანი თავრიდში მაშინ დაბრუნდა
 და ჩვეულ ფიჭრებს მიეცა მწარეს.
 კვლავ შოიგონა საბრალო სატრფო,
 რომ მისი ხსოვნა უკავდპყოს ახლა,
 და შადრევანი მარმარილოსი
 აუგო იქვე, სასახლის ახლო.
 ამ ძეგლს ჯვარის წილ ამშვენებს მთვარე —
 წმინდა ნიშანი მაჰმადის სჯულის,
 (სიმბოლო თავხედ კადნიერების
 და ჰუმეცრების ნაყოფი სრული).
 წელთა მსახერელ ხელს ვერ წაუშლია
 მისი წარწერა, გაურკვეველი.
 ამ ზათა იქით, მარმარილოში
 წანწკარებს წყალი, ბროლის მფრკვეველი,
 რაღაც სევდიან, უწყვეტ ხმაურით
 და ობოლ ცრემლის ცვრებად მცვრეული.
 ამგვარად ომში დაღუპულ შვილზე
 ქეთონებს დედა, გულდამსხვრეული!
 ეს გადმოცემა იმ მხარის ასულთ
 ერთმანეთშორის დაურხვევით



და ამ მოწყენილ, ბნელ ძეგლისათვის
 ცრემლთ შადრევანი დაურქმევია
 როს ნადიმები მომწყინდა, მაშინ
 გამოვეთხოვე ჩრდილოეთს მხოლოდ
 და მივიწყებულ ბახჩისარაის
 მთვლემარ სასახლეს ვეწვიე ბოლოს.
 ვიდოდი იქ, სად ომების შემდეგ
 ლხინს ეძლეოდა გიჟი თათარი
 და იხრჩობოდა მცონარობაში —
 ეს ხალხთა შოლტი, ულმო აფთარი.
 ჯერ კიდევ დღემდე იქ ფუფუნებით
 სავსეა ტურფა ბალ-დარბაზები:
 ლევიან ვარდნი, სჩქერენ ნაკადნი,
 ეგრიხებიან ვაზებს ვაზები
 და ბრწყინავს ოქრო ლამაზ კედლებზე,
 სადაც გირეის ნორჩი ცოლები,
 კრიალოსნების ხელში თამაშით
 რკინის ფანჯრებთან ზენეშდენ ზმორებით.
 ვიხილე ხანთა სასაფლაოცა,
 რამაც შემაკრთო და გამაოცა:
 ეს მედიდური ძველი სვეტები,
 თეთრ მარმარილოს ჩალმებით თავზე,
 მეგონა, ბედის აღთქმას წინასწარ
 მატყობინებდენ, ვარამით სავსეს.
 სად არის ხანი? ან პარამხანა?
 ირგვლივ სდუმს ყველა და ყველაფერი,
 გამეფებულა, მოწყენილობა
 და ყოველივეს უცვლია ფერი!
 მაგრამ, უნდა ვთქვა, ამაზე ფიქრით
 არ იყო მაშინ სავსე ეს გული:
 ვარდის სუნთქვას და შადრევნის ხმაურს
 დაემორჩილა ჭკუა და სული
 და გამოუცნობ მღელვარებითა
 განვსჭვრიტე სივრცე და დავინახე
 დარბაზში მფრინავ აჩრდილთა შორის
 ვით გაიელვა ქალწულის სახემ!

ო, მეგობარო, ვისი აჩრდილი
 ეწვია მაშინ ჩემს თვალთა ხედვას?
 ვისი ხატება მელანდებოდა
 განუყრელად და ფიქრებში მხვევდა?



ქართული
წიგლისწამბის
კავშირისთვის

მარიას წმინდა, უმანკო სული,
თვით წამებაშიც ნაზი, ნარნარი,
თუ ეპყვით სავეს ზარემას სახე,
ცივ ჰარამხანის ბინდში დამკვნიარი?

ყოველქვამს მახსოვეს ციური სახე
და გამოხედვა უსაყვარლესი
და განუწყვეტლივ მათკენ მიფრინავს
ჩემი ოცნება, ფიჭვი, ალერსი.

გულს ვეუბნები: გიჟო! გეყოფა;
სულს რად იწამლავ დარდით ამოდ:
შენ უნუგეშო სიყვარულს უკვე
გადაუხადე ხარკი საკმაოდ.

მაშ, გამოფხიზლდი! როდემდე გინდა
უსუსურ ტყვეთა ამბორსა სძღვნიდე
და მოუსვენარ ქნარით ქვეყანას
გიჟურ ოცნების ნაყოფით ღლიდე?

მუზის და ზავის თაყვანმცემელი,
დავივიწყებ რა სიყვარულს, სახელს,
ჰოი, ნაპირნო, სალგირისანო,
ისევ ვნახავ თქვენ მზიარულ სახეს!
მოვალ ზღვის პირის მთათა ფერდობით,
სავეს დაფარულ ტყბილ მოგონებით
და ჩემს ხარბ თვალებს კვლავ გაახარებს
თავრიდის ზვირთნი მძლე მოგორებით.
გრძნეულო კუთხვე! მანდ ყველაფერი
სიცოცხლით ფეთქავს, ლამაზი არის:

ტყე, ველი, ბორცვი და ქარვისფერი
ყურძნის აკიდო, მშვენება ბარის;
ბროლის ჩანჩქერთა და ალვის ხეთა
მაგრილებელი ჩქერა-შრიალი —

ყველა ეს მგზავრის გრძნობას იტაცებს
და ავსებს მის გულს განცდის ტრფილით
როცა ის დილით, ზღვის ნაპირის გზით
ცხენს მიაგელვებს, მთის ფერდობს სერავს
და მის წინ, ირგვლივ აიუდალის,
მწვანე მიდამო ხმაურობს, ელავს.

თარგმ. ვარლამ რუსბაძის



3. სანიანოვი

ზაიკალის თქმულება

საფოსტო ეტლმა გამიჭროლა სწრაფად თვალისა,
 მაგრამ, მეეტლე რას მღეროდა, დავიმახსოვრებ:
 ჭრელი ხარია ლურჯ ნაპირზე ბაიკალისა
 და იმ ნაპირზე შეეჭყევა გაშლილ საძოვრებს.
 ჭრელი ხარია, ეძახიან იმას ცხენირემს,
 დასჭელებია მას ქვევიდან კორძით კისერი.
 შხუის ტაიგა. ოდნავ მოსჩანს შორს საპყრობილე,
 ღამე, ბილიკი, ტრამალები, სხვა არაფერი.
 უცებ მორევზე ტალღამ კაცი ამოათრია.
 გაფაციცებით აკვირდება ველებს მძინარეს:
 ო, რა რიგ ყრუა — ეგ ეღარუნი რკინის — და მკვეთრი,
 ბორკილთა კენესა, იმათივე ჰანგი მძვინვარე.
 კატორღელია, განა მკვლეელი თმენაგამჭრალი
 მათგან, ვინც ქვეყნად ნაღველს ათრევს და მუდამ დარდობს,
 რომ შეუძლიათ შეიყვარონ თავიდან ქალი
 და გაჯავრების წუთში ყელი გამოუღადრონ?
 თუ ჯარისკაცი, ვინც უარყო სამხედრო ჯერი?
 ან შეიძლება ტუნგუსია ყბებგანიერი?
 ან შფოთიანი მემბოხე შორი ოლქების?
 თუ ტერორისტი ვისაც ბომბა დაჰქონდა ხელით,
 თვალუბელამი, ისე ჭერა, მშვიდ გამოთქმებით,
 ვისაც სათვალე ჰქონდა დიდი და ჩოხა ძველი?
 გაშლილ სივრცეში მოჩუხჩუხე ზვირთივით გრგვინავს!
 თუ ეს მთავარი ანგელოსის მღერის საყვირი,
 ან აქ ნჯღრევისგან მრისხანებით ზღვამ დაიღრინა —
 და ნაპირებთან დულს, ჭაფდება ვით წყალი კირის?
 თითქო ქვეყანა დახურულა მჭიდროდ, ქარებით,
 და გარუჯულა დედამიწის სფერო ხანძარით,
 ღრუბლის შავ რტოებს ვაშლის მსგავსად ანაფარები
 ოდნავად ბრწყინავს დალდასმული ლოყები მთვარის.

დგას იგი ასე. ბობოქარ ზღვას თვალს არ აშორებს,
 დიდი ზვირთები იმსხვრევიან კვამლში ალესით
 და ჭრელი ხარი მაშინ ლტოლვით მას მიაშურებს
 ბანჯგვლიან ტუჩით მეგობრულად მიუაღერსებს!

მაგრამ ხმაური შორეული ტყეს მოედინა,
 საბედისწერო ნაპირისკენ ილტვიან მტრები
 და ცხენი ხრამთან მოლუნული შიშისგან ხვრინავს,
 აბობს ას ხმალით ღამის ბურუსს მათი მხლებლები
 და მოადგება ცხენირეში ნაპირს ღმუილით,
 ლტოვილი ზურგზე მოაჯდება გულითად მშველელს.
 მშვიდობით მარად, საპყრობილევ, იყავ წყეული, —
 მიდიან ცურვით, მათ თანდათან შთანთქავს სიბნელე.
 მიდიან ცურვით, ღამეც ცურავს, ხდება ჭალარა
 შორეულ კურსკში კი ბულბულმა დაიწყო სტეენა.
 რუსეთი უძლურ ხელთა ქნევით ფეხზე დამდგარა,
 ეძახის შეილებს — დაუბრუნდენ მშობელს სალხენად.
 შორია ეს გზა, მაგრამ სიკვდილს ხომ გადაურჩა,
 უადვილდება ყოფნა, თუმცა ირგვლივ მტერია,
 თავის ცხენირემს ბანჯგვლით მოსილს უკოცის ტუჩებს
 მხსნელ ხარს, რომლითაც ყველა მტერი მოიგერია.
 როცა ზამთარში ეგ კენდები გაიყინება
 და კატორღელნი ნერჩინსკისკენ მიდიან ნელა,
 მაშინ ჭაბუკებს — იღუმალად — ასეთ ლეგენდას
 უპასპორტონი მოუთხრობენ ღამით, როს ბნელა.
 იქნებ, ყოველი, ცხოვრებაში რაც მათ დაურჩათ:
 თოვლზე დაცვენილ ვარსკვლავების სიუხვე არის,
 მოულოდნელი დაღლილობა ზვირთთ, მოგზაურთა
 და ბაიკალის ლურჯ ნაპირზე ტანჭრელი ხარი.

თარგ. ანდ. სიმონაშვილი



კრიტიკა & სუბლიმისტიკა

ვლ. ასათიანი

აკაკი ბელბრისტი

სალიტერატურო კრიტიკაში არა ერთხელ ყოფილა ხაზგასმული ის მრავალმხრივობა და მრავალფეროვანება, რომელიც გასული საუკუნის მე-60 წლების მწერლებს ახასიათებდა. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ჩამოაყალიბა მწერლის ისეთი ტიპი, რომელიც შემოქმედების მრავალ სფეროს იყენებდა თავისი იდეების გასავრცელებლად. რუსეთის „რაზნოჩინული“ რევოლუციონური ინტელიგენციისათვის ამ მრავალფეროვანებას სასიცოცხლო პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მებრძოლი ინტელიგენციის მცირე რაზმს იდეოლოგიის ყველა სფეროში უნდა დაეპყრო თავისი პოზიცია და, რაც მთავარია, სასტიკი საცენზურო პირობების დროს ნაირგვარი ფორმა უნდა გამოეყენებია მოწინავე იდეების გამოსახატავად.

გასული საუკუნის ქართველი თავად-აზნაურული ინტელიგენციის მოწინავე თაობა — ე. წ. „თერგდალეულები“ არც სოციალური წარმოშობით და არც იდეური მიმართულებით არ იდგენ ახლოს გლეხური სოციალიზმის იდეოლოგებთან. ისინი იმდროინდელი ლიბერალური მწერლობის წარმომადგენლებთან უფრო ორგანიულად იყვნენ დაკავშირებული. მაგრამ მე-60 წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენა მათაც ძლიერად განიცადეს.

ეს ბუნებრივიცაა, რადგან მე-60 წლების მოწინავე იდეებს დიდი რეზონანსი ჰქონდა ლიბერალთა ბანაკშიც. ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის თვალსაჩინო იდეური მოწინააღმდეგე, მწერალი ტურგენევიც კი იძულებული იყო გადაესინჯა თავისი ესთეტიკური შეხედულებანი. ლიბერალი ბოტკინი ჩერნიშევსკის ესთეტიკური შეხედულებების შესახებ წერდა ტურგენევს: „მასში (ე. ი. ჩერნიშევსკის დისერტაციაში) ბევრია ჰკვიანური და საქმიანი. წინანდელი შეხედულება ხელოვნებაზე დაძველდა და სავსებით უეარგისია ჩვენ მოსაზრებათა შეცვლის გამო ბუნებასა და სინამდვილეზე“.

იმდენად რადიკალური ცვლილება ხდებოდა საზოგადოებაში, რომ ლიბერალები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ ამ მოძრაობის იდეური ბელადებისათვის და ზოგიერთი მათგანზე დაეხედნენ თავისებური ასპექტით გაეზიარებიათ. იდეური გავლენის მხრივ უფრო მეტად ყოველისა, ეს რეალიზმისა და უტილიტარიზმის პრინციპის გაზიარებას გულისხმობდა. ეს გარემოება ერთი წუთითაც არ შლის იმ კლასობრივ წინააღმდეგობას და სხვადასხვაობას, რომელიც რევოლუციონერ „რაზნოჩინელსა“ და „ლიბერალს“ შორის იყო.

აკაკი წერეთლის ესთეტიკური შეხედულებები მე-60 წლების მოღვაწეთა გავლენით ყალიბდება. მან, როგორც თერგდალეულმა, გაიზიარა რეალიზმისა და უტილიტარიზმის პრინციპი და მწერლობა გარემოების საყვირად გადააქცია. იდეურად აკაკი წერეთელი ლიბერალური თავადაზნაურობის პოზიციაზე იდგა; მისთვის, როგორც სხვა თერგდალეული-სათვის, საქართველოს აღდგენისა და განახლების პრობლემა ძირითად საჭირბოროტო საკითხად გადაიქცა. აკაკიმ მწერლობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიური საჭირ-ბოროტო საკითხების გამომხატველად მიიჩნია და თავისი პოეზია სამოქალაქო მოტივებით გაკვინთა. „ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დღიურ ავკარგიანობის საბრძოლველ-სასამსახუროდ. ჩემს დღეში არ მქონია ფიქრად, რომ მომავლისათვის ვწერ-მეთქი“, — წერდა აკაკი თავის ნაწერების შესახებ.

და მართლაც, აკაკიმ მწერლობა „დღიურ ავკარგიანობის“ საბრძოლო იარაღად გადააქცია. ის იმდენად დაჯერებული იყო ამ აზრის სისწორეში, რომ საზოგადოდ მწერლობის მიმართ ამ აქტუალობის პრინციპს აყენებდა. „მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ საერო მოვლენას, რაგინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს“ — კატეგორიულად მოითხოვდა აკაკი. ეს „ყოველდღიურობის“ პრინციპი გადაიქცა აკაკის შემოქმედებით მეთოდის განსაზღვრულ ხაზად. აქედან — აკაკის რეალიზმი და უტილიტარიზმი. ამავდროულად დაკავშირებული მისი თემატიკის აქტუალობა და მრავალფეროვანება. მაგრამ აკაკი არასოდეს არ დასულა ნატურალიზმამდის. რეალიზმი აკაკის არ გაუხდია საზოგადოებრივი ცხოვრების ფოტოგრაფიად. მას საკმაოდ შეგნებული ჰქონდა ფოტოგრაფიული მწერლობის უეარგისობა, როდესაც წერდა: „ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა... ნახა, არამედ უნდა აარჩიოს მასალები“. და მართლაც, აკაკი მისალის არჩევს და თავის მსოფლმხედველობის ასპექტში ატარებს.

აკაკის შემოქმედების ძირითად თემად ნაციონალური საკითხი გადაიქცა:

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა, —

არჩევულებრივი განცდით და გრძნობით გაიძახის პოეტი, თუკი ეს სამშობლო „ცხრა კლიტულში“ მჯდომარედ ეგულება და აკოცხლის უკანასკნელ წუთამდის ეძებს და უყვიის გმირებს მისი განსამსჭვლად. თავისი კლასისადმი გულგაცრუებული პოეტი ზოგჯერ წარუვლს პარდილებს აკოცხლებს, მუშათა მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით კი იმედს მომავალში ხედავს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ორჭოფულ მდგომარეობაში რჩება და თავის კლასთან კავშირს ვერ წყვეტს, თუმცა ობიექტიურად მისი შემოქმედება ძირითადად პროგრესიულ იერს ინარჩუნებს.

აკაკი, როგორც ბელეტრისტი, ჯერ ნაკლებად არის შესწავლილი. შესწავლის ცენტრად აკაკის პოეზია იყო მიჩნეული. ცხადია, აკაკის ბელეტრისტიკა მის პოეზიას ტოლობას ვერ გაუწევს, მაგრამ იგი შესწავლის ღირსია, თუნდაც როგორც დიდი პოეტის ნაამაგარი. თავისი მხატვრული ღირსებით და ოსტატობით აკაკის პროზის ნიმუშები ამჟღავნებს მწერლის უტყუარ ნიჭსა და შესაძლებლობას პროზის ღარგშიც. მხოლოდ ტიპიური ნაწარმოებები შეიძლება განესაზღვროთ, რადგან ისინიც საკმაო სურათს იძლევიან აკაკის ამ მიმართულებით დასახასიათებლად.

ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებოა მისი ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“. აღსანიშნავია, რომ პირველი ქართული ორიგინალური ისტორიული მოთხრობის ავტორი აკაკი წერეთელია. შემთხვევითი არაა, რომ პირველად აკაკიმ დაამუშავა მოთხრობის სახით ისტორიული თემა და ამით გაამრავალფეროვანა ქართული მწერლობა. თემატიურად „ბაში-აჩუკი“ აკაკისათვის სავესებით ბუნებრივია, რადგან ისტორიულ თემებს აკაკი ხშირად იყენებს შემოქმედების ობიექტად, მაგრამ აღსანიშნავია თვით ისტორიული თემის შერჩევისადმი მიდგომა. აკაკი ისტორიული თემის შერჩევის დროს თავისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ყოველდღიურობის პრინციპიდან და აქტუალობიდან გამომდინარე. ის არჩევს ისეთ ისტორიულ სიტუაციას, სადაც, მისი აზრით, მქლავდება მთელი ხალხის ბრძოლა შინაური თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ, და ამ მტრებისაგან საქართველოს განთავისუფლება. უთუოდ ამ მიზნით შეარჩია აკაკიმ „პატარა კახი“, „თამარ ცბიერი“, „ბაში-აჩუკი“ და სხვა.

„ბაში-აჩუკის“ აქტუალიზაცია აკაკის სჭირდება მეფის რუსეთის წინააღმდეგ. ამით ისტორიული რომანი ხდება უაღრესად აქტუალური და ყოველდღიურობის გამომხატველი. ამ მხრივ საყურადღებოა „ბაში-აჩუკის“ მეხუთე თავი, სადაც შაჰ აბაზის ვერაგულ და თვალთმაქტურ პოლიტიკაზეა ლაპარაკი. აკაკი ხაზს უსვამს, რომ ასეთმა პოლიტიკამ გახრწნა ხალხი. განსაკუთრებით მალალი წოდება და იგი მლიქვნელად და ქვეყნის მოღალატედ გადააქცია. „ზოგან, სადაც ცული ვერ გამოდგება, იქ პატარა ხერხს ვააქვს და გამოაქვს ხოლმე. იქ, სადაც ლომის ტოტი ვერას სთესავს, მელიის კუდმა უნდა მოიმკოს“... „ასე გადაწყვიტა ძლიერმა და კიდევ შესცვალა თავისი გმირული, პირდაპირი პოლიტიკა საჭეშქვეშო სავერაგოზე. ერთვად მოფენილი მზის სხივები თვალის ჩინს

ართმევენ კაცსა და სწორმხედველობას აკარგეინებენ. გულს სძლია, სულმა ზორს დაუთმო და ნელ-ნელა, „დღე-ხვედლებით“ ქვეყანამ შეტოპა საფრთხეში“.

ერკინეული

ასე აქვს აკაკის დახასიათებული ირანელების ბატონობის მხარეებზე წერილი. ვინც იცნობს აკაკის მიერვე რუსეთის მმართველობის პოლიტიკის დახასიათებას, ადვილად აღმოაჩენს მათ შორის არა მარტო მსგავსებას, არამედ სიტყვა-სიტყვით განმეორებას.

ეს მოვლენა აკაკის შემოქმედებაში შემთხვევითი როდია. ეს აკაკის შემოქმედებითი მეთოდის მაგისტრალური ხაზია. თემის აქტუალიზაცია სხვა შემთხვევაშიც გამოვლინდა. აკაკიმ ისტორიული ფონი აიღო: ქართლისა და კახეთის განთავისუფლების მეთაურებად მან გამოიყვანა ისტორიული პირები — შალვა, ბიძინა და ელიზბარი, მაგრამ ამ განთავისუფლების ფაქტურ ინიციატორებად გახადა შედარებით დაბალი ფენები. აქა აკაკის სამოქმედო პროგრამის შორეული პერსპექტივის დასახვა 900-იანი წლებისათვის, როდესაც პოეტს „დატყვევებული ნესტან-დარეჯნის“ მხსნელად მუშათა მოძრაობა ესახებოდა.

უფრო საყურადღებო მომენტია სამოქმედო ისტორიული ასპარეზის გაფართოება „ბაში-აჩუკში“. აკაკიმ ირანის ბატონობისაგან ქართლისა და კახეთის განთავისუფლების საქმეში იმერეთს აქტიური მონაწილეობა მიანიჭა და ამით პროვინციალური ზღუდეები გაარღვია. „ბაში-აჩუკში“ აკაკიმ გაერთიანებული საქართველოს იდეა წამოაყენა. ეს იდეა პრაქტიკული მნიშვნელობით აკაკის ბევრჯერ წამოუყენებია. ალევორიულად ეს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ წაკითხულ ლექციებშია გამოთქმული და უფრო ცხადად — მოთხრობა „პატარა ტარიელში“. ამ იდეის მიხედვით დაამუშავა მან „ბაში-აჩუკი“. „ბაში-აჩუკი“ ისტორიულ რომანად არ შეიძლება ჩაითვალოს. პოეტი ნაკლებ ანგარიშს უწყევს ისტორიულ ფაქტებს და რეალებს. იგი ვერ იჩენს დოკუმენტალური მასალის საკმაო ცოდნას, რაც ამ ნაწარმოების ნაკლად უნდა ჩაითვალოს. მწერალს თავის დროის ნაციონალური ტენდენციით აქვს მოთხრობა გაშლილი. ისტორიული ამბები მხოლოდ ფონია, თანადროული იდეების გამოსახატავად. „ბაში-აჩუკში“ საკმაოდ ძლიერია რომანტიული ელემენტები. ეს ტენდენცია მკრთალია, რადგან მკრთალადაა წარმოდგენილი თვით ბევრი სურათიც. ცხადია, მასში ვერ იგრძნობ იმ მსჯელობასა და აშკარა მიზნობრივობას, რომელიც ტოლსტოიმ „ომსა და ზავში“ მოგვცა და რომელმაც შესაფერი გამოხატულება პპოვა ზარბაზნების სროლაშიც კი.

„ბაში-აჩუკი“ საინტერესოა მხატვრული ხერხების მხრივაც. ჩვენს მწერლობაში საკმაოდ აღინიშნა ის ექსპრესიულობა და ლაკონურობა, რომელიც აკაკის სტილის დამახასიათებელია განსაკუთრებით პროზაში. „ბაში-აჩუკი“ ამ მხრივ შედევრია. სტილის არაჩვეულებრივი დახვეწილობა უმაღლეს მწვერვალამდის აღწევს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხალხურ ენის მძლავრი გავლენა. არა მარტო ლექსიკით, არამედ ფა-

ბულის გაშლის სისადავით და მოკვეთილობით. აკაკი ძალიან უბნლოვდება ხალხურ მეტყველებას. ბევრი დეტალი და პოეტური ხერხი აღებულია ხალხური მასალიდან. მაგრამ მწერალს შენარჩუნებული აქვს ზომიერების გრძნობა და ხალხურ მასალას შერჩევით ვადმარგვცემს.

განსაკუთრებით ეს თხრობასა და აღწერაში ჩანს. „ბაში-აჩუკი“ განუწყვეტელი ინტერესით იკითხება. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. მაგრამ გაუხსნელი კვანძი არსად არ რჩება. მოთხრობაში თითქმის ყველაფერი მომზადებულია, მაგრამ არ იცით, რისთვის. გაუცხოების თუ მოულოდნელობის ხერხი აკაკიმ არაჩვეულებრივად გამოიყენა „ბაში-აჩუკში“. „ბაში-აჩუკის“ პირველი თავი სეტყვისა და წვიმის მოსვლით და საშინელი სიზმრით მთავრდება. მეორე თავი ამ რკალს ხსნის. მე-2 თავშივე ახალი „სენსაცია“ იწყება, შემდეგ იხსნება, და ასე შემდეგ. აკაკი ჩქარობს, ეკრანივით თანმიმდევრად შლის სურათებს.

აკაკი დასრულებულ ტიპებს ვერ იძლევა, მაგრამ იძლევა მკვეთრ სახეებს ტიპის მოსახაზავად. ელვის სისწრაფით ამოქმედებს „ბაში-აჩუკსაც“. მისი მთავარი გმირი ზოგჯერ იმერეთში იელვებს, ზოგჯერ კახეთში, ზოგჯერ კიდევ ქართლში და თითქოს იკარგება თანმიმდევარი წარმოდგენა მასზე. მაგრამ „ბაში-აჩუკს“ მკვეთრი სახე მაინც ცხადად გვრჩება.

მიუხედავად დიდი ექსპრესიულობისა, „ბაში-აჩუკი“ სტემატიურ ნაწარმოებად არ ჩაითვლება. ამ სისწრაფესთან ერთად მწერალი ახერხებს არაჩვეულებრივი დეტალების მოხაზვას. აიღეთ თუნდაც მოურავის ნაღვლიანი სახე იმ წუთში, როდესაც ზაალ ერისთავმა ბაში-აჩუკს ცხენი აჩუქა. ნაწარმოებში გვხვდება ნაზი იუმორის ისეთი ნიუანსები, რომლებიც მოთხრობის ღირსებას ძალზე ზრდის.

ასეთია „ბაში-აჩუკის“ ღირსება.

ნაწარმოებს აქვს ნაკლიც, რაც ნაწილობრივ მწერლის დაუდევრობასა და მასალის ღრმად შეუსწავლელობას უნდა მიეწეროს.

დამახასიათებელია აკაკის პროზისათვის ის, რომ სიუჟეტი ან „ნამდვილი“ ან „ისტორიული“ უნდა იყოს. „ნამდვილში“ თვითონ უნდა იყოს მონაწილე. სხვაგვარად სურათი უფერული გამოდის. ეს არ გულისხმობს, რომ მწერალი მოკლებულია შემოქმედებით ალლოს. არა, მწერლის მიერ გაცდილი ან გაგონილი სიუჟეტური რკალია. შემდეგ აკაკის შეუძლია „თავისუფალი ამოქმედება“. მასალის დალაგება-შერჩევა, მთლიანად შეკვრა სიუჟეტური რკალისა აკაკის ხშირად უძნელდება. აიღეთ მისი „ქართული ფულის თავგადასავალი“. ისტორიული და გაცდილი მასალა დიდი მხატვრული ძლიერებით არის გადმოცემული, მაგრამ თანამიმდევრობის ძაფი არაა გაბმული. ცალკეული ეპიზოდები სავსებით დამთავრებულ შთაბეჭდილებას სტოვებენ, მაგრამ მთლიანობის სურათს საკმაოდ ვერ იძლევიან.

პატარა მოთხრობებში აკაკი გამოიყურება, როგორც ჟურნალისტი და მოხდენილი ფელეტონების აქტორი, და მართლაც, აკაკის ფელეტონი მხატვრულ პროზის მიჯნაზე დგას. ჟურნალისტი აკაკი იმდენად აცოც-

ხლებს და ასხივოსნებს საგაზეთო ამბავს, რომ ის არ ჩამოუვარდება მხატვრული სახეებით გამართულ ბელეტრისტულ ნაწარმოებს. ეს მხედველობაში მივიღებთ აკაკის შემოქმედების აქტუალიზაციას და ფელეტონობას, ძალზე გაგვიჭირდება საზღვრის გამოძებნა მხატვრულ ნაწარმსა და პატარა მოთხრობებს შორის. მისი ფელეტონების თემა კონკრეტულია. მაგრამ ეს კონკრეტული დიდი შემოქმედის ხელში იღებს ზოგად მნიშვნელობას, ივსება დეტალებით და აკაკის კალმისათვის დამახასიათებელი ნუანსებით. ფაქტი შემოქმედების ასპექტში იღებს სხვაგვარ იერს, ის ივსება და მხატვრულ სახეს ღებულობს. ფელეტონში ეს სახე უმეტესად იუმორით ან სატირითაა წარმოდგენილი, რაც უფრო მეტად აძლიერებს მის ლირსებას.

ქუთაისის გაზეთ „შრომის“ ერთ-ერთ ფელეტონში აკაკი წერს, რომ „მწიროს“ მთარგმნელის გავლენით, რომელიც ლექსებს „ხელის შლით“ კითხულობდა, გამრავლდა „ხელის შალიები“. „ხელების შლა გადაიღეს და უბრალო „გამარჯობას“ აღარ ამბობენ ხელის გაუშლელად და ტანში დაუგრებლად, და გამრავლდნ „ხელის“ შალიები“.

ეს დეტალი სცილდება ფელეტონის სახეს და მხატვრულ პროზას უახლოვდება. ან უფრო თვალსაჩინოდ: აკაკი ქალების მოსაჩრღე ერთ ქალბატონს უპასუხებს: „სულ რომ ჩამოვთვალოთ თქვენი ცოდვები, მაშინ მელნათ შავი ზღვა მოგვინდება, საწერლათ იალბუზი და კალმათ თქვენი ენა. ნურას უყაყრავად მართლისათვის — პირადათ თქვენი პატივისცემის მოსურნე აკაკი“. აქ მარტო გესლიანი ენა კი არ არის, არამედ მხატვრული პროზის დეტალიც.

აიღეთ ახლა აკაკის „მტირალი დედა“, მწერლის განმარტებით, „ნამდვილი ამბავი“. მწერალი აქ აღზრდის მნიშვნელობაზე მიგვითითებს. იდეურად ის აკაკის მსოფლმხედველობისათვის ჩვეულებრივი და დამახასიათებელი თემაა. აკაკი აღნიშნავს, რომ ბუნებით ნიჭიერსა და მკვირცხლი გონების პატრონს ცუდი აღზრდა ბოროტების გზაზე აყენებსო. მწერალს ნამდვილი ამბავი აქვს აღებული და მისი მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელი ინტერპრეტაციით წარმოდგენილი. მაგრამ ამბავი გადმოცემულია სწორედ ფელეტონური იერით.

„მტირალი დედა“, როგორც აკაკის პროზის ნიმუში, საფელეტონო განხრითაა წარმოდგენილი და მხატვრულა ხერხების მხრივ არაფრით არ განსხვავდება მისი ზოგიერთი ფელეტონისაგან.

აკაკი წერეთელი ყოველთვის ინარჩუნებს მხატვრულ ზომიერებას. თემის აქტუალიზაცია და ზოგ შემთხვევაში ფელეტონური თანრი არ ჩრდილავს ამ ზომიერებას. აკაკიმ იცის წერტილის დროულად დასმა. ის მიჰყვება მოვლენის განვითარებას მხოლოდ სიუჟეტური რკალის გახსნამდე. აკაკის შემოქმედებითი ალლო ამ მხრივ უთუოდ საყურადღებოა. მან სამართლიანად უსაყვედურა დ. კლდიაშვილს „მრევლში“ წერტილის დროზე დაუსმელობა.

სხვაგვარი ხასიათისაა აკაკის „პატარა ტარიელი“, რომელიც აკაკიმ საყმაწვილო მოთხრობა უწოდა. მოთხრობას მწერალი კეთილგონიერად აქტიურ-ალმშრდებლობით მიზანს უსახავდა. მასწავლებლებს აღიარებდა დიდი ცალქალამანიძისათვის საკმარისი შეიქნა, რომ სწავლაზე გულაცრუებული და ახირებული იდეებით გატაცებული მოწაფე ბეჯითი, მუყაითი და ხანიმუშო ახალგაზრდა გამხდარიყო.

„ამ ერთმა წაშმა შესცვალა სამარადისოდ დიტოს ბედი. სასიკვდილოდ თავგადადებული ბავშვი გამობრუნდა, გამოცოცხლდა და გაუსვა სწავლას ხელი. ბევრ ხანს აღარ გაუვლია, რომ დაკარგული პირველობა დაიბრუნა. უკვირდა ყველას და მიზეზი ვერ გაეგოთ; იცოდა მხოლოდ ორმა ამ მიზეზის საიდუმლო: დიტომ და მისმა საყვარელმა მოძღვარმა. დიტომ ოქროს მედლით გაათავა გიმნაზია და გაიგზავნა უმაღლეს საწავლებელში სახელმწიფო ხარჯით“.

თემატიურად და იდეურად ეს მოთხრობა „მტირალ დედას“ უახლოვდება, მაგრამ მოთხრობის გაშლისა და აგების ხერხი სხვა გვარია. ის აშკარა ტენდენციურობის მატარებელია, დამარიგებლობითი ტონით ვითარდება და მოკლებულია იმ ელვარებას, რომელიც აკაკის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია. აკაკი არ გამოდის კონკრეტული ან განცდილი მასალიდან. აკაკის ენაც შებოჭვილია — მოუხედავად მოთხრობის სიმოკლისა, ის გაჭიანურებული მოჩანს. აქ ნაკლები ადგილი აქვს იმ ექსპრესიულობას, რომელიც დამახასიათებელია აკაკის სტილისათვის და რომელიც მის შემოქმედებას დიდ ღირსებას აძლევს. მხოლოდ ზოგჯერ და ისიც მკრთალად გაიღვებს აკაკის ჩვეულებრივი მანერები. აკაკისათვის ამბავი არაა ორგანიული და მწერალიც თითქოს ზერეღედ ეკიდება მას.

ანალოგიურია მისი აღრინდელი მოთხრობა „ეშმაკები“ (1865 — 68). მწერლის თქმით ეს „ნამდვილი“ ამბავია, რაც ეჭვს იწვევს, მაგრამ ნამდვილიც რომ იყოს, მისთვის ის ორგანიული არ არის. ის დაცილებულია აკაკის მიერ ძლიერად განცდილ საზოგადოებრივ ყოველდღიურობას. საფიქრელია, რომ იგი ტურგენევის ერთ-ერთი მოთხრობის გავლენით არის დაწერილი, ყოველ შემთხვევაში მოთხრობა უფერული ვამოვიდა. მას მხოლოდ ლიღია ივანოვნასთან შესაუბრების ზოგიერთი მომენტი უნარჩუნებს ინტერესს. იქ, სადაც აკაკი თვითონ ჩანს, თავისი მახვილი ენით, სურათი უფრო ცოცხალი გამოდის. აკაკისათვის ეს თემა უცხოა. მწერალი არ არის ორგანიულად ამ ამბავთან დაკავშირებული და მოთხრობა დაბალი ღირსების გამოვიდა.

აკაკის მხატვრული პროზის მწვერვალად მისი „თავგადასავალი“ უნდა ჩაითვალოს. ვასაგებია, რომ აკაკი ამ ნაწარმოებს თავის თხზულებათა შორის ყველაზე მაღლა აყენებდა. მემუარულ ლიტერატურას ბევრი ოსტატი ჰყავს, მაგრამ აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ არა მარტო ავტობიოგრაფიული დოკუმენტია, არამედ მხატვრული პროზის უდიდესი ნიმუშიც. ინტერესს „ჩემი თავგადასავალი“ — სადმი აძლიერებს არა მარტო აკაკის

პიროვნება და მისი შეხედულებანი, არამედ მხატვრული ოსტატობის იშვიათი ხერხი.

აკაკის იდეოლოგიური განსაზღვრულობა, მისი ნაწარმოებების კრიმინალიტიკა და ფეოდალური საქართველოს იდეალიზაციის სურათები აქაც იჩენს თავს. აკაკის მეტად „შელამაზებულ“ ფორმებში აქვს წარმოდგენილი ბატონისა და ყმის ურთიერთობა. იგი უარყოფს ბატონყმობის ინსტიტუტის სისასტიკეს და ყმების აუტანელ მდგომარეობას, მაგრამ „თავგადასავალის“ საერთო მხატვრულ ფონზე ეს ტენდენცია მხოლოდ შავ ლაქებად მოჩანს.

ყველაზე ცოცხალი და სრული პორტრეტები აკაკიმ „ჩემს თავგადასავალში“ მოგვცა. რაც პოეტს თვითონ განუცდია, რაც პოეტს მართლაც „უნახავს და უგრძენია“, აკაკის შემოქმედებაში არაჩვეულებრივი სიძლიერით და უშუალოდ არის წარმოდგენილი. ამიტომაც „ჩემი თავგადასავალი“ განსაკუთრებით ძლიერი გამოუვიდა აკაკის. ის დასცილდა მწერლის პირად ცხოვრებას და საერთო მხატვრული ღირსების ნაწარმოები გახდა.

მთელ მის პროზაულ ნაწარმოებთა შორის, შეიძლება ითქვას, ყველაზე ცოცხალ და დასრულებულ ტიპად მოცემულია აკაკის მამა — როსტომ წერეთელი. დეტალების მოხერხებულად შერჩევით აკაკი იძლევა თავადის გამორკვეულ ფიგურას. ავიღოთ თუნდაც ხმამაღლა კითხვა როსტომის მიერ და საბარებაში გამოხატულ პირებთან გამოსაუბრება და თავისი გრძნობების გამოხატვა. ეს ისეთი მოხერხებული დეტალია, რომ როსტომის მთელ სახეს იძლევა. იშვიათადაა წარმოდგენილი გიმნაზიის ცხოვრების დეტალები, სწავლა-აღზრდის სისტემა და სხვა. დახასიათება იშლება კერძო და რეალურ ფაქტებზე, მსჯელობა უკანა პლანზე გადადის და ნაწარმოები იშვიათ მხატვრულ ღირებულებას ღებულობს. საყურადღებოა, რომ აკაკის „თავის თავგადასავალში“ შეაქვს არა მარტო წარსულის „ყოველდღიურობის“ მასალა, არამედ თავის თანადროულიც, რითაც ახერხებს ავტოგრაფიის აქტუალიზაციას.

უთუოდ ძლიერი ნაწარმოებია აკაკის „სიკვდილიც“, მაგრამ მხატვრული სიძლიერით ის ვერ შეედრება „თავგადასავალს“, ზოგიერთი დეტალი და სურათი საცხებით გამართულია. მოულოდნელად გაიღვებებს მოხდენილი იუმორი, შეიძლება ნალექ-ნარევი, მაგრამ გულწრფელი, რაც ქმნის მკვეთრ ცოცხალ სურათებს.

აკაკის ბელეტრისტული ლიტერატურული მემკვიდრეობა უთუოდ ყურადღების და შესწავლის ღირსია. იგი ჯეროვანად არ არის დაფასებული. სიმპტომატიურია, რომ პოეზიაში აკაკის ბევრი გამგრძელებელი და ეპიგონები ჰყავდა, პროზაში კი არც ერთი. აკაკის მიბაძვით დაწერილი ბელეტრისტიკა დღეს ვეღარ დააკმაყოფილებს საბჭოთა მწერლობის მოთხოვნებს, მაგრამ საბჭოთა მწერალს ამ მხრივ ბევრი რამ შეუძლია ისწავლოს აკაკისაგან.

ალი ახსენიშვილი

„ეკგენი ონეგინის“ ქართული თარგმანისათვის *)

პუშკინის ჩვენში ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში თარგმნიდნენ. კულტურულ ურთიერთობის მაშინდელ პირობებში ეს სავესებით უცნობი დარჩა მისთვის. ყოველ შემთხვევაში არავითარი ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება. ალექსანდრე ჰავჭავაძეს და გიორგი ერისთავს უთარგმნიათ პუშკინის ლირიკის ნაწევრები, მაგრამ ამ თარგმანების ფორმალურ-პოეტური ღირსებები შეუდარებლად დაბლა დგანან მათ საკუთარ პოეზიასთან. როგორც ჩანს, სახელოვანი მთარგმნელები ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს ორიგინალს, რომელიც მათთვის მხოლოდ ერთგვარ საბაბს წამოადგენდა ე. წ. „თავისუფალი“ თარგმანისათვის, სადაც დიდი გასაქანი ეძლევა ბრმა შთაგონებას და თავისუფალ ვარიაციებს ორიგინალში მოცემულ თემაზე. ისინი ნაკლებად ზრუნავდნენ ორიგინალის ზუსტ გადმოცემაზე, მისი სახეების შესატყვის ანარეკლის გამოძებნაზე, ლექსის რიტმის, მისი წყობის სწორ დაქვრავაზე და უცხო მეტყველების საერთო ნაკადის მიმართვაზე.

თარგმნისადმი ასეთ თავისუფალ და „პოეტურად“ დაუდევარ დამოკიდებულებაში დიდი გადატეხა შეაქვს ილია ჰავჭავაძეს. თუმცა თითონ ილია პუშკინის „წინასწარმეტყველის“ თარგმანში ვერ აღწევს მაქსიმალურ ეფექტს, მაგრამ უსათუოდ პირველად იძლევა თარგმნილი ლექსის სიტყვარულ შემადგენლობის და სახეების შემცველ ფრაზის წყობის ზუსტ გადმოცემას. ილიას თარგმანში სწორადაა დაქვრილი ე. წ. სამღეთო წერილის სტილის ის იერი, რომელიც შეადგენს პუშკინის ამ ლექსის მთავარ ფორმალურ ხერხს. საერთოდ ილიამ დიდი ალღო და მხატვრული გამოცემა გამოიჩინა რუსულიდან ნათარგმნ პოეზიის შეფასებაში და თვით ნათარგმნ ობიექტების შერჩევაში, როდესაც ჯერ კიდევ 1860 წ. დაწერილ წერილში („ორიოდე სიტყვა „შეშლილი“-ს თარგმანზედა“) სასტიკი, გამანადგურებელი კრიტიკით გაილაშქრა ერთერთ უიღბლო მთარგმნე-

*) ა. პუშკინი. „ეკგენი ონეგინი“, თარგმანი გრ. ცეცხლაძის, სახელგამო. 1935 წ.

ლის წინააღმდეგ, რომელსაც ხელი მიეყო სავსებით მივიწყებულ პოეტ კაზლოვის თარგმნისათვის.

ილია უსაყვედურებს მთარგმნელს ქართველი საზოგადოებისათვის უცნობ რუს კლასიკოსების უგულვებელყოფას. „თუ კაცს რუსულიდან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიან კაზლოვისა“ — „ო — გულმშურვალედ შენიშნავს ილია. მაგრამ, როდესაც კაზლოვის ქართული თარგმანის ყოველმხრივად შესანიშნავი ანალიზის შემდეგ რწმუნდება მის სრულ უეარგისობაში, დამწვიდებული ამბობს: „ძალიან კარგად მოქცეულა თავადი ერისთავი, რომ პუშკინის და ლერმონტოვისათვის ხელი არ უხლია, თორემ ამათი ქმნილებაც ისე წაეხდინა, როგორც წაუხდენია კაზლოვის „შეშლილი“, სწორედ ღვთის გამობა იქნებოდა“ — ო.

უნდა ითქვას, რომ დილექტანტური (და ბევრჯერ უარესი!) თარგმნის ტრადიცია — განსაკუთრებით და საგანგებოდ ეს ეხება პოეზიის დარგს — დიდი ხნით იყო დამკვიდრებული ქართულ მწერლობაში და მხოლოდ საბჭოთა პირობებში უკანასკნელ წლებში მას ეღება ბოლო.

მთარგმნელი სრულფასეული, სწორუფლებიანი შემომქმედია. ნამდვილი მეცნიერულ-მხატვრული თარგმნა დიდ კვალიფიკაციას, მხატვრულ გემოვნებას, ერუდიციას, პოეტურ ნიჭს და გამოცდილებას მოითხოვს. რუსთაველის თქმა „შიაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ — ო განურჩევლად ეხება მთარგმნელსაც.

ამჟამად ჩვენ გვიანტერესებს გრიგოლ ცეცხლაძის მიერ შესრულებული პუშკინის მთავარი ნაწარმოების — „ევეგნი ონეგინის“ თარგმანი.

უდავოთაა ცნობილი, რომ მთელს ახალ რუსულ მწერლობაში პუშკინი ყველაზე სრულყოფილი და დიდი პოეტია. სოციალისტური რევოლუციის გენია — ლენინი დიდათ აფასებდა პუშკინის რეალიზმს, მის მომხიბლავ პოეტურ ფორმას და ლიტერატურული მოვლენების შეფასების დროს ხშირად საზომად ხმარობდა მისი ოსტატობის სიმაღლეს.

და მართლაც „ევეგნი ონეგინ“-ში საზღვრითი გამოვლინებით და ძალითაა მოცემული ლირიკული, ეპიკური და დრამატიული მხარეები პუშკინის გენიისა. რუსეთის მწერლობაში ერთად ერთია ლექსად დაწერილი ამოდენა მოცულობის რომანი. მასში სიმფონიურადაა შეერთებული ძირითადი და დამატებითი ნოველა (ძირითადი ნოველა — ევეგნი — ტატიანა, დამატებითი — ლენსკი — ოლგა), პეიზაჟი, ყოფაცხოვრების აწერა, ლირიკული გადახვევები, ევროპულ და რუსულ ლიტერატურის აზროვნების მთავარ მომენტების მძაფრი და გენიალურად სადა და გამსჭვირვალე ინტელექტუალური შეფასებები და მსჯავრისდება. საკმაოდაა მოხაზული მთავარ მომქმედ პირთა ფსიქოლოგიური დახასიათება, მათი ბიოგრაფიული მრუდე იმდენადაა გავლენბული, რომ ნათლად ჩანს წინასწარი და შემდგომი მისი განვითარება. მდიდრადაა მოცემული რუსეთის ოფლის და სატახტო ქალაქების თავადაზნაურული საზოგადოების ტიპები.

გალერეა. თავისი რეალიზმის ისტორიულ-კლასობრივი განსაზღვრულობის გამო პუშკინი, მართალია, ვერ იძლევა ბატონყმურ-ფეოდალურ საზოგადოების ექსპლოატაციის მთავარ ობიექტის — უმარტოების წინააღმდეგ და ერთგვარ იდილით მოსაგვს თავისი დროის მთავარ სოციალურ ბოროტებას — ბატონყმობას, მაგრამ რომანის მთავარი გმირის უსიამოვნობით, უკმაყოფილობით და ბუდიდან ამოვარდნილობით ნათლად გვიჩვენებს იმ კრიზისის მოახლოვებას, რომელშიაც შედიოდა ნიკოლოზ პირველის სამხედრო-ფეოდალური იმპერია. პუშკინის ერთი მკვლევარის სიტყვით რომ ვთქვათ, „ვეგენი ონეგინი“ წარმოადგენს რუსეთის თავადაზნაურული ცხოვრების ენციკლოპედიას.

თარგმნის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მთავარია სათარგმნი ნაწარმოების ფორმის და შინაარსის ზედმიწევნითი შემეცნება, შეთვისება და მისი საუკეთესო ასლის მოცემა ქართულად.

ცნობილია, რომ პოეტური სახეების თარგმანში გადმოსაცემად არსებობს სამი საშუალება — ტრანსკრიპცია, ტრანსპონირება და შეცვლა. **ე. დუნაევსკი** ასეთ განმარტებას აძლევს მათ: ტრანსკრიპცია ეწოდება პოეტური სახის შემცველ ფრაზის სიტყვარული შემადგენლობის და მისი (ფრაზის) წყობის ზუსტ თარგმანს. ტრანსპონირება მდგომარეობს ფრაზის ისეთ გადამუშავებაში, როდესაც გადამუშავებულ სახის საყრდენების შენახვით შენარჩუნებულია ორიგინალის მეტად დამახასიათებელი და არსებითი სიტყვარული ელემენტები. შეცვლა კი არის სხვა ისეთი სახის შერჩევა, რომელიც იქნება რა თანხმომავანი ორიგინალის სახესთან, ითამაშებს მისი ექვივალენტის როლს.

თავის თარგმანში გ. ცეცხლაძე უმთავრესად და თითქმის მთლიანად ეყრდნობა და მუშაობს ტრანსკრიპციის წესით. იგი ცდილობს ოდნავადაც არ გასცილდეს ტექსტის სიტყვარული შემადგენლობის ზუსტ გადმოტანას ქართულად და, რადგან ამ წესის გამოყენება განსაზღვრულია ქართული ენის, ცნებების და სხვ. ფარგლებით, მისი თარგმანი ხშირად რჩება ორიგინალის ყველა სიტყვის მექანიკურ გადმოტანად, მაგრამ ამავე დროს ორიგინალთან მეტისმეტი სიახლოვე საწინააღმდეგო სამსახურს უწევს ქართულ ტექსტს, რომელიც, გარდა იმისა, რომ ზოგჯერ გაუგებარი და ჩილად ასათვისებელია ქართულად, ჰკარგავს პოეტურ ღირსებას და მით უმეტეს თითქმის განუგებებელ ხიბლს პუშკინის ლექსისას.

აი სახელდახელოდ ამოღებული ტიპიური ნიმუშები გ. ცეცხლაძის თარგმანის ტრანსკრიპციისა:

ორ წლის ისინი იღვანენ მღუმარედ
შემდეგ მივიდა ახლოს და უთხრა
ტანიახ ვეგენიმ: „თქვენ მე მომწერეთ,
ნუღარ უარყოფთ. მე წავიკითხე
გამომჟღავნება სულის მომნდობის
გამოცხადება უმანკო ტრფობის.

მე გულწრფელობამ მომიხიბლა მისმა
და ააღელვა ჩემში მან ისევ
გრძნობა დიდბნით მიძინებული,
მაგრამ არა მსურს მე ქება თქვენი,
სამაგიერო მსურს გიძღვნათ ძღვენი, —
გადაგაშალოთ უბრალო გული.
„შა, აღხარებას ვიამბობთ ჩემსა
და თავსაც ვანდობ თქვენს განაჩენსა.



(თავი მეოთხე, სტროფი 12).

დამეთანხმებით, რომ მოყვანილ სტროფში გამჭრალია პუშკინისებური სურნელება სტროფისა და, ამას გარდა, ხაზგასმული სტრიქონები ვერ არის „ქართულად ნათარგმანები“ ე. ი. ქართული ენის ბუნების მიხედვით ათვისებული და დალაგებული.

თუ პუშკინის გენია თითქმის ათ წელიწადს ქმნიდა ამ შესანიშნავ ნაწარმოებს, მისი გადათარგმნის, ე. ი. გარდაქმნის საქმე, როგორც მეტად რთული ტექნოლოგიურ-იდუური პროცესი, ალბათ უფრო მეტ ღონისძიებას და ოსტატობის დაძაბვას მოითხოვს, ვიდრე ეს გამოუჩენია ჩვენს მთარგმნელს, რომელსაც უეჭველად დიდი შრომა გამოუღია რუსეთის მწერლობის უდიდესი განძის პირველი ტექსტის მოცემისათვის.

როგორც ჩანს, მთარგმნელს უფრო ხელსაყრელ და უხიფათო გზად მიაჩნია ტრანსკრიპცია, მაგრამ თუ ამ წესით მუშაობის დროს მთარგმნელმა არ დაიცვა უზუსტესი შესატყვისების გამოძენის მეთოდი და ბრმად დაემორჩილა რუსული ფრაზის წყობას და ცალკეულ სიტყვების და ცნებების ისეთ გადმოტანას, როგორცაა:

გამომვლავნება სულის მომნდობის
გამოცხადება უმანკო ტრფობის —

ტრანსკრიპცია ც მურს იძიებს და უმცირესი წინააღმდეგობის გზად იქცევა. უნდა ითქვას, რომ მთარგმნელი საერთოდ უფროთხის ტრანსპონირებას და სულ არ მიძართავს შეცვლის საშუალებას, როგორც მეტად რთულ ხერხებზე თარგმნისას.

იგივე ე. დუნაევსკი ამბობს, რომ თარგმნის სიადეკარგის შემოწმების საუკეთესო წესია — წაიკითხო ესა თუ ის ნაწყვეტი და თუ მის ასათვისებლად გებადებათ სურვილი ორიგინალის გასინჯვისათვის, ეს ნიშნავს, რომ თარგმანი დეფექტურია ამა თუ იმ ზომითო. ჩვენ მივეყვით ამ რჩევას და უნდა ვთქვათ, რომ გ. ცეცხლაძის თარგმანში საკმაოდ მოიპოვება ისეთი ადგილები, რომელიც გავიწყებს ორიგინალისათვის მიმართვის სურვილს. აქ ზოგჯერ მიღწეულია სახარბიელო თანხმობიანება პუშკინთან. ასეთია, მაგ., პირველი თავის ექვსი საბოლოო სტროფი, მეშვიდე და მეჩვი თავის დაწყების სტროფები, მეჩვი თავის ბოლო სტროფები და სხვა

რომანში გაბნეული ცალკეული სტროფები, სტროფის ნაწილები და სტრიქონებიც კი.

ქართულში

მაგრამ უდავო და თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად, ფორმალურად ამომგებულად საგრძნობი ნაკლითაც, რომელიც უმთავრესად გამოიხატება: ლექსთწყობის ტექნიკის უგულვებელყოფა-გალარიბებაში, სახე-იდეების (სახეებით მოცემულ იდეების) არა სწორ გადმოცემაში, სახეების თუ ცნებების სოციალურ შინაარსის დამახინჯებაში და სხვ. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ყველა კატეგორიის შეცდომების საილუსტრაციო აღნიშვნა და ერთგვარი განმარტება, რომ თვით ავტორმა, თუ იგი კვლავ განაგრძობს თარგმნის დამუშავებას, ჩვენი შენიშვნები ოდნავ მაინც გამოიყენოს.

იქ, სადაც მთარგმნელი ზოგჯერ თითქმის უსწორდება პუშკინის ვირტუოზულ ლექსს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ასეთ „ჩაეარდნებს“:

და წინდაწინვე იწყო მთქნარება
იძულებულმა ფულის გულისთვის
რომ განეტადა ოხვრა, მოწყენა
(რომანიც ამით დავიწყეთ ჩვენა)
(თ. I, სტროფი II)

და დაიშალენ ერთი ამბითა
თითქოს დიდი რამ საქმე კნეს მითა.
(იქვე, სტრ. III)

თანვე დოქითაც წყალი მოცვისა
მაგიდაზე დგას სტუმრებისთვისა.
(III, III)

თუმც გადამიკრავს თვალი მეც წინად
აკადემიურ სიტყვარისთვისა.
(I, 26)

ლექსის ტექნიკისადმი უყურადღებობა აქ ცდება საზღვარს და სტრიქონები თითქო პაროდიაში გადადიან.

რომანის მიძღვნაში პლეტნიოვისადმი ნათქვამია:

წარმომედგინა მინდოდა შენთვის
მე შენი ღირსი რამ საწინდარი,
ღირსი წრფელ სულის მშვენიერისა,
აღვზილის წმინდა, მაღალ ოცნებით,
ტრფივალთ ნათელ პოეზიისა...

გამოდის თითქო ორი უკანასკნელი სტრიქონიც ეკუთვნის პუშკინის მეგობრის მშვენიერი სულის დახასიათებას. ნამდვილად კი აქ ასეთი აზრია: პოეტი ეუბნება მეგობარს — ამ ნაწარმოებით მინდოდა მომემღვნა შენთვის საწინდარი, ღირსი როგორც შენი მშვენიერი სულის, ისე ჩემი

წმინდა და აღსრულებული ოცნების (ე. ი. უკვე დამთავრებული) ჯემი სა-
ნუგვარი შრომის), (ღირსი) ნათელი და ცხოველი პოეზიისა და სხვ.

იმის გარდა, რომ ქვემოთ სტრიქონები „ლექსიტი“ „შეწერილი“ ვერ
არიან, მათში დამახინჯებულია ისტორიული შინაარსი, რომელსაც მთარ-
გმნელი ასე გამოათქმევინებს პუშკინს:

გადასაცვლელად ხე-ტყეში, ჭონში,
ლონდონს წვრილმანი რაც მოაქვს ჩვენში,
გვემით რომ ატანს ბალტიის ტალღებს. (1, 23).

პუშკინს არა აქვს ნათქვამი — ლონდონს წვრილმანი რამ მოაქვს
ჩვენშიო — და ამას პოეტი ვერც იტყოდა, რადგან მან კარგად იცოდა,
რომ ლონდონს (ინგლისს) დიდძალი ნედლეული (უმეტესად ხორბალი)
გაჰქონდა რუსეთიდან და მის მაგიერად არა ნაკლები ქსოვილები და სხვ.
სამრეწველო საქონელი შემოჰქონდა. მან კარგად იცოდა, რომ რუსეთ-
თან ვაჭრობის საკითხის გამო ჭიშვი პქონდათ საფრანგეთს და ინგლისს,
რომ ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტის ნიადაგზე დაზარა-
ლებულმა თავადაზნაურობამ მოჰკლა მეფე პავლე პირველი და სხვ. ასე
რომ სიტყვები:

Все чем для прихоти обильной
Торгует Лондон шепетильный
И по балтийским волнам
За лес и сало возит нам --

სიტყვა-სიტყვით კონკრეტულ-ისტორიული შინაარსითაა სავსე და მათი
„წვრილმანებად“ დაყვანა დაუშვებელია.

პუშკინი ამბობს რუსოზე:

Зашитник вольности и прав
В сем случае совсем неправ.

აქ მოცემულია რუსოს მოკლე და მოკვეთილი დახასიათება, სავსებით
ცხადია პუშკინის სიმპატია რუსოსადმი. მთარგმნელი კი ასე გადმოგვცემს
ამ ადგილს:

მას თუმცა უყვარს ჭეჭმარიტება
ამ შემთხვევაში სასტიკად ცდება. (იქვე, 24)

ცნებებში „вольность и права“ პუშკინი გულისხმობს ფრანგ ენ-
ციკლოპედისტთა განმათავისუფლებელი იდეების მთელ კომპლექტს, რა-
საც სრულებითაც ვერ გადმოგვცემს მთარგმანის მკრთალი: „უყვარს ჭეჭ-
მარიტება“. ესაა სახე-იდეის არა სწორი გადმოცემის ტიპიური შემთხვევა.

სიტყვა „чужак“-ს პუშკინი ხმარობს ონეგინის მიმართ, როგორც სო-
ციალურად და იდეურად თავისი წრიდან ამოვარდნილი, ე. წ. „ზედმეტი
ადამიანის“ (лишний человек) აღმნიშვნელ მცნებას. მთარგმნელი კი

„чудак“-ს ასაღებს ხან „ობროდათ“ (გაუგებარი და ალბათ ქვეთური სიტყვაა — იხ. 11, სტროფი 4), ხან „ქარაოცად?!“ (6, 24), ხან „პამპულად“ (იხ. „корчит чудака“ ნათარგმნია — „პამპულა“ — „პამპულა“-ს ნებანება. 8, სტრ. 8) და ხან „უცნაურ თვალთმაქცად“ და „შეშენვარე დამთხვეულად“ — „прослыть притворным чудаком или печальным сумасбродом“ — 8, 12).

ასეთი არევა სოციალური ტიპის ერთადერთ დამდადველ ცნებისა, რომლითაც ონეგინი შესულია მე-19 საუკუნის ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ ახალგაზრდა ადამიანების გალერეაში, რა თქმა უნდა, დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

„Русская Терпсихора“ (I, 19), „русская семья“ (III, 1), „для сердца русского“ (6, 36) — ყველგან „რუსულის“ მაგივრად თარგმნილია „რუს“-ად.

Узрю-ль вновь русской Терпсихоры
Душой исполненный полет?

ნათარგმნია:

ან დავინახავ რუს ტერფსიხორას
რომ გადაიბრუნს ჩემს წინ ვით ალი?

„ალი“-ს გადარბენით შეცვლა „შთაგონებული სულით სავსე ფრენის“ (დაახლოვებით ასეა ქართულად „душой исполненный полет“) არაა გამართლებული, რადგან „ალი“, როგორც შიშის მომგვრელი სახე სავსებით ეწინააღმდეგება შთაგონებული ფრენის წარმოდგენას.

Верней нет места для признаний
И для вручения письма—

ადვილი არის იქ ჩინებული
დაუახლოვდე თუ გინდა ქალებს (I, 29).

ამჟამად გავეულგარებულა!

Кто жил и мыслил, тот не может
В душе не презирать людей—

გადმოცემულია ასე:

ვისც უცხოვრია და უფიქრია
ხალხს შეიძლება უთუოდ იფა...

„Мыслил“ გულისხმობს აზროვნებას და არა ფიქრს (ფიქრობს ყველა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა არ აზროვნობს თუ ვერ აზროვნობს). მერე კიდევ პოეტი ამბობს „людей“ (ადამიანები) და არა ხალხი. რომ ეთქვა „народ“ სულ სხვა რამ იქნებოდა.

Все это часто придает
Большую прелесть разговору—

არ შეიძლება ითარგმნოს:

მაგრამ საუბარს ხშირად შნოს აძლევს
ანარეკლებით იერი მათი, (I, 46).



რადგან არც ანარეკლების და არც „იერის“ მსგავსი რამ ორიგინალში არაა.

Как в лес зеленый из тюрьмы
Перенесен колодник сонный—

როგორც ტყვე სიზმრად გადანაფრენი
ბნელი ციხიდან შეფთოლილ ტყეში
(იქვე, 47).

ტყვე სიზმრად კი არ ხედავს რომ ტყეშია, იგი მძინარე (сонный) გადაჰყავთ ტყეში.

თავისი სოციალური შინაარსით მეტად მნიშვნელოვან სტროფში (II, 4):

В своей глуши мудрец пустынный
Ярем от барщины старинной
Оброком легким заменил
И раб судьбу благословил—

დაშვებულია ონეგინის მიერ თავის მამულში მოხდენილი „რეფორმის“ არსის და მნიშვნელობის უხეში დამახინჯება:

თავდაპირველად გაივლო გულში
რომ შემოედო ახალი წყობა.
უდაბნოს ბრძენმა თვის ყრუ სოფელში
ხალხს ბატონყმობის მძიმე უღელს
სწრაფ შეუცვალა ბეგართ მცირით.

პირველი ის, რომ ახალ წყობის, ე. ი. სახალხო-სამეურნეო ცხოვრების ძირითადი საყრდენის შემოღება ან გაუქმება, ცხადია, აღემატება ცალკეული პიროვნების ძალღონეს. მეორეც ის, რომ „барщина“ (ბეგარა) და „оброк“ (ლალა) ორივე წარმოადგენს „ბატონყმობის მძიმე უღელს“, რადგან აქ საჭმე გვაქვს ბატონყმურ-მემამულურ მეურნეობაში ზედმეტი ღირებულების შექმნის მხოლოდ მეთოდების განსხვავებასთან: საბეგარო მეურნეობაში მემამულე უშუალოდ აწარმოებს საქონელს და საღალღოში კი ფულადი ფორმით იღებს მიწის რენტას. ონეგინის „ლიბერალიზმი“ იმაში მდგომარეობდა, რომ მან შეღავათიანი ღალა დაუწესა თავის ყმებს — და ეს უნდა ყოფილიყო ნათარგმნი ზუსტად, ისე როგორც პუშკინს აქვს.



„ამაყი უბრალოების შნო“ (II, 9) არაფრით არ გამოხატავს „предельной простоты“-ს ისე როგორც „ორფეხათა (!) მატყინებელ“-ს (არაღალს (орудие) კი არ წარმოადგენენ, არამედ საშუალებას (სტევე, 14) ქაქა

„მოწყენილ კლდეში“, უქვევლია, პოეტი ბორატინსკი ვერ იარდა (3, 30). ცხადია, ეს ხდებოდა კლდეთა შორის. ვერც ტატიანა მისწერდა ონეგინს თავის ბედზე: „ეს გადაიჭრა მაღალ ზეცაში“-ო.

პუშკინი ამბობს — ტატიანას რუსულად წერა არ ეხერხებოდა, ონეგინს წერილი ფრანგულად მისწერა და მე ვთარგმნი, მაგრამ მესამე ენაზე, ე. ი. ქართულად ნათარგმნი მისი წერილი, ვფიქრობთ, მაინც უფრო მსუბუქი უნდა იყოს, ვიდრე, მაგ., ასეთი სტრიქონები:

ნება გაჭვო გამობით მომცეთ სასჯელი,
მაგრამ სიცოცხლის (?) თუნდ ერთი წვეთი
ჩაგრულმა ხედრმა თქვენში თუ პოვა...

საწყალ მოსიე ტრიკეს ჩვენი მთარგმნელი სულ ტყუილებრალოდ სდებს ბრალს პლაგიატში — „მიისაკუთრა, მოიქცა ყალბად“-ო. პუშკინმა უკეთ იცოდა ტრიკეს ამბავი და ასეთ რამეს მას არ აბრალებს. პუშკინი ამბობს: „Его (ე. ი. куплет) на свет явил из праха“, ე. ი. დავიწყებიდან გამოიყვანა ლექსი, მხოლოდ სახელი შეცვალა შიგო. ტრიკეს სიმღერაც, ალბათ, ნათქვამი იყო „ბავშვთა ხმაზე ან პანაზე“ და არა „ბავშვთა ცნობილი ფორმით“.

ცხადია, რომ меньше არ ნიშნავს „ყოფას“ (7, 11) და недоуменья полный взор — „შეთის თვალებით — შხერას, ისე როგორც взыскательный свет ვერ ჩაითვლება „ქალაქის ხალხად“ (7, 27) და Запоздалый склад речей „ლექსიკონად სოფლურ სიტყვათა“. ვერც „მისი სიზანტის დაფანტულობა“ გასწევს ее рассеянная лень-ის მაგიერობას (7, 44).

რომ მოვითავოთ შეცდომათა დაახლოებებითი და არასრული სია ვიტყვიტ კიდევ, რომ „научдаться“ (7, 50) კონტექსტის მიხედვით ვერ იტანს „წანწალი“-თ თარგმნას, „ყველაფერი აშკარად სჩანს“ (იქვე) არაა ლიტერატურული, „დიასახლისის წინ კინკლაობაც არ იყო უშნო და გაბღენძილი“ (8, 23) არაა ქართულად ნათქვამი.

ონეგინის წერილში ტატიანასადმი რომ არ იყოს: „გაგანაწყენებს“, „ამპარტავენება თქვენი თვალების მწარე სიძულვილს აღმოაცენებს“, „სისათუთე აჩნდა თქვენს სახეს“, „თქვენთან რებული“, „მონაქნევს თვალის“, „ვგრძნობ საუკუნე მაჭვს განსაზღვრული“, „არ მოეჩვენოს თქვენს სასტიკ თვალებს“, „გყურობ თქვენს რისხვას“ — ბევრს მოიგებდა.

ტატიანას რომ ქართულად ეთქვა „что к моим ногам вас привело“, უქვევლია, ვერ იტყოდა:

მაგრამ რად გხედავთ დღეს ჩემ ფეხებთან?-ო.

ახლა თვით გამოცემის ნაკლზე. მოცემული სახით „ონეგისი“ არაა სრული. გადმოთარგმნილი უნდა ყოფილიყო (და ეს უნდა შესრულდეს ახლო მომავალში) მე-10 თავი რომანისა, რომელიც ეხება იმ დროს, როცა ნაწევრებში და დაშიფრული სახით, რაც ჯერ კიდევ 1910 წელს წაკითხული იქნა აკად. მოროზოვის მიერ. მე-10 თავში ონეგინი კავშარს აბამს დეკაბრისტებთან, ტრიალებს მათ წრეში, ვანიცლის მათ გავლენას (აქ მოცემულია თვით პუშკინის ბიოგრაფიის და აზროვნების მეტად საინტერესო, საკვანძო მომენტების ანარეკლი), მოცემულია აგრეთვე დეკაბრისტთა ბელადების წმინდა პუშკინისებური ლაპიდარული და მკვეთრი დახასიათებები.

ამას გარდა უსათუოდ საჭიროა რომანის ორგანიული დამატების, ე. წ. „ონეგინის ალბომის“ და „მოგზაურობის“ გადმოთარგმნა, რადგან იქ არის ონეგინის განწყობილებების და თითქმის მთელი რუსეთის და ნაწილობრივ კავკასიის აწერა. საჭიროა იყო ფრანგულ და ინგლისურ ეპიგრაფებთან ერთად რუსული ეპიგრაფების გადმოთარგმნაც და თვით პუშკინის შენიშვნების დართვა, რომელიც ტრადიციულად თან სდევს ყველა გამოცემას.

დასასრულ კიდევ ვიშეორებთ, რომ ჩვენი შენიშვნების მიზანია დაეხმაროს მთარგმნელს ისეთ დიდ სამუშაოში, როგორსაც წარმოადგენს „ევეგენი ონეგინის“ თარგმანი.



კ. კაკაბაძე

იდეები და სახეები თანამედროვე ფრანგულ გურჯაანულ ლიტერატურაში

თანამედროვე ევროპის ლიტერატურული მიმდინარეობანი დიფერენცირებულია კლასთა ბრძოლის გამწვავებული ფორმით. საფრანგეთის სოციალურ კულტურას, მის იდეოლოგიასა და ლიტერატურას უკანასკნელ წლებში ემჩნევა პოლიტიკურ-ეკონომიური კრიზისის დალი.

შეუძლებელია ლიტერატურული სახეებისა და იდეების განხილვა საერთო კულტურულ ისტორიული ვითარების დამოუკიდებლად. ლიტერატურის არსი ისევე სოციალ-კლასობრივია, როგორც ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა დანარჩენი ფორმის არსი: ლიტერატურულ მიმართულებათა მაგისტრალური ხაზი ფეხდაფეხ მიჰყვება სოციალური კულტურის კლასობრივ-ეკონომიურ ტენდენციას, იმ ინტერესების გარკვეულ მიმართებას, რომელსაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა გარკვეულ ეტაპზე.

უკანასკნელი წლების ფრანგული ლიტერატურაც ამ კანონს ემორჩილება: საფრანგეთის სოციალური კულტურის ძირეული საკითხები შეადგენენ ამავე დროს ფრანგული მხატვრული ლიტერატურისა და ფილოსოფიის ძირეულ საკითხებს.

ფრანგული ბურჟუაზიული სოციალური კულტურისა და ლიტერატურის ჩვენი დაბასიათება სარგებლობს უკანასკნელი წლების გამოცემებით. რით ცხოვრობს და რას განიცდის დღევანდელი საფრანგეთის ბურჟუაზიული ინტელიგენცია? რა განცდებს ატარებს იგი და სად არის მთავარი წყარო ამ განცდებისა? სად იწყება სათავე დღევანდელი ლიტერატურის იდეოლოგიისა? მოკლედ, ჩვენ გვაინტერესებს სოციალური გენეზისი თანამედროვე ლიტერატურული იდეებისა საფრანგეთში.

საფრანგეთის შინაგანი სოციალური ცხოვრება არ არის მთლიანი და ერთსახიანი: სხვადასხვა ჯგუფსა და წრეს სხვადასხვა სახის სოციალური განცდა აქვს და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საფეხურზე უკავია გარკვეულ ჯგუფსა და წრეს წარმოების პროცესში. წვრილბუჩქეუპნიული წრე სოციალური ფსიქოლოგიის თავისებურ გამახვილებას იძლევა, რაც, ცხადია, არ შეიძლება არ ჩანდეს ლიტერატურაში, ხელოვნებასა და ფილოსოფიაში.

ევენ დაბის რომანები — „პატარა ლუი“ და „ოტელ დიუნორ“ იძლევიან წვრილი ბურჟუაზიისა და მეშჩანზმის განვითარებული ფორმების შესახებ ნათელ წარმოდგენას.

მეშჩანობა ისტორიული პროცესის უსახო და უფორმო, უმოქმედო და უსიცოცხლო გამოვლენაა. მეშჩანობა მდორე და მყრალი ჭაობია. ამიტომ ცბრძოდენ დიდი მწერლები ბაირონი და გოეთე მეშჩანობას. ბაირონის პოეზია ომია ევროპული მეშჩანზმის წინააღმდეგ. მაგრამ ევენ დაბი არ ეკუთვნის ბაირონის ჯგუფის მწერლებს. პირიქით, მისი რომანი მეშჩანური ცხოვრების, უსახო, უფორმო და უმოქმედო სოციალური ჭაობის კურთხევა და დაკანონებაა.

ევენ დაბი ეკუთვნის „პოპულისტების“ ლიტერატურულ ჯგუფს, რომელსაც თეორიულად ხელმძღვანელობს ლეონ დემონიე, პოპულიზმის თეორეტიკოსი. დემონიეს აქვს 1931 წელს გამოცემული წიგნი პოპულისტური იდეოლოგიის შესახებ. ამ წიგნში იგი აპოლიტიკობას პრინციპად აღიარებს. რაც უფრო აპოლიტიკურია და უტენდენციო ლიტერატურული ნაწარმოები, მით უფრო დიადი და მშვენიერია იგიო. — ამბობს ლეონ დემონიე (მაშინ, როდესაც თვითონ უაღრესად პოლიტიკური და ტენდენციურია).

ევენ დაბი თითქოს ცდილობს ამ იდეის ონკარნაცის: მისი რომანი „პატარა ლუი“ უტენდენციო და აპოლიტიკური რომანის დაწერის ცდაა. მაგრამ, რასაკვირველია, რაც უფრო ცდილობს ევენ დაბი იყოს უტენდენციო და აპოლიტიკური, მით უფრო ტენდენციური და პოლიტიკური გამოდის მისი ნაწარმოები.

რაც უფრო მეტად უნდა დაბის აარიდოს თავი პოლიტიკას, მით უფრო გარკვევით ჩანს კლასთა წინააღმდეგობის დაფარვის, მეშჩანური იდეოლოგიისა და უენერგიო განცდის მოცემის ცდა. „პატარა ლუი“-ში აწერილია იმპერიალისტური დიდი ომის ამბები, სამზადისი მისთვის, მის მიერ გამოწვეული სოციალური წინააღმდეგობანი. მაგრამ, ამ ამბების აწერაში დიდი მოხერხებით არის გატარებული აეტორის აზრი ომის შესახებ. ასეც უნდა იყოს: არავითარი გაოცება, არავითარი უკმაყოფილება. პირიქით, როდესაც რომანში ცოლი ეკითხება ქმარს მობილიზაციის გამოცხადების გამო — რას იზამ ეხლა შენო, ქმარი პირუტყვეული სიმშვიდით უპასუხებს: „ქალბატონო, მე ვიზამ იმას, რასაც ყველა იზამს“ — ბრმა, ბლაგვი, უსახო დამორჩილება! როდესაც პატარა ლუი მიდის ომში, ასეთივე სურათს

აქვს ადგილი: არაეინ კითხულობს — რამ წარმოშვა ომი, ვინ არის ომის მიზეზი, ვის ესაჭიროება ამდენი მსხვერპლი...

ავტორი ისეთი ტონით ლაპარაკობს, თითქოს ომი, მსხვერპლებს უფლებთა განადგურება წარმოადგენდეს საჭიროებას, აუცილებლობას და განუკლებლობას ადამიანებისათვის, თითქოს ყველაფერი, რაც ხდება, დაკანონებული იყოს ზედროულად და ამიტომ ადამიანებს არ ევალებოდეთ იკითხონ — საიდანაა ყველაფერი ეს, რამ წარმოშვა ეს?

ასეთივე „პასიანსი“ ნირვანული უმოქმედობაა ფრიდმანის რომანში — *Jacnes Aron, votre tour viendra*. ფრიდმანი ავციწერს არა წერილი ბურჟუაზიის ცხოვრებას, ოჯახს და სიყვარულს, არამედ მსხვილ ფინანსიურ არისტოკრატიას, რომელიც საფრანგეთის სამხრეთ აგარაკებზე ატარებს დროს და გაზეთებიდან ეცნობა მხოლოდ იმპერიალისტური ომის გამანადგურებელ მიმდინარეობას. როდესაც ბურჟუაზიის მიერ მოტყუებული მასებისაგან შემდგარი ევროპის არმიები ერთმანეთს სპობენ ბრძოლის ველზე და ევროპაში გაისმის დაჭრილთა დაუსრულებელი მოთქმა და კენესა, სამხრეთის მხეზე ხმელთაშუა ზღვის ნაპირად სტკებება ფუფუნებით და გაშლილი ცხოვრებით ეაკ არონი.

ზღვის ნაპირი, ნაზი ჰაერი, ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება, — აი არონის ხვედრი. ომის ამბებს, გაჭირვებასა და სისხლის დენის ფაქტებს ბანკირი არონი მხოლოდ გაზეთებიდან ტყობილობს, ისიც პატრიოტულ ტყუილებთან ერთად. მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ გრძელდება ჰევენად: გულის სენით დაავადებული ბანკირი არონი კვდება. შურითა და ბრაზით საესე შეკყურებს ბანკირი არონი თავის ოჯახის წევრებს და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ეუბნება მათ პესიმისტურად და ირონიულად: თქვენი ჯერიც დადგებაო. თითქოს მთელი რომანი იმისათვის არის დაწერილი, რომ ბანკირ არონს ეთქვა ეს სიტყვები თავის ოჯახის წევრებისათვის. წარმავალია წუთისოფელი და თქვენც მალე გაქრებითო, — ამბობს ბანკირი. ამ თქმაში ისმის მიმავალი კლასის ზარის ხმა და უპერსპექტივო ცხოვრებაც.

ასე უნუგეშოდ და მდორედ გამოიყურება საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზია და მეშინაობა თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამ მდორე და უნუგეშო ცხოვრების პროცესშია გაშლილი მესამე საყოვლადღებო რომანი, რომანი, რომელიც ეკუთვნის ჰანრი პულაილს და რომლის სათაურია „ყოველდღიური პური“. რომანი იწყება მთავარი გმირის ჰანრი მანიეს ავადმყოფობის აღწერით. რომანში აღწერილია ღარიბი ოჯახის გაჭირვება მანიეს ავადმყოფობის დროს. აწერილია ის ფაქტიც, რომ მანიე დაზღვეული არ არის და ამის გამო მთელი ოჯახი რჩება მშიერი, ულუკმაპუროდ. მანიეს ცოლი მსახურობს საღვადაც ავეჯის ქარხანაში და ამის საშუალებით და ფოსტალიონ რადიგენის დახმარებით მანიე მიათრევს თავის ნახევრად მშიერ ცხოვრებას. მანიე გატაცებით კითხუ-

ლობს კრაპოტკინს, რაც მოწმობს მის ანარქო-ბუნტარულ სურვილს განწყობილებას.

მიუხედავად ანარქიული განცდებისა, მანიეს ოჯახში ძველად იქნეს ფეხი ვადგმული მეშინაურ ჩვევებს, სიტლანქეს, ცემა-ტყუპას. ზაქარევემაც იცინა, რომ თითოეული „დაუშვებელი“ საქციელისათვის მიღებულია გარკვეული სიძლიერის სილა და მუჯღლუგუნო.

მთელს რომანში შიმშილისა და გაჭირვების განცდაა მოცემული. ყველგან მოსჩანს რაღაც გამოუვალ ჩიხში მოჭყეული ადამიანი.

ეჟენ დაბი და უორჯ ფრიდმანი იძლევიან მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის ყოფა-ცხოვრების სურათს, — ყოფა-ცხოვრების, რომლიდან გამოსავალი გზა არა თუ არ ჩანს, არამედ არც შეადგენს მომქმედი პირების სურვილს. ჰანრი ჰულაილის რომანი „ყოველდღიური პური“ წარმოადგენს გალატაკების გზაზე დამდგარი სოციალური წრის ფსიქოლოგიას მთელი თავისი შინაგანი გაურკვეველობით, ანარქო-ბუნტარული სურვილებით.

თანამედროვე ფრანგული ბურჟუაზიული ლიტერატურის თემატიური შინაარსი, გარდა ომის შედეგების და მეშინაური ყოფა-ცხოვრებისა, შეიცავს ამერიკული ცივილიზაციისა და კოლონიებთან დამოკიდებულების საკითხებს. კოლონიებთან დამოკიდებულება, მისი ფსიქოლოგია და ფორმა მოცემულია რობერტ რონდოს რომანში *Les mèneurs d'homme*. კოლონიების ყოფა-ცხოვრება საფრანგეთის ბურჟუაზიას ძალზე აინტერესებს თავისი იმპერიალისტური პოლიტიკისათვის. ამით აიხსნება დიდი ტირაჟი ისეთი წიგნებისა, რომლებშიაც ლაპარაკია კოლონიების შესახებ, კოლონიების ცხოვრებისა და ადამიანების შესახებ. ვეინეა, კონგო, ალუანი, ჰაპარა, მათი ბუნება, მათი რომანტიული და ფანტასტიური ადგილები, ადამიანები, რომლებიც ამ ადგილებში ცხოვრობენ, კოლონიების ინსპექტორთა გულაჩუყება, აფრიკის ბუნების ჰერეტა და ეროტიული გზნება, — აი კოლონიალური რომანების მუდმივი შინაარსი.

რობერტ რონდო იძლევა ადგილობრივი ცხოვრების არა მარტო დამახასიათებელ თვისებებს, არამედ ერთგვარ ლექსიკონსაც, რომელიც შინაარსით აგრეთვე რომანტიული და ფანტასტიურია, მაგრამ საინტერესოა როგორც ფორმა საფრანგეთის კოლონიალური პოლიტიკის ერთ-ერთი პერიოდისა, ამ პერიოდის ფსიქოლოგიისა, სოციალური განცდისა.

რონდო გვიხატავს საფრანგეთის კოლონიებში ურთიერთობას თეთრებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. აი რას ამბობს ამ ურთიერთობის შესახებ რონდოს რომანის „*Les mèneurs d'homme*“ მთავარი გმირი:

„რა ვარ მე — ოლქის ინსპექტორი აფრიკელების თვალში? რა თქმა უნდა, მე წარმოვადგენ საფრანგეთის ავტორიტეტს, რომლის წინაშეც ისინი (აფრიკელები) გრძნობენ გაურკვეველ პატივისცემას, რადგან მან

გაუყავა მათ გზა, მაშასადამე, მისცა მათ სიმდიდრე, რომლითაც სარგებლობენ.

ვერკინენული

„მე უფროსი ვარ მცველებსა, რომლებსაც ეროდებანს მსახურებელთა შვილებს. მე თვალყურს ვადევნებ სამართლიანობას. მაგრამ უწინარეს ყოვლისა მე თეთრი ვარ, რომელიც აგროვებს გადასახადებს. უსიამოვნებაა მხოლოდ, რომ გადასახადი ყოველდღიურად რამდენიმე „სუთი“ მატულობს: შავს არ უყვარს მოულოდნელი რამ...“

მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ კონტრიბუციის გადახდა არაფერ სასიამოვნოს არ წარმოადგენს. თუმცა მას, აფრიკელს, საესეებით სჯერა, რომ მის ფულს არ ვხარჯავ — მას აქვს რწმენა ჩემს სისპეტაკეში, მაგრამ მისი გონება შორს არის, ძალიან შორს არის ჩემი გონებისაგან. თუმცა კაცი ასრულებს ჩემს ბრძანებას, მემორჩილება, მაგრამ მას არ ესმის — ვარ თუ არა მე მისი გულის მფლობელი“.

ტიპიური აღსარება იმპერიალისტური სახელმწიფოს მოხელისა! ამ აღსარებაში საინტერესოა არა მსჯელობის ლოგიკა, არამედ თვით დაფიქრების ფაქტი. მსჯელობის ლოგიკა მომართულია იმპერიალისტური ზრახვების კლასობრივი პრინციპით და, ცხადია, საფრანგეთის კოლონიის ინსპექტორს სხვანაირად მსჯელობა არ შეუძლია: ის ამყარებს „სამართლიანობას“, მას შეაქვს „განათლება“ აფრიკაში, მას ცოტად აწუხებს, რომ გადასახადი ყოველწლიურად მატულობს და ადგილობრივი მოსახლეობა გადასახადის ამ მოულოდნელ მომენტებს ვერ ითმენს. ჩვეულებრივი, ყოველდღიური ფიქრებია კაპიტალის აგენტის და მისი ნებასურვილის ამსრულებლისა, ფიქრები, რომლებსაც ვერ გაეჭკვევა გაბატონებული კლასი და რომლებიდანაც გამომდინარეობს კოლონიალური პოლიტიკის მიმართება.

რონდო ცდილობს მიაფუჩეჩოს კლასობრივი ბრძოლის სიმწეავე, მაგრამ ინსპექტორის ფიქრებში გარკვევით მოჩანს კოლონიალურ თავისებურებაში გახლართული მოწინააღმდეგე კლასების ურთიერთობა.

რონდოს რომანის თითქოს გაგრძელებას წარმოადგენს ანდრე დემეზონის ნაწარმოები *la comédie animale*. ამ ნაწარმოებით დემეზონმა პრემია მიიღო საფრანგეთის აკადემიისაგან.

ეს რომანი ისეთივე ტიპიური კოლონიალური რომანია, როგორც რობერტ რონდოს რომანი, ოღონდ რონდოს რომანის მოქმედება იშლება და და ვითარდება ერთ კოლონიაში — გვინეაში, ხოლო ანდრე დემეზონის რომანი მეორე კოლონიაში — კონგოში.

რომანი იწყება და ვითარდება პლანტაციებზე მუშაობით. ერთ მხარეს დგანან ზანგები, მეორე მხარეს — მმართველები. მოქმედ პირებად გამოდიან არა მარტო ადამიანები, არამედ მამულებიც, მაგალითად ჟილო (შიმპანზე). საერთოდ, დემეზონი ფიქრობს — სოციალურ ურთიერთობაში შეიტანოს ზოოლოგიური პრიმატი. მას მკითხველის ინტერესი მუდამ ბიოლოგიის არეში გადააქვს. დემეზონი თითქოს გაურბის სოციალურ საკითხებს. როდესაც იწყება ზანგების აჯანყება პლანტატორების წინააღმდეგ,

დემეზონი იძლევა ამ აჯანყების არა ეკონომიური და კლასობრივი მიზეზების ახსნა-განმარტებას, არამედ ზანგების ანამისტური შეხედულებებისა და გონებრივი ჩამორჩენის დესკრიპციას. ზანგები უკმაყოფილონი არიან იმიტომ, რომ მათ არა აქვთ შეგნება, არა აქვთ უნარი და გონებრივი განვითარება დაათასონ უმადლესი კულტურა...

ავტორის წარმოდგენით ევროპეელების და, განსაკუთრებით, ფრანგების შესვლა აფრიკაში დიდი ბედნიერებაა აფრიკელებისათვის, მაგრამ რად ვინდა, რომ ზანგებს, ამ „ბლავგი გონების“ ხალხს, ვერ შეუგნიათ — რა სიკეთეს იძლევიან ფრანგები, თუნდაც მისი ექსპლოატატორები იყვნენ.

ზანგები არიან „დაბალი და უნიჰო რასის“ წარმომადგენლები, ფრანგები, კი — „უმადლესი კულტურისა და უმადლესი გონების“ წარმომადგენლები. ამიტომ დემეზონი თითქოს ვაკვირებულა, რატომ არიან ზანგები ფრანგების ბატონობის წინააღმდეგ. აქაც ჩვენ გვაქვს საფრანგეთის იმპერიალიზმის, მისი სოციალური ფსიქოლოგიისა და კლასობრივი ინტერესების გამოხატულება. მთელს რომანში ავტორი ცდილობს დააინტერესოს მკითხველი არა აჯანყებებისა და სოციალური კონფლიქტების აღწერით, არამედ აფრიკის ბუნების პეიზაჟების მოცემით, ველური ცხოვრების მიმზრდველი მომენტების გაშლით და აქცენტუაციით, განსაკუთრებით მაიმუნის ეიფლოს განსაზიერებით.

რონდო და დემეზონი საფრანგეთის იმპერიალიზმის, მისი კოლონიალური პოლიტიკის იდეოლოგები არიან.

არის კიდევ ორი საკითხი, რომელთაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფრანგული ლიტერატურა. ეს არის ამერიკული კულტურის და საბჭოთა კულტურის მომავლის საკითხები. თუ რა დიდი ინტერესის შემცველია ეს საკითხები, ჩანს იქიდან, რომ წიგნი, სადაც ეს საკითხებია დასმული და განხილული, ერთი წლის განმავლობაში გამოიცა ოცდაცხრაჯერ, ასეთი ინტერესი ამ წიგნისადმი აიხსნება არა მარტო ამ წიგნის ღირსებით, მისი შინაარსით და სტილით, არამედ საკითხების აქტუალობითაც. ამ წიგნის სათაურია „Les scenes de la vie future“. წიგნი ეკუთვნის ჟორჟ დიუჰამელს. წიგნი იწყება ევროპული ცივილიზაციის ბედის განხილვით. გზადაგზა მოცემულია ამერიკის ყოფა-ცხოვრების, ხელოვნებისა და მეცნიერების სურათები. ჟორჟ დიუჰამელმა ჩაატარა ორი მოგზაურობა: ერთი აღმოსავლეთით — საბჭოთა კავშირში, მეორე დასავლეთით — ამერიკაში, ამ ორი ჭეყენის დათვალეირებიდან მან გამოიყვანა დასკვნა კაცობრიობის მომავლის შესახებ. კულტურის მომავალი განვითარების გზები დიუჰამელს ამერიკანიზმისა და საბჭოთა კულტურის ფორმებში ეჩვენება, მაგრამ, ფიქრობს დიუჰამელი, შეიძლება ამ გზების აცდენა და საკუთარი ჰუმანიური ცივილიზაციის განვითარება.

შეიძლება კაცობრიობის ისტორია წავიდეს ან ამერიკანიზმის, ან კომუნისმის გზით, მაგრამ ორივე გზა კაცობრიობისათვის დამლუპველია. კა-

კომბრიული და ადამიანური საწყისები ორივე კულტურაში იკითხება, დიუამელი აშკარად წინააღმდეგია კომუნიზმისა, თუმცა რევოლუციის დადებით ხასიათს არ უარყოფს: „რუსი ხალხის დიდმა უმრავლესობამ მიიღო რევოლუციისაგან სარგებლობა, რომელიც მას წყალობა უნდა მიაჩნდეს“, — ამბობს დიუამელი. საბჭოთა კულტურა, დიუამელის აზრით, არის სპეციალური რუსული მოვლენა. მას ბუნებრივი განვითარებისა და ზრდის საშუალება აქვს მხოლოდ რუსეთში. ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო კარიზმი და რუსეთი გამოიყვანა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, მონობიდან. ოქტომბრის რევოლუციამ ხალხი დააყენა ახალ „რელსებზე“, მაგრამ დასავლეთ ევროპის განათლებულ ხალხს რუსული ლიანდაგი არ ესაქიროება. მაშასადამე, კომუნიზმის გზები ევროპამ უნდა აიცილნოს, თუ უნდა დარჩეს ჰუმანიური ცივილიზაციის მატარებლად.

დიუამელი კულტურისა და ცივილიზაციის ფორმებს იღებს ტიპოლოგიურად მთლიანს, სადაც არ არის კლასთა წინააღმდეგობა. ამერიკული კულტურა გამოფიტულია. სიცოცხლე და ბუნება არსად ჩანს. სოფელშიაც, სადაც თქვენ სასეირნოდ მიდიხართ, ბუნების ცოცხალ სურათების მაგიერ ხედავთ რეკლამებს და სტანდარტებს.

ამერიკულმა კაპიტალიზმმა ჩაკლა ბუნება და გაამეტა რეკლამა, სტანდარტი, რეგლამენტაცია. დაწყებული საკმელით და ხილით, გათავებული გრამაფონით, მუსიკით და კინოთი — ყველგან ვხედავთ ხელოვნების მექანიზაციას და სიყალბეს.

მთელი წიგნი გამოსახავს თანამედროვე ევროპელის შიშს ამერიკული კულტურის წინაშე. ევროპის კულტურა დიუამელს ესახება კულტურის უშუალოდ ემუქრება და უნაზეს ფორმად, რომელშიაც მოცემულია კაცობრიობის იდეალის განხორციელება, მთლიანი პიროვნების განვითარების საშუალება, ხელოვნებისა და მეცნიერების სრულყოფილი სახეები. ამ ქეშმარიტად დიდ კულტურას ემუქრება მანქანებისა და სტანდარტების ამერიკა. — უბედურება იმაშია, რომ ევროპაში ამერიკას ჰყავს თავისი ორეული — გერმანია, რომელიც წარმოადგენს არა ნაკლებ საშიშროებას. ამერიკული და გერმანული კულტურები ენათესავენებიან ერთმანეთს, ერთმანეთს გვიან სტრუქტურულად: ორივე კულტურაში მბრძანებლობს მანქანა, მბრძანებლობს ტექნიკა. მათი მომავალი ემუქრება ჰუმანიურსა და ნაზ ევროპას. ევროპული ტიპის ადამიანს მოელის გადაგვარება, გადაშენება. მის ადგილს მალე დაიკავენს საქმოსანი მესტანდარტე — ამერიკელი, მისი ორეული გერმანელი. ორივე საშიშია, ორივე ემუქრება ევროპას, ორივე წარმოადგენს „უსულო“ და „უგულო“ კულტურას, — კულტურას, რომელსაც ადგილი უნდა დაუთმოს ევროპამ, ნაზმა და მშვენიერმა ევროპამ. ცხადია, ამ ევროპად იგულისხმება კაპიტალისტური და მშვიდური საფრანგეთი. აქ არ არის კლასების, მათ შორის არსებული წინააღმდეგობების ხსენება. როდესაც ლაპარაკია ამერიკისა და გერმანიის შესახებ,

ლაპარაკია ისეთი ლოგიკით, თითქოს ამერიკა მთლიანად იყო. თითქოს ამერიკაში არ იყვნენ ერთმანეთის მიწინააღმდეგე კლასები.

დიუამელი ცდილობს მიაფუჩეჩოს წინააღმდეგობას ^{კულტურულ} შორის კლასების ბრძოლა. ცეცხლი, რომელიც ანთია კლასთა შორის, გასუფთავებია დიუამელისათვის. აქედან — მოკლებულია მეცნიერულ სისწორეს დიუამელის დებულება ევროპული კულტურის შინაგანი ჰარმონიის შესახებ: ევროპულ კულტურას არასოდეს არ ჰქონია შინაგანი ჰარმონია. ჰუმანიზმი დამძიმებულია ინკვიზიციით, ჰუგენოტების ტყვეებით, ტიერებისა და ბისმარკების სისხლიანი ზრახვებით. რომელ ჰუმანიზმზე, რომელ შინაგან ჰარმონიაზე ლაპარაკობს დიუამელი, როდესაც უმუშევართა მილიონიანი არმიები აჯანყებისათვის ემზადებიან ევროპის დიდ ქალაქებში? ჰუმანიზმი და შინაგანი ჰარმონია მხოლოდ სიტყვებია.

მთლიან ჰკონებას ევროპის კულტურაში ადგილი ჯერ არ ჰქონია. ევროპის კულტურამ მოგვცა გაორებული ადამიანების ტიპები — დონკიხოტები, ჰამლეტები, ფაუსტები, ობლომოვები; ტარტარენები, — ტიპები, რომელთაც აკლიათ ან ზედმეტად განვითარებული აქვთ ხასიათის ზოგიერთი თვისება. სუსტი ნებისყოფა, გადაჭარბებული ილიუზია, გონების უსაზღვრო და უკანტროლო თაფაწყვეტა, — აი რა ახასიათებს ევროპის ლიტერატურისა და ისტორიის ტიპებს. მათ ყოფაქცევასა და ხასიათში მოცემულია კლასის ინტერესი, რომლიდანაც წარმოიშვა მათი ქცევის თავისებურება, მათი ტემპერამენტი: ჰამლეტის დიდი ინტელექტი იხრჩობა სუსტი ნებისყოფის გამო. დონკიხოტის ბრძოლის ილიუზიები სოციალური დეგენერაციის შედეგია. ფაუსტის ვნებათა თამაში მომავალი ბურჟუაზიის სურვილებით გაქლენილი სხეულის ლტოლვაა. წარმოების განვითარებაში უთანასწორო ადგილების დაკავებამ წარმოშვა უთანასწორო და ანტისოციალური ტიპები, ხასიათები და ქცევები.

ამიტომ დასმული პრობლემა — ამერიკელი და ევროპული კულტურების დაპირისპირების პრობლემა — სწორად არა აქვს გადაჭრილი ჯორჯ დიუამელს. კაპიტალისტური კულტურის ვარიანტებია როგორც ევროპის, ისე ამერიკის კულტურა. კაცობრიობის ხსნა ევროპის კაპიტალიზმისა და მისი იდეოლოგიური დერწვატების ისტორიულ განმტკიცებაში კი არ არის, არამედ კაპიტალისტური კულტურების ნაგრევებზე ახალი სოციალისტური კულტურის აშენებაში. კაცობრიობას ესაჭიროება არა ჰამლეტები და ფაუსტები, არა ობლომოვები და დონკიხოტები, რომელნიც წარმოშვა კაპიტალისტურმა კულტურამ, არამედ ძლიერი ნებისყოფის, დიდი გონების, აზრისა და გრძნობის მთლიანი პიროვნება. ისტორიისა და კაცობრიობის მომავალი არის არა ევროპული კაპიტალიზმი თავისი ინდივიდუალიზმით, ფორმალიზმით, დიუამელის „ჰუმანიზმით“, არამედ სოციალისტური კულტურა, სადაც ჰამლეტებისა და ფაუსტების „ჰუმანიზმ“ ტრაგედიებს შესცვლის ახალი კულტურის გიგანტების მიერ შექმნილი სილამაზე.

შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ დღემდე თანამედროვე თეორიებში მიიყვანა ფაშიზმის აპოლოგიამდე.

ასეთია თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის ერთი ფენის იდეები და სახეები. მათ უპირისპირდება რევოლუციურ-პროლეტარული ლიტერატურა, რომელიც თანდათან იზრდება და ვითარდება.

ფრანგულ ლიტერატურაში არის კიდევ ერთი შტო მწერლების, რომლებიც თანდათან თავისუფლდებიან ბურჟუაზიული იდეოლოგიის ილიუზიებისაგან. მათი გულისყური და თანაგრძნობა მოქცეულია საბჭოთა ქვეყნისაკენ: რომენ როლანი, ჟან ჟიროდუ, ანდრე ჟიდი, ჰანრი მალრო და სხვ. გარკვევით დგებიან საბჭოთა კულტურის მეგობართა რიგებში; უკანასკნელი წლების განმავლობაში მათ ნაწერებს აშკარად ეტყობა გავლენა ოქტომბრის რევოლუციის ისტორიული რეზონანსის, მისი სოციალ-კულტურული, იდეოლოგიურ-ფილოსოფიური შედეგების; ირღვევა კაპიტალისტური კულტურის და საზოგადოების შინაგანი წყობა და მისი საუკეთესო ნაწილი გრძნობს კაპიტალიზმის ისტორიულ ჩიხში მოქცევას: ანდრე ჟიდი — მწერალი, რომელიც ცხრაასიან წლებიდან სისტემატიურად ჰადაგებდა ფრანგულ ლიტერატურაში ცქერის, ნებიერობის და ეროტიული ნარციზმის იდეებს, დღეს გულმოდგინეთ სწავლობს საბჭოთა კულტურის თითოეულ წვრილმანს, თვალყურს ადევნებს სოციალიზმის გამარჯვებებს ჩვენს ქვეყანაში.

როგორ ირაზმებიან თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის პროგრესული ელემენტები, რა ესთეტიურ მისწრაფებებს აქვთ ადგილი ფრანგული ლიტერატურის მემარცხენე ფრთაში, რას ამბობენ დღეს „ლუმენიტ“-სა და „ლე-მონდი“-ს გარშემო შემოკრებილი მწერლები — ამის შეჩახებ საუბარი გვექნება ცალკე წერილში.



ნ. ურუშაძე

მარქსი, ენგელსი და ლიტერატურათ-
მცოდნეობის პრობლემები

კულტურული მემკვიდრეობის საკითხი მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. იგი უშუალოდ დაკავშირებულია იდეოლოგიურ ზედნაშენთა პრობლემასთან.

მარქსიზმის ძირითადი დებულება — „ცნობიერება შეცნობილი ყოფიერებაა“ — ხაზს უსვამს ადამიანთა იდეოლოგიის ყოველგვარი სახის შემეცნებითი ღირებულებას.

მარქსი და ენგელსი მრავალი თეორიული პრობლემის ილუსტრაციისათვის მიმართავენ მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს ძეგლებს. ამის ნათელსაყოფად შეიძლება რამდენიმე მაგალითი დავესახელოთ. ავიღოთ თუნდაც ენგელსის „ოჯახის წარმოშობა“, სადაც იგი ნათელყოფს, რომ ესქილეს „ორესტეა“ კაცობრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპოქის ნამდვილ სურათს იძლევა.

იმვე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ჰომეროსის „ილიადაში“ ასახულია ბარბაროსობის განსაზღვრული პერიოდი, რომლის შესწავლისათვის იგი ერთად-ერთ წყაროს წარმოადგენს.

ასეთი თვალსაზრისით აფასებდენ მარქსი და ენგელსი ყველა დიდი მწერლის შემოქმედებას. ამ მხრივ ისინი განსაკუთრებით მაღლა აყენებდენ ბალზაკის შემოქმედებას.

მარქსი მრავალჯერ აღნიშნავს, რომ თავისი გამოკვლევებისათვის მას ბალზაკის შემოქმედებამ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთის შესასწავლად გაცილებით მეტი მისცა, ვიდრე ერთად აღებულმა იმ დროის ყველა ეკონომისტმა და ისტორიკოსმა.

ბალზაკი, შექსპირი, გოეთე, ჰომეროსი, ესქილი და სხვები მარქს-ენგელსის უამრავი გამოკვლევის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ, ამასთან არა მხოლოდ საილუსტრაციო მასალას, არამედ თეორიული პრობლემების გადაჭრის დამხმარესაც.



ამგვარად, მარქსიზმის მამამთავარნი ლიტერატურას, ფილოსოფიასთან და სხვა სოციალურ მეცნიერებებთან ერთად, იდეოლოგიურად შენიშნა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმად თვლიდნენ. სწორედ ამიტომ მარქსიზმი ლიტერატურის საუკეთესო ძეგლები პროლეტარიატის უდიდეს კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენენ.

„გერმანულ იდეოლოგიასა“ და „კომუნისტურ მანიფესტში“ კულტურული მემკვიდრეობის პრობლემა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით არის დასმული:

„კომუნისტურ მანიფესტში“ ხაზგასმულია, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის შეცვლასთან ერთად ადამიანის ცნობიერებაც იცვლება. იქვე ლაპარაკია აგრეთვე, რომ ძველი წყობის მოსპობასთან ერთად ახალი კლასი, ახალი ფორმაცია უარყოფს ძველ იდეებს და ანმტიკებს ახალს.

მარქსი და ენგელსი „კომუნისტურ მანიფესტში“ უპასუხებენ მოწინააღმდეგეთა იმ ბრალდებას, თითქოს კომუნიზმი უარყოფს კრწმარიტუზას, მორალს, ფილოსოფიას, უფლებას და სხვებს.

ამ ბრალდებას „კომუნისტური მანიფესტი“ აბათილებს იმ დებულებით, რომ კომუნიზმამდე კაცობრიობის ისტორია კლასთა ბრძოლის სხვადასხვა ფორმაში მიმდინარეობდა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილის ექსპლოატაცია მეორის მიერ არის კაცობრიობის მთელი წარსულის დამახასიათებელი კომუნიზმამდე, რაც ხელს უწყობდა რელიგიის, უფლების, სახელმწიფოს და სხვა ამგვარი კატეგორიების შენარჩუნება-არსებობას. კლასთა წინააღმდეგობის მოსპობასთან ერთად უნდა მოიხსნას ყველა აღნიშნული კატეგორია, — უპასუხებენ მარქს-ენგელსი მოწინააღმდეგეებს.

„კომუნისტური რევოლუტია. — ვითხოვლობთ „კომუნისტურ მანიფესტში“, — ეს წარსულის ჭინჭრივ ურთიერთობათაგან მიღებული მემკვიდრეობის ყველაზე გადამწყვეტი უარყოფაა, ამიტომ რა გასაკვირია, რომ მისი განვითარების მსვლელობაში წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული იდეების ყველაზე გადამწყვეტ უარყოფა უხდება“.

როგორც ჩანს, მოწინააღმდეგეები კომუნიზმს ბრალს დებენ წარსული მემკვიდრეობის სრულ უარყოფაში. „კომ. მანიფესტის“ პასუხი ამ საკითხზე გარკვეულია, მაგრამ ისმება კითხვა: ნიშნავს თუ არა წარსულის იდეების ასეთი უარყოფა კულტურული მემკვიდრეობის ნილილისტურ უარყოფას? საკითხის ამნაირად დასმა ეწინააღმდეგება მარქსიზმის ბუნებას.

წარსულის იდეების ასეთი გადამწყვეტი უარყოფა ნიშნავს კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკულ ათეფსებას.

ასეთია მარქსის და ენგელსის მოძღვრება კულტურულ მემკვიდრეობაზე, რომლის შესახებაც მთელი თავისი გარკვეულობით ლაპარაკობს ლენინის მიერ 1920 წ. 2 ოქტომბერს კომკავშირის მეორე ყრილობაზე წარმოთქმული ცნობილი სიტყვა:

„ყველაფერი, რაც ადამიანთა საზოგადოების მიერ იყო მოგონილი, მან (მარქსმა) კრიტიკულად გადაამუშავა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, მუშათა მოძრაობაში შეაქოწმა და გამოიტანა ის დაცენები, რაც ბურჟუაზიული აზროვნებით შეზღუდულმა ხალხმა ვერ შესძლო. ეს არ უნდა იქნას მხედველობიდან გაშვებული, როდესაც ჩვენ პროლეტარული კულტურის შესახებ ვლაპარაკობთ. იმის გარკვეული გაგებისა და დამუშავების გარეშე, რაც შექმნილია ადამიანთა საზოგადოების განვითარებითა და კულტურის მიერ, შეუძლებელია პროლეტარული კულტურის შექმნა. ამის გაგების გარეშე ჩვენ ამ ამოცანას ვერ განვახორციელებთ. პროლეტარული კულტურა არ არის საიდანაც მოვლენილი, არ არის ის იმ პიროვნებათა მიერ მოგონილი, რომლებიც თავის თავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს უაღრესი სისულელეა. პროლეტარული კულტურა იმ ცოდნათა კანონზომიერ განვითარებას უნდა წარმოადგენდეს, რომლებიც შექმნილია კაპიტალისტური საზოგადოების, მებატონეთა საზოგადოების, მოხელეთა საზოგადოების უღელ ქვეშ. ყველა ამ გზას მიუყვებით და განაგრძობენ ჩვენს მიყვანას პროლეტარული ლიტერატურისაკენ, ისე, როგორც მარქსის მიერ გადამუშავებულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ დაგვანახვა, თუ სანამდი უნდა მივიდეს ადამიანთა საზოგადოება, მივითითა კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარული რევოლუციისაკენ გადასვლა“.

ლენინის ეს სიტყვა ნათელს ფენს მარქსის და ენგელსის მოძღვრებას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. წარსულის კულტურული ღირებულებების უდიდესი შეფასება, რომელიც მარქს-ენგელსის შრომებში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, ლაპარაკობს ამის შესახებ.

„ანტიღურინგში“ ენგელსი მრავალჯერ ილაშქრებს დიურინგის წინააღმდეგ წარსული ლიტერატურისა და ესთეტიკის ნილილისტური უარყოფის გამო. დიურინგის წინააღმდეგ ენგელსი ირონიით წერს:

„რაც შეეხება ესთეტიურ აღზრდას, აქ დიურინგს განზრახვა აქვს ყველაფერი ხელახლად შექმნას. დღემდე არსებული პოეზია ამისათვის არ გამოდგება. იქ, სადაც ყოველგვარი სარწმუნოება აკრძალულია, თავისთავად ცხადია, რომ დაუშვებელია სკოლაში მოთმენილ იქნას წინანდელი პოეტების მითოლოგიური და სარწმუნოებრივი სახეები. იმავე გარემოებით აკრძალულ უნდა იქნას აგრეთვე პოეტური მისტიციზმი, რომლისაკენ, მაგ., გოეთეს დიდი მიდრეკილება ჰქონდა“.

პროლეტარიატის კულტურული მემკვიდრეობის საკითხისათვის მეტად საინტერესოა აგრეთვე ენგელსის „ლიუდვიგ ფეიერბახის“ ერთი ადგილი, სადაც ვკითხულობთ: „გერმანული მუშათა მოძრაობა არის გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მემკვიდრე“.

იგივე ითქმის გერმანული კლასიკური პოეზიისა და მსოფლიო ლიტერატურის ყველა საგანძურის შესახებ.

ასეთია მარქსის და ენგელსის მოძღვრება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები, კერძოდ, კლასიკოსებისაგან სწავლის საკითხი.



კლასიკოსებისაგან სწავლის პრობლემისათვის შეტად მნიშვნელოვანია ბალზაქის შემოქმედება.

„კაპიტალის“ ტომებში პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი კატეგორიების დამუშავების დროს მარქსი ხშირად ემყარება ბალზაქის შემოქმედებას.

გარკენისადმი მიწერილ ბარათში ენგელსი ბალზაქის შემოქმედებას გაცილებით მაღლა აყენებს, ვიდრე ყველა დღევანდელ და მომავალ ზოლას. იგი წერს:

„თვის „ადამიანთა კომედიში“ ის (ე. ი. ბალზაქი) იძლევა საფრანგეთის საზოგადოების ყველაზე შეტად შესანიშნავ რეალისტურ ისტორიას იმით, რომ, ქრონიკის სახით, წლიდან წლამდე — 1816 — 1848 წლებში — აღწერს ბურჟუაზიის უფრო და უფრო მეტ დაწოლას თავიდანაშურთა საზოგადოებაზე. ის აღწერს, ფულის შქონეთა მატირების ელვარული შეტევით როგორ გაიხრწნენ და დაიღუპენ მისთვის სანიშნო საზოგადოების უანასკნელი ნარჩენები“.

ასეთი თვალსაზრისით იხილავდენ მარქს-ენგელსი ყველა მწერლის შემოქმედებას და ამგვარი მიდგომით აფასებდენ მათ, როგორც პროლეტარიატის კულტურულ მემკვიდრეობას.

კლასიკოსებისაგან სწავლის პრობლემის გასარკვევად საჭირო არ არის ბალზაქის შემოქმედების დეტალური ანალიზი. საჭიროა შევეხოთ მას მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რანაირ სპეციალურ ფორმაში გამოხატა მან მე-19 ს. პირველი ნახევრის საფრანგეთის სოციალური ისტორია, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდენ მარქს-ენგელსი, აგრეთვე — თუ რა მნიშვნელობა აქვს მას სოციალისტური რეალიზმის პრობლემის თეორიული დასაბუთებისათვის.

გარკენისადმი მიმართულ საყვედურს შემოქმედების არასაკმაო რეალისტურობის შესახებ ენგელსი შემდეგნაირად გამოხატავს:

„ჩემის აზრით, რეალიზმი, დეკლემების სისწორის გარდა, გულახმობს ტიპური ხასიათების ტიპურ დეტალებში გაღმოცემას. თქვენი ხასიათები საკმაოდ ტიპურია იმ დარგლებში, რაშიაც ისინი არიან მოცემული, ამის თქმა არ შეიძლება იმ ტიპურ მდგომარეობათა შესახებ, რომლებიც მათ გარს აკრავს და აიძულებს იმოქმედონ“ (Маркс-Энгельс: „Хрестоматия об искусстве“, გვ. 194).

აი, ასეთ მოთხოვნას უყენებდენ მარქსი და ენგელსი ყოველგვარ რეალისტურ ნაწარმოებს და ამ თვალსაზრისით ისინი ბალზაქის შემოქმედე-

ბას სანიმუშოდ თვლიდენ. ამის დასამატებლად საკმარისია ახლოთ ბალზაკის ერთი რომელიმე რომანი, თუნდაც, მაგ., „მოხუცი გოგონა“ აქ ყველა პერსონაჟი წარმოადგენს ტიპს, ხასიათს, ტიპურ მოქმედებაში მოცემულს, — არის ეს მოხუცი გორიო, რასტინიაკი, ქალბატონი ვოკე თუ რომელიმე სხვა.

ტიპური მდგომარეობა და დეტალები, რომლებშიაც აღნიშნული პერსონაჟები არიან მოცემული, იმთავითვე განსაზღვრავენ მოქმედების მომავალ განვითარებას. როდესაც ვკითხულობთ ბალზაკის რომელიმე რომანს, თავიდანვე ნათელი ხდება, თუ საით წაიყვანს ამა თუ იმ გმირს ის მდგომარეობა, რომელშიაც მას ავტორი აყენებს.

აღნიშნული რომანის ტიპთა მრავალფეროვან ვალერეაში პირველ რიგზე დგანან ავტორის ის გმირები, რომელთა მხარეზედაც მისი სიმპატიია. ესენი არიან არისტოკრატები. მაგრამ ულმობელია ავტორის ირონია მათ მიმართ. აქ ბალზაკი ნათლად ასახავს მათი ცხოვრების უნიადაგობას და დაღუპვის აუცილებლობას. ენგელსიც სწორედ იმ გარემოებაზე მიუთითებს აღნიშნულ წერილში, რომ ბალზაკი თავის შემოქმედებაში წაიდა თავისივე პოლიტიკური შეხედულებებისა და კლასობრივი სიმპატიების წინააღმდეგ, რომ იგი ხედავდა თავისი საყვარელი არისტოკრატების დაღუპვის აუცილებლობას.

ამაში ხედავს ენგელსი მოხუცი ბალზაკის უდიდეს დამსახურებას და რეალიზმის გამარჯვებას. „რამდენადაც უფრო დაფარულია ავტორის შეხედულებები, იმდენად უკეთესია ეს ხელოვნური წარმოებისათვის. რეალიზმი, რომელიც მე მხედველობაში მაქვს, ცხადდება ავტორის შეხედულებათა გარეშე“, — სწერს ენგელსი გარკნებს.

ენგელსის ასეთ მოთხოვნას სავსებით უპასუხებდა ბალზაკის შემოქმედების მეთოდი.

ბალზაკის შემოქმედებაში ყოველი ტიპური პერსონაჟი ინარჩუნებს გარკვეული ინდივიდუალობის ყველა დამახასიათებელ ნიშანს და არ წარმოადგენს მის მსგავსთა მასაში გათქვეფილ პიროვნულ თვისებებს მოკლებულ სტემას. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბალზაკი თავის შემოქმედებაში იძლევა გატიპებულ ინდივიდებსა და გაინდივიდულებულ ტიპებს, რა მოთხოვნებსაც ენგელსი უყენებს რეალისტურ შემოქმედებას. ამის შესახებ ის წერს მინა კაუციკისადმი გაგზავნილ ბარათში:

„ამა თუ იმ წრის ხასიათები დახატულია თქვენთვის ჩვეული ინდივიდუალიზაციის გარკვეულობით. ყოველი პიროვნება ტიპია, მაგრამ მასთან ერთად სრულიად გარკვეული — ეს“, როგორც იტყოდა მოხუცი ჰეგელი. ასეც უნდა იყოს“.

ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც ენგელსი უყენებს მსატერულ შემოქმედებას, მდგომარეობს იმაში, რომ მწერალი არასოდეს არ უნდა მოდიოდეს აღტაცებაში თავისი გმირებით და არ აიდეალეზდეს მათ. ის ყოველთვის უნდა ინარჩუნებდეს მათზე თავის ბატონობას. ამ გარემოებაზე მიუთითებს ენგელსი მინა კაუციკის იმავე წერილში.

ეს მითითება მწერლის ტენდენციურობის პრობლემას შეეხება/ ენგელსი სრულიად არ უარყოფს ტენდენციურობას მხატვრულ შემოქმედებაში, პირიქით, იგი აღნიშნავს, რომ ყველა დიდი მწერალი ზუსტად ტენდენციური იყო, რადგან ყოველი მწერალი თავის კლასობრივ ინტერესებს განსაზღვრავს საზოგადოების ამა თუ იმ მოვლენისადმი. მაგრამ, აღნიშნავს ენგელსი, ეს ტენდენციურობა არ უნდა იყოს გარეგნული და მყვირალა, რომელშიაც ავტორი თავის შეხედულებას წინასწარვე ამჟღავნებს.

მ. კაუცკისადმი მიწერილ ბარათში ენგელსი შემდეგს წერს ამ საკითხის შესახებ:

„ჩვენს პირობებში რომანი უმთავრესად ბურჟუაზიული წრის მკითხველებს მიმართავს, ე. ი. იმ წრეებს, რომლებიც პირდაპირ ჩვენ არ გვეკუთვნიან. ამიტომ სოციალისტური ტენდენციური რომანი, ჩემი შეხედულებით, სავსებით შეასრულებს თავის დანიშნულებას, თუ ის რეალურ ურთიერთობას კეთილსინდისიერად ასახავს და ექვემდებარება შთანერგვით არღვევს ბურჟუაზიული ქვეყნის ურთიერთობათა ბუნების ირგვლივ გაბატონებულ პირობათ ილუზიებს არსებული წყობის შეუცვლელობის შესახებ, თუნდაც იმავე დროს არ იძლეოდეს საკითხის რაიმე გარკვეულ გადაწყვეტას და ზოგერთ შემთხვევაში ამჟღავნებდეს რომელიმე მხარეზე“.

ენგელსის ამ ციტატაში, ისე როგორც ყოველთვის, საქმე გვაქვს საკითხისადმი კონკრეტულ-ისტორიულ და პარტიულ მიდგომასთან. ენგელსს მშვენივრად ესმის, რომ მუშათა კლასის საქმეს მეტ სარგებლობას მოუტანს ისეთი სოციალური რომანი, რომელშიაც ავტორი არ აიდეალებს თავის გმირებს, დეკლარაციის სახით წინასწარ არ აცხადებს თავის პოლიტიკურ იდეალებს, არამედ სოციალურ ურთიერთობათა მხატვრულ ფორმებში ღრმა ანალიზით მიუთითებს იმ გზისაკენ, საითაც უნდა წავიდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მომავალი განვითარება. მხოლოდ ასეთი დაფარული, თვითმოქმედების მსვლელობიდან გამომდინარე ტენდენციურობა, — აი რა შეარყევს, ენგელსის აზრით, ბურჟუაზიულ ოპტიმიზმს არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ.

სწორედ ტენდენციურობის ასეთ გაგებაზე ლაპარაკობს ენგელსი, როდესაც წერს, რომ ასეთი რეალიზმი ავტორის შეხედულებების გარეშეც გამოვლინდება.

ამ შემთხვევაში ენგელსი ბალზაკის შემოქმედებას გულისხმობდა, — ბალზაკის, რომელიც პოლიტიკურად ლეგიტიმისტი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ბალზაკი რომანებში ბევრჯერ ამჟღავნებს თავის ასეთ პოლიტიკურ შეხედულებას, მან თავისი დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით მაინც შესძლო ღრმად გარკვეულიყო ისტორიულ მსვლელობაში და ობიექტიურად აესახა ბურჟუაზიული ურთიერთობის აღმავლობა და ფეოდალური არისტოკრატის ნაშთების საბოლოოდ გასწორება მიწასთან. ბალზაკის რეალიზმი ამ მხრივ სხვებთან შედარებით, ნაკლებ ტენდენციურია.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბალზაყის რეალიზმი, როგორც ბურჟუაზიული რეალიზმის მწვერვალს წარმოადგენს, მაინც შეზღუდულია. რადგან ბალზაყის დროინდელი ბურჟუაზიული თბილისელები როგორც ყოველგვარი არაპროლეტარული მსოფლმხედველობის პირველი სტადიაობრივი მდგომარეობის გამო, შეზღუდულია და მას არ შეუძლია ღრმად აითვისოს საზოგადოებრივი განვითარების ნამდვილი კანონზომიერება და მისი მომავალი პერსპექტივა.

მხოლოდ პროლეტარული მსოფლმხედველობა, რომელიც ისტორიზმის მატერიალისტური პრინციპით ხასიათდება, ღრმად სწვდება საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებას და ამიტომ სწორედ პროლეტარული მწერლის სოციალისტური შემოქმედება შეიძლება წარმოადგენდეს ისეთ რეალისტურ ქმნილებას, რომელშიაც დაძლეული იქნება ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ანტიისტორიზმით გამოწვეული რეალიზმის შეზღუდულობა.

ქეშმარიტი პროლეტარული მწერლისათვის არ შეიძლება დამაბნობელი იყოს ის უპერსპექტივობა და პესიმიზმი, რომლითაც ხასიათებთუნდაც ბალზაყის შემოქმედება. სწორედ ამაში გამოიხატება მისი რეალიზმის შეზღუდულობა.

ნათქვამიდან არ შეიძლება გამოტანილ იქნას ისეთი დასკვნა, თითქოს ყოველი პროლეტარული მწერლის შემოქმედება იმთავითვე წარმოადგენს ბურჟუაზიული რეალიზმის უდიდეს წარმომადგენელთა შემოქმედების საზღვრების გადალახვას, და ამიტომ მათგან სწავლის საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილ უნდა იქნას.

ბალზაყის შემოქმედება როგორც მისი მწვერვალი, ამ მხრივ წარმოადგენს იმ კულტურულ მემკვიდრეობას, რომლისაგანაც საბჭოთა მწერალმა სინამდვილის ასახვის საქმეში ბევრი რამ უნდა ისწავლოს.

ამგვარად ბალზაყის შემოქმედების შესახებ გამოთქმული მარტენგელსის შეხედულებანი მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საკითხების დამუშავებისათვის უდიდეს ღირებულებას წარმოადგენენ.

მათთან მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენი სადღეისო ლიტერატურული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხი — სოციალისტური რეალიზმის პრობლემა.

სოციალისტური რეალიზმი საბჭოთა მწერლების შემოქმედების ძირითადი მეთოდია. პარტიის და მსოფლიო მშრომელთა დიადი ბელადის ანხ. სტალინის მიერ მოცემული ეს ლოზუნგი საბჭოთა მწერლისაგან მოითხოვს სოციალისტურ მშენებლობასთან უშუალოდ მისვლას, მის პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბმას და ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სისწორით, შეუფერადებლად ასახვას.

სოციალისტური რეალიზმის ლოზუნგი „რაბის“ ეულგარული მეთოდის უარყოფას წარმოადგენს, მაგრამ ის არ ანთავისუფლებს მწერალს

მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დაუფლებასათვის პრობ-
ლისაგან, პირიქით, ასეთ მოთხოვნას მის წინაშე უფრო კარდინალურად
აყენებს.

ენგელსის მოთხოვნათა საფუძველზე დაწერილ საბჭოსა-
წარმოებს, სადაც ავტორი ღრმად სწვდება საზოგადოებრივი ცხოვრების
განვითარების ამ ტენდენციას, რომელიც პერსპექტივას შლის უკლასო სა-
ზოგადოებისაკენ, იქნება ის დაწერილი სოციალისტური მშენებლობის მა-
სალაზე, ისტორიულ შინაარსზე, თუ თანამედროვე კაპიტალისტურ სი-
ნამდვილეზე, შეუძლია უფრო მეტი სარგებლობის მოტანა მუშათა კლასის
საქმისათვის, ვიდრე საბჭოთა მწერლის ისეთ შემოქმედებას, რომელიც
ვარდება მოსაწყენ „პუბლიცისტიკაში“, რომელიც წერს ისეთ ნაწარმოე-
ბებს, რომელშიაც ღრმად ვერ სწვდება ჩვენი სინამდვილის რეალურ ტენ-
დენციას და მისი განვითარების კანონზომიერებას, რის გამოც ცალკეულ
მოვლენათა მხატვრული ასახვა ხშირად ვერ აკყავს სათანადო განზოგა-
დოებას და ვარდება ემპირიზმში.

თუ მივმართავთ მარქსის და ენგელსის სხვა კონკრეტულ ლიტერატუ-
რულ შეხედულებებს, იქაც ვიპოვით აღნიშნული დებულების დამაბტკი-
ებელ მასალას.

მაგ., მარქსი და ენგელსი თავიანთ წერილებში ლასალის მიმართ
„ფრანკ ფონ ზიკინგენის“ შესახებ უსაყვედურებენ ლასალს, რომ ის თავის
ტრაგედიაში შილერიზებაში ვარდება, ამის მაგივრად, რომ თავის შე-
მოქმედებაში ყურადღება შექსპირიზებისათვის მიექცია.

ამ საყვედურით მარქსი და ენგელსი ლასალის ტრაგედიას უდიდეს
ბრალდებას უყენებენ.

შილერიზების მთავარი პრინციპი მდგომარეობს არა სინამდვილის რეა-
ლისტურ ასახვაში, არამედ, პირველ ყოვლისა, ავტორის იდეათა მხატ-
ვრულ გამოსახვაში. აქ ესა თუ ის გმირი, მარქსის და ენგელსის გამო-
თქმით, ავტორის შეხედულებათა და იდეათა რუპორს წარმოადგენს, მა-
შინ, როდესაც შექსპირიზების მთავარი პრინციპი იმაში მდგომარეობს,
რომ სინამდვილესთან უშუალოდ მისვლით რეალისტურად ასახოს საზო-
გადოებრივი ურთიერთობა და მისი სოციალური ისტორია. სწორედ
ამიტომ ისინი ყველაზე მალა აყენებდნენ სერვანტესს, შექსპირს, ბალ-
ზაკს და სხვებს, რომელთა შემოქმედებითაც თავიანთ თეორიულ პრობ-
ლემებს აილუსტრირებენ. შილერიზების პრინციპი კი ამის საშუალებას არ
ძლევდა, ამიტომ მისი შემეცნებითი თვისება დაბალია.

„რაპის“ ხელმძღვანელობა თავისი „დიდგეტტიკური მატერიალიზმის
შემოქმედებითი მეთოდით“ საბჭოთა მწერლობას შილერიზების გზით მი-
აქანებდა და ამით სწორი გზიდან აკდენდა, მაშინ, როდესაც სოციალის-
ტური რეალიზმის მეთოდი მას ერთადერთი სწორი გზისაკენ მიუთითებს.

მარქსი ისე მკაცრად დასციინის მხატვრული მეთოდის გავულგარებას,
თითქოს „რაპისებური“ კრიტიკის ანალოგიურ მოვლენას წარსულშიც

ჰქონოდეს ადგილი. აი, მაგალითად, მეგობრისადმი მიწერილ წერილში ის წერს: «ტუტუცმა რუგემ დაუმტკიცა პრუტეს, რომ შექსბირი არ იყო დრამატურგი მწერალი, იმიტომ რომ მას არა ჰქონდა დრამატურგიული სისტემაო. კანტონელი შილერი კი ნამდვილი დრამატული მწერალია».

ეს ამონაწერი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ დებულებას, რომ არა ფილოსოფიური სისტემა ჰქმნის ამა თუ იმ პიროვნებისაგან დიდ მწერალს, არამედ, სათანადო ნიჭთან ერთად, ცხოვრებასთან უშუალოდ მისვლა, პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბმა, ამა თუ იმ მებრძოლი პარტიის მხარეზე დგომა, ის, რასაც ენგელსი ამბობს ალორძინების ხანის ხელოვნების უდიდეს წარმომადგენელთა შესახებ.

საბჭოთა მწერლების სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა ეპოქის ღირსი უდიდესი ნაწარმოებების შექმნის მთავარი პირობაა. ამ პირობის გარეშე შეუძლებელია ლიტერატურის მშენებლობის საერთო ანოკანებისაგან ჩამორჩენის ლიკვიდაცია.

ბალზაკი იმიტომ იყო უდიდესი მწერალი, რომ მან თავის შემოქმედებაში ასახა ის სინამდვილე, რომლის უშუალო მონაწილეც თვით იყო. პოლიტიკური მსოფლმხედველობით ლეგიტიმისტი, ის ობიექტურად აღმავალი ბურჟუაზიის მწერალი შეიქმნა.

აქ მართლდება ენგელსის ნათქვამი, რომ რეალიზმი შეიძლება ავტორის პირად შეხედულებათა გარეშეც გამოვლიხდეს.

ისმის კითხვა: ნიშნავს თუ არა ეს მსოფლმხედველობის როლის ოდნავ შესუსტებას მხატვრულ შემოქმედებაში? საკითხის ასე დასმა მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებებთან შეუთავსებელია.

მარქს-ენგელსი თავიანთ კონკრეტულ-ლიტერატურულ ნაწარმოებებში ხშირად აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ მწერალი გამოდის თავისი შეზღუდული მსოფლმხედველობის ფარგლებიდან და, სუბიექტური მიდრეკილების წინააღმდეგ, რეალისტურად ასახავს საზოგადოებრივ ურთიერთობას. მაგრამ ამასთანავე ისინი ყოველგვარ მხატვრულ ნაწარმოებს უპირველესად განიხილავენ, როგორც განსაზღვრული მსოფლმხედველობისა და პარტიული შეხედულების გამომხატველს.

ამ დებულების დასამტკიცებლად შეიძლება მივმართოთ „წმინდა ოჯახს“, რომელშიაც მარქს-ენგელსმა ყოველმხრივი ანალიზი გაუკეთეს ევგენი სიუს „პარიზის საიდუმლოებებს“ და მის კრიტიკულ განხილვას შეეღიგას მხრივ.

აქ საჭიროა არ არის მხატვრული ნაწარმოების ამ შესანიშნავი კრიტიკული ანალიზის ვრცლად განხილვა. საჭიროა მხოლოდ გაიკვცეს ის, თუ ევგენი სიუს ეს ნაწარმოები რამდენად წარმოადგენს 40-იანი წლების პეგელის ფილოსოფიის მიმდევარ საბრალო ეპიგონების სპეკულატური მსოფლმხედველობის მხატვრულ გამოსახვას.

რომანის ცალკეული პერსონაჟების ანალიზის დროს მარქს-ენგელსი მთავარ ყურადღებას აქცევენ იმ გმირებს, რომლებიც რომანის დასაწყის-

ში ადამიანურ, ამქვეყნიურ გრძნობებსა და მისწრაფებებს ამკლავებენ. და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ ამ გმირთა იმ „ქრტიკულ-გარდაქმნას“, რომლის მეოხებითაც იხინი კარგავენ ყოველგვარ „აღმოსაშენებელ“-სებას, გრძნობას და მისწრაფებას და თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ცბიერული, ვაიძვერული, ქრისტიანული ზნეობის გამომხატველ ავტორის იდეათა რუპორებად იქცევიან.

ევგ. სიუს სპეკულატური მსოფლმხედველობის დასახასიათებლად შეტად მნიშვნელოვანია რომანის გმირი ქალი — ფლერ-დე-მარი.

მარქს-ენგელსი თავიანთ კრიტიკულ ანალიზში თანდათანობით განიხილავენ ქალის გარდაქმნის გზებს — პირველი ნაბიჯიდან, მონასტრის კედლებში, მონოზონის სამოსელში, სიკვდილამდე.

რომანის დასაწყისში ისიც ბუნებისა და ცხოვრების ღვიძლი შვილია. „თავის პირველი ნაბიჯებით, — წერენ მარქს-ენგელსი, — ის ამკლავებს ცხოვრებრივ მხნეობას, ენერჯიას, მზიარულებას, ხასიათის მოჭილობას და ყველა იმ თვისებას, რომელსაც შეუძლია ახსნას მისი ადამიანური განვითარება ადამიანისათვის აუტანელ პირობებში“.

მარქს-ენგელსი ვრცლად იხილავენ გმირი ქალის ცხოვრების ამ პერიოდს და ბოლოს აღნიშნავენ, რომ „ამდენხანს ჩვენ თვალყურს ვადევნებდით ფლერ-დე-მარის მის „არაკრიტიკულ“, ბუნებრივ მდგომარეობაში. ევ. სიუ აქ გასცილდა თავის შეზღუდულ ბურჟუაზიულ აზროვნებას. მან ყალბ ბურჟუაზიულ შეხედულებებს ზიანი მიაყენა. ახლა კი ფლერ-დე-მარის ხელში აძლევს რუდოლფს, რომ გამოისყიდოს მისი თავებდობა, მოუპოვოს მას ყველა მოხუცი კაცისა და ქალის, მთელი პარიზის პოლიციის, მონეტრალე რელიგიისა და „კრიტიკულ კრიტიკის“ თანაგრძნობა“.

აქ ხაზგასმულია იგივე დეზორიზაცია რაზედაც ლაპარაკია ენგელსის წერილში გარკნესისადმი, რაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რეალიზში, ავტორის შეხედულებათა გარეშე, შეიძლება გამოვლინდეს ისეთ სპეკულატური მოაზროვნის შემოქმედებაში, როგორც არის ევ. სიუ.

„პარიზის საიდუმლოებებისა“ და „სპეკულატური კონსტრუქციის“ იდეოლოგიური ბაზის საერთოობა მოყვანილი მაგალითების მიხედვითაც ცხადი ხდება.

მარქს-ენგელსი მრავალი მაგალითის საშუალებით ნათელყოფენ იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მსოფლმხედველობას მხატვრულ შემოქმედებაში, რომელშიაც მწერალი ყოველთვის ამა თუ იმ კლასის მსოფლმხედველობასა და თავის პარტიულ შეხედულებებს გამოხატავს.

ენგელსი თავის წერილში „ქეშმარიტი სოციალიზმის პოეზიის შესახებ“ ნათელყოფს, რომ იდეური დაბნეულობა და დაბალი თეორიული დონე ამ სკოლის პოეტებს საშუალებას არ აძლევს ამაღლდნ რეალისტური განზოგადოების დიდ სიმაღლემდე; პირიქით, ავდებს მათ მხოზავ ემპირიზმში, მაშინ, როდესაც პოლიტიკურ მიდრეკილებათა გარკვეულობა მათ შემოქმედებას უდიდეს გასაქანს მისცემდა.

ამ დებულებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ გერმანიის ცნობილი პოეტები — ჰეინე, ფ რ ე ი ლ ი გ რ ა ტ ი, ჰერვეგე და სხვები მხოლოდ მაშინ ავიდნენ თავიანთი შემოქმედების უმაღლეს მნიშვნელობაში, როდესაც წერილბურთეაზიული აპოლიტიკურობის ბურჟუაზიულ გამოერყენ და პროლეტარიატის პოლიტიკური ინტერესებით გაიმსჭვალენ. რასაკვირველია, პოლიტიკური გარკვეულობის ასეთი პერიოდები ყველა აღნიშნული პოეტის შემოქმედებაში ერთნაირი ხანგრძლივობისა და სიმძლიერის არ ყოფილა. მხოლოდ ვეერტის შესახებ აღნიშნავდნენ ხშირად მარქს-ენგელსი, რომ ის პროლეტარიატის ყველაზე შესანიშნავი პოეტია, რითაც მან ჰეინესა და სხვების შემოქმედებას დიდად გადააქარბა. იგი მხოლოდ გოეტეს უთმობდა პირველობას.

მარქსი და ენგელსი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ვეერტის შემოქმედებას გრძნობის სიმახვილეს, ორიგინალობისა და დამოუკიდებლობის უდიდეს ძალას აძლევდა ის, რომ პოეზია მისთვის იყო არა თვითმიზანი, არამედ პროლეტარიატის განთავისუფლების საშუალება. სწორედ ეს აძლევდა საშუალებას მარქს-ენგელსს მისი შემოქმედება პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოეყენებიათ.

ამგვარად, მარქსი და ენგელსი მხატვრული შემოქმედების იდეურ მხარეს და ავტორის პოლიტიკურ შეხედულებებს ყურადღების ცენტრში აქცევენ და ნაწარმოების ფორმალურ მხარეებს ამ თვალსაზრისით განიხილავდნენ.



მხატვრული ნაწარმოების სტილის პრობლემა მარქსისა და ენგელსისათვის არ არის მხოლოდ გარეგნული ფორმის პრობლემა, არამედ ავტორის კლასობრივი მსოფლმხედველობის საკითხი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტილის პრობლემა მათთვის ფორმისა და შინაარსის ერთიანობის საკითხია მხატვრულ შემოქმედებაში. ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის მათ მოეპოებათ ისეთი შეხედულებანი, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული მხატვრული ნაწარმოების სტილთან, მაგრამ რომელთა დახმარებით შეიძლება ამ საკითხის სწორი გადაწყვეტა. მოეპოებათ აგრეთვე ისეთი აზრები, რომლებიც უშუალოდ მხატვრული ნაწარმოების სტილს ეხება.

პრობლემის განხილვას პირველიდან დავიწყებთ. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მარქსის წერილი პრუსიის ცენზურის შესახებ, რომლის მიხედვით ცხადი ხდება, რომ მარქსისათვის სტილი არის მსოფლმხედველობის საკითხი. ის შინაარსიანი ფორმია.

„გერმანულ იდეოლოგიაში“ შტირნერის წინააღმდეგ წარმოებულ პოლემიკის დროს მარქს-ენგელსი იმავე შეხედულებას ანვითარებენ. სახელდობრ — როგორცაა კაცი, ისეთივეა მისი სტილი, როგორცაა პიროვნე-

ბის მსოფლმხედველობა. ისეთივეა მისი გამოსახვის ფორმა. „წინააღმდეგობა მარქსის“ (შტირნერის) წინააღმდეგ ისინი წერდნენ: „ახროვნების სიბინძურეს, დაბნეულობას, დაკავშირებულობასა და ბუნდოვნებას, მარქსის მხედველობა დაუსრულებელი განმეორებანი, მუდმივი წინააღმდეგობანი, თავის თავთან მუდმივი წინააღმდეგობანი, შეუდარებელი შედარებანი და სხვა ამგვარი“ („გერმანული იდეოლოგია“, გვ. 213).

ამ დებულების დასამტკიცებლად მარქსი და ენგელსი იძლევიან შტირნერის ნაწარმოებთა სტილის შესანიშნავ ანალიზს, რომელიც სანიმუშოდ უნდა იქნას მიჩნეული მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დროს. ისინი ნათელყოფენ, თუ როგორ ეპყრობა შტირნერი ცალკეულ კომპონენტებს, კერძოდ — სინონიმიკას, რომელსაც ის, ერთის მხრივ, იყენებს ემპირიულ ურთიერთობათა სპეკულატურად გადაქცევისათვის, მეორეს მხრივ, სინონიმია, გრამატიკასთან ერთად, მის მიერ გამოყენებულია თვალთმაქცური ცდებისათვის ზოგიერთ სიტყვებზე, რომელთა „ფილოსოფიურ“ ანალიზსაც ის თავის სპეკულატური ფილოსოფიის თვალსაზრისით აწარმოებს. ასეთ ფილოსოფიურ ცდებს ის აწარმოებს სიტყვებზე: Gesellschaft, Wechsel და სხვებზე (იხ. „გერმანული იდეოლოგია“, 256 გვ.).

თავის კრიტიკულ ნაწარმოებში „ქეშმარიტი სოციალიზმის პოეზიის“ შესახებ (ეკუთვნის იმავე წელს, რომელსაც „გერმანული იდეოლოგია“) ენგელსი სტილის ასეთსავე ანალიზს აწარმოებს. ის ნათელყოფს, რომ ამ პოეზიკის ფორმალური სილატაკე, თვით პოეტების მსოფლმხედველობის სილატაკისა და გაურკვეველობიდან გამომდინარეობს. ამის დასამტკიცებლად ენგელსს მოჰყავს ქეშმარიტი სოციალიზმის პოეტების რამდენიმე ლექსი, რის შემდეგ იგი წერს:

„ამ ექვსი სტრიქონის მანძილზე ჩვენი სული თავისუფლად იშვება: „სიყვარული“ განმეორებულია 16-ჯერ, „სინათლე“ — 7-ჯერ, „მზე“ — 15-ჯერ, „თავისუფლება“ — 8-ჯერ, რომ არ ვილაპარაკოთ „სიყვარულზე“, „ქეშმარიტებაზე“ და სხვა მრავალ მეორეხარისხოვან წყობაზე. თუ ვინმეს წილად ხედა ამგვარად შექება, ის შეიძლება მაშინვე გამოთხოვოს ქვეყანას და სამარისკაცნ გაემგზავროს“ (ქრესტომატია, 163).

უფრო შესანიშნავი შეხედულებანი სტილისა და ენის შესახებ გამოთქმულია მარქს-ენგელსის წერილებში ლასალის დრამის გამო.

ყველაზე შესანიშნავი ამ წერილებში არის ის, რომ მარქსი და ენგელსი აქ ორგვარ მხატვრულ სტილს არჩევენ: შილერულსა და შექსპირულს.

პირველს ისინი ვაცილებით დაბლა აყენებდნენ და ნაკლებ მისაღებად სთვლიდნენ, რადგან აქ ავტორი, პირველ რიგში, ემოქისა და თავისი იდეების გამოხატვას აქცევს უფრო მეტ ყურადღებას, ვიდრე საზოგადოებრივი ურთიერთობის რეალისტურ ასახვას. მაშინ, როდესაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შექსპირული სტილი მხატვრულ სახეებში ემოქის სოციალური ისტორიის სურათს იძლევა.

სტილის პრობლემის გარდა, აღნიშნული წერილები ენის პრობლემის დასმასა და გადაწყვეტას იძლევიან.

ქანრის პრობლემა სტილის პრობლემის განუყოფელი ნაწილია, რადგან ქანრი სტილის გამოხატვის ფორმას წარმოადგენს. ისევე როგორც სტილი, ქანრიც ავტორის კლასობრივი მსოფლმხედველობით განისაზღვრება.

ასეთი დებულება მარქს-ენგელსის კონკრეტულ ლიტერატურულ შეხედულებებიდან გამომდინარეობს.

როგორც ყოველგვარი საკითხის, ისე ქანრის პრობლემის გადაწყვეტას მარქს-ენგელსი ისტორიზმის პრინციპის საფუძველზე იძლევიან.

ქანრის პრობლემის ისტორიზმის პრინციპის საფუძველზე გადასაწყვეტად შეტად საინტერესოა მარქსის შემდეგი დებულება „პეგელის უფლების ფილოსოფიის კრიტიკისათვის“-იდან:

„ტრაგიკული იყო ძველი წყობის ისტორია, სანამ მას სწამდა და უნდა ერწმუნა თავისი არსებობის სამართლიანობა; სანამ ძველი წყობა, როგორც არსებული წესწყობილება, ჯერ კიდევ ჩანასახში მყოფ დასაბადებელ ქვეყნას ებრძოდა, მის მხარეზე იყო მსოფლიო ისტორიული დაბნეულობა, მაგრამ არა პიროვნული. ამიტომ მისი დაღმვა ტრაგიკული იყო“.

თუ ამ დებულებას შევადარებთ მარქსისავე დებულებას 1848 წლის რევოლუციისა და ლასალის დრამის ტრაგიკული კოლიზიის შესახებ გამოთქმულ აზრს, მათ შორის, სხვაობასთან ერთად, დავინახავთ ტრაგედიის ქანრის პრობლემის დასმის იგივეობას.

ორივე დებულების მიხედვით, ამა თუ იმ კლასის, გინდ მისი წარმომადგენლის მიერ ცხოვრების გზაზე განცილებულ ტრაგედიას შეესაბამება ტრაგედია, როგორც ლიტერატურული ქანრი.

ეს დებულება ნათელი ხდება ლასალის დრამის ტრაგიკული კოლიზიის შესახებ მარქსის მიერ გამოთქმული შეხედულებით, რომლის მიხედვითაც ლასალმა თავის დრამაში გამოხატა 1848—49 წლების რევოლუციის კოლიზია, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ გლეხობასთან დაუკავშირებელი ახალგაზრდა მუშათა კლასი უძღური გამოდგა თავისი ისტორიული მისიის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ განსხვავება ამ ორ ტრაგიკულ კოლიზიას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს მომაკედავი ქვეყნის მესვეური კლასის ტრაგედიასთან, მეორე შემთხვევაში კი — გამარჯვებისათვის მოუძწიფებელი აღმავალი კლასის ტრაგიკულ კოლიზიასთან, რომელიც (კლასი) თავისი ისტორიული მისიის განხორციელებისათვის ბრძოლაში დამარცხებულია.

ამგვარად, გარჩეულ უნდა იქნას ტრაგედიის ქანრის ორი სახეობა: მომაკედავი და აღმავალი კლასის ტრაგედია.

შეიძლება თავის მხრივ ამ უკანასკნელის დიფერენცირებაც. მარქსის და ენგელსის შეხედულებათა მიხედვით, ლასალის ტრაგედია უნდა ყოფილიყო გამარჯვებისათვის მოუძწიფებელი კლასის ტრაგედიის ქანრი. თავისთავად ცხადია, რომ შეიძლება არსებობდეს გამარჯვებული, აღმავალი კლასის ტრაგედიაც. ასეც არის. ლიტერატურის ისტორიამ იცის ამ-

გვარი ტიპის როგორც ბურჟუაზული, ისე პროლეტარული ტრაგიედია. პირველის ნიმუშად ჩაითვლება გოეთეს „ფაუსტი“, მეორეს კი ვენეციის „ოპტიმისტური ტრაგედია“ და მრავალი სხვა. როგორც ვხედავთ, ისე მეორის ტრაგიკული კოლიზია ოპტიმისტურია, მაშინ, როდესაც დადამავალი კლასის ტრაგიკული კოლიზია პესიმისტურია. ამის ნიმუშად შექსპირის „ჰამლეტი“ და მისი სხვა ტრაგედიები ჩაითვლება.

ტრაგედიის ეპოქის გადაწყვეტის დროს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თვით ტრაგედიის თემა, რაც ავტორის კლასობრიობის განსაზღვრას ისტორიზმის უტყუარ პრინციპს უმორჩილებს, რის მეოხებითაც დადამავალი და აღმავალი კლასების ტრაგიკული ეპოქის დადგინების უტყუარი საშუალება გვეძლევა.

მარქსის კონკრეტულ-ლიტერატურულ შეხედულებათა მიხედვით, შეიძლება კომედიის პრობლემის გადაჭრაც ისტორიზმის პრინციპის მიხედვით. ამისათვის მნიშვნელოვანია მარქსის შემდეგი დებულება:

„ისტორია მოქმედებს საფუძვლიანად და ის რამდენიმე საფეხურს გაივლის, როდესაც მას ცხოვრებისაგან მოძველებული ფორმა სამარეში მიაქვს. შოფლიო ისტორიული ფორმის უკანასკნელი ფაზისი მისი კომედიაა. ესკალეს „მოკავებულ პროვინციას“ ერთხელ უკვე ტრაგიკულად დაჭრილ ბერძნების ღმერთებს ლუციანეს „საუბრებში“ კიდევ მოუხდათ კომიკურად სიკვდილი“.

ამ დებულების მიხედვით ადვილი ასახსნელია კომედიის ეპოქის არსებობა არისტოფანეს, შექსპირისა და მომავლადეი კლასების სხვა მწერლების შემოქმედებაში.

სტილისა და ეპოქის საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის საკითხი.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ სტილის პრობლემა, როგორც მსოფლმხედველობის საკითხი, მარქს-ენგელსს ფორმისა და შინაარსის ერთიანობაში ესმით. თავისთავად ცხადია, რომ დიალექტიკური ერთიანობა წინააღმდეგობასაც გულისხმობს, რის გარეშეც წარმოუდგენელია როგორც ყოველგვარი, ისე მხატვრული სტილის განვითარება.

ვერტის პოეზიის შესახებ დაწერილ წერილში ენგელსი წერს:

„ვერტის ნამდვილი სოციალისტური და პოლიტიკური ლექსები ფრეილიგრატის ლექსებზე გაიკლებით მაღლა დგას. ის ხშირად პიენეს ფორმებს ხმარობდა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ მასში ორიგინალური და სრულიად ახალი შინაარსი ჩაედო“.

ამონაწერს ჩვენ განსაკუთრებულად ვუსვამთ ხაზს, რადგან ხშირად მარქსისტულ კრიტიკაში სტილის პრობლემის გარკვევის დროს შეუძლებლად მიაჩნიათ ძველი მხატვრული ფორმების გამოყენება, რადგან საკითხის ამნაირად დაყენებას მექანიკურად სთვლიან. ამ ჯურის კრიტიკოსებს ვერ გაუგიათ, რომ ფორმისა და შინაარსის საკითხის ასე დაყენება მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებიდან გამომდინარეობს და სრულიად არ ნიშნავს ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის კანტისებურ გაგებას, რომ-

ლის მიხედვითაც წინასწარ აპროორულად მოცემულ ფორმას წყვილში მოჰყავს სინამდვილის ქაოტიური მასალა.

ახალი შინაარსი, რომელიც პირველად შეიძლება ტექსტურში გამოვლინდეს, თავისი განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე აჩვენებს ზედა ფორმას და ღებულობს ახალი შინაარსის შესატყვის ახალ ფორმას. ფორმისა და შინაარსის ამგვარ დიალექტიკურ წინააღმდეგობაში ხდება მხატვრული სტილის განვითარება.

მარქსის და ენგელსის ნაშრომებში მოცემულია რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების, აგრეთვე როგორც გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის, საფუძვლიანი კრიტიკა.

რომანტიზმი, როგორც გარკვეული მსოფლმხედველობა და ლიტერატურული მიმართულება, წარმოადგენს რეაქციას საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინააღმდეგ და გამოხატავს სხვადასხვა აღმავალი კლასებისა და სოციალური ფენების ინტერესებს.

მარქსისტულ ლიტერატურათმცოდნეობაში ხშირად ვხვდებით შეხედულებას, რომ არსებობს ორგვარი რომანტიზმი — რევოლუციონური და რეაქციონური. ასეთ შეხედულებას განსაკუთრებით ანვითარებს ლუნ აჩარსკი. რომლის მიხედვითაც გამოდის, რომ პირველი რომანტიზმი გამოხატავს აღმავალი კლასის ინტერესებსა და სულისკვეთებას, მის რევოლუციონურ ლტოლვას და ბრძოლის განწყობილებას, მეორე კი — მომავლადევი რეაქციონური კლასის სულისკვეთებას.

საკითხის ასე დასმა არ არის სწორი და ეწინააღმდეგება მარქსის და ენგელსის მიერ მოცემული რომანტიზმის, როგორც მთლიანი მსოფლმხედველობის, აგრეთვე ლიტერატურული მიმართულების, კრიტიკას.

სწორია ის დებულება, რომ არსებობს ორგვარი რომანტიზმი — ფეოდალურ-რეაქციონური და წვრილ-ბურჟუაზიული, შედარებით რევოლუციონური. მარქს-ენგელსი არჩევენ რომანტიზმის ორ ასეთ განშტოებას. რეაქციონური რომანტიზმი არ იწვევს გაუგებრობას. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს მეორე სახის რომანტიზმის შესახებ.

მარქსი და ენგელსიც ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ წვრილბურჟუაზიული რომანტიზმისათვის დამახასიათებელია შედარებითი რევოლუციონურობა, ისე, როგორც საერთოდ წვრილი ბურჟუაზიისათვის. მაგრამ ისინი არასოდეს არ მიდიან იქამდე, რომ წვრილი ბურჟუაზია და მისი რომანტიზმი მთლიანად რევოლუციონურად გამოაცხადონ, პირიქით, ყოველმხრივ ხაზს უსვამენ მათ რეაქციონურ ბუნებას და არასოდეს წვრილბურჟუაზიას აღმავალ კლასად არ თვლიან.

იმ ხანაში, როდესაც ლიტერატურაში რომანტიზმი ბატონობდა, ერთად-ერთი აღმავალი კლასი სამრეწველო ბურჟუაზია იყო. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ არ იცის იმის მაგალითი, რომ სამრეწველო ბურჟუაზიის რომელიმე მწერალი რომანტიკოსი ყოფილიყო. ამიტომ უფლებია, რომ ისტორიულად არსებობდა რევოლუციონური რომანტიზმი, რომელიც აღმავალი კლასის ლიტერატურული მიმართულება იყო, მოხსნილ უნდა იქნას. მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ უარყოფს იმას, რომ შეიძლება ლაპარაკი რომანტიზმის ელემენტების შესახებ ყოველი მწერლის შემოქმედებაში, მით უმეტეს აღმავალი კლასის მწერლობაში.

აქ ლაპარაკი მხოლოდ იმ ისტორიულ რომანტიზმზეა, რომელიც გარკვეული ეპოქის გაბატონებული ლიტერატურული მიმართულება იყო მსოფლიო ლიტერატურაში.

ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ ლიტერატურათმცოდნეობაში ბევრს ლაპარაკობდნ ანტიური პოეზიის, ალორძინების ხანის ხელოვნების, შექსპირის შემოქმედებისა და სხვა მწერლების რომანტიზმის შესახებ. პრობლემის ასე დასმის დროს ლაპარაკია მხოლოდ რომანტიზმის ელემენტების შესახებ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში.

ჰეგელი თავის ესთეტიკის კურსში რომანტიულს უწოდებს მთელი ქრისტიანული ხანის მწერლობას. ასევე იქცევა ჰეინე თავის „რომანტიულ სკოლაში“.

პრობლემის ამგვარად დასმას თავისებური მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკისათვის. მაგრამ ჩვენთვის, უპირველესად ყოვლისა, საჭიროა რომანტიზმის, როგორც გარკვეული ისტორიული ეპოქის გაბატონებული ლიტერატურული მიმართულების, გარკვევა და მასთან ერთად საბჭოთა მწერლობის რევოლუციონური რომანტიზმის პრობლემის დასმა, რაც, ჩვენი აზრით, პრობლემის იმგვარ დასმასთან არის დაკავშირებული, რომელიც აღიარებს, რომ რომანტიზმი ყველა ეპოქის ლიტერატურის დამახასიათებელი ელემენტია.

ჩვენი საკითხის დასმა მარქსის და ენგელსის შეხედულებათა ფარგლებით უნდა განისაზღვროს.

„კომუნისტურ მანიფესტში“ აღნიშნულია, რომ ფეოდალური არისტოკრატია არ იყო ერთად-ერთი კლასი, რომელიც დამარცხა ბურჟუაზიამ. ვაკრობა-მრეწველობის განვითარების მხრით ჩამორჩენილ ქვეყნებშიაც კი ასებობდნ წერილი ბურჟუაზიის სხედასხვა ფენები. რომლებიც სულს დაფაედნ განვითარების გზაზე მყოფი სამრეწველო ბურჟუაზიის გვერდით. ეს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატს შორის შერყევი კლასი გამწევებულ ბრძოლისა და კონკურენციის პროცესში სახსებით ჰჭრება, როგორც თანამედროვე საზოგადოების დამოუკიდებელი ნაწილი. და ითქვიფება საზოგადოების სხვა რომელიმე ფენაში. ასეთია „კომუნისტურ მანიფესტში“ გამოთქმული დებულება წერილი ბურჟუაზიის შესახებ.

აქედან ცხადია, რომ წერილი ბურჟუაზია არ იყო რომანტიზმის ეპოქაში აღმავალი კლასი. თუ ასეა, მაშინ ცხადი ხდება, რომ არ შეიძლება ლაპარაკი წერილ-ბურჟუაზიული რომანტიზმის რევოლუციონერებაზე მთლიანად. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მის ელემენტებზე.

საკითხის ამნაირად დასმას ვხვდებით მარქს-ენგელსის შეხედულებებში. „ისეთ ქვეყნებში, სადაც გლეხობა საზოგადოების უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა, — წერდნენ მარქს-ენგელსი, — ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის დამცველი მწერლები მუშათა კლასის საქმეს იცავდნენ წერილ-ბურჟუაზიული თვალსაზრისით. ასე წარმოიშვა წერილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი. სისმონდი დგას ასეთი ლიტერატურის სათავეში არა მარტო საფრანგეთში, არამედ ინგლისშიაც“ (კომუნისტური მანიფესტი).

სისმონდისა და სხვათა წერილ-ბურჟუაზიული სოციალიზმის რევოლუციონერობა, როგორც მარქს-ენგელსმა და ლენინმა დაამტკიცეს, იმაში გამოიხატება, რომ მათ ნათელყვეს კაპიტალისტური წარმოების შინაგანი წინააღმდეგობა და ფარდა ახადეს ბურჟუაზიული ეკონომისტების მიერ მისი შეფერადებისა და წინააღმდეგობათა მიჩქმალვის ცდას.

მაგრამ ამასთანავე მარქსი და ენგელსი ხაზს უსვამენ წერილ-ბურჟუაზიული სოციალიზმის რეაქციონერ ბუნებას, რაც გამოიხატება. ერთის მხრით, ძველ საწარმოო ურთიერთობათა და წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის ძველ საშუალებათა შენარჩუნების სურვილში, ან კიდევ, მეორეს მხრით, წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის ახალ საშუალებათა ძველი ქონებრივი ურთიერთობის ფარგლებში დატოვებისაკენ მისწრაფებაში. „ორივე შემთხვევაში ისინი რეაქციონერები და უტოპისტები არიან“, ვკითხულობთ „კომუნისტურ მანიფესტში“.

ასეთია წერილ-ბურჟუაზიული ეკონომიური რომანტიზმის კრიტიკა, რომელიც მოცემულია „კომუნისტურ მანიფესტში“.

რომანტიზმის სხვადასხვა სახის კრიტიკის დროს მარქს-ენგელსი ყოველთვის ხაზს უსვამენ იმ საერთო პრინციპებს, რომლებიც ამ სახეებს ახასიათებენ. საერთო თვისებები ახასიათებენ ყველა ქვეყნის რომანტიზმის ორივე მიმართულებას. მაგრამ ეს საერთო ელემენტები განსაკუთრებით ძლიერია გერმანულ რომანტიზმში.

საჭიროა მათი გაკვრით აღნიშვნა.

90-იან წლებში მარქსიზმის მოწინააღმდეგეები პროლეტარულ რევოლუციონერ მსოფლმხედველობის საფუძველმდებელთ ბრალს დებენ იმაში, თითქოს მათ ისტორიის მატერიალისტური გაგება შეითვისეს რომანტიზმის ისტორიკოსებისაგან, კერძოდ, ლევიენ¹ ჰეგილიენისაგან.

ამ ბრალდების გამანადგურებელ კრიტიკას ენგელსი იძლევა მერინგისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც ყურადღებას იქცევს შემდეგი აზრი: „გასაკვირალია, — წერს ენგელსი, — რომ in abstracto სწორი ისტორიული გაგება ხშირად ისეთ ხალხს მოეპოვება, რომელსაც in concreto არც თეორიულად და არც პრაქტიკულად ისტორიაში არაფერი გაეგება“.

ენგელსი ამ დებულებას სათანადო ფაქტებით ასაბუთებს, რას შემდეგ დაასკვნის:

„ვიღებ რა მხედველობაში იმ სკოლურ დოქტრინას, რომელიც (ლენინეზ ჰეგილიანი) აღიარებს, მე შემოძლია ეს (ზემოთ მოყვანილი) დოქტრინა (უ) შემდეგნაირად ავსნა: მუდურების ტრეშარიტი ფორმა მხოლოდ ფეოდალურია. რადგან გაბოროტებული ხალხი მის წინააღმდეგ აღსდგა, საჭიროა მისი ზონიერულად გამოყენება, აგრეთვე ამ თავდასხმისაგან დაცვა და სამუდამოდ ისე შენარჩუნება, რომ სახელმწიფოებრივი და სხვა ფორმები მუდამ შეეფერებოდნენ მას. ამრიგად, შესაძლებლობის ფარგლებში აღდგენილ უნდა იქნას XIII—XIV ს-ბის სახელმწიფოებრივი ფორმები; მაშინ შეიძლება განხორციელებულიყო ყველა წყობილებათა შორის ლენინეზ ჰეგილიანის უკეთესი წყობილება, და ყველა ისტორიულ თეორიათა შორის მისი უმშვენიერესი მოძღვრება მიიღებდა თავის ტრეშარიტი შინაარსს. ფეოდალური საზოგადოება ზადებს ფეოდალურ სახელმწიფოებრივ წყობას“ (ციტირებულია მერინგის „Историч. материализм“-დან, გვ. 13).

ასეთია ენგელსის ირონიით აღსავსე, გერმანელ რომანტიკოს-ისტორიკოსთა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის წინააღმდეგ მიმართული, განმანადგურებელი კრიტიკა.

ეს დახასიათება სავსებით ზედგამოჭრილია გერმანიის ლიტერატურული რომანტიზმის რეაქციონური მიმართულებისათვის.

თუ ამის შემდეგ განვიხილავთ კარლეილს — წერილი ბურჟუაზიული რომანტიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს როგორც ფილოსოფიასა და ეკონომიურ მეცნიერებაში, ისე ლიტერატურაში, — მაშინ უფრო ნათლად დავინახავთ რომანტიზმის ორივე მიმართულების საერთო თვისებებს.

კარლეილმა უდიდესი როლი ითამაშა ინგლისის აზროვნების განვითარებაში. მისი მოძღვრება გამოიხატა იმაში, რომ მან შექმნა რჩეულთა თეორია, რომლის მიხედვითაც სულის არისტოკრატია უნდა მართავდეს ხალხის ცხოვრებას. ამ მოძღვრებამ გავლენა მოახდინა ინგლისის სხვა დიდ მოაზროვნეებზე, განსაკუთრებით სპენსერზე.

ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ მარქს-ენგელსმა კარლეილის კრიტიკას უდიდესი ყურადღება მიაქციეს.

1850 წლის წერილში კარლეილის შესახებ მარქსი აღნიშნავს, რომ კარლეილს აქვს ერთი დიდი დამსახურება, რაც იმაში გამოიხატა, რომ იგი ლიტერატურაში ბურჟუაზიის კრიტიკით გამოვიდა. იმ დროს, როდესაც ამ უკანასკნელის ოფიციალური აზრები მთელ მაშინდელ ლიტერატურას ავსებდა. ამასთანავე მარქსი აღნიშნავს, რომ მის კრიტიკას ზოგჯერ რევოლუციონური მნიშვნელობაც ჰქონდა. „მაგრამ ყველა მის ნაწერში არსებულის კრიტიკა საშუალო საუკუნეების გასაოცარ აპოთეოზთან იყო დაკავშირებული“, — ვკითხულობთ იქვე.

წერილში შემდეგ ნათელყოფილია ის გარემოება, რომ კარლეილის მიერ რევოლუციის გაგება განსახიერებულა ერთ რომელიმე პიროვნე-

ბაში — კრომველში ან დანტონში. პიროვნების კულტი მისი ახალი რელიგიაა. ის უარყოფს დემოკრატიას და სცნობს მხოლოდ სულს არისტოკრატიის ბატონობას. ამ საკითხის შესახებ საინტერესოა კერძოდ შემდეგი აზრი: „ევროპის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით: ცენტრალურში, შეიძლება ითქვას, უკვე ჩამოყალიბდა ხალხის მეთაურთა კაპიტნების კლასი, რომელიც შეიძლება ჩათვალოს ახალი, რეალური და არა წარმოდგენითი არისტოკრატიის ჩანასახად“. შემდეგ კარლეილი აღნიშნავს, რომ ესენი არიან ინდუსტრიის მეთაურები, რომელთა არსებობა მეტად საჭიროდ მიიჩნია, რადგან, მისი აზრით, მოიპოვება ისეთი ხალხი, რომელსაც მეთაურობა ესაჭიროება.

აქედან ცხადია, რომ კარლეილი, ერთი მხრით, კაპიტალიზმის განვითარების მომხრეა, ხოლო მეორეს მხრით, საშუალო საუკუნეებს ებღაუჭება. ასეთია ყველა წვრილ-ბურჟუაზიული რომანტიკოსი და აშკარაა, მათი ჩათვლა აღმავალი კლასის წარმომადგენლებად ლიტერატურაში შეუძლებელია.

თუ ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ მარქს-ენგელსის კონკრეტულ ლიტერატურულ შეხედულებებს მივმართავთ, იქაც იმავე სურათს დავინახავთ.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა მარქსის შემდეგი აზრი:

„საფრანგეთის რევოლუციისა და მასთან დაკავშირებულ განმანათლებლობის წინააღმდეგ მიმართული რეაქცია ბუნებრივი იყო; ყველაფერი საშუალო საუკუნეების ელფერს ღებულობდა, ყველაფერი რომანტიულად წარმოედგინა ისეთ ადამიანებსაც კი, როგორც გრიმები არიან“.

ცნობილი ძეგლები გრიმების გერმანული წვრილ-ბურჟუაზიული რომანტიზმის წარმომადგენლები იყვნენ. მათ შემოქმედებას მარქს-ენგელსი დიდად აფასებდნენ, ამიტომ ისინი განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს ასეთი ხალხის გატაცებას საშუალო საუკუნეებით. ისინი, ძალიან აფასებდნენ აგრეთვე ჰოდმანის, შელისა და სხვა რომანტიკოსების შემოქმედებას.

შელის შესახებ მოგვებოვება ელეონორა მარქსის მიერ გადმოცემული კარლ მარქსის შემდეგი შეხედულება:

„ბაირონსა და შელის შორის ნამდვილი განსხვავება აი რაში მდგომარეობს: ვისაც ისინი კარგად გაეგება და უყვარს, ბედნიერებად სთვლის, რომ ბაირონი 36 წლის ასაკში გარდაიცვალა, რადგან, მას რომ მეტი ეცხოვრა, რეაქციონერ ბურჟუაზ გადმოქცეოდა. პირობით, ისინი მწუხარებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ შელი 29 წლის ასაკში გარდაიცვალა, რადგან ის თავით ფეხებამდე რევოლუციონერი იყო და ყოველთვის სოციალიზმის მოწინავე რიგებში იქნებოდა“.

ჩვენის ფიქრით, შელი რომანტიკოსთა შორის მარქსისათვის ჭიმონაკლის წარმოდგენდა. ამასთან იმდენად, რამდენადაც მოყვანილი აზრი სხვისი სიტყვებით არის გადმოცემული, იგი საინტერესოა მხოლოდ შელის შემოქმედების შეფასებისათვის და რაიმე თეორიული დებულების დასამტკიცებლად არ გამოდგება.

მარქს-ენგელსს ფეოდალური რომანტიზმის მწერლების შესახებ მოეპოვებათ აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა, რომელთა შორის უნდა აღვნიშვნე მნიშვნელოვანია მარქსის ორი წერილი ენგელსისადმი შატობრიანის შესახებ. მარქსი ახასიათებს შატობრიანს, როგორც ფრანგული დიდებისმოყვარეობის კლასიკურ განსახიერებას — ამ სიტყვის ყველაზე ცუდი მნიშვნელობით. აღნიშნავს აგრეთვე მისი სტილის თავისებურ ეპოქალურ მნიშვნელობას, რადგან ამ სტილის გარეგანი ბრწყინვალეობა მისი შინაგანი სიციხიერის მაჩვენებელია. ახასიათებს აგრეთვე მის უაღრესად რეაქციონურ პოლიტიკურ შეხედულებებს.

ამის საილუსტრაციოდ საინტერესოა რამდენიმე ადგილი აღნიშნულა წერილებიდან:

„თუ ეს კაცი საფრანგეთში ამდენად სახელგანთქმული შეიქნა, ეს მხოლოდ იმით, რომ იგი ყოველმხრივ ფრანგული მედიდურების კლასიკურ განსახიერებას წარმოადგენს; ამასთან ერთად მედიდურობის არა XVIII ს-ის მსუბუქი ყოფაქცევის გაგებით, არამედ რომანტიულად ნიღაბამოფარებულსა და ახლად გამომცხვარი გამოთქმებით თავმოწონეს; ყალბი სიღრმე, ბიზანტიური გაზვიადება, თეატრალური მედიდურობა, ერთის სიტყვით, მეშინური თვისებების ისეთი განსახიერება, რომლის მსგავსი არასოდეს არ გავიწილა, არც ფორმით, არც შინაარსით, — იმ რას წარმოადგენს ამ პიროვნების შემოქმედება“.

შატობრიანის სტილის ასეთივე თვისებები ხაზგასმულია მეორე წერილში.

ერთიცა და მეორეც ნათელყოფენ შატობრიანის რომანტიზმის რეაქციონურ ბუნებას და ამდენადვე წარმოადგენს ზემოთმოყვანილ თეორიულ დებულებათა კონკრეტიზაციას მხატვრულ მასალაზე.

ისტორიული რომანტიზმის პრობლემა ამით შეიძლება ამოიწიროს. მასთან დაკავშირებით, საჭიროა თანამედროვე აქტუალური პრობლემების დასმა, სახელდობრ — რა ღირებულებას წარმოადგენს ფეოდალური და წვრილ-ბურჟუაზიული რომანტიზმი, როგორც კულტურული მემკვიდრეობა?

მარქს-ენგელსის იმ მოძღვრების მიხედვით, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობას შეეხება და რომელიც ზემოთ იყო გარკვეული, ამ კითხვაზე შემდეგი პასუხის გაცემა შეიძლება: პროლეტარიატისათვის კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს ყველაფერი ის, რაც კაცობრიობის კულტურულ განვითარებას შეუქმნია. რომანტიზმს ჩვენთვის აქვს არა მარტო ისტორიული, არამედ უფრო აქტუალური მნიშვნელობა. მისი საშუალებით ვეცნობით იმ სულიერ სამყაროს, რომელიც მომაცვდავ კლასებს თავიანთ ყველაზე მეტად კრიტიკულ პერიოდში ახასიათებდათ.

ფეოდალურ არისტოკრატიას მრავალი საუკუნოების კულტურული ტრადიცია ჰქონდა. ეს საშუალებას აძლევდა მას წარმოეშვა თავისი აღსასრულის ამსახველი ისეთი დიდი პოეტები, როგორიც არის ნოვალისი, შატობრიანი, ბაირონი და მრავალი სხვა. აღნიშნული მწერ-

ლები იყვენ თავიანთი კლასის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. მათ შემოქმედებაში ჩვენ ვეცნობით მომავლის კლასის მაღალ მხატვრულ ფორმაში აღბეჭდილ სულიერი სამყაროს ყოველგვარ ნიუანსს.

რომანტიზმის პრობლემის ამ მხარესთან შედარებით, ჩვენ მეორეხარისხოდ მიგვაჩნია წერილ-ბურჟუაზიული რომანტიზმის ის მკრთალი რევოლუციონური ელემენტები, რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. აქ საბჭოთა მწერალი რაიმე სანიმუშოს ვერ იპოვის.

ამ მხრივ ისტორიული რომანტიზმის პრობლემას უკავშირდება საბჭოთა მწერლობის რევოლუციონური რომანტიზმის მეტად აქტუალური პრობლემა. რევოლუციონური რომანტიზმი საბჭოთა მწერლობის განუყრელ ელემენტს წარმოადგენს მისი განვითარების ყველა ეტაპზე.

სოციალისტური რეალიზმი საბჭოთა მწერლობის განმსაზოგადოებელი მეთოდია, რევოლუციონური რომანტიზმი კი მისი განუყრელი ელემენტია.

იმისათვის, რომ რევოლუციონური რომანტიზმის თანამედროვე აქტუალური პრობლემა თეორიულად დასაბუთებულ იქნას, თავისთავად ცხადია, გარკვეულ უნდა იქნას ისტორიული რომანტიზმის არსი. მარქს-ენგელსის ლიტერატურული შეხედულებებები საკმაოდ არკვევენ მის ბუნებას და, მაშასადამე, ხელს უწყობენ საბჭოთა მწერლობის რევოლუციონური რომანტიზმის ბუნების გარკვევას.

საბჭოთა რევოლუციონური რომანტიკის პრობლემა დაკავშირებულ უნდა იქნას არა იმ რომანტიზმთან, რომელიც გარკვეული ისტორიული ეპოქის გაბატონებულ ლიტერატურულ მიმართულებას წარმოადგენდა, არამედ საკითხის იმგვარ დასმასთან, რომლის მიხედვითაც რომანტიზმი ყოველი ეპოქის ლიტერატურის განუყრელ ელემენტს წარმოადგენს.

კაცობრიობის ისტორიაში არის ისეთი ეპოქები, როდესაც რომანტიზმის ელემენტები სკარბობენ რეალიზმის ელემენტებს. ასეთია ამა თუ იმ კლასის დეკადანსის ეპოქა.

მარქს-ენგელსის კონკრეტულ ლიტერატურულ შეხედულებებშიც ვხვდებით რომანტიზმის ცნების ამგვარ ზოგად გაგებას. მაგ., ენგელსი ლაპარაკობს საშუალო საუკუნეების მოხეტიალე რაინდების რომანტიკაზე. ზემოთაც გვქონდა მოყვანილი მარქსის ისეთი აზრები, სადაც რომანტიზმის ცნება ამგვარ გაგებით არის მოცემული.

ბრძოლის წყურვილი, აღფრთოვანება და ფიქრები უმშვენებენ ჩვენს მახლობელ მომავალზე, რომელიც უკვე დღეინდობაშია განმტკიცებული, — აი რა უნდა ახასიათებდეს მეზრძოლი პროლეტარიატის პოეზიას საერთოდ. კერძოდ კი, საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის პირობებში პროლეტარიატის ყველა ასეთი მისწრაფება ფრთებს ისხამს და, ცხადია მისი ამსახველი მეზრძოლი რომანტიკით იქნება გამსჭვალული.

სოციალისტური რეალიზმი, როგორც საბჭოთა მწერლობის ძირითადი მეთოდი და სტილი, თავისუფალი უნდა იყოს ბურჟუაზიული ენგელიზმის ანტიისტორიული მსოფლმხედველობისაგან და, თავისთავად, უნდა წარმოადგენდეს რეალიზმისა და რომანტიზმის ელემენტების ისეთ უმაღლეს სინტეზს, რომელშიაც წამყვანი უნდა იყოს სოციალისტური მშენებლობის და სინამდვილის ასახვის რეალისტური ტენდენცია, რომანტიზმი კი — მისი დამორჩილებული ელემენტი. საკითხის სხვაგვარად გაგება არ შეიძლება არ ეწინააღმდეგებოდეს პროლეტარული მსოფლმხედველობის არსს, მის მარქსისტულ-ლენინურ შინაარსს.



დასავლეთ ევროპის ლიტერატურის მკვლევართა შორის ჯერ კიდევ არ არის მიღწეული შეთანხმება ფრანგული კლასიციზმის შესახებ.

მარქს-ენგელსს მოეპოებათ ისეთი აზრები, რომლებიც ამ საკითხის სწორ გადაჭრის შესაძლებლობას იძლევიან.

კლასიციზმი ბურჟუაზიული ეპოქის (მისი პირველი ეტაპის) ლიტერატურული მიმართულებაა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა პირობებში გამოხატავდა სხვადასხვა კლასის ინტერესებს, მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებსაც კი.

უფრო მეტად გადაუჭრელია XVII ს. ფრანგული კლასიციზმის პრობლემა, რომელზედაც აქ შეეჩერდებით.

ამ საკითხის შესახებ მარქს-ენგელსს მოეპოებათ ისეთი შეხედულებები, რომლებიც მას უშუალოდ არ შეეხებიან, მაგრამ პრობლემის სწორი გადაჭრისათვის საკმაო მასალას იძლევიან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ენგელსს გაკვირით გამოთქმული აქვს აზრი, რომ არ შეიძლება კორნელის შემოქმედების მთლიანად საშუალო საუკუნეებიდან გამოყვანა. ესეც საკითხის სწორი გადაჭრის საშუალებას წარმოადგენს.

საკმაოდ ცნობილია და საკვლევადიებო მუშაობაში გამოყენებული „მე-18 ბრიუმერში“ გამოთქმული მარქსის აზრები კლასიციზმის შესახებ. ამ აზრების მიხედვით ნათელყოფენ კლასიციზმის ბურჟუაზიულ კლასობრივ ბუნებას.

საკითხის გადაწყვეტისათვის საკმაო მასალას წარმოადგენს აგრეთვე მარქსის ლასალისადმი 1861 წლის თარიღით გაგზავნილ წერილში გამოთქმული შეხედულება სამი ერთიანობის კანონის შესახებ.

ფრანგული კლასიციზმის საკითხის გადასაჭრელად საჭიროა დადგენილ იქნას სწორი შეხედულება საფრანგეთის XVII ს. აბსოლუტური მონარქიის შესახებ. თითქმის ყველა მკვლევარი მიმართავს ამ საკითხის გარკვევას, მაგრამ ჯერჯერობით ვერ იქნა გამოიმუშავებული სწორი შეხედულება მის შესახებ.

თითქმის ყველა ასეთი მკვლევარი გამომდინარეობს მარქსის იმ დებულებიდან, რომ საფრანგეთის აბსოლუტური მონარქია იყო ისეთი ლაბორატორია, სადაც იქედებოდა ბურჟუაზიის ეკონომიკური ევოლუცია. იმდენად, რამდენადაც აბსოლუტური მონარქია ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა, ვაჭართა კლასის ინტერესები მონარქის განუსაზღვრელი უფლებისადმი ლტოლვას ემთხვეოდა. აქედან გამომდინარე მთელი რიგი მკვლევარები აბსოლუტურ მონარქიას ბურჟუაზიულ სახელმწიფო ფორმად სთვლიან.

ასეთი შეხედულება არამარქსისტულია. „ოჯახისა და სახელმწიფოს წარმოშობაში“ ენგელსი აყენებს დებულებას, რომ XVII ს. საფრანგეთში მიღწეულ იქნა კლასთა ერთგვარი წონასწორობა, რომლის საფუძველზეც განმტკიცდა აბსოლუტური მონარქია.

„გერმანულ იდეოლოგიაში“ მარქს-ენგელსი აღნიშნავენ, რომ XIX ს. პირველი ნახევრის გერმანიაში წოდებები ჯერ კიდევ კლასებამდე ვერ განვითარდნენ, რის გამოც საზოგადოების რომელიმე ნაწილი მოკლებული იყო საშუალებას მოეპოებია გადამწყვეტი გავლენა საზოგადოების სხვა ნაწილზე. ასეთ პირობებში სახელმწიფო ერთგვარი დამოუკიდებლობით სარგებლობს.

ორივე შემთხვევაში ლაპარაკია სახელმწიფოს ერთგვარ დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს მარქს-ენგელსის მიერ სახელმწიფოს არაკლასობრივობის დაშვებას. პირიქით, ისინი მუდამ ხაზს უსვამენ იმას, რომ სახელმწიფო ყოველთვის ერთი რომელიმე კლასის ბატონობის იარაღია. და თავისთავად ცხადია, არ შეიძლება ბურჟუაზია ცნობილ იქნას XVII ს. ფრანგული აბსოლუტური მონარქიის ძალაუფლების თუნდაც მონაწილედ, არა თუ მის მესვეურად. ასეთ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ბურჟუაზიის შემდგომი ბრძოლა ძალაუფლებისათვის და საფრანგეთის დიდი რევოლუცია.

კაპიტალიზმის განვითარების ამ საფეხურზე მონარქიას შეეძლო ვაჭართა კლასის სამშვიდობო ინტერესების დაცვა მათზევე დაყრდნობით, თვით კი სასახლის არისტოკრატისა და სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეების დიქტატურას წარმოადგენდა.

საკითხის ამგვარად დასმის დროს ცხადი ხდება, რომ აბსოლუტური მონარქიის ზოტბის შემსხმელი კორნელის, რასნიის, ბუალოს და სხვათა შემოქმედება არ შეიძლება ბურჟუაზიულად იქნას აღიარებული.

ამ დებულების დამტკიცების საშუალებას იძლევა „გერმანული იდეოლოგიის“ ერთ-ერთი ადგილი:

„თვითდატკობის ფილოსოფია, — ეკითხულობთ იქ, — ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოების იმ წრეების გონებაშიაზვიელ ფრაზეოლოგიას, რომლებიც განცხრომის პრივილეგიებით სარგებლობდნენ... ახალ დროში განცხრომის ეს ფილოსოფია წარმოიშვა ფეოდალიზმის დაღუპვისთან და ფეოდალური სასოფლო-სამეურნეო თავდახნაურობის

სასახლის გაუმადლარ და მფლანგველ არისტოკრატად გადაქცევისთან ერთად ამ არისტოკრატიაში მას უცერ კიდევ შენარჩუნებული აქვს ცხოვრების გაგების უშუალო გულუბრყვილო ფორმა, რომელმაც გამოხატულება პოვა შემუარეში, ცენტრში, რომანებში და სხვებში. ნამდვილ ფილოსოფიად ის გადაიქცა მხოლოდ რუსული რევოლუციური ბურჟუაზიის ზოგიერთი მწერლის ხელში, რომლებიც ერთის მხრით, თავიანთი განათლებითა და ცხოვრების პირობებით სასახლის წრეებს ეკუთვნოდნენ, ხოლო მეორეს მხრით იზიარებდნენ ბურჟუაზიის უფრო ზოგად მსოფლმხედველობას, რაც მათი არსებობის საერთო პირობებიდან გამომდინარეობდა. ამიტომ ის (განცხრომის ფილოსოფია) ორი კლასის მიერ სულ სხვადასხვა პოზიციიდან იქნა მიღებული" („გერმანული იდეოლოგია, 356).

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ განცხრომის ფილოსოფიას აბსოლუტური მონარქიის დროს ჰქონდა ცხოვრების გაგების უშუალო გულუბრყვილო ფორმა და მან გამოხატულება ჰპოვა მხოლოდ ლიტერატურაში.

ისმება კითხვა — რომელ დრამატურგის შემოქმედებაში გამოიხატა ეს განცხრომის ფილოსოფია, თუ არა კორნელის, რასინის და ბუალოს შემოქმედებაში?

სხვაგვარი პასუხი აქ შეუძლებელია. აი ამგვარად უნდა დავისვას XVII ს. ფრანგული კლასიციზმის საკითხი.



ზახტანზ ბერიძე

საბჭოთა საქართველოს ხუროთმოძღვრება

ამ რამდენიმე ხნის წინათ ყოფ. ეროვნულ გალერიის შენობაში დაიხურა საქართველოს სახუროთმოძღვრო გამოფენა. ამ გამოფენას არ შეეძლო არ გამოეწვია განსაკუთრებული ინტერესი როგორც თვით ხუროთმოძღვართა წრეში, ისე მთელ ჩვენ კულტურულ საზოგადოებრიობაში, რადგან იგი ჩვენი არქიტექტორების ათი წლის პროდუქციის ერთგვარ გენერალურ დათვალიერებას წარმოადგენდა. მას უნდა ეჩვენებინა, რა შედეგებით წარუდგება საქართველოს საბჭოთა ხუროთმოძღვრება არქიტექტურთა მომავალ საკავშირო ყრილობას. ასეთი დიდი გამოფენა ტფილისში პირველად მოეწყო, და, რასაკვირველია, ყველა წინანდელ გამოფენასთან შედარებით იგი უფრო სრულსა და ნათელ წარმოდგენას ქმნიდა ჩვენი ხუროთმოძღვრების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

გალერიის სამ დარბაზში უმთავრესად წარმოდგენილი იყო საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების, ქალაქთგეგმარებისა და ნაწილობრივ საცხოვრებელი სახლების პროექტები. ამას გარდა, ერთი კუთხე დათმობილი ჰქონდა არქიტექტურულ განათლებას — ტფილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის სახუროთმოძღვრო სპეციალობის სტუდენტთა ნამუშევრებს.

აღსანიშნავია, რომ მთელი გამოფენის თითქმის ნახევარზე მეტი ეჭირათ ახალგაზრდებს, რომლებმაც (მცირე გამოჩაყლისით) სპეციალური განათლება ტფილისში მიიღეს. და ეს ახალგაზრდა ხუროთმოძღვრები მონაწილეობდნენ არა მარტო წვრილ-წვრილი შენობების პროექტირებაში, არამედ ჩვენი მშენებლობის მთავარი ობიექტების გადაწყვეტაშიც.

ეს უმნიშვნელოვანესი, ცენტრალური ობიექტები, რომელთა განხორციელებაც ან უკვე დაწყებულია, ან მოკლე ხანში დაიწყება, შემდეგია: უპირველეს ყოვლისა — საქართველოს მთავრობის სასახლე; შემდეგ: მარჟან-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი, წიგნის სასახლე, სამედიცინო ინსტიტუტი, „დინამოს“ სტადიონი დიდუბეში და სხვ. (ჩვენ არ ვლაპარაკობთ ქალაქთგეგმარების შესახებ).



როგორც ცნობილია, მთავრობის სასახლის პროექტზე მუშაობა უკვე დიდი ხანია წარმოებს. კონკურსი რამდენჯერმე მოეწყო, მაგრამ არცერთი იქნა განხილული, მაგრამ მთავარი კორპუსის წინა ფასადის (საქართველოს რუსთაველის პროსპექტისაკენ უნდა იქნას მიმართული) ჯერაც არ არის საბოლოოდ დამტკიცებული. ეს გასაგებიცაა: მეტად რთულია ამოცანა და მისი გადაწყვეტა ერთი დაკვირვებით არ მოხერხდება. ჩვენმა არქიტექტორებმა ბევრი შრომა და ენერგია მოანდომეს ამ პრობლემის გადაჭრას, ზოგიერთმა რამდენიმე ვარიანტი წარადგინა და უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, მიღებულ იქნა თუ არა ეს ვარიანტები, ჩატარებული მუშაობა მაინც დიდად ნაყოფიერი და სასარგებლო იყო ახალგაზრდა ავტორთათვის. გამოფენაზე თავმოყრილი იყო ვარიანტების უმრავლესობა და მნახველს შეეძლო თვალი გაედევნებინა სასახლის პროექტირების უმთავრეს სტადიებისთვის.

აქ იყო შემდეგი არქიტექტორების პროექტები: მოსკოველ პროფესორის ვ. დ. კოკორინის, ტფილისელ არქიტექტორთა ჯგუფის (ნებრინცევი, კალაშნიკოვი, თულაშვილი, ჯაფარიძე, თოიძე), ნებრინცევის, ჩხიკვაძის (რამდენიმე ვარიანტი), ჯანელიძის, ურუშაძის, პროფ. გრინევსკის, პროფ. კალგინის, სიღამონ-ერისთვის, თავაძისა და სხვათა.

კოკორინის პროექტი (შეკვეთით დამზადებული) საფუძვლად დაედო სასახლის უკანა კორპუსებს, რომლებიც ამჟამად შენდება (ფასადები გადამუშავებულია ტფილისში, სასახლის საპროექტო ბიუროში), დანარჩენი ავტორები კი მხოლოდ მთავარი კორპუსის ფასადს (და ნაწილობრივ გვერძისა) ამუშავებდნენ.

თიური სწორად მოიქცა, რომ მთავარი ფასადის კონკურსი გამოაცხადო შეკვეთილი პროექტის განხილვისათვის. მართლაც, კოკორინის პირველი ვარიანტის განხორციელება არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ერთი დახედვაც კი მისი ნახაზებისა საკმარისა ამგვარი დასკვნის გამოსატანად.

ავტორს განუზრახავს ნაციონალური კოლორიტის მინიჭება ასაგებ შენობისთვის, საესებით გასაგები და მართებული აზრია. „ბუნებრივ პირობების თავისებურობა, კაშკაშა ფერები და ფორმები ამ ბუნებისა, ტფილისის რელიეფი თავისი მთებითა და ქვაბულებით, დასასრულ, თავისებურობა ქართული ხელოვნებისა, რომელმაც როგორც წარსულში, ისე რევოლუციურ აწმყოში შექმნა პოეზიის, მხატვრობისა და სათეატრო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები, — ყველაფერი ეს უნდა ამდიდრებდეს იმ არქიტექტორის შემოქმედებას, რომელიც საქართველოს დედაქალაქის ცენტრალურ ხუროთმოძღვრულ ანსამბლს აპროექტებს“. ასე წერდა მოსკოვის ჟურნალი „Архитектура СССР“ და ამ სიტყვების სამართლიანობამ არა გვეგონია ვისმე ეჭვი აღუძრას.

კოკორინს უცდია ქართული ხელოვნების შესწავლა (ამის შესახებ იგი ლაპარაკობს ზემოხსენებულ ჟურნალშივე, სადაც (1934 წ. № 8) მას მო-

თავსებული აქვს სპეციალური წერილი საქ. მთავრობის სასახლეზე). მას უნახავს მცხეთა, ჯვარის საყდარი, მოუვლია კახეთი, ვაკე, ქუთაისი, რუსთაველის შემოქმედებას და მისი სახელობის თეატრს, აგრეთვე ქართულ მხატვრობასაც. მაგრამ ეს შრომა ფუჭი გამოდგა, რადგანაც მთელ ამ შესწავლას მეტად ზერელე ხასიათი ჰქონდა.

კოკორინის პროექტი ეს არის სრულიად სხვადასხვა ხასიათის ელემენტების მექანიკური ნარევი, ფასადი ავსებულია ბუტაფორიული სამკაულებით, რომლებიც ვითომ ნაციონალურ სტილს უნდა ქმნიდნენ. აქ ვხედავთ ირანულ და დასავლეთის ხელოვნების ელემენტებსაც, რომელთაც ერთმანეთთან არაერთგვაროვნად ორგანიზებული კავშირი არა აქვთ, ყველაფერი ეს, რასაკვირველია, სრულიად ვერ იძლევა ქართულ კოლორიტს.

საერთოდ, სამწუხაროა, რომ ზოგიერთი არქიტექტორი ამგვარი ყალბი გზით — იაფფასიანი ეკზოტიკურობის შექმნით — ცდილობს ეროვნული ფორმის ჩამოყალიბებას. და საინტერესოა ის არის, რომ ეს არქიტექტორები არაერთგვაროვნად დიფერენციაციას არ ახდენენ „ნაციონალურის“ ცნებაში. მათთვის არსებობს ცალკე „ნაციონალური“ არქიტექტურა, განურჩევლად იმისა — საქართველოში შენდება სახლი თუ კაზაკისტანში (ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავსახელოთ კოკორინისავე თეატრი ქ. ალმა-ატაში და შევადაროთ იგი ტფილისის მთავრობის სასახლეს; დავინახავთ, რომ ეს ორი „ნაციონალური“ შენობა თავისი კოლორიტით სრულიად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ერთი (საქართველოშია, მეორე კი იმიერ-ქასპიის მხარეში).

სხვა ვარიანტთაგან მნახველის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ახალგაზრდა არქიტექტორის ლ. ჯანელიძის ნამუშევარი; მაგრამ უნდა ითქვას, რომ ძნელი იყო შენობის არქიტექტურის შესახებ ნათელი წარმოდგენის მიღება მართო ერთი პერსპექტივით, რადგან იგი მხოლოდ მეტად ზოგად ფორმებს იძლეოდა (გრაფიკულად იგი ძალიან ეფექტურადაა შესრულებული).

არქ. ნუპრინცევის ვარიანტი, ისევე, როგორც ტფილისელ არქიტექტორთა ჯგუფისა, „ნაციონალური კოლორიტის“ პრეტენზიებს სრულიად არ აცხადებს. ორივე კულტურულად და გემოვნებითაა გაკეთებული, მაგრამ შინა არ იძლევა ისეთი მონუმენტურობის შთაბეჭდილებას, როგორსაც მთავრობის სასახლისაგან მოველით. შუხანიშნავია ამ პროექტების გრაფიკული შესრულება. არაფერი მყვირალა და უსიამოვნო არ არღვევს მშვენივრად შერჩეულ ტონს. ფერები კი არ უშლის ხელს ხერხთმოდერული აზრის გამოხატვას (როგორც ეს ხშირად ხდება), არამედ უფრო ააშკარავებს მას, აადვილებს მის გაგებას. საერთოდ, ორივე ვარიანტი მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

ნიჭიერმა და დაუღალავმა ჩხიკვაძემ სამი თუ ოთხი ვარიანტი შეადგინა. ყოველი მათგანი საინტერესოა, მაგრამ, ჩვენის აზრით, პირველი

მათგანი სხვებზე მაღლა დგას: უფრო უბრალოა და მეტი გემოვნებითაც არის გაკეთებული.

ალარ შევჩერდები სხვა ავტორებზე, მით უფრო, ვინც მართი წარმოდგენილ პროექტთაგანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაშვებითაა შექმნილი. დასასრულ უნდა ითქვას მხოლოდ, რომ სასახლის პროექტის კონკურსმა დიდად გამოაცოცხლა ტფილისის არქიტექტურული ცხოვრება. პროექტის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო ძველმა, დასრულებულმა ოსტატებმა, არამედ სულ ახალგაზრდა ხუროთმოძღვრებმაც (ჩხიკვაძე, ურუშაძე, ჯანელიძე, თავაძე, ზაალიშვილი, თულაშვილი და სხვ.). მათთვის ამ უზარმაზარი ობიექტის დაძლევა ერთგვარი სკოლა იყო და ეს მუშაობა, რასაკვირველია, წარმოადგენდა (და წარმოადგენს ახლაც, რადგანაც ჯერ კიდევ არ არის დასრულებული) ქართველ არქიტექტორთა ახალი თაობის ზრდის უდიდეს ფაქტორს.

მეორე შენობა, რომლის პროექტირებამაც აგრეთვე დიდი ინტერესი და გამოხმაურება გამოიწვია, არის მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალი ტფილისში.

ეს ინსტიტუტი ამჟამად მშენებლობის პროცესში იმყოფება. მას საფუძვლად დაედო მოსკოველი ხუროთმოძღვრის შჩუსევის პროექტი. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს სახლი ნაჩიოებისაგან გაათავისუფლების შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, მას აქვს ტრი უპირატესობა — მისი კედლები კარგი მასალით (მოყვითალო ქვა) იქნება შემოკეთებული და, ამას გარდა, მას ძალიან კარგად აშენებენ. რაც შეეხება თვითონ პროექტს, რომელიც გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, იგი ხუროთმოძღვრული განაზრახვის თვალსაზრისით მაინცადამაინც ღირსშესანიშნავი არაა, მაგრამ კულტურულად და გემოვნებით კი არის გაკეთებული. მხოლოდ არ შეიძლება გაკვირვება არ გამოიწვიოს ავტორის პრეტენზიებმა — ინსტიტუტის პროექტში ქართული მოტივები გამოვიყენე და ამ შენობაში ბიძგი უნდა მისცეს ქართული ხუროთმოძღვრების შომაველ განვითარებასო. ბევრიც რომ ეძიოთ, ამ ნაგებობის ვერც მთლიან სქემაში და ვერც ცალკეულ ელემენტებში ქართულ მოტივების ნატამალსაც ვერ იპოვით. შენობა კლასიკური ფორმებით არის გადაწყვეტილი და აქ-იქ თუ ქართული ორნამენტი მიაწვებ — ეს ხომ ვერ გადაწყვეტს საკითხს?

ამავე ინსტიტუტის პროექტი ჰქონდათ კალაშნიკოვს, აკად. ფომინს და რაშდენიშე ვარიანტი ნიკ. სევეროვს, რომლის შემოქმედებაც საერთოდ კარგად იყო ნაჩვენები ამ გამოფენაზე. სევეროვი უკვე დიდი გამოცდილების მქონე, დასრულებული ხუროთმოძღვარია. მისი პროექტებით არა ერთი და ორი შენობაა აგებული — როგორც ტფილისში, ისე საქართველოს კურორტებზე. საანგარიშო გამოფენაზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის გარდა, სევეროვის შემდეგი ნამუშევრები იყო: კინოთეატრი

რუსთველიან პროსპექტზე, საქართველოს მუზეუმის ფასადი, მთავრობის სასახლე, დასასვენებელი სახლი ბაკურიანში და სხვ.

შემდეგი დიდი ობიექტი, რომელიც გამოფენის მნახველთა ყურადღებას იპყრობდა სამედიცინო ინსტიტუტია, ანუ უფროსწილად სამედიცინო ქალაქი, რომლის პროექტიც არქ. მიხეილ შავიშვილის მიერაა შედგენილი. ეს ერთი უდიდესი მშენებლობათაგანი იქნება ტფილისში: საბურთალოში უნდა აიგოს შენობების მთელი კომპლექსი; თვით ინსტიტუტის კორპუსი, კლინიკები, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები და სხვა სამომსახურო სადგომები. გამოფენაზე გამოტანილი იყო მხოლოდ გენერალური გეგმის მაკეტი (ძალიან კარგად გაკეთებული) და ამიტომ ჯერ ნაადრევია მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ეს ანსამბლი მხატვრულ ხუროთმოძღვრული თეატრისაზრისით. ეს კი ცხადია, რომ ამ მხრივ არქიტექტორის წინ ფართო ასპარეზია გადაშლილი.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა განყოფილებიდან აღსანიშნავია კიდევ „დინამოს“ სტადიონის გარეგნული გაფორმება (არქ. არჩ. ჭურდიანი, პროფ. ვრინევსკისა და ა. კალგინის მონაწილეობით) და წიგნის სასახლის საკონკურსო პროექტები. „დინამოს“ გაფორმება ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს: არქიტექტორს ზომიერად გამოუყენებია ქართული მოტივები და სკულპტურითაც კარგად უსარგებლია.

წიგნის სასახლის პროექტთაგან გამოფენაზე მხოლოდ ორი იყო. ერთი — ვალობუევისა, მეორე — ჩხიკვაძისა და თავაძის. მესამე, არქ. პენის მიერ შედგენილი, რომელიც მიღებულ იქნა ყიუჩის მიერ, რატომღაც არ გამოუფენიათ. ეს კი, ჩვენი აზრით, აუცილებელი იყო. საერთოდ, გაუგებარია, რატომ ჩატარდა ასე საიდუმლოდ ეს კონკურსი: თუ არ ჩვეთვლით გაზეთში მოთავსებულ ფოტოგრაფიას, რომელზედაც კაცი ვერაფერს გაარჩევდა, ყიუჩის მიერ არჩეული პროექტი არავისთვის არ უჩვენებიათ, ამავე დროს ეს შენობა — ერთი უდიდესთაგანი იქნება ტფილისში და მის გარეგნობისაგან დიდად არის დამოკიდებული, რა სახე მიეცემა ჩვენი ქალაქის სანაპირო რაიონს (წიგნის სასახლე მტკვრის ნაპირას შენდება, ელბაქიძის ხილთან).

სანამ ამ განყოფილებაზე გავათავებდეთ ლაპარაკს, საქიროა აღვნიშნოთ გამოფენის ერთი ნაკლი, სახელდობრ ის, რომ თითქმის ყველა პროექტი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ფასადებითა და პერსპექტივებით, ხოლო გეგმები და ქრილები ძალიან ცოტა იყო. ამის გამო შეუძლებელი ხდებოდა ამა თუ იმ შენობის შესახებ სრული წარმოდგენის მიღება. შეუძლებელი იყო იმისი გარკვევა, თუ რამდენად რაციონალურად არის შედგენილი პროექტი, რამდენად მიზანშეწონილია იგი ფუნქციონალურად. სრულიად სამართლიანად ითქვა არქიტექტორთა კავშირის ერთერთ კრებაზე, რომ ეს გამოფენა იმდენად არქიტექტურისა კი არ იყო, რამდენადაც არქიტექტურული გრაფიკისა. შემდეგში ეს ნაკლი აცილებულ უნდა იქნას თავიდან.

ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ ყველაზე უფრო დიდი ობიექტები, საქორა შეჩერება დანარჩენ ექსპონატებზედაც.

საცხოვრებლებისა და რაიონული მნიშვნელობის დაწესებულებათა პროექტები წარმოადგინა უმთავრესად საქართვე. კომუნ. მშენ. სამსახურ-ექტო ტრესტმა — „საქკომპროექტმა“. თუ არ ჩავთვლით მის „საქმეილის ყაზბეგის სასტუმროს (რომელიც ძალიან სიმპატიურ შთაბეჭდილებას ახდენს), სხვა პროექტები უმთავრესად ახალგაზრდების მიერ იყო დამუშავებული. ზუსტად უნდა აღინიშნოს საცხოვრებელი სახლები ბოგდანაოვკასა (არქ. ლეო რჩეულიშვილი) და ჩხოროწყუში (არქ. ლონგ. სუმბაძე), ზონის სასტუმრო (არქ. ვალ. კელია) და მთავრობის დაწესებულებათა შენობა სამტრედიისში (არქ. თევზაძე და ა. ვალობუჯი). გამოფენილი იყო აგრეთვე ფოტოსურათები ალ. ნიკოლაიშვილისა და მიხ. შავიშვილის პროექტით აგებულ სპეციალისტთა სახლისა, „კომუნისტის“ თანამშრომელთა საცხოვრებელი შენობისა (არქ. გიორგი კანდელაკი და არქ. ლ. რჩეულიშვილი) და სხვ.

გამოფენის ეს კუთხე იძლეოდა იმ, ასე ვთქვათ, ყოველდღიური მშენებლობის სურათს, რომელიც ტფილისსა და საქართველოს რაიონებში მიმდინარეობს. რასაკვირველია, აქ მხოლოდ მცირე ნაწილი გვიჩვენეს იმ პროექტებისა, რომლებიც მუშავდება თუ განხორციელების პროცესში იმყოფება, მაგრამ გამოფენილიც საკმარისი იყო იმის საჩვენებლად, რომ ჩვენს სარაიონო ცენტრებში საკმაოდ ინტენსიური მშენებლობა წარმოებს (აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ უკვე დასმულია საკითხი ზოგიერთი სარაიონო ცენტრის რეკონსტრუქციისა და დაგეგმარების შესახებ და ამ საკითხის რეალურ ნიადაგზე დაყენება ახლო მომავლის საქმეა.

გადავდივართ გამოფენის უკანასკნელ დარბაზზე, რომელიც დათმობილი ჰქონდა საკურორტო მშენებლობასა და ქალაქთგეგმარებას.

საკურორტო მშენებლობა საკმაოდ კარგად იყო წარმოდგენილი — ფოტოსურათებით, გეგმებითა და პერსპექტივებით. აქ იყო როგორც უკვე განხორციელებული პროექტები (კალაშნიკოვის ლიბანის სანატორიუმში, დასასვენებელი სახლი ბაქურაიანში — სევეროვისა და სხვ.), ისე განსახორციელებლებიც (დასასვ. სახლები და სანატორიუმები ბორჯომში, წყალტუბოში, ვაგრასა და სხვ. არქ. არქ. ლენტოვსკი, მელეგი, ფომინი და სხვ.). ეს განყოფილება დიდ ინტერესს იწვევდა და საქართველოში ეს საცხებით ბუნებრივაცაა: ჩვენში საკურორტო მშენებლობა ერთი ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი ნაწილთაგანია საერთო მშენებლობისა.

ქალაქთგეგმარების განყოფილებაში ყველაზე მეტი ადგილი ეჭირა ტფილისის რეკონსტრუქციისა და დაგეგმარების პროექტს. მაგრამ აქ მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმ ექსპონატებისა, რომლებიც შეადგენდნენ შარშანდელ სპეციალურ გამოფენას (პროფსაბჭოს დარბაზში).

ტფილისის დაგეგმარება და რეკონსტრუქცია დიდი და რთული საქმეა. ამ პროექტის შესახებ რომ რამე დაწერო — დეტალურად უნდა

გჭონდეს გაცნობილი მთელი ის დიდი მუშაობა, რომელიც უკრაინის „გაბრეგრადის“ მუშაკებმა ჩაატარეს ტფილისის აღმოსავლეთით ერთად. ყველა ის მოსაზრება, რომელიც საფუძვლად დაედო გენერალურ გეგმის დამუშავებას, განხილულია სათანადო ინსტანციებში და ამჟამად უკვე დატყუებულია. ამაზე ჩვენ არც შევჩერდებით. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ გენერალურ გეგმას — მომავალი რაიონების ფუნქციონალურ განთავსებას, ზოგად მოსაზრებებს უმთავრესი მაგისტრალების შექმნისა და არსებული რაიონების რეკონსტრუქციის შესახებ. რაც შეეხება მომავალი ქალაქის მხატვრულ-ხუროთმოძღვრულ სახეს, იგი ჯერ კიდევ საძიებელია. ეს ძიება უფარესად რთულ და საინტერესო პროცესს უნდა წარმოადგენდეს და მასში თანაბარი ადგილი უნდა დაიჭიროს როგორც ხუროთმოძღვრის შემოქმედებამ და ფანტაზიამ, ისე გაღრმავებულმა მეცნიერულმა მუშაობამ. ის ნახატები, რომლებიც გეგმებთან და სქემებთან ერთად იყო წარმოდგენილი, რასაკვირველია, ოდნავადაც ვერ წყვეტს საკითხს. მეტსაც ვიტყვი — ნაბიჯიც კი არ არის გადადგმული საკითხის სწორი გადაჭრისაკენ. ჩვენ აქ სრულიად შეგნებულად ვიხმარებთ სიტყვა „ნახატები“. მართლაც, ამ პერსპექტივებს, რომლებიც ვითომ უნდა გამოხატავდნენ ტფილისის არსებულ და ჯერ არარსებულ პუნქტების (მარქსის მოედანი, კომინტერნის ქუჩა, მოედანი დილოში და მრავალი სხვ.) მომავალ სახეს, არავითარი რეალური საფუძველი არა აქვთ. ეს არის, ასე ვთქვათ, ზეპირად გაკეთებული ნახატები (ზოგი კარგადაა შესრულებული, ზოგი სუსტად), რომლებშიაც არც ერთ გამოხატულ შენობას არა აქვს შესაფერი გამართლება.

ტფილისის გარდა, ამ განყოფილებაში ცოტა რამ იყო გამოფენილი, ასე, რომ მნახველი მცირე წარმოდგენას თუ მიიღებდა იმ მუშაობის შესახებ, რომელიც წარმოებს საქართველოს ქალაქების რეკონსტრუქციისთვის. მაგალითად, სრულიად არ იყო ნაჩვენები ფოთი, ხოლო ბათომი მხოლოდ ერთი პერსპექტივით წარმოედგინათ. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ერთი პროექტიც და მეორეც ჩვენი ახალგაზრდა ხუროთმოძღვრების მიერაა დამუშავებული. ეს კი არც ისე უბრალო საქმეა. ქალაქთგეგმარება საერთოდ ახალი დისციპლინია, იგი მხოლოდ ამ ბოლო დროს განვითარდა. საბჭოთა კავშირმა ამ მხრივ ყველას გაუსწრო, მაგრამ საქართველოში ქალაქთგეგმარება მხოლოდ ახლა იღვამს ფეხს. ტფილისის დაგეგმარების პროექტი, როგორც აღვნიშნეთ, უკრაინელ სპეციალისტთა ხელმძღვანელობით გაკეთდა. ასე, რომ ბათომისა და ფოთის პროექტები წარმოადგენდა ჩვენი ხუროთმოძღვრების პირველ დამოუკიდებელ ნამუშევარს ამ დარგში (არქიტები ვალ. კედია, ბეგ. ლორთქიფანიძე, ალ. ნიკოლაიშვილი, ლონგ. სუმბაძე, ივ. ყირჩქასალი). მათ მეტად სერიოზული და დიდი მუშაობა ჩაატარეს და აუცილებელი იყო ამ მუშაობის შედეგების ჩვენება ფართო საზოგადოებისთვის.

კარგია, რომ ცხინვალის პროექტი მაინც იყო წარმოდგენილი. იგი (ისევე, როგორც ბათოში და ფოთი) „საქკომპროექტში“ დამუშავდა (არქივები ვართანოვი და ალაბაბიანი, ივ. ყირქესალის ხელმძღვანელობით) და უკვე დამტკიცდა კიდევ.

გამოფენილი იყო აგრეთვე „მანქანათმშენებლობის ქარხნის დასახლებული ადგილი“, შესრულებული ბ. ლორთქიფანიძის, ლ. სუმბაძისა და ზალდასტანიშვილის მიერ, და რამდენიმე სხვა ექსპონატიც.

ამით დავემთავრებთ ამ მიმოხილვას.

გამოფენას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრი ნაკლი ჰქონდა. ზოგი მათგანი საგამოფენო ადგილის სიმცირეს მიეწერება, ზოგიც გამოუცდულობას.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს გამოფენა უთუოდ საინტერესო და ძალიან სასარგებლო იყო. მან საკმაოდ ნათელი სურათი მოგვცა ჩვენი საბჭოთა ხუროთმოძღვრების მუშაობისა უკანასკნელი წლების განმავლობაში.

დასკვნა ერთი შეიძლება გამოვიტანოთ:

გაკეთებული ბევრია, გასაკეთებელი უფრო მეტი.

და ჩვენი საბჭოთა არქიტექტორების ახალ თაობასაც შესწევს ძალღონე მომავალი მუშაობის ღირსეულად შესრულებისათვის.



შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

ილო მოხაშვილი — ღია ბარათები (ლექსი)	33-3
შ. დადიანი — ურდუმე (ისტორიული რომანი. გაგრძელება)	5
ნიკოლო მიწიშვილი — ახალი ლექსები	30
რაჭდენ გვეტაძე — ლაშაური საღამოები (რომანი. გაგრძელება)	37
გ. ქუჩიშვილი — სამი ლექსი	59
გიორგი კაჭახიძე — სანაპირო ქუჩა (ლექსი)	61
ი. დიომელი — თანამედროვე ქრონიკები	63
პეტრე სამსონიძე — მთა-გმირები (ერთი თავი პოემიდან)	81
ჯემალ-ზადე — ნოველები (თარგმ. მ. ზუბუას)	88
ა. პუშკინი — ბალჩისარაის შადრევანი (თარგმ. ვ. რუხაძის)	127
ვ. სიახლიძე — ბაიკალის თქმულება (ლექსი. თარგმ. ა. სიჭინავას)	143

ქრიტიკა და პუბლიცისტიკა

ვლ. ასათიანი — აკაკი ბელეტრისტი	145
ალი არსენიშვილი — „ევგენი ონეგინის“ ქართული თარგმანისათვის	153

უცხოეთის ლიტერატურა

ა. კაპანელი — იდეები და სახეები თანამედროვე ფრანგულ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში	163
---	-----

თ ე ო რ ი ა

ნ. ურუშაძე — მარქსი, ენგელსი და ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემები	172
--	-----

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ვ. ბერიძე — საბჭოთა საქართველოს ხუროთმოძღვრება	196
--	-----

